კვირის პალიტრა

# მზე

N44(73) 1/XI.-7/XI.2001.
ფასი 60 თ.

63
1168
2001

## რა იქნება ხვალ?

## ქმის მკვლელებზე დამ შური იძია

## თავისუფალ სიტყვას გასრესა დაუპირეს!

## დუტას პირველი ქორწინება და მონატრებული შვილი

## რა ხდება «რეზონანსსა» და «ახალ ვერსიაში»?

## ძველი პარტნიორების ახალი დაპირისპირება

## ქალი საჭესთან
## — ეკა ჩხეიძე:

**„წითელზეც გავმძვრალვარ ხშირად — რა ვქნა, „მკვდარი“ მძღოლები არ მიყვარს. თუ რომელიმე მანქანა ზოზინით მიდის, აუცილებლად გიჭივით ჩავუქროლებ და გავუსწრებ ხოლმე. ჩემი მანქანა ახალი ჩამოყვანილი რომ იყო, მახსოვს, აეროპორტის ტრასაზე 180-190-ით მივქროდი და სიჩქარე საერთოდ ვერ ვიგრძენი...“**

ქვირის პალიტრა
ეხა
№44 (73)
1 – 7 ნოემბერი 2001
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
„ქუდგე კაცი...“ 3
**მეოთხე ხელისუფლება**
რა იქნება ხვალ? 4
**კონფლიქტი**
ძველი პარტნიორების
ახალი დაპირისპირება 5
**დეკლარანტები**
აღარც ფერმა აქვს, აღარც
ХИПІ – და მხოლოდ უნიკალური
ავტოკალამი შერჩენია 9
**მეგობარი**
„მომღერალი“ ცუგა
ედუარდ სეფაშვილს მთელ
პენსიას ართმევს 12
**ქალი საჭესთან**
ეკა ჩხეიძე:
„აუდი ტეტეგე“ ვოცნებობ 14
**კრიმინალი**
• „უნდათ, მთელი დანაშაული
ჩემს შეურაცხად ძმას
გადააბრალონ“ 16
• შურისძიება ძმის
მკვლელობისთვის 18
**ნამდვილი ამბავი**
უცნაური დამთხვევა ანუ
„ეშმაკისეულის“ ხმა 20
**მსახიობი**
დუტა სხირტლაძის „დამალული“
ქორწინება და 10 წლის მარიამი 21
**ტესტი**
ერთგული მკითხველი 23
**თვალი პატიოსანი**
„ხალხი ფულს რომ აგროვებდა,
მე ქვებს ვაგროვებდი“ 24
**სასარგებლო აზრები**
აფორიზმების ენციკლოპედია 26
**ფსკერი**
ექვს საფულეში
გაცვლილი ინტერვიუ 27
**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი
კოლაჟი ბოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან 28
**ჭაბუკები**
„სამუდამო ღამისთვის არ
მემეტები ოცი წლის ბიჭი...“ 30
**სამყარო**
ცივილიზაციისგან
განდგომილი მორმონები 32

Q/960

# რა იქნება ხვალ?



ქართული მასმედიის გარშემო შეკრული მუქარის რკალი ვიწროვდება. ჯერჯერობით, სამიზნეს ტელეკომპანია „რუსთავი 2“ წარმოადგენს. მაგრამ ჯერჯერობით...

საბედნიეროდ, საზოგადოებრივი აზრი არ აღმოჩნდა ისე დაჩლუნგებული, რომ მავანთა ქმედებას უპასუხოდ ჩაევლო.

4

# დუტა სხირტლაძის „დამალული“ ქორწინება და 10 წლის მარიამი

„მოხდა ისე, რომ მარიამის სურათი ჯერ არ დაბეჭდილა“, – მითხრა დუტამ და მარიამთან ერთად პოზირება დაიწყო. მარიამის შესახებ არც რაიმე დაწერილა ჯერჯერობით. არადა, ის დუტას პირველი შვილია პირველი ქორწინებიდან. ამ გოგონას დედა – ირმა გველესიანი, ამჟამად გერმანიაშია.

21

# შურისძიება ძმის მკვლელობისთვის

30 წლის ქალის – ნელი ხარხელის საქმეს უკვე მეორედ – ამჯერად, საოლქო სასამართლო განიხილავს. მან ძმის მკვლელისა და მისი ოჯახის დამყაჩაღებლების სახლებს ცეცხლი წაუკიდა და დაწვა.

18

# ექვს საფულეში გაცვლილი ინტერვიუ

ვაგზლის მოედანზე მეტროდან ამოსულს, კაცი მომიახლოვდა და ზრდილობიანად მითხრა – თქვენს ხელჩანთაში დევს ნივთები, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით და, თუ შეიძლება, დამიბრუნეთო!.. გავოგნდი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, მაინც ჩავიხედე ხელჩანთაში და... ექვსი საფულე აღმოვაჩინე.

27

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ტრადიციები**

მილიონი ხან ქვაკაცაა, ხან მამიდაქვა, ხან კიდევ – 1006 რომაული ნაბიჯი 34

**საგანძური**

ქართული მინანქრიდან ემოცია გამოსჭვივის... 35

**ფავორიტები**

„რუსული რაკეტა“ 36

**მოგზაურის დღიურები**

ამერიკა-მექსიკის საზღვარგე ქართველებს ჩხუბი მოუვიდათ 40

**პარსკვლავი**

სინდი კროუფორდის დაბრუნებული სიყვარული და შეწყვეტილი კარიერა 42

**რომანი**

ნუგზ ბაშელი. ტარაკანა (დასაწყისი) 44

**აქეთური-იქითური** 48, 49

**ავტო** 50

**ჯანმრთელობა**

- ციმბირის წყლული 52
- თქვენი პატარა 53
- ტესტი დედებისათვის 53
- დიასახლისის კუთხე 54
- ჯანმრთელობის ფილოსოფია 54
- კითხვა-პასუხი 55

**ლედი**

მადლენ ოლბრაიტს ყველაფერი აქვს, მეუღლისა და სიყვარულის გარდა 56

**ფსიქოლოგიური თამაში**

გამოსცადეთ თქვენი შემოქმედებითი უნარი 60

**სკანვორდი** 61

**ჰოროსკოპი**

კვირის (5-11 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტესტი**

თქვენ და ბედისწერა 63

**კალეიდოსკოპი**

ჭრელ-ჭრელი ამბები 64



გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“


## ამერიკა-მექსიკის საზღვარზე ქართველებს ჩხუბი მოუვიდათ



აშშ-ის საზღვრამდე 2-3 კილომეტრი იყო დარჩენილი. მექსიკაში საწვავი გაცილებით იაფია და ამიტომ, ავტოგასამართ სადგურთან გავჩერდით. ორი შავგვრემანი ბიჭი მოგვიახლოვდა. ქართველები აღმოჩნდნენ. ძალიან გაგვიხარდა, ერთმანეთი გავიცანით. ბიჭებს ამერიკაში გადასვლა უნდოდათ.

40

## აღარც ფერმა აქვს, აღარც ჯიპი – და მხოლოდ უნიკალური ავტოკალამი შერჩენია

„კაი დრო“ რომ იყო, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ერთლარიან სიგარეტს („მაგნას“) კი არ ეწეოდა, არამედ თურმე „მარლბოროსა“ და „პარლამენტის“ გარდა, სხვას არ კადრულობდა... რას იზამ, ნათქვამია – დრონი მეფობენ და არა მეფენიო. ამის იმედი აქვს ბატონ ნოდარსაც.

9

## სინდი კროუფორდის დაბრუნებული სიყვარული და შეწყვეტილი კარიერა

ქორწინებიდან სამ-ნახევარი წლის განმავლობაში სინდი კროუფორდი და რენდი ჰერბერი მსოფლიოს თავიანთი ჭეშმარიტი ურთიერთობების შესახებ არაფერს უმხელდნენ. მეორე შვილის – კაია ჯორდანის დაბადების შემდეგ, ცოლქმარმა საიდუმლოს ფარდა ახადა...

42

## ლამაზყანა

მანამდე კი... მანამდე ეგონა, რომ ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა, მასაც უყვარდა ადამიანები, ლამაზი ფერებით ეხატებოდა მომავალი..

რას წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ხელები სისხლით შეეღებებოდა და მშობლიური ბუდიდან მოუწევდა გაქცევა?!.

44

# „ქუდზე კაცი...“



არა, ბატონო! – ყველაფერი უსაშველო ვიცით ქართველებმა, ჟურნალისტებმა – მით უმეტეს.

აგე! – допрыгались! ვის თავს არის ახლა „დარდუბალა“?! მელა კი, იცინის, იცინის – კვდება სიცილით.

გუშინ გაზეთების პირველი გვერდების დახედვა შეგძულდებოდა კაცს: „პრეზიდენტმა ტელეკამერას კი არა – მთელ თავისუფალ მედიას შეაქცია ზურგი!“ „გვამუნჯებენ!“ „ჯორჯ ბუშ! – უთხარი ამას რამე!“ და ა.შ.

კარგით რა!!! სინდისიც კარგი საქონელია – აბა, რა უნდა ექნა: ეს რა უქნიათ, როგორ არ რცხვენიათო?! უბრალოდ გაოგნდა და აღშფოთდა კაცი და ცრემლი რომ არ დაენახვებინა მშობელი ერისთვის, ზურგი შეგვაქცია – დროებით...

ვერც მე გავიგე მაშინ და, ცოტა არ იყოს, მეწყინა კიდეც, მაგრამ ორიოდე საათში გაირკვა ყველაფერი: წასულა და, როგორც წესი და რიგია – პროკურატურისთვის დაუვალებია უშიშროების თანამშრომელთა ქმედების კანონიერების დადგენა! რა ექნა მეტი?! მაგრამ შარზე როა კაცი, ყველაფერს იტყვის: მაგან ისევ იმას დაავალა საქმის გამოძიება, ვისაც აგრეთვე არ ვენდობითო და ა.შ.

ისე, ერთი თხისკენ და ერთიც – მგლისკენო – ნათქვამია: მაგარი სასაცილო ხალხი იყო მისული „რუსთავი 2“-ში:

ჟურნალისტი: „რატომ მოხვედით?“

„კაგებეშნიკი“: „არ ვიცი...“

ჟ: „ვინ გამოგაგზავნათ?“

„კ“: „არ ვიცი...“

ჟ: „რა გქვიათ?“

„კ“: „არ ვიცი...“

„გე-პე-ი“ და მისი სტუდენტები რომ საშაყიროდ იყვნენ აგდებულები, მაშინდელი ანეკდოტია:

– რა გქვია?
– ზუ-რი-კო...
– რა გვარი ხარ?
– ზუ-რი-კო...
– რამდენი წლის ხარ?
– ზუ-რი-კო...
– სად ცხოვრობ?
– ზუ-რი-კო...
– სად სწავლობ?
– „გე-პე-ი“-ში!

„კუმ ფეხი გამოყო – პენალტი დამარტყმევინეთო“ – „ჰაიტ! თქვენ ვის უბედავთო“ – პარლამენტის თავმჯდომარემ, შეუვარდა თავიანთთვის ტკბილად მოჭუკჭუკე უშიშროების საბჭოს წევრებს და ორი მთავარი ძალოვანი მინისტრის გადადგომა მოითხოვა. ქუთათელაძე როგორ ჩუმადაც მოვიდა, ისევე ჩუმად გადადგება, მაგრამ თარგამაძემ უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ „რკინისა“ გახლავთ და ფეხებსაც ვერავინ მოსჭამს.

„კუს“ და „პენალტს“ რაც შეეხება – ადრე უკვე შევთანხმდით, რომ ბატონი ზურაბი „ღრმა ოფსაიდში“ იმყოფება და ასეთებს პენალტს არ არტყმევინებენ...

ჰმ, ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ „რუსთავი 2“-ის ოფისის წინ გაათია ღამე: „გადავარჩინოთ სიტყვის თავისუფლება!“ ერთმა ქალბატონმა: „ქუდზე კაცი გამობრძანდითო“ – მოგვიწოდა, ზუსტად ასე: „გამოდითო“ კი არა, – „გამობრძანდითო“!

არსადაც არ წავედი, დავჯდები ჩემთვის და ჩემს „პროვოკაციას“ დავწერ – ჩვენში სიტყვის თავისუფლებაა და სანამ ჩვენთვის არ მოუცლია „რკინის კახას“, მე ქუჩაში ვკარგო დრო?!

**P.S.** გურამ დოჩანაშვილის რომანში – „სამოსელი პირველი“, არის ერთი პერსონაჟი, ვინსენტე ჰქვია. ამ ვინსენტეს უცნაური თვისება აქვს: თუ საკინძე ბოლო ღილამდე აქვს შეკრული, ზრდილობად იღვრება, თუ არა – მტრისას, ისეთი ყიამყრალი ხდება. თანაც ეს ცვლილება მასში მომენტალურად – ყოველი ღილის შეხსნის შემდეგ ხდება: როდესაც ქორწილში ქალაქის საპატიო მოქალაქესთან – ჯულიოსთან გადადიოდა პირველ ალავერდს, ყელამდე საყელოშეკრულმა და ყელსახვევშემოხვეულმა ვინსენტემ ასე მიმართა მას: „გთხოვთ, თქვენ – ჩვენო პატივცემულო სენიორ ჯულიო!“ – შემდეგ ყელსახვევი მოიხსნა და უბრალოდ „სენიორ ჯულიოზე“ გადავიდა, მერე სასმელმა შეაწუხა, ერთი ღილი შეიხსნა და: „ჩემო ჯულიოზე“ ჩამოაქვეითა და ასე ნელ-ნელა... ბოლოს პერანგი ჭიპამდე ჩაიხსნა, ვეებერთელა ყანწი ესროლა საპატიო მოქალაქეს და მიაბღავლა:

„ვოე! ჯულიო – შე ჩემა!..“

ახლა ეს ყველაფერი რატომ გამახსენდა, იცით?! ჩვენი პრეზიდენტი ხომ თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს ბოლო „თბილისობაზე“ (ჩვენი „ჯულიო“ გახდა), მე კი ვინსენტესავით ბოლო ღილამდე ჩახსნილი კი არა, ლამის არის, ტანზე შემოვიხიო პერანგი: „ავოეე! „საპატიო მოქალაქევ“... (დანარჩენი, როგორც დასახელებულ ლიტერატურულ წყაროშია...)



*პროვოკატორი*

# რა იქნება ხვალ?

## საქართველოს თავისუფლების ათი წლისთავზე, ხალხი კვლავ თავისუფლებას მოითხოვს

დაჩი გრძელიშვილი

— ამათ უნამუსობას ბოლო არ უნდა მოეღოს?!

— მოგვაშორეთ ეს ბანდიტები!

— არ ეყოთ, რაც გადაჭამეს ეს ქვეყანა? ახლა ლაპარაკსაც გვიშლიან?

*მეტრო „დელისთან“, პროფკავშირების სასახლის წინ უფრო და უფრო ბევრი ადამიანი მოდიოდა. ბევრი ხალხი იყო შენობის ფოიეშიც, სადაც ჯანმაგარი ახალგაზრდა მამაკაცები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებთან „დებატებში“ იყვნენ ჩართულები.*

*... ყველაფერი შუადღის 1 საათზე დაიწყო, როდესაც აღნიშნული ტელეკომპანიის ოფისში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილის, მალხაზ სალაყაიას ხელმძღვანელობით, დაახლოებით ათი თანამშრომელი მივიდა. მათ განაცხადეს, რომ ეკონომიკური უშიშროების სამსახურის ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ოფისში სასწრაფო ჩხრეკა უნდა ჩაეტარებინათ, „დოკუმენტაციის ამოღების მიზნით“.*

**ეროსი კიწმარიშვილი,** ტელეკომპანიის დამფუძნებელი:

— მოსულებმა ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოგვიდგინეს, მოსამართლე ანდღულაძის ხელმოწერით. როდესაც უშიშროების თანამშრომლებს განვუცხადეთ, რომ მათ არ ვენდობოდით, ორიოდე წუთში, ოფისში, ოცდაათამდე ჯანმაგარი ახალგაზრდა ამოვიდა. უშიშროების თანამშრომლები პირდაპირ ეთერში ჩავრთე და კვლავ ვთქვი ის, რისი უფლებაც კანონით მქონდა — ოფისის ჩხრეკაზე მოსულ უშიშროების თანამშრომლებს უნდობლობას ვუცხადებდი და თუ მაინც სურდათ ამის გაკეთება, ძალა უნდა გამოეყენებინათ. ამის გამო და ალბათ, ღია ეთერის წყალობითაც, გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. მაშინ შევთავაზე, ოფისი დაეტოვებინათ.

ტელეკომპანიის თანამშრომლებსა და სამართალდამცავებს შორის კამათი შენობის ფოიეში გაგრძელდა. ეს უკანასკნელნი მოსამართლის გადაწყვეტილებას და ოპერატიული ღონისძიების საჭიროებას იშველიებდნენ და კვლავ მოითხოვდნენ „რუსთავი 2“-ის ოფისში ასვლას საბუღალტრო, სადამფუძნებლო და ყველანაირი დოკუმენტაციის ამოღების მიზნით. ამ ხნის განმავლობაში ტელევიზიასთან უამრავი ადამიანი მოგროვდა. ისინი ტელეკომპანიას ერთხმად უცხადებდნენ სოლიდარობას და უშიშროების მუშაკებს კატეგორიულად სთხოვდნენ, იქაურობა დაეტოვებინათ.

**ნიკა ტაბატაძე,** არხის გენერალური დირექტორი:

— სრულიად უსაფუძვლო და ბინძური ბრალდებებით შემოვიდნენ: თითქოს, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხები გვქონდა ბიუჯეტისთვის დამალული.

**— რა თანხებზეა ლაპარაკი?**

— დაახლოებით, ერთი მილიონ ხუთასი ათას ლარზე. ასეთ თანხას რეკლამაში ვერანაირად ვერ ავიღებდით — გადაცემებსა და ფილმებზეც რომ გვეთქვა უარი და მხოლოდ რეკლამა გვეტრიალებინა... ეგეც არ იყოს, ამ ცოტა ხნის წინ, ტელეკომპანიაში მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია იყო შემოსული. მსგავსი რამ მათ არ დაუფიქსირებიათ...

**— დღეს მოსული უშიშროების ჯგუფი თუ იცნობს მათი შემოწმების შედეგებს?**

— ამის შესახებ ჩვენც ვკითხეთ. საკმაოდ არაორდინარული პასუხი მივიღეთ — იქნებ, რამე გამორჩათო. გამოდის, რომ მილიონნახევარი ლარი მათთვის ისეთი „რამეა“, რომ შეიძლება რამდენიმეკაციან კომისიას გამორჩეს?

**მალხაზ სალაყაია,** უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე:

— არ მესმის, რა საჭირო იყო ასეთი აჟიოტაჟი. ჩვენ აქ ყოველგვარი პროცესუალური ნორმის დაცვით მოვედით. არავის და არაფრის შემოწმებას არ ვაპირებთ, უბრალოდ, გარკვეული დოკუმენტაცია უნდა ამოვიღოთ, რომელიც გამოძიებისთვის არის საჭირო.

*იმაზე, თუ რამდენად სამართლებრივია, უშიშროების სამსახური საგადასახადო საქმეებში ერეოდეს, შემოსავლების ყოფილ მინისტრს,* **მიხეილ მაჭავარიანს** *გავესაუბრეთ:*

— მათ ქმედებას არანაირი გამართლება არა აქვს. საშემოსავლო თანხებისა და დოკუმენტაციის კონტროლის უფლებამოსილება მხოლოდ შემოსავლების სამინისტროს შესაბამის უწყებებსა და კონტროლის პალატას აქვთ. ეგეც არ იყოს, საკმაოდ აბსურდულ თანხებზეა ლაპარაკი. რამდენადაც მე ვიცი, აქ ერთხელ უკვე იყო შემოსული საგადასახადო ინსპექცია და უმნიშვნელო დარღვევების გარდა, არაფერი აღმოუჩენია. ეს ყველაფერი სულ სხვა მიზანს ემსახურება — საქართველოში თავისუფალი მედიის მოსპობა სურთ. სხვა შემთხვევაში, უშიშროების ამხელა დანაყოფი შემოსავლების ამოღებაზე რატომ უნდა ცდებოდეს? წავიდნენ და ჩაატარონ სპეცოპერაციები პანკისში ან კოდორში. ან, სულაც მილიონერების იმ ყბადაღებულ დასახლებას მიხედონ, ლამის მთელი ქვეყნის ბიუჯეტი რომ არის დახარჯული...

**კობა დავითაშვილი,** დეპუტატი, იუსტიციის საბჭოს წევრი:

— სამართლებრივი თვალსაზრისით, უშიშროების დანაყოფის ქმედებას არანაირი გამართლება არა აქვს. კონსტიტუციის მიხედვით, თუ აღნიშნულმა სამსახურმა რაიმე კანონდარღვევა აღმოაჩინა, რეაგირებისთვის შემოსავლების სამინისტროს ან კონტროლის პალატას უნდა მიმართოს.

**ელდარ შენგელაია,** პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე:

— ეს არის პოლიტიკური აქტი, პოლიტიკური ზეწოლა თავისუფალ პრესაზე. სხვაგვარად მომხდარს ვერ შევაფასებ...

*ბატონი ელდარის აზრს „რუსთავი 2“-ის ოფისთან მოსული კიდევ ბევრი დეპუტატი იზიარებდა. შენობის გარეთ შეგროვილმა ხალხმა სპონტანური მიტინგი გამართა. საქართველოს თავისუფლების ათი წლისთავზე ხალხი კვლავ თავისუფლებას მოითხოვდა — პრესისა და სიტყვის თავისუფლებას...*

*P.S.*

*„ჯერჯერობით...“*

*ქართული მასმედიის გარშემო შეკრული მუქარის რკალი თანდათან ვიწროვდება. ჯერჯერობით, სამიზნეს ტელეკომპანია „რუსთავი 2“ წარმოადგენს. მაგრამ ჯერჯერობით...*

*სპეციალიზებულ, საზოგადოებრივი აზრი ჯერჯერობით არ აღმოჩნდა იმ დონეზე დაჩლუნგებული, რომ მავანთა ქმედებას უპასუხოდ ჩაევლო. მაგრამ, ჯერჯერობით...*

*გასული დღეების მოვლენებს, როგორც ჩანს, უშიშროების მინისტრის პოსტი ეწირება. მაგრამ ჯერჯერობით...*

*რა იქნება ხვალ, არავინ იცის...* ■

ახალი ვერსია ძველი პარტნიორების ახალი რეზონანსი

# დაპირისპირება

## რა მოხდა „რეზონანსსა“ და „ახალ ვერსიაში“?

**„რუსთავი 2“-ში ბოლო დღეებში მომხდარი ცნობილი მოვლენების ფონზე ზოგიერთ რედაქტორს, დირექტორსა თუ გამომცემელს „შიგნითაც აეჭრა“ სიტუაცია. პირველ რიგში, ეს ეხება ყოფილ პარტნიორებს — მალხაზ რამიშვილსა და ზურაბ მაჭარაძეს, რომლებიც ერთმანეთს ხულიგნობასა და ცემა-ტყეპაში გადაზრდილი დებოშის მოწყობაში ადანაშაულებენ. გაზეთ „რეზონანსის“ დამფუძნებელ-გამომცემლების ურთიერთობაში, შეუთავსებლობამ საკმაო ხანია იჩინა თავი. რას ვერ იყოფენ მეწილეები, რატომ არ გამოვიდა ორშაბათს „ახალი ვერსია“ და ხომ არ იყო შინაურული უთანხმოება გაზეთის რეკლამისთვის გამოყენებული — ამ კითხვებზე გვიპასუხა „ახალი ვერსიის“ მთავარმა რედაქტორმა ალეკო ცქიტიშვილმა, რომელსაც მარცხენა თვალი საეჭვოდ ჰქონდა ჩალურჯებული. თუმცა, ინტერვიუს დროს დამაჯერებლად აღნიშნა ისიც, რომ საკმაოდ არაკონფლიქტური პიროვნებაა და გაუგებრობის დროს საქმის მოსაგვარებლად, მხოლოდ ცივილიზებულ მეთოდებს მიმართავს.**

ნანა ქიბიშაური
ლელა ჭანკოტაძე

**— ბატონო ალეკო, გასულ ორშაბათს მალხაზ რამიშვილმა ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომ გაზეთ „ახალი ვერსიის“ მორიგი ნომრის ჩავარდნა შეგნებულად იყო მოწყობილი. იქნებ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ — რა მოხდა?**

— სიტუაცია რომ უფრო ნათელი იყოს, დავიწყებ იმით, თუ როგორ შეიქმნა „ახალი ვერსია“. მალხაზ რამიშვილს, რომელიც მაჭარაძესთან ერთად გამოსცემდა „რეზონანსს“, სურვილი გაუჩნდა, დაეარსებინა ყოველკვირეული გაზეთი. თავიდან ამ იდეის განხორციელება „რეზონანსის“ ბაზაზე უნდოდა, მაგრამ რადგან მაჭარაძე ყოველკვირეული გამოცემის წინააღმდეგი იყო, მან ახალი გაზეთი მარტომ, დამოუკიდებელი შპს-ის სახით დააფუძნა. ახალშექმნილ „ახალ ვერსიას“ არანაირი შეხება და კავშირი არ ჰქონდა „რეზონანსთან“ და ამდენად — მაჭარაძესთან. სწორედ ამიტომ არის ჩემთვის წარმოუდგენელი, რატომ მოხდა ის, რამაც ჩვენ შორის მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა. „ახალი ვერსია“ იბეჭდებოდა „რეზონანსის“ სტამბაში, რომელიც ყბადაღებული იაპონური გრანტის სახით გადაეცა გაზეთს. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვიყავით დამკვეთები და ჩვენსა და სტამბას შორის ანგარიშსწორებაც ნომრის დაბეჭდვის შემდეგ ხდებოდა. მერე კი, მოულოდნელად დაიწყო საუბარი ყურით მოთრეულ და ფაქტობრივად, არარსებულ დავალიანებაზე. ამის შემდეგ, მაშინ, როდესაც ნომერი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, მაჭარაძე შეიჭრა სტამბაში, საბეჭდი მანქანიდან ამოიღო ნაწილები და შეგნებულად გამოიყვანა მწყობრიდან.

ალეკო ცქიტიშვილი

**— თქვენი აზრით, თუ დავალიანებას ადგილი არ ჰქონდა, რა უნდა ჰქონოდა ზურაბ მაჭარაძეს “ახალი ვერსიის“ საწინააღმდეგო?**

— ვფიქრობ, ეს არის იმის გაგრძელება, რაც საერთოდ ხდება დღეს თავისუფალი მედიის წინააღმდეგ: იმ ნომერში მომზადებული გვქონდა მასალა, თუ რა სახის ზეწოლა ხორციელდება ჟურნალისტებზე, როგორ ემუქრებიან მათ და რა არის ხელისუფლების გაღიზიანების მოტივი. ეს დაემთხვა კახა თარგამაძისა და „რუსთავი 2“-ის დაპირისპირებას და, ბუნებრივია, ხელისუფლება შეშინდა, რომ ჩვენ უფრო დასაბუთებულად გამოვიძიებდით იმას, რაც „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ ხორციელდება. ამიტომ, ვფიქრობ, „ახალი ვერსიის“ ამ ნომრის ჩავარდნით, მაჭარაძემ სწორედ ხელისუფლების, უფრო კონკრეტულად კი — შს მინისტრის დაკვეთა შეასრულა. ეს ყველაფერი სცილდება ორი ადამიანის პიროვნულ კონფლიქტს და უფრო მეტად, პოლიტიკურ ელფერს იძენს. ამის განცხადების საფუძველს მაძლევს ის, რომ „ახალი ვერსიის“ და „რუსთავი 2“-ის გამო მომხდარი ამბების სცენარი ძალიან ჰგავს ერთმანეთს: ორივე შემთხვევაში, მათ ვალებს და ფინანსებს ედავებიან. ორივე შემთხვევაში, პრეტენზიები, რომლებსაც მათ უყენებენ, უსაფუძვლო და აბსურდულია.

**— იქნებ, ამ შემთხვევაში, „რუსთავი 2“-ისა და „ახალი ვერსიის“ პრობლემატიკას ხელოვნურად უკავშირებთ ერთმანეთს და სინამდვილეში, პატარა „შინაომთან“ გვაქვს საქმე? უფრო პრიმიტიულად რომ ვთქვათ, რამიშვილი და მაჭარაძე ფულს ვეღარ იყოფენ.**

— მათ საერთო ბიზნესი და საქმე ჰქონდათ „რეზონანსში“. „ახალი ვერსია“ ცალკე გაზეთია. დაძაბული ურთიერთობის ეპიცენტრში არაფრით არ უნდა მოხვედრილიყო ეს გაზეთი. და თუ მოხვდა, ე.ი. შესრულდა ვიღაცის პოლიტიკური დაკვეთა, შემსრულებლად კი, მაჭარაძე მოგვევლინა.

**— რამდენად მართალია ხმები იმის შესახებ, რომ თქვენმა შემოქმედებითმა გუნდმა, რამიშვილის მეთაურობით, მაჭარაძე რამდენჯერმე სცემა?**

— მე არ ვარ ის ადამიანი, რომ ეს გავაკეთო. საერთოდ, იმასაც ვერ გეტყვით, ასეთ ფაქტს თუ ჰქონდა ადგილი. გაოცებული ვარ იმით, რომ ჩემს სახელს კრიმინალურ მოვლენებთან აკავშირებენ. ზურაბ მაჭარაძესთან არასოდეს მქონია პიროვნული კონფლიქტი. დღეს რასაც ვლაპარაკობ, ამის თქმაც არ მინდოდა, მაგრამ რაც მოხდა, არის ფაქტი, რომელიც შეფასებისა და რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. როდესაც თავისუფალ მასმედიას ხელისუფლება და მაფიოზური კლანები ერთდროულად უპირისპირდებიან, ჟურნალისტები, როგორც არასდროს, ისე უნდა გაერთიანდნენ. ხშირ შემთხვევაში, კონკურენტი გაზეთები და ტელეკომპანიები შორიდან ადევნებენ თვალს რომელიმე მათგანისთვის ხელოვნურად თავს მოხვეულ პრობლემას. ეს ყოვლად დაუშვებელია, რადგან ამ ქვეყანაში არავის აქვს იმის გარანტია, რომ ხვალ თვითონ არ აღმოჩნდება იმავე მდგომარეობაში. გათითოკაცებულ მედიას კი, ტერორამდე მისული ზეწოლით ადვილად დაამარცხებენ. ამიტომაც ჩაძირეს „რეზონანსი“: მას წაართვეს ტექნიკა, ყადაღა დაადეს კომპიუტერებს, მაჭარაძის საშუალებით შექმნეს კონფლიქტური სიტუაცია შიგნით და თუ ეს გაზეთი კიდევ გამოდის, მხოლოდ და მხოლოდ რედაქტორის, ლაშა ტუღუშის ძალისხმევისა და პროფესიული ერთგულების წყალობით.

**— თქვენ აცხადებთ, რომ ხელისუფლებამ ჩაძირა „რეზონანსი“. კი, მაგრამ მისი აღზევებაც ხომ ხელისუფლების წყალობით მოხდა?! უთანხმოება მას შემდეგ დაიწყო, რაც „რეზონანსმა“ გრანტზე დახარჯული თანხის დაფარვა ვერ შეძლო.**

— „რეზონანსმა“ გრანტი აიღო 1995 წელს. ვალის დაბრუნება კი, 5 წლის შემდეგ — 2001 წელს უნდა მომხდარიყო. ხელისუფლებამ ყველანაირად შეუშალა ხელი გაზეთს ამ ვალის დაბრუნებაში. ერთი წელი დასჭირდა იმას, რომ შევარდნაძეს ხელი მოეწერა რეზოლუციაზე — მიეღო თუ არა გრანტი „რეზონანსს“. ერთი წელი დასჭირდა სტამბის ჩამოტანას, ერთი წელი — მის გამართვასა და დამონტაჟებას. გაზეთი 1999 წლიდან ცდილობს ვალის დაბრუნებას, მაგრამ, ცხადია, ფული, რომელიც 5 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა, 2 წელიწადში ვერ შეგროვდებოდა. „რეზონანსმა“ ვალის კიდევ ორი წლით გადავადება ითხოვა. პრეზიდენტს შეეძლო გამოეჩინა კეთილი ნება, მაგრამ როგორც ჩანს, შელავათები მხოლოდ მის სანათესავოზე ვრცელდება. თუ შეიძლება, რომ „გაორს“, „თბილგაზს“ და პრეზიდენტის სანათესავოსთან დაკავშირებულ სხვა საწარმოებს 7 მილიონიანი ვალი გადაუვადონ, რა დააშავა „რეზონანსმა“?! თუ ნამდვილად უნდათ, რომ ბიუჯეტში შედიოდეს თანხები, მაშინ ხელი უნდა შეუწყონ ამ თანხის აკუმულირებას. ჩვენს შემთხვევაში კი, პირიქით მოხდა.

ზურაბ მაჭარაძე

**— ბოლოს, სად დაიბეჭდა „ახალი ვერსია“?**

— ოღონდ გაზეთის დაბეჭდვა მოგვესწრო, ჩვენი მკითხველი არ გავგეწბილებინა და მზად ვიყავით, „ახალი ვერსია“ შავ-თეთრი ვარიანტით შეგვეთავაზებინა მათთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ის სტამბაც გაფუჭდა და ჩავარდა ორშაბათის ნომერი. სამშაბათს კი, ისევ „რეზონანსის“ სტამბაში დავბეჭდეთ, რადგან ამ დროისთვის მალხაზ რამიშვილმა საქმეში უკვე ჩარია სასამართლოს აღმასრულებელი და იურიდიული დავა კანონის გზით მოაგვარა.

## შემდეგ ზურაბ მაჭარაძეს ვესაუბრეთ:

**— ბატონო ზურაბ, როდის დაიძაბა თქვენსა და ბატონ მალხაზს შორის ურთიერთობა და იყო თუ არა ამის მიზეზი მხოლოდ ის ფინანსური პრობლემები, რომელიც „რეზონანსს“ აქვს?**

— უსიამოვნება ვალების გასტუმრების გამო წარმოიშვა: მალხაზის სურვილი იყო, რომ მოსულიყო ისეთი ინვესტორი, რომელიც ჩადებდა ფულს, გაისტუმრებდა ვალებს და ფინანსურ პრობლემებსაც გადაგვიწყვეტდა, მაგრამ მოჰყავდა ძალზე უცნაური ინვესტორები. მაგალითად, ერთი მათგანი გვთავაზობდა: ჩავდებ 300.000 დოლარს და ორ წელიწადში თუ ვერ ამოვიღებ, საკონტროლო პაკეტი მე დამრჩებაო. მალხაზი ვერ ერკვეოდა საქმეში და ვერც აანალიზებდა, რას ნიშნავს თავად სიტყვა „ინვესტორი“. მას დამთავრებული აქვს ორი კურსი და არ იცის ეკონომიკა. მე ვიცი. მართალია, ფიზიკის ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ მაინც ვხვდები, რა არის უკეთესი ჩემი გაზეთისათვის. მარტში მალხაზმა მოინდომა, რომ გავერთიანებულიყავით ჰოლდინგში, რომლის ახალი წევრი გადაიხდიდა ვალებს, სამაგიეროდ, მიიღებდა წილის 80%-ს, მე დამრჩებოდა 10%, მალხაზსაც — 10%. ამ ჰოლდინგს უნდა ჰქონოდა მასმედიის რამდენიმე ორგანო, მათ შორის რადიოები.

**— ეი. თქვენ მართვის საადავეებს კარგავდით და ამას შეეწინააღმდეგეთ?**

— ჩვენ გამოვირჩევით იმით, რომ არ ვღალატობთ პრინციპებს. ახალ ჰოლდინგში გაერთიანებით, „რეზონანსი“ შეიცვლებოდა და გახდებოდა კომპრომისული. პირადად მე, შეცვლილი „რეზონანსი“ არ მაინტერესებს, ის უნდა დარჩეს ისეთი, როგორიც არის. დღეს მე შემიძლია ვთქვა: არ დავბეჭდოთ მლიქვნელური მასალა და თუ სტატიაში ფულს გადაგვიხდიან, ის ჩავსვათ ჩარჩოში ან დავაწეროთ, რომ გვერდი დაფინანსებულია. თუ მე წილის 10% მექნება, რა თქმა უნდა, ამას ვეღარ მოვახერხებ. ვთქვი: წავალ და თუ გინდათ, იყიდეთ ჩემი წილი და მე სხვა გაზეთს გავაკეთებ-მეთქი.

**— მალხაზ რამიშვილმა არ გამოთქვა ამ წილის ყიდვის სურვილი, თუ თქვენ აღარ**

**გაყიდეთ? როგორც ვიცი, ბატონი მალხაზი დღესაც იმისთვის იბრძვის, რომ თქვენი წილი შეისყიდოს.**

— მე შემომთავაზეს: წადი, ჰოლდინგი გაშლის ფრთებს და ყოველთვიურად, რაღაც თანხას მოგცემთო.

**— თავად მალხაზ რამიშვილიც ამბობს, რომ მასაც უნდა თავისი წილის გაყიდვა?**

— მე ვუთხარი: მომეცით ჩვეულებრივი ოფერტა (წილის გაყიდვის დაპირების დამადასტურებელი, იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი — ავტ.), რომ თქვენ ყიდით თქვენს წილს და თუ მაწყობს, მე ვიყიდი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ყიდვა-გაყიდვის თემა გამოყენებულია მხოლოდ სიტყვის მასალად — სინამდვილეში, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, მალხაზ რამიშვილს უნდა, რომ იყიდოს „რეზონანსი“ და ცდილობს, ფასი დააგდოს. ბოლო ნახევარი წელია, ყველაფერს აკეთებს, რომ „რეზონანსი“ გაფუჭდეს და მისი ფასი დაეცეს.

**— მალხაზ რამიშვილმა „ახალი ვერსია“ შექმნა და მას „რეზონანსის“ სტამბაში ბეჭდავს. ამ გაზეთის გამოცემამ თქვენს დავას მიმართულება მისცა?**

— ასეთი პარადოქსული სიტუაცია, მგონი, არსად შექმნილა: ერთი კაცი ორი გაზეთის რედაქტორია! ახლა „ახალ ვერსიაში“ რედაქტორად ალეკო ცქიტიშვილია დანიშნული. ის გახლავთ ნომინალური რედაქტორი — რასაც მალხაზი ეტყვის, იმას გააკეთებს. თქვენ იცით, რომ ახალი გაზეთი ცარიელ ადგილზე ვერ შეიქმნება. „ახალი ვერსია“ ვერ გამოვიდოდა, „რეზონანსი“ რომ არ ყოფილიყო. ფაქტობრივად, გამოყენებულია „რეზონანსის“ ინტელექტუალური და მატერიალური რესურსები. რაც შეეხება მასალებს, ერთი და იგივე იბეჭდება „რეზონანსშიც“ და „ახალ ვერსიაშიც“. მაგალითად: ჟურნალისტი დაწერდა მასალას, რომელიც უნდა გასულიყო „კვირის რეზონანსში“, მაგრამ ეს მასალა „ახალ ვერსიაში“ იბეჭდებოდა... მალხაზ რამიშვილმა აიღო მინდობილობა „რეზონანსის“ დირექტორისგან — დავით გიგაურისგან და ახლა ამბობს, დირექტორი მე ვარო. პარალელურად, „ახალი ვერსიის“ დირექტორიცაა.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ შეწყვეტილი გაქვთ უფლებამოსილება 26 ოქტომბრიდან. თავად თუ აპირებთ, სასამართლოს რომ მიმართოთ?**

— მალხაზ რამიშვილს შეტანილი აქვს ჩემს წინააღმდეგ ოთხი სარჩელი. მე ჯერ არც ერთი არ შემიტანია. პირველად, როცა სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორი აღარ შეიძლებოდა ვყოფილიყავი, აპელაცია განიხილა საოლქო სასამართლომ, რომელმაც უფლებამოსილება აღმიდგინა. ახლა საქმის ახალი შესწავლა მიმდინარეობს. შეიცვალა მოსამართლე და ისევ შემიწყვიტეს უფლებამოსილება. დღესაც შეწყვეტილი მაქვს. მე „რეზონანსში“ არანაირი პრობლემა არ მაქვს თანამშრომლებთან. ჩვენ კარგად ვმუშაობთ და ჩემი თანამშრომლები ერთგვარად „რეზონანსის“ პატრიოტებიც არიან. მათ უნდათ ამ გაზეთში მუშაობა და არა „ახალ ვერსიაში“. „ახალი ვერსია“ იმიტომ საღდება, რომ ის „რეზონანსის“ ბაზაზე შეიქმნა, თორემ დამოუკიდებელი გაზეთი დღეს ბაზარზე ვერ დამკვიდრდება.

**— ბატონო ზურაბ, ბადრი პატარკაციშვილის ინტერესი თუ დევს ამ საქმეში და ვის უკან დგას იგი?**

— ჩამოვიდა ბადრი პატარკაციშვილი საქართველოში. მას აქვს დიდი ფული. ამიტომ მოდაში შემოვიდა ბრალდება: „პატარკაციშვილის კაცი“. თუ ვინმე გეტყვის, პატარკაციშვილის კაცი ხარო, ეს „გრეხია“... არ მესმის, „ახალი ვერსია“ არ დაიბეჭდა და რა შუაშია აქ პატარკაციშვილი? გივი თარგამაძე ამბობს ხოლმე: „რეზონანსს“ ებრძვის ბადრი პატარკაციშვილიო... „ახალი ვერსიაც“ აცხადებს — გვებრძვის პატარკაციშვილიო. ეს აბსურდია. პატარკაციშვილმა იყიდა სატელევიზიო არხი, რადიო, მალე „აუდიენცია“, რადიო „იმედი“ გახდება. მას სურს აგრეთვე გაზეთის გამოშვებაც. დადის რამიშვილი და ავრცელებს ვერსიებს — თითქოს მე ვარ პატარკაციშვილთან „შეკრული“. სამწუხაროდ, რაც უფრო აბსურდულია ბრალდება, მით უფრო იჯერებს მას ხალხი. და ხალხის მოტყუება რატომღაც ჯერაც იოლია. მე დანამდვილებით მინდა გითხრათ, რომ პატარკაციშვილი არც რამიშვილის უკან დგას.

**— რატომ არ აძლევთ უფლებას, „ახალი ვერსია“ დაიბეჭდოს სტამბაში, რომელზეც თქვენ და რამიშვილს თანაბარი უფლებები გაქვთ? როგორც ცნობილია, უკანასკნელი, 29 ოქტომბრის ნომერი, ერთი დღის დაგვიანებით გამოვიდა.**

— დაიბეჭდა „ახალი ვერსია“. რამიშვილმა ფული არ გადაიხადა. მოვიდა, მოიყვანა კარატისტები ფედერაციიდან, ჩაიკეტნენ სტამბაში და ასე დაბეჭდეს. დღესაც იქ დგანან კარატისტები.

**— ეს ის სტამბაა, რომელიც თქვენ იაპონური გრანტით იყიდეთ?**

— ეს გრანტი მიიღო საქართველოს მთავრობამ. ჩვენ გავიმარჯვეთ კონკურსში, ამიტომ, ამ გრანტით იყიდა ჩვენ მიერ შეთავაზებული ტექნიკა, ჩამოიტანა საქართველოს ტერიტორიაზე და გადმოგვცა ლიზინგით. ეს სტამბა არის ჯერჯერობით სახელმწიფოს საკუთრება და თუ გადავიხდით ლიზინგის თანხას, სტამბა მხოლოდ მაშინ გახდება ჩვენი. რაც კი „ახალი ვერსიის“ ნომრები დაიბეჭდა, არც ერთიდან, არც ერთი თეთრიც არ შემოსულა. ნებისმიერი გაზეთი, რომელიც ჩვენთან იბეჭდება, ფულს იხდის. პირველი სექტემბრის მერე, რამდენი ნომერიც კი დაიბეჭდა „ახალი ვერსიისა“, ყველა დაიბეჭდა უფასოდ. „რეზონანსი“ არ არის ვალდებული, უფასოდ დაბეჭდოს „ახალი ვერსია“, ძალიან ცუდ დღეში არიან ჟურნალისტებიც — მათ „რეზონანსში“ უნდათ მუშაობა. როცა მალხაზ რამიშვილი ავალებს, ესა თუ ის სტატია დამიწერეთო, ცხადია, ისინი ვერ ეუბნებიან უარს. მთელი ცხოვრება გაიძახის მალხაზ რამიშვილი — ვებრძვი კორუმპირებულ ჩინოვნიკებსო. მე პირადად, გაცილებით მეტი სიბინძურე ვიგრძენი მისგან, ვიდრე ჩინოვნიკებისგან. ფაქტობრივად, ბოროტებასთან მებრძოლი, ბოროტების სათავე გახდა. სანამ მე აქ ვარ, „ახალი ვერსია“ ვერ ჩაენაცვლება „რეზონანსს“. თუ მე წავედი და ყოველდღე აქ კარატისტებმა გაგვლახეს, მაშინ შეიძლება „ახალი ვერსია“ მართლაც ყოველდღიური გახდეს.

**— ბატონო ზურაბ, მართლა გაგლახათ მალხაზ რამიშვილმა, თანაც სამჯერ?**

— მაგას როცა აწყობს, არის ქუჩის ბიჭი და როცა აწყობს — გამომცემელი.

1995 წელს რამიშვილი ციხეშიც იჯდა: მოსკოვში დააკავეს ადამიანის გატაცების ბრალდებით. სხვათა შორის, ყოველთვის ამაყობს, რომ შეუძლია გალახოს, შეაშინოს ვინმე. მოხდა ასეთი ფაქტი: „რეზონანსში“ იყო თათბირი. გამოვიდა მდგომარეობიდან და თხუთმეტჯერ მაინც ისროლა სკამი. ხელი გაიჭრა და მე გასვრილი ვიყავი მისი სისხლით. ამის გამო ამბობს: მაჭარაძე დავასისხლიანეო.

**— საერთოდ, როგორი პარტნიორია რამიშვილი? როგორი იყო იგი კონფლიქტამდე? რატომ გაუჩნდა „რეზონანსის“ ჩაძირვის სურვილი? თქვენ ხომ მეგობრები იყავით?**

— ჩვენ მეგობრები არ ვყოფილვართ, უბრალოდ, საქმეში ვიყავით ერთად. რაც შეეხება პარტნიორობას: რამიშვილს შეუძლია თხასავით გაგყიდოს. ჩვენ გვქონდა აღებული სესხი „გაერთიანებული ქართული ბანკიდან“. ეს სესხი ვერ დავფარეთ: ბანკმა მოგვწერა და გვთხოვა, რომ როგორმე დაგვეფარა, ერთი თვის მანძილზე ბანკი აღარ შეეგუებიანებია და მე ვიფიქრე — დაგვაცდის გარკვეულ ხანს და არ დაგვახრჩობს-მეთქი, როგორც ახრჩობენ საქართველოში კრედიტორებს ბანკები. თურმე, მალხაზ რამიშვილი მისულა ბანკში, ვაჟა კილაძესთან ერთად. მოელაპარაკნენ ბანკს — ჩვენ ამ ვალს ვიყიდითო. შექმნა ფირმა „ჯი-ჯი-ენი“ თავისი მეგობრებისგან და ამ ფირმამ იყიდა ვალის მოთხოვნის უფლება. მოდის „ჯი-ჯი-ენი“ და ითხოვს: ან გადაიხადე ვალი, ან დაკარგავ შენს წილსო. აი, ასე ექცევა ის თავის პარტნიორებს. რამიშვილის მიზანია, ჩაიგდოს ხელში „რეზონანსის“ მართვა და ამ მიზნის მისაღწევად, ნებისმიერ ხერხს იყენებს. მარტივია მექანიზმი, რომლითაც იგი მოქმედებს: უნდა, „რეზონანსზე“ კონტროლი დაამყაროს, მთელი ძალები გადაქაჩოს „ახალ ვერსიაში“; „რეზონანსი“ დაბუნდეს, გაკოტრდეს და რამიშვილი მაშინ იტყვის: მე ავაღორძინებ „რეზონანსსო“.

*აწარმოებს თუ არა მალხაზ რამიშვილი მოლაპარაკებებს რადიო „105“-ის, რადიო „რეზონანსისა“ და გაზეთ „რეზონანსის“ გაყიდვის შესახებ? მიუხედავად იმისა, რომ მალხაზ რამიშვილი ამ ხმებს „სისულელეს და აბსურდს“ უწოდებს, აღნიშნული კითხვები მაინც აქტუალურია.* ***გვპასუხობს მალხაზ რამიშვილი:***

— ეს არის ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანის ილუზიები. თუ ასეთ რამეს ვინმე დაგვწამებს, მას სასამართლოშიც მოუწევს ამის გამეორება.

**— ჰოლდინგში გაერთიანების შესახებ რას იტყვით?! ბატონი ზურას მტკიცებით, ესეც წამგებიანი წინადადება იყო და ამიტომ არ დათანხმდა გარიგებას...**

— 12 წელია, პრაქტიკოსი ბიზნესმენი ვარ და ზურასგან განსხვავებით, ეკონომიკასთან კავშირი მქონდა. ის ფიზიკოსია, თანაც — წარუმატებელი.

**— არის მოსაზრება, რომ „რეზონანსის“ შესყიდვის მიზნით, თქვენ შეგნებულად ცდილობთ მისი ფასის „დაგდებას“.**

— ესეც სისულელეა. „რეზონანსი“ არის ჩემი შექმნილი და მისი გაკეთების 95% ჩემი დამსახურებაა. ჩემს შვილს თავს არ მოვჭრი, პირიქით — მე მისი გაძლიერებით ვარ დაინტერესებული.

**— როგორც ვიცი, „ახალი ვერსიის“ დაბეჭდვის შესაძლებლობა, მხოლოდ იმ ბიჭების დახმარებით მოხდა, რომლებიც თქვენ კარატისტების ფედერაციიდან დაიქირავეთ.**

— ეს ბიჭები ჩვენი დაცვის სამსახურიდან არიან. ისინი კარატისტები არიან, მაგრამ ჩვენთან ოფიციალურად არიან გაფორმებულნი.

**— მართალია თუ არა, რომ თქვენ თათბირზე სკამი ესროლეთ მაჭარაძეს და რამდენჯერმე იჩხუბეთ მასთან?**

— მე ვარ სპორტსმენი, მისი გალახვა არ გამიჭირდება, მაშინ, როცა ეს დამჭირდება. იმიტომ, რომ ნავარჯიშევი კაცი ვარ, მაგრამ იმით არ ვამაყობ, რომ ვინმე გამელახოს. კი ბატონო — თუ უნდა, საჩვენებელი ბრძოლის გამართვა შემიძლია მასთან, ხალხის თანდასწრებით და ვინ იგრძნობს თავს გალახულად, ვნახავთ... ისე, მე ვარ კანონმორჩილი პიროვნება. მე მართლა — კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანი რომ ვიყო, აქ ქურდები და მამაძაღლები იქნებოდნენ ჩარეულები. არასოდეს არ მიმიმართავს კრიმინალებისთვის კონფლიქტის მოსაგვარებლად. პირიქით კი, ყოფილა: მე 5 სარჩელით მივმართე სასამართლოს და უკვე ნოემბერში 5 სასამართლო პროცესი გაიმართება.

**— ზურა მაჭარაძის განცხადებით, პირველი სექტემბრიდან „ახალ ვერსიას“ არ გადაუხდია დაბეჭდვის ხარჯები. რა არის ამის მიზეზი?**

— დიდუბის რაიონის სასამართლომ 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზურა მაჭარაძეს აუკრძალა დირექტორობა, მან კი ეს თანამდებობა, ძველი რიცხვით გაფორმებული მინდობილობით, თავის ცოლს გადააბარა. მას არანაირი უფლება არ აქვს, „ვერსიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ისაუბროს. იმიტომ, რომ ის არ არის ჩახედული ამ გაზეთის საქმეში. ასე რომ, ესეც მორიგი სისულელეა.

**— თქვენს პასუხებში ხშირად ფიგურირებს სიტყვები: „ეს ყველაფერი სისულელეა!“ რას ნიშნავს ეს? ის კაცი მართლა სულელი ხომ არ გგონიათ?**

— სულელი არ არის, მაგრამ სხვა გამოსავალი არა აქვს, იმის გარდა, რომ სისულელეები ილაპარაკოს.

**— ვინ აიძულებს, ვინ დგას მის უკან?**

— სასამართლო, კანონი და ის ცუდი მდგომარეობა, რომელშიც თავისი არაკეთილსინდისიერების გამო, თვითონ ჩაიგდო თავი. ■

**მალხაზ რამიშვილი**

**უკვე მესამე წელია, რაც თანამდებობის პირები საკუთარ ავლა-დიდებას საქვეყნოდ ამზეურებენ და „ლურჯი ან შავი ფერის ბურთულიანი ავტოკალმით“ (როგორც ამას დეკლარაციის შევსების ინსტრუქცია-წესები მოითხოვს) იმ ფურცლებს ავსებენ, რომელშიც მათი და მათი ოჯახის წევრთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობა აისახება. თუმცა, რამდენად გულწრფელნი არიან დეკლარანტები და რამდენად რეალურია ეს ასახვა, კაცმა არ იცის (ალბათ ამიტომაც, შემოსავლების სამინისტროს დაეკისრა დეკლარანტების მიერ მოყვანილი მონაცემების სიზუსტის გაკონტროლება)... ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის შეტყობა, თუ როგორ ცხოვრობენ ღარიბი ქვეყნის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“... ამჯერად, დეკლარანტის როლში, ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტს, პარლამენტარ ნოდარ ჯავახიშვილს წარმოგიდგენთ.**

# აღარც ფერმა აქვს, აღარც ჯიპი

## — და მხოლოდ უნიკალური ავტოკალამი შერჩენია

ნინო ჯავახიშვილი

**დოსიე:**

*ნოდარ ჯავახიშვილი. დაიბადა 1954 წლის ღვინობისთვეში (7 ოქტომბერი), სიღნაღის რ-ის სოფელ ტიბაანში. როგორც თვითონ ამბობს, ბავშვობა არცთუ ისე დალხინებული ჰქონია — კაი ცხოვრებას ვინღა ჩივის? — თურმე ბევრჯერ პატარა ნოდარს ნაყინი და მზესუმზირაც კი ენატრებოდა! თუმცა „პაჭიჭებშივე“ ეტყობოდა, ოდესმე დიდი კაცი რომ გახდებოდა და ქვეყანას გაჭირვების ჟამს მხსნელად რომ მოევლინებოდა! — ასე ჩააგონებდა დედა და საერთოდაც, ყველგან და ყოველთვის პირველობისკენ ლტოლვის სულისკვეთებით ზრდიდა თურმე შვილს. თავად ბატონ ნოდარს კი მხოლოდ სტუდენტობისას ურწმუნია, რომ ადრე თუ გვიან, საქართველოში პირველი ბანკირი გახდებოდა...*

*მარინა ჩადუნელი და ნოდარ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ მაშინ დაქორწინებულან, როდესაც ჩვენი დეკლარანტი თავს სტუდენტური სტიპენდიით ირჩენდა. არაერთი გაჭირვების და განსაცდელის მიუხედავად, მათი ოჯახის სიმყარეს საფრთხე არასოდეს დამუქრებია. მოგვიანებით — თვრამეტიოდე წლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშვნის ღირსად ჩათვალა ჯავახიშვილების წყვილის შეუღლებისა და მრავალწლიანი თანაცხოვრების თარიღი და ზუსტად 11 ოქტომბერს — მათი შეუღლების დღეს, სიურპრიზი მოუწყო: ბატონი ნოდარი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშნა!*

**შვილები:** *ჯერ კიდევ შარშან, 25 წლის თამუნა და 23 წლის მიხეილი მამის ქონების დეკლარაციის სუბიექტებს წარმოადგენდნენ. წლევანდელ დეკლარაციაში კი შვილები აღარ ფიგურირებენ.*

### რას შესჩივიან შვილები გაღარიბებულ ჯავახიშვილს

— წლევანდელ დეკლარაციაში იმიტომ აღარ მოხვდნენ ჩემი შვილები, რომ ორივე უკვე თვითონ ირჩენს თავს: მიხეილი ბანკთაშორის ბირჟაზე ეკონომისტად მუშაობს და 150 ლარი აქვს ხელფასი. მართალია, სიგარეტისა და ბენზინის ფულადაც არ ჰყოფნის, მაგრამ რას იზამ... სამწუხაროდ, მატერიალურად ისე გამიჭირდა, რომ ვერც ერთს ვეღარ ვეხმარები.

**— აბა, თქვენი ქალიშვილი საზღვარგარეთ რომ სწავლობს, მხოლოდ საკუთარი შემოსავლით ირჩენს თავს?**

— რა, არ შეიძლება?! ბოლო წლებში თვითონ უზრუნველყოფს საკუთარ თავს. თამუნამ ლონდონის შილერის უნივერსიტეტი დაამთავრა და ავტომატურად ჩაირიცხა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებლის ასპირანტურაში. ეს ძალიან ძვირი სიამოვნებაა. ამას წინათ ვესაუბრე ტელეფონით და შემომჩივლა: მამიკო, ისეთი გადაღლილი ვარ, სადაც ჩამოვჯდები, იქვე მეძინებაო. ერთდროულად ორ ადგილას მუშაობს — როდემდე გაუძლებს, არ ვიცი... შეიძლება, უსახსრობის გამო, ასპირანტურის დამთავრებაც ვერ მოახერხოს. ეს რომ წინასწარ მცოდნოდა, იქნებ, აღარც კი გამეშვა საზღვარგარეთ, მაგრამ აქ რა უნდა აკეთოს?!. შილერის უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, საქართველოში ჩამოვიდა. ერთი წლის განმავლობაში სად აღარ მივიდა, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა, ყველა უარს ეუბნებოდა: ოპოზიციონერის შვილი არ გვჭირდებაო! წარმოგიდგენიათ? ჰოდა, ადგა და ისევ ლონდონში წავიდა.

**— რაღაც დაუჯერებელია, რომ ნოდარ ჯავახიშვილს ისე გაუჭირდა, ერთადერთ ვაჟიშვილს, დაქორწინების შემდეგ, ბინაც კი ვერ უყიდა. თუ უბრალოდ, თქვენთან არ აცხოვრებთ შვილსა და რძალს და ამიტომ არიან სხვის ჭერქვეშ შეფარებულნი?**

— რას ამბობთ, შვილსა და რძალს ჩემს სახლში ცხოვრებას როგორ დავუშლიდი?! მაგრამ ხომ იცით — ახალგაზრდებს მაინც ცალკე ცხოვრება ურჩევნიათ: ასე უკეთესად გაუგებენ ერთმანეთს. თანაც, სამოთახიან ბინაში (ჯავახიშვილები შარტავას ქუჩაზე, დეკლარაციაში 40-50.000 ლარად შეფასებული ჩეხური პროექტის სამოთახიან ბინაში ცხოვრობენ. — ავტ.) რამდენი ოჯახი მოთავსდება: ჩემი რძლის ბიძამ, რომელიც ძალიან სახელოვანი კაცია და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს საქართველოში რაგბის აღორძინებისთვის, ახალგაზრდების შეუღლებისა და უბინაობის ამბავი რომ შეიტყო, საკუთარი ოროთახიანი ბინა დაუთმო. თვითონ მაინც პარიზში ცხოვრობს ოჯახთან ერთად (ბატონმა ნოდარმა რატომღაც არ ისურვა ამ „სახ-

ელოვანი კაცის“ ვინაობის გამხელა. – ავტ.). ამას წინათ, ბინა „გაუტეხეს“ ბავშვებს და რაც ჰქონდათ – ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი და კიდევ რაღაცრაღაცები წაიღეს. არადა, იმ შენობის პირველ სართულზე პოლიციის განყოფილებაა. კი დაჰპირდნენ – ოღონდ ოფიციალურ განცხადებას ნუ შემოიტანთ და ყველაფერს უკლებლივ დაგიბრუნებთო, მაგრამ დღემდე ვერაფერი გაიგეს – ჩაილურის წყალი დალია იმ ყველაფერმა...

**— ეტყობა, თქვენს ვაჟიშვილს ქორწინებაში ბედმა გაულიმა. მაინც, ვინ არის თქვენი რძალი?**

– სტუდენტია... იცით, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ახალგაზრდებს უყვართ ერთმანეთი და თავიანთი პატარა შვილი – 4 თვის ქეთევანი. ყოველ დილით ბავშვს ჩვენთან ტოვებენ და ლექციების დამთავრების შემდეგ მიჰყავთ ხოლმე შინ. რაც ოჯახში ცხოვრების ამგვარი წესი დამკვიდრდა, ქეთუშას წყალობით, ცოტა გუნებაზე მოვედი...

*როგორ არ ვეცადე, როგორ არ შევაბრუნ-შემოვუბრუნე კითხვა, მაგრამ ვერაფრით დავტყუე ბატონ ნოდარს რძლის ვინაობა. ერთადერთი, რაც მან რძალზე – „სახელოვანი ქართველი კაცის“ დისშვილზე მითხრა – ძალიან საყვარელი გოგონაა, შესახედავადაც და ხასიათითაც... ეს არის და ეს...*

## ვინ შეჭამა 30 მილიონი?!

*ეროვნულ ბანკში ხუთწლიანი პრეზიდენტობის შედეგად, ნოდარ ჯავახიშვილის ოჯახის ქონებას (უძრავსა თუ მოძრავს), კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერი შემატებია. ერთადერთი, რაც იმ დროს პირველმა ბანკირმა შეიძინა, 15.000 დოლარად ღირებული საგარაკე მიწის ნაკვეთი და სახლია სოფელ გლდანში და კიდევ – 30 მილიონის „შემჭმელის“ სტატუსი! თუმცა, იმაზე, თუ რეალურად ვინ შეჭამა ეს მილიონები, ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტი ბევრს ვერაფერს გვეუბნება.*

– დღესაც ხშირად წამოსცდება ხოლმე ზოგიერთ თანამდებობის პირს (პირველ რიგში, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, ზაზა სიორიძე მყავს მხედველობაში), რომ ნოდარ ჯავახიშვილმა თურმე 30 მილიონი დააკარგვინა ქვეყანას! ადრე ამბობდნენ – შეჭამაო, მაგრამ იმდენად აბსურდული იყო ეს ბრალდება, რომ თავდაპირველი „ჩვენება“ შეცვალეს და ახლა გაიძახიან: კი არ შეჭამა, 30 მილიონის ზარალი მიაყენა ქვეყანასო... იცით, რაში იყო საქმე? 1996 წლის ზაფხულში, კატასტროფული მდგომარეობა რომ შეიქმნა პურ-პროდუქტებით მომარაგების სფეროში, გავეცი ეროვნული ბანკის 6 გარანტია და საქართველოში მისხალ-მისხალ, ისე, რომ ერთი გრამიც არ დაჰკლებია, 30 მილიონი დოლარის ღირებულების ხორბალი შემოვატანინე. ბაზარი კი გაჯერდა, მაგრამ სესხის დიდი ნაწილი აღარ დაბრუნდა. არადა, რა ჯავახიშვილის ბრალია, ქართველებმა მარტო სესხის აღება რომ იციან და დაბრუნება – არა?! აი, აქედან აგორდა ჭორებიც, თორემ როგორ გგონიათ – თარგამაძეს 30 მილიონის შემჭმელი კაცის დაჭერა უნდოდა და ვერ დაიჭირა?! უნდოდათ, თანამდებობა დამეტოვებინა და იმიტომ მომიგონეს ათასი რამ! 5 სხვადასხვა ბრალდებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ დღემდე ვერ დამიჭირეს! ჩემი ქვეყნისთვის არც ერთი კაპიკი არ მომიპარავს და იმიტომ! აი, დღეს ხომ ასეთი „ჯულმძიმე“ ფინანსური მდგომარეობა მაქვს, მაგრამ დღესვე რომ დამაბრუნონ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე, მაინც არაფერს „შევჭამდი“... თქვენი თვალით ხომ ნახეთ დეკლარაცია? ჰოდა, არ ჩანს რა ქონების პატრონიც ვარ? ერთადერთი, ძვირად ღირებული რაც შევიძინე, იმ აგარაკის გარდა, ავტომობილია („ჰიუნდაი გალოპერი“) და, საუბედუროდ, ახლა ისიც აღარ მყავს!..

## ჯავახიშვილის ჯიპის გულსაკლავი ამბავი

*გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ჯავახიშვილს უკვე ისე გაუჭირდა, რომ ძველი და ახალი ვალების გასასტუმრებლად, საყვარელ მანქანასაც კი შეელია და... ბანკში დააგირავა!*

– საბედნიეროდ, ოჯახი იზრდება და უფრო მეტს მოითხოვს, მაგრამ საუბედუროდ, შემოსავლები არ გვეზრდება! ვალები კი გროვდება და გროვდება... უკვე იმდენი ადამიანის ვალი მაქვს, თანაც, წლების მანძილზე დაგროვილი, რომ მათთან შეხვედრისაც მრცხვენია ხოლმე. ძალიან გამიძნელდა ასე ცხოვრება. ამიტომაც დავაგირავე მანქანა – ვიფიქრე, ვალებს მაინც გავისტუმრებ და ამოვისუნთქავ-მეთქი. თან, იმედი მქონდა, რომ მერე გამოვისყიდდი, მაგრამ ამის არანაირი პერსპექტივა არ ჩანს: აგერ უკვე ორი კვირაა, რაც ბანკმა გასაყიდად გაიტანა ჩემი ჯიპი (ცნობისათვის: 2000 წლის დეკლარაციაში „ჰიუნდაი გალოპერის“ ფასი 20.000 ლარი იყო, 2001 წლისთვის კი – ეტყობა, ცვეთის თანხა გამოაკლდა და 18.000 ლარამდე შემცირდა. – ავტ). ალბათ, ამ დღეებში გაიყიდება კიდეც... 9.000 დოლარადაც კი აღარავინ ყიდულობს...

**— გამოდის, რომ უმანქანოდ დარჩით და აწი ფეხით მოგიწევთ სიარული?**

– არა, მეგობრებმა ფული მასესხეს და 1998 წელს გამოშვებული „ჟიგული-06“ ვიყიდე, ჯერ არც კი გამიფორმებია. უმანქანოდ როგორ ვიქნებოდი?! გლდანში რამდენი ღორი და ძროხა მყავს, მეზობლები კი აქცევენ ყურადღებას, მაგრამ ყოველდღე მაინც ავდივარ ხოლმე, იქაურობას რომ დავხედო. ძალიან ძნელია, ჯიპიდან „06“-ში გადაჯდომა, მაგრამ რა გაეწყობა... ისე, ძალიან მტკივა გული: ასეთ გაჭირვებულ დღეში რომ ვარ: ბევრი ფული არასდროს მქონია, მაგრამ ასე უსახსროდ, იქნებ, არც დამიჯერეთ და, სტუდენტობის შემდეგ არც ვყოფილვარ...

## დეიდებო, ბიძიებო _ დამეხმარეთ...

*საბჭოთა პერიოდში, როდესაც ბანკიც ბანკობდა და ფულიც ფულობდა, ნოდარ ჯავახიშვილმა თავი-*

*სი ოჯახის ფინანსები (დაახლოებით 30.000 მანეთი) მშვიდად მიანდო იმ საბჭოთა ბანკს, რომელმაც, ისევე როგორც სხვები, ჯავახიშვილების ოჯახიც უმოწყალოდ გააკოტრა. მას შემდეგ, საბანკო დაწესებულებებზე გულაყრილი ბატონი ნოდარი, საკუთარი ოჯახის ბიუჯეტს ჯიბითაც თავისუფლად დაატარებს. ალბათ ამიტომაც (და კიდევ იმიტომ, რომ მას უბრალოდ, ფული აღარ აქვს), საბანკო ანგარიშების, ანაბრების, აქციებისა თუ ფასიანი ქაღალდების ყველა გრაფა, საკუთარი ჯიბისა არ იყოს, დეკლარაციაში ცარიელი აქვს დატოვებული... დავინტერესდით – მაინც რა თანხა ჰქონდა ჯიბეში ექსბანკირს, მაგრამ არც ეს „კონფიდენციალური“ ინფორმაცია გაგვიმხილა დეკლარანტმა.*

– ხომ გითხარით, – ჩემი ოჯახის ბიუჯეტი ძალიან მწირია და ვალებით ვარ ავსებული-მეთქი. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი მაქვს ახლა ჯიბეში? ან რა ანგარიშებზეა ლაპარაკი, როდესაც ოჯახის მთელ ფულს მართლაც თავისუფლად ვატარებ ჯიბით?!.

**— არადა, თქვენზე ამბობენ — პარიზში მშვენიერი სახლიც აქვს და ანგარიშსაც აქ იმ უბრალო მიზეზის გამო არ ხსნის, რომ უცხოეთის ბანკებს უფრო ენდობაო...**

– ჰო, მეც გამიგია ეს ამბები *(იცინის)*... თანაც, მარტო საფრანგეთში კი არა, გვატემალაშიც მქონია ვილა... რაღა მიჭირს?! თურმე ანგარიშებიც მქონია. ერთი მითხარით, რა ანგარიშები შეიძლება გახსნა, 580 ლარიანი ხელფასით?! არანაირი სხვა დამატებითი შემოსავალი არა მაქვს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რძის პროდუქტებს არ ვყიდულობ და ხორცის პრობლემაც არა მაქვს – ხან ღორს დავკლავ ხოლმე და ხან მოზვერს. ჩემი მეუღლეც არ მუშაობს. ყველაფერს მიგონებენ, მაგრამ არა უშავს! პრეზიდენტმა ხომ ძალიან კარგად იცის, ვის რამდენი მილიონი აქვს? დანამდვილებით ვიცი, რომ პრეზიდენტს რამდენჯერმე ჩამოუტანეს იმ ადამიანების სია, რომელთაც უცხოეთის ბანკებში მილიონები აქვთ „გადაქაჩული“...

**— იმ „გადამქაჩველთა“ ვინაობაც ხომ არ იცით, შემთხვევით?!**

– არ ვიცი, მაგრამ ხალხი, როცა იქნება, ხომ გაიგებს ყველაფერს?

**— ისე, თქვენი გაღარიბება-გაღატაკების პროცესი მართლაც კატასტროფული სისწრაფით მიდის: შარშან 3.000 ლარი მაინც გქონიათ ნაღდი ფული, წლევანდელ დეკლარაციაში კი, ეს გრაფაც ცარიელი დაგიტოვებიათ...**

– ადრე გაცილებით მეტი ფულიც შემომდიოდა ოჯახში, რადგან კახეთში საკუთარი ფერმა მქონდა, რომელსაც ჩემი ბიძაშვილები განაგებდნენ, და ვერაფრით მოისვენეს, სანამ მთელი ფერმა „ყუამდე“ არ დაიყვანეს (ალბათ ამიტომაც, თუ შარშანდელ დეკლარაციაში მეცხოველეობის ფერმა მთლიანად 38.000 ლარად იყო შეფასებული, 2001 წელს ეს თანხა უკვე 10.000-მდე შემცირდა. – ავტ.). განა ვერ მოუარეს – არ მოუარეს და გაწყდა მთელი საქონელი. ორი წელია, რაც იქიდან, ფაქტობრივად, არანაირი შემოსავალი აღარ მქონია. შარშან შვილის ქორწილში საკლავი ჩამომიყვანეს და სულ ეს იყო... წლევანდელი დეკლარაციის შევსების დროს ვიცოდი, რომ ფერმა კიდევ მქონდა. ახლა ფერმაც აღარ მქონია: ერთი თვის წინ გავიგე, რომ ბიძაშვილებს გიროდ, ბანკში ჩაუდიათ, სესხი აუღიათ, რითაც მიწა დაუმუშავებიათ და ვალშიც გადავარდნილან. ის ფერმა ახლა ვალის დასაფარავად უნდა გაყიდონ. მოკლედ, სიღნაღში 16 სული წვრილფეხა პირუტყვი და 70 სული ცხვარიღა დამრჩა, ჰოდა, მათი გაყიდვაც დავავალე ბიძაშვილებს – იქიდან სხვა გამორჩენა აღარ მაქვს და ოჯახს და შვილებს მაინც მოვახმარ იმ ფულს. ასე რომ, წლევანდელი დეკლარაცია უფრო „მდიდარი“ და „მსუყე“ აღმოჩნდება, ვიდრე საგაისო...

## პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

*უფულობასა და გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ მაშინ, „კაი დრო“ რომ იყო და პირველ ქართულ ფულს ჯავახიშვილის ხელმოწერა ამშვენებდა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ერთლარიან სიგარეტს („მაგნას“) კი არ ეწეოდა, როგორც ახლა, არამედ თურმე „მარლბოროსა“ და „პარლამენტის“ გარდა, სხვას არ კადრულობდა... რას იზამ, ნათქვამია – დრონი მეფობენ და არა მეფენიო. სხვათა შორის, სწორედ ამის იმედი აქვს ბატონ ნოდარსაც და სჯერა, რომ როდესმე წარმატებული ბიზნესიც ექნება და ბევრი ფულიც... მანამდე კი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტობიდან შემორჩენილ, მისთვის ყველაზე ძვირფასსა და საამაყო ნივთს – იმ ავტოკალამს უფრთხილდება, რომლითაც ხელი მოაწერა პირველ ქართულ კუპიურებს. ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტი ამ ავტოკალამს დღემდე სათუთად ინახავს – წარსულ დღეთა მოსაგონებლად და დარდის გასაქარვებლად...* ■

**ელიტას** – ელიტარული ფრანგული კოსმეტიკა „დერმაჯეტიკს“-ის კომპანიის – სახიდან თმისა და გამონაყარის მოსაცილებელი მცენარეული ნიღბები, კანის სტრუქტურის აღმდგენი, ნაოჭების გასასწორებელი კრემები, თმის ცვენის შემაჩერებელი შამპუნები, ცელულიტების დამშლელი კრემები, მამაკაცის და ქალის სუნამოები და ლოსიონები.

**ბავშვებს** – უნიკალური ვიტამინები: სიმაღლეში ზრდის, იმუნიტეტისა და ღამით უნებლიე შარდვის პრობლემების მოგვარებისათვის.

**მამაკაცებს** – სუპერვიტამინები – ალკოჰოლისა და სიგარეტის გადასაჩვევი, ნერვული სისტემის და კუნთების ენერგიის მოსამატებელი. დარეკეთ წინასწარ: 63-09-67 (დილა-საღამოს); 99-72-81 (12-18 სთ-მდე) ცისანა გვრიტიშვილი

# „მომღერალი" ცუგა ედუარდ სეფაშვილს მთელ ჰენსიას აჩუქებს

***ის ჯერ მხოლოდ 2 წლისაა, თუმცა — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, — უკვე სიმღერასაც ახერხებს და მოსკოვში ჩატარებული ერთ-ერთი კონკურსის გამარჯვებულიც არის. ერთობა თოჯინებით, უყვარს აბაზანაში ნებივრობა, მანქანით სეირნობა და, რასაკვირველია — ათასგვარი სასუსნავი. ცუგა სეფაშვილების ოჯახის სრულუფლებიანი წევრია, ბალონკის ჯიშის ძაღლია. ამ „მოზარდის" მიღწევებსა და ხასიათის თავისებურებებზე სასაუბროდ ბატონ ედუარდ სეფაშვილს შინ ვესტუმრე. მასპინძელი „ჩალოგინებული" დამხვდა და ინტერვიუს მოცემის განწყობა ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ საქმე ცუგას შეეხებოდა, ავადმყოფობა უმალ დაავიწყდა, იქვე დადებულ ტუჩის გარმონს დასწვდა და მკითხა: გინდა, ცუგა ვამღეროო? საკრავის ხმაზე ძაღლი მხიარულად წამოხტა, კისერი „მოიღერა" (სასიმღერო პოზა მიიღო) და მელოდიას აჰყვა. „ჟუჟუნა წვიმას" კარგად აყოლებს ხმას, „კეკელა და მაროზე" კი, ცოტა მაღალ ტონალობაში გადადისო.***

## ნინო ჯავახიშვილი

**— ბატონო ედუარდ, როგორ აღმოაჩინეთ ცუგაში ეს ტალანტი?**

— „სეფას ბიჭებს" სახლში ვუტარებდი ხოლმე მეცადინეობას. სიმღერის ხმას როგორც კი გაიგებდა, ცუგაც მაშინვე ტუჩებს აცმაცუნებდა. შევატყვე, რაღაცას მთხოვდა. წავუმღერე და ვუთხარი — მიდი, ამყევი-მეთქი. უცებ, მართლაც აჰყვა მუსიკას. აჰყვა და აღარც გაჩერდა. მერე „გარმოშკაზეც" დავუკარი. ეს ხმა ისე მოსწონს და იმდენად „შედის როლში", რომ ვეღარ ვაჩერებ ხოლმე. გაჩერდი-მეთქი, რომ ვეუბნები, ნერვები ეშლება... დაახლოებით 8 თვის წინ მოსკოვში ძაღლების შეჯიბრება — ე.წ. „დოგ-შოუ" ჩატარდა. ცუგა, როგორც „მომღერალი", ისე მონაწილეობდა ამ კონკურსში. თვითონ ცუგა ვერ წავიყვანეთ და კლიპი გავაგზავნეთ. თურმე მისმა ძირითადმა კონკურენტმა მუსიკის ხმაზე ყეფა რომ დაიწყო, „დოგ-შოუს" წამყვანს მისი პატრონისთვის უთქვამს: Твоя собака не поёт, а лает, вот кто поёт - грузинская собака.

*ჰოდა, ცუგაც პირველ ადგილზე გავიდა და მალე სიგელიც გამოუგზავნეს, როგორც გამარჯვებულს.*

**— გამოდის, რომ ცუგას ნიჭის გამომზეურება-გამოვლენაში „სეფას ბიჭების" წვლილიცაა?**

— აბა რა! ბიჭებს ძალიან უყვართ ცუგა, ძალიანაც ანებივრებენ — ხან რას მოუტანენ ხოლმე და ხან რას და ისიც გიჟდება ბიჭებისთვის.

**— ალბათ ნაირ-ნაირი სასუსნავით იგებენ ცუგას გულს?**

— არა, სხვათა შორის, საჭმელზე მაინცდამაინც არ გიჟდება, უფრო მეტად, სათამაშოებისთვის ემადლიერება. თოჯინები უყვარს გამორჩეულად. მომიტანს ხოლმე „კუკლებს" და მორჩა, სხვა გზა აღარ მაქვს — უნდა ვეთამაშო! თუ არ ვეთამაშები — დამკბენს!

**— აბა, ეს რაღა მეგობრობა გამოდის?**

— *(იცინის)* არა, არა, მართლა ასეთი ბოღმიანი კი არ არის, წყენა მალე გაუვლის ხოლმე — უბრალოდ, ასეთი გახუმრება იცის... სხვათა შორის, ტყუილი არ უყვარს. მთავარია, არ მოატყუო, არ შეჰპირდე იმას, რასაც ვერ შეუსრულებ, თორემ არ მოგასვენებს. თქვენი თვალით დარწმუნდებით, რომ არ ვიგონებ... ცუგა, „პიპიაში" წავიდეთ? ჰა, ცუგა, რას იტყვი?

*საწოლზე მშვიდად მთვლემარე ძაღლი თვალებზე ჩამოყრილი „ჩოლკიდან" მზერას აპარებს ჩვენკენ, მერე უცებ გამოცოცხლდება და გახარებული იწყებს ყეფას დასტურის ნიშნად... აიკლო იქაურობა, კარგა ხანს აღარ მოისვენა, საუბარს არ გვაცლიდა, პატრონს სახელოზე ექაჩებოდა — გინდა თუ არა, ადექიო...*

**— ძალიან პრანჭიკელა არისო, მითხარით...**

— კი, იმდენად პრანჭიაა, რომ როცა შარშან პირველად იმშობიარა (მე თვითონ ვამშობიარე აქ, ლოგინში), ძუძუს ძალიან ცოტა ხანს აწოვებდა ლეკვებს, მერე ახლოსაც აღარ გაიკარა — ფიგურა არ გამიფუჭდესო... საპნის წასმა არ უყვარს, პუდრს დავაყრი ხოლმე და ისე ვბანთ. სამაგიეროდ, ცურვა უყვარს — ძაღლებს ხომ ცურვის თანდაყოლილი ინსტინქტი აქვთ. ძალიან სუფთა არსებაა: მთელი ღამეც რომ გააჩერო — მოკვდება და თავს არ შეირცხვენს, საბანს გადამხდის ხოლმე და მეჯაჯგურება — გარეთ გამიშვიო. თანაც, არც დაიყეფებს — იცის, რომ ღამით არ უნდა იხმაუროს...

**— ცუგას შვილებს რა ბედი ეწიათ?**

— ოთხივე გავაჩუქე. ამას ერთი კურიოზი დაერთო: ერთმა ნაცნობმა — სომეხმა ტაქსისტმა მთხოვა: ნიკალაევიჩ, ერთი

ლეკვი მომეციო. ეამაყებოდა — მომღერლის ნაჩუქარი ძაღლი მეყოლებაო. ავდექი და მართლაც ვაჩუქე. ამას წინათ შემხვდა და სერიოზულად მისაყვედურა: ვა, ნიკალაევიჩ, იცი, ის ძაღლი არ მღერისო...

**— რას მიირთმევს ხოლმე ცუგა? ძვირი ხომ არ გიჯდებათ მისი შენახვა?**

— ძვირი მიჯდება, აბა რა! ქათმის ბარკალი უყვარს — სხვას, არაფერს მიირთმევს, თან — შემწვარი უნდა მიართვა. გამყიდა ამისმა ბარკლებმა. მთელი ჩემი პენსია ამის ჭამაში მიდის. ხილსაც კარგად გეახლებათ — ატამს, ყურძენს, მსხალს.

**— თქვენს მეუღლეს როგორი ურთიერთობა აქვს ცუგასთან?**

— თავიდან, ცოლად რომ მოვიყვანე, ძაღლები საერთოდ არ უყვარდა, მერე, თანდათან მიეჩვია. ცუგამ კი, ისე შეაყვარა თავი, რომ მის გარეშე ვეღარც ძლებს. როგორც კი გახდება 6 საათი — სამსახურიდან იზოს დაბრუნების დრო, ცუგა გარეთ გადის, დაწვება და გზისკენ იყურება... თუ იზომ დაიგვიანა, ნერვიულობს, ბოლთას სცემს ხოლმე...

**— თქვენ ბევრი ძაღლი გყოლიათ — ბალონკებიც, ნაგაზებიც. ყველაზე ძვირი, რაც ძაღლში გადაგიხდიათ, რა თანხა იყო?**

— თითქმის ყოველთვის მეგობრები მჩუქნიან ხოლმე. აი, მიკი (ისიც ბალონკა იყო) კიევიდან ჩამოვიყვანეთ, თვითმფრინავით. ბილეთი არ უნდოდა, მაგრამ ათასგვარ ცნობას მთხოვდნენ — რომ ცოფიანი არ არის, აცრილია თუ არა და ა.შ. ამის დრო სად მქონდა? — გასტროლები დამიმთავრდა თუ არა, წამოვედი. მიკი ჩანთაში ჩავსვი და „ზმეიკით“ ჩავკეტე, ცოტაზე დავტოვე ღიად, რომ ესუნთქა. ძალიან ლამაზი ძაღლი იყო — თეთრი, ფუმფულა, ბურთივით მრგვალი. თვითმფრინავთან რომ მივედი, თურმე მიკის თავი ამოუყვია და უცებ, სტიუარდესა ამბობს: Ух, ты моя красавица...

„ქუქუნა წვიმას“ კარგად უყოლებს ცუგა ხმას

გამიხარდა, მაგრამ რა გამიხარდა: ვიფიქრე, ქალი მეარშიყება-მეთქი! თურმე ძაღლს არ ეუბნება!.. ჩანთიდან ამოიყვანეთო — მითხრა. გული გამისკდა, ვიფიქრე — მორჩა, წამართმევენ-მეთქი. ამოვიყვანე თუ არა ჩანთიდან, გულში ჩაიხუტა და პილოტებთან წაიყვანა. მთელი გზა თბილისამდე მათთან ერთად იმგზავრა. იცით, რა ტრიუკი იცოდა მიკიმ? სტუმარი რომ შემოვიდოდა, თუ ქუდი არ ჰქონდა მოხდილი, ახტებოდა და თვითონ მოხდიდა ხოლმე. იცოდა — სახლში ქუდით ჯდომა უზრდელობაა... ძაღლები ბავშვობიდან მიყვარდა. პლეხანოვზე ვცხოვრობდით, მაშინ ალბათ ასე, 5 წლის ვიქნებოდი. კავკასიური ნაგაზი გვყავდა, ნერონი — რომაელი სენატორის სახელი ერქვა. კიდევ, შავი კატა გვყავდა — მურდახანას ვეძახდით. ნერონი და მურდახანა ძალიან ძმაკაცობდნენ — ერთად სვამდნენ, ერთად ჭამდნენ და ერთად ეძინათ. დედაჩემი ექიმი იყო და ზაფხულში კოჯორში, პიონერთა ბანაკში გააგზავნეს, მეც თან წამიყვანა. მამაჩემმა ერთ შაბათს ამოიყვანა ნერონი და მურდახანა კოჯორში. იმის შემდეგ, ყოველ შაბათს თავისით ამოდიოდნენ ხოლმე. ახლაც ვერ გამიგია, როგორ აგნებდნენ გზას პლეხანოვიდან კოჯრამდე... პიონერთა ბანაკის სასადილოსთან მელოდებოდნენ ხოლმე, კვირა საღამოს კი, ისევ თბილისში — სახლში ბრუნდებოდნენ.

**— ძაღლის სიყვარული თქვენგან მერაბსაც შეუთვისებია...**

— როგორ შეიძლება, ძაღლი არ გიყვარდეს?! ჩემს სახლთან ახლოს ძაღლების ბაზრობაა. ხშირად გავდივარ და ვათვალიერებ ხოლმე. ამაზე მეტი სიამოვნება რა უნდა იყოს?! ადრე მერაბს დობერმან-პინჩერი ვუყიდე. ძალიან ჭკვიანი ძაღლი იყო. შვილი რომ ეყოლათ, მერაბი აღარ მოასვენეს სიდედრმა და ახლობლებმა: პატარა ბავშვისთვის ძაღლი საშიშიაო. მერაბი ამშვიდებდა: რა მოხდა, ჩვენს ოჯახში ყოველთვის გვყავდა ძაღლები, მაგრამ არაფერი მოგვსვლიაო... მოკლედ, ვერაფერმა გაჭრა: მერაბის უკითხავად, ის ძაღლი ნათესავთან წაუყვანიათ მუხიანში. მერაბმა რომ იკითხა — სად არისო, არ გაუმხილეს: არ ვიცით, გავიდა და აღარ დაბრუნებულაო. ორი კვირის შემდეგ კარზე ფხაკუნი გაისმა. მერაბმა კარი გააღო და რას ხედავს: ტალახში ამოსვრილი, გაქუცული, მისი ძაღლი არ დგას?! მიხვდა, რაშიც იყო საქმე... ძაღლი საოცარი არსებაა და კარგ მოპყრობასაც იმსახურებს. ზოგი ძაღლი ბევრ ადამიანს სჯობს კიდეც — გამორიცხულია, ძაღლმა გიღალატოს. ადამიანებიც რომ ასეთივე უღალატონი ვიყოთ, რაღა გაგვიჭირდებოდა... ■


**საყოფაცხოვრებო-საოჯახო მომსახურეობის ფირმა „დიასახლისი მაია“**

**დაგეხმარებათ ბინებისა და ოფისების დალაგებაში. ვალაგებთ სწრაფად და იაფად.**

☎ 899 17 33 42; 71 77 19

DERMAJETICS

**დერმაჯეტიქსი**

**უნიკალური ფრანგული კოსმეტიკა**

***დაბზადებული მხოლოდ ბუნებრივ კომპონენტებზე:*** სახის კანის ღრმა წმენდა, სახეზე თმის მოცილება, ნაოჭების გასწორება, ლაქების მოშორება, არასასურველი გამონაყარის გაქრობა, თმის ცვენის შემაჩერებელი და ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნები.

***სუპერვიტამინები*** — მოზარდების სწორი ზრდა-განვითარებისთვის, სიმაღლეში მომატება (9-17 წლამდე), წონის კორექცია, უნებლიე შარდვის შეჩერება, ნერვული სისტემის მოწესრიგება და ჭიების გამოდევნა.

☎ 99-72-81; 65-89-35 დიანა ჩაჩანიძე

**ამ რამდენიმე წლის წინ მსახიობმა ეკა ჩხეიძემ საიდუმლოდ გამიმხილა: ცუდ გუნებაზე ყველაზე მეტად მაშინ ვარ, როცა ბენზინი არ მაქვს. თუ მანქანით არ მივდივარ სამსახურში, მაშინ შეიძლება ვინმე შევჭამოო... ამ ბოლო დროს ეკა ისე მაცდურად იღიმება ტელეეკრანიდან და ისეთი ბედნიერი ჩანს, ალბათ უბენზინობა ალარ აწუხებს. მისი ფინანსური და სულიერი მდგომარეობის გასარკვევად და იმის დასადგენადაც — ხომ არ ჩაგრავენ ავტოინსპექტორები, ეკას დედის სახლში ვესტუმრე, სადაც ის ამჟამად, თავის ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს.**

# ეკა ჩხეიძე:

# „აუდი ტეტზე“ ვოცნებობ

*ლელა ჭანკოტაძე*

**— ეკა, რამდენი წელია, საჭესთან რომ ზიხარ?**

— მანქანის მართვა დაახლოებით თორმეტი წელია, რაც ვისწავლე. „იტალიური“ „ჟიგული-01“ მყავდა — ბაბუაჩემმა მაჩუქა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სკოლაში ვსწავლობდი. მეორე კურსზე ვიყავი, პირველად რომ მივუჯექი საჭეს. შემდეგ მეუღლემ, დაბადების დღეზე მაჩუქა „აუდი 80“. ძალიან მინდა „აუდი TT“. თუ იცით, ეს მანქანა სასტუმრო „აჭარასთან“ დგას. ავუვლი ხოლმე და შევათვალიერებ. კაზინოში თამაშდება, მე კი აზარტული თამაშები არ მიყვარს: ბედი არ მწყალობს და ამიტომ არც მიცდია მისი მოგება.

**— მეუღლემ „აუდი“ თავისი სურვილით გაჩუქათ თუ არჩევანში თქვენი ხმა იყო გადამწყვეტი?**

— თვითონ შემირჩია ლევანმა. თავად გადაწყვიტა, რომ ჩემთვის „აუდი“ იქნებოდა შესაფერისი. გერმანიაში იყო საქმეზე და იქიდან ჩამომიყვანა. თავად ლევანს „ნივა“ ჰყავს და ჯერჯერობით გამოცვლას არ უპირებს.

**— თქვენ თვითონ დაგყავთ ხოლმე მანქანა პროფილაქტორიუმში თუ ამ საქმეს ლევანი აგვარებს?**

— ჩვენს გზებზე მანქანა ისე ხშირად ფუჭდება, რომ მოვლა და ყურადღების მიქცევა სულ სჭირდება. მე კაპოტს ნამდვილად ვერ ავხდი და ვერ ვნახავ, რა აქვს დაზიანებული. როცა მწყობრში არ არის, ხელოსანთან ლევანს მიჰყავს. ერთხელ ლევანი ქალაქში არ იყო და ამ დროს ზეთის მაჩვენებელი წითელი ნათურა აინთო. ლიკანში მივდიოდი ბავშვის ჩამოსაყვანად. მივედი ხელოსანთან, ვუთხარი: რაღაცას ანთებს და ნახეთ, რა აქვს გაფუჭებული-მეთქი. შეხედა, დააკვირდა ხელოსანი და მკითხა: წითელი შუქი „აპაჭუნებს“ თუ გამუდმებით ანთიაო? ჯერ დავიბენი. მერე ამიხსნეს და დამამშვიდეს: თუ „გიპაჭუნებს“ — ე.ი. გაფრთხილებს, ასე რომ, კარგა ხანს გატარებს, ჯერ არ გაფუჭდებაო.

**— ავტოინსპექტორებთან პრობლემები ხომ არ გაქვთ?**

— არა, არ მაჩერებენ. დამიქნევენ ხელს და, დაინახავენ თუ არა, საჭესთან ქალი რომ ზის, უცებ მანიშნებენ — გაიარეო.

**— ე.ი. მოძრაობის წესებს არ არღვევთ?**

— კი. ხშირად ვარღვევ: არ მიყვარს, როცა ნელა დადიან, სადაც მოეხასიათებათ, იქ რომ აჩერებენ, ყვითელ შუქზე რომ დგანან და ელოდებიან, როდის „გამწვანდება“... ეს ძალიან მაღიზიანებს. წითელზეც გავმძვრალვარ ხშირად — რა ვქნა, „მკვდარი“ მძღოლები არ მიყვარს. ან თუ რომელიმე მანქანა ზოზინით მიდის, აუცილებლად გიჟივით ჩავუქროლებ და გავუსწრებ ხოლმე.

**— სისწრაფე გიყვართ?**

— თუ მეჩქარება სადმე, სწრაფად დავდივარ — განსაკუთრებით, როცა ტრასაზე ვარ.

**— რაიმე საგზაო შემთხვევა ხომ არ გქონიათ?**

— მე და ჩემი ქმარი დავიმტვერით ერთხელ. მაშინ ცოლ-ქმარი არ ვიყავით, ახალი დამთავრებული გვქონდა ინსტიტუტი. „05“ ჰყავდა ჩემს მეუღლეს. ვიღაცამ მანქანით გზა გადაგვიჭრა ბელინსკიზე. ვერ მოვასწარით დამუხრუჭება და შევასკდით. ძლივს გადავრჩი, გამხდარი რომ ვარ, მგონი, ამან გადამარჩინა. ლავიწის ძვალი მქონდა გატეხილი, ტვინის შერყევაც მივიღე. ისეთი კომოციო მქონდა, რომ ვესტიბულური აპარატი დამერღვა და რეანიმაციაში ვიწექი. ძლიერი თავბრუს ხვევები დამრჩა იმ ავარიის მერე. კარგა ხანს ვერ დავდიოდი.

**— შიში არ დაგრჩა?**

— არა. შეიძლება, იმიტომ არ შემეშინდა, შეჯახების მომენტი რომ ვერ დავინახე. წინ ვიჯექი, უკანა სავარძელზე ჩემი მეგობრები ისხდნენ და მათკენ ვიყავი მიბრუნებული. შეჯახება და ჩემი გათიშვა, ერთი იყო. შუშა გავიტანე თავით... სამწუხაროდ, არ იცი, როდის, რა ხიფათი გელოდება. შეიძლება, ნელა მოძრაობდე, მაგრამ შემხვედრმა მანქანამ გზა გადაგიჭრას და დაგაზარალოს. თანაც, ჩვენთან ხომ საშინლად გაფუჭებულია გზები. საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილი მანქანები ძალიან ზიანდება. ჩემი მანქანა ახალი ჩამოყვანილი რომ იყო, მახსოვს, აეროპორტის ტრასაზე 180-ით თუ 190-ით მივდიოდი და სიჩქარე საერთოდ ვერ ვიგრძენი. ახლა ასე სწრაფად ვეღარც დადის. ეს უხარისხო ბენზინის ბრალიც არის. „სუპერი“ აწერია, ძვირი ღირს, მაგრამ მაინც არ ვარგა. კარგ ბენზინს წესით, სუნი არც უნდა ჰქონდეს.

**— ეკა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ მოგზაურობაც ძალიან გიყვართ. საკუთარი მანქანით თუ ყოფილხართ საზღვარგარეთ?**



ლევან და ინანო მუშკუდიანები

— ქალაქიდან თავისუფლად გავდივარ, მაგრამ სხვა ქვეყანაში ჩემი მანქანით არ ვყოფილვარ. ისე, ვგიჟდები მოგზაურობაზე. ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ბოლოს, საბერძნეთში ვიყავი გასტროლებზე. კინომსახიობთა თეატრიდან წაღებული გვქონდა მიხაილ მარმანინოსის სპექტაკლი „მედეა-მასალა“. საქართველოში ეს სპექტაკლი სკანდალური აღმოჩნდა, იქ კი, მშვენივრად მიიღეს. ჩვენი პუბლიკისთვის, ახალი, უჩვეულო აღმოჩნდა და ამის გამო პროტესტი გამოიწვია. საზღვარგარეთ კი ამ სტილის პიესა ბევრია. მე ვთვლი, რომ რაც უფრო მეტი ახალი სპექტაკლი იქნება, მით უფრო კარგია. ამ სპექტაკლით ბერლინში ვართ მიწვეულები. თუ ფინანსური პრობლემა გადავჭერით, ნოემბერში ისევ მომიწევს გასტროლებზე წასვლა... მსახიობის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა გასტროლებსა და ფესტივალებში მონაწილეობა. სადაც კი ვყოფილვარ, თეატრი ყველაზე მეტად, ლონდონში მომეწონა. პოლონეთშიც ბევრი საინტერესო რამ ვნახე.

**— კინოს ნოსტალგია ალბათ, თქვენც გაქვთ?**

— რა თქმა უნდა. კინო დღეს კრიზისშია. კინოში არც მიმართლებს. ბოლო ფილმი რეზო ესაძის „ჭერი“, რომელშიც ვითამაშე, ჯერჯერობით, ისევ თაროზე დევს.

**— თქვენ ინსტიტუტის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში იმუშავეთ, შემდეგ ბატონმა მიხეილ თუმანიშვილმა თავის თეატრში მიგიწვიათ. თეატრალური სარდაფის სცენაზეც გამოჩნდით... რით აიხსნება ამგვარი მრავალსახეობა?**

— ვერც კი დავთვლი, მარჯანიშვილის თეატრის რამდენ სპექტაკლში ვითამაშე, თეატრალურ სარდაფშიც ვიმუშავე. ვთვლი, რომ სჯობს, გარემო ხშირად შეიცვალო: რაც უფრო მეტ რეჟისორთან იმუშავებ, უფრო მეტად გაიზრდები, როგორც მსახიობი.

**— როგორც ვიცი, მამათქვენთან მხოლოდ „სეილემის პროცესზე“ გიმუშავიათ. მას შემდეგ ბატონმა თემურმა რამდენიმე სპექტაკლი დადგა. რატომ არ აღმოჩნდით მის ახალ სპექტაკლებში?**

— მამასთან მუშაობა ცოტა რთულია. სხვათა შორის, მედიკოც (ეკას ბებია — მედეა ჩახავა. — ავტ.) მხოლოდ ორჯერ ათამაშა თავის სპექტაკლებში. „ოჯახური თეატრის“ მომხრე არ არის... საინტერესოა მასთან მუშაობა, მაგრამ მამის ფაქტორი მაინც ხელს მიშლიდა. ვეღარ ხვდები, როგორ უნდა მიმართო — როგორც მამას, თუ როგორც რეჟისორს და დაძაბული ხარ. ჩემს ტოლებთან უფრო მეადვილება მუშაობა — უფრო თამამად შევთავაზებ ჩემს აზრს. მამასთან კი, სხვაგვარადაა.

**— დედათქვენზეც და თქვენი ოჯახის სხვა წევრებზეც გვიამბეთ რაიმე?**

— დედა მუსიკოსია. ჩემი და — თეონა მის კვალს გაჰყვა. შესანიშნავად უკრავს ვიოლინოზე და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. უკვე რვა წელია, გერმანიაში ცხოვრობს. მე და ლევანმა ჩვენი ბინა გავყიდეთ და დროებით აქ ვცხოვრობთ. რომ იტყვიან, ჩემოდნებზე ვსხედვართ... დედა ინანოს გაზრდაში მეხმარება: როცა შინ არის და თავის მოსწავლეებს არ ამეცადინებს, ბავშვს მას ვუტოვებ ხოლმე.

**— ინანო თუ აპირებს მსახიობობას?**

— ინანო ხატავს, ბალეტზე დადის, გერმანულ და ინგლისურ ენებს სწავლობს. სიამოვნებით გავუშვებდი საზღვარგარეთ სასწავლებლად. წელს მილანში ისვენებდა, სამი თვე გერმანიაში გაატარა — საზაფხულო სკოლაში სწავლობდა. ვთვლი, რომ სხვა ქვეყნებში ცხოვრება მას ბევრ რამეს შესძენს. სულ ვცდილობ, ინანოს ბევრი გავუკეთო, ვაჩვენო. არ მინდა, მსახიობი რომ გახდეს, მაგრამ ვგრძნობ, ეს პროფესია თავად აინტერესებს. ძნელია ენთუზიაზმზე მუშაობა: მე ფაქტობრივად, მხოლოდ ტელევიზიაში მაქვს ხელფასი, თორემ თეატრში რასაც ვიღებ, ამას ხელფასი არც ჰქვია...

**— ძირითადად, ვინ უზრუნველყოფს თქვენს ოჯახს მატერიალურად?**

— რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე — არქიტექტორი ლევან მუშკუდიანი. როგორც ჩანს, თავისი საქმე კარგად იცის, რადგან შეკვეთები არ ელევა. აქვს საკუთარი ფირმაც და კავშირები იტალიასა და ავსტრიასთან. სულ მუშაობს, სახლიდან დილით გადის და გვიან ღამით ბრუნდება. მისთვის დასვენება არ არსებობს. ზოგჯერ, ისიც კი არ იცის, რა დღეა...

**— ეკა, როგორი დიასახლისი ხართ?**

— ცუდი. სამზარეულოში ძირითადად, დედაჩემი ტრიალებს. ლევანი სიდედრის მომზადებულ კერძებს არ იწუნებს — პირიქით, ძალიან მოსწონს. საერთოდ, ის ძალიან უპრეტენზიოა, ძალიან კარგი ქმარი და საუკეთესო მამაა. ინანო გიჟდება მამაზე.

**— ოჯახში თქვენ მიერ გახმოვანებულ სერიალებს თუ უყურებენ?**

— ნამდვილად არ ვუყურებთ სერიალებს. თითქმის ყველა სერიალს ვახმოვანებდი, რაც კი „რუსთავი 2“-ზე გასულა: „გვადალუპეს“, შემდეგ „კასანდრას“, „სიყვარულის სახელით“, „იოლ ფულს“ და ახლა — „ბაბილონის გოდოლზე“ ვმუშაობ. ყველა ქალს მე ვახმოვანებ.

**— ვიცი, ფოტოგრაფია გიტაცებთ...**

— კი. ჩემი მოდელი ინანოა. ძირითადად მას ვუღებ ხოლმე. გამოფენის მოწყობაც მინდოდა, მაგრამ ახლა ყველა ფოტოაპარატით დადის და ყველა სურათებს იღებს და ყველას გამოფენის მოწყობა უნდა, ამიტომ გადავიფიქრე...

■

# „ეწლათ, ეთელი დანაშაული ჩემს შეურაცხად ძმას გადააბრალონ“

## ებრაელის მკვლელობის საქმეს უზენაეს სასამართლოში დახურულად განიხილავენ

**ამ დღეებში უზენაესმა სასამართლომ 38 წლის არონ კრიხელის მკვლელობის საქმის განხილვა დაიწყო. პროცესი მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ დახურულად გამოაცხადა, რადგან დანაშაულში ბრალდებული სამი განსასჯელიდან ერთ-ერთი — 28 წლის გია ბაფერიძე სამედიცინო ცნობის თანახმად, შეურაცხადია. დანარჩენი ორი — ბიძაშვილები: 25 წლის ზვიად და 31 წლის მამუკა კუსრაშვილები არიან. ისინი დანაშაულს კატეგორიულად უარყოფენ და პროკურატურის მიერ მიყენებულ მუხლებს არ ცნობენ. მამუკა კუსრაშვილის თქმით კი, არონ კრიხელი გია ბაფერიძემ მოკლა.**

**საბრალდებო სკამზე: ზვიად და მამუკა კუსრაშვილები**

### მეგი ცანავა

ეს ამბავი 1999 წლის 19 აგვისტოს, ქალაქ გორის მახლობლად მოხდა. პროკურატურის ინფორმაციით, კუსრაშვილებმა და ბაფერიძემ არონ კრიხელი, რომელიც გორში, ბაზრობაზე, ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მუშაობდა, ფულის გამოძალვის მიზნით, ერთ-ერთი ნაცნობის მანქანით — წითელი „ვაზ 21011“-ით გაიტაცეს. იმის გამო, რომ კრიხელი მათ თანხის მიცემაზე უარს ეუბნებოდა, ბოროტმოქმედებმა იგი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. ჯიბეებიდან ფული — დაახლოებით 1.000 დოლარი ამოუღეს, გვამი იქვე მიწაზე დაგდებული დატოვეს, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. პოლიციამ სამივე დააკავა, თუმცა თავი დამნაშავედ არც ერთმა არ ცნო. პროკურატურამ ბაფერიძესა და კუსრაშვილებს ერთნაირი მუხლები (განზრახ მკვლელობა, ყაჩაღობა, ადამიანის გატაცება) შეუფარდა და საქმე განსახილველად სასამართლოს გადასცა. მამუკა კუსრაშვილს სამართალდამცავები აღნიშნულ დანაშაულებთან ერთად, ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებასა და რეალიზაციაშიც ადანაშაულებენ. თუმცა ამ ბრალდებას განსასჯელი ადასტურებს. იგი არც იმას უარყოფს, რომ ფული სჭირდებოდა და თანხის სესხების მიზნით, არონ კრიხელს შემთხვევამდე რამდენჯერმე მიმართა თხოვნით. ეჭვმიტანილად დაკითხვის დროს, **მამუკა კუსრაშვილმა** სამართალდამცავებს ასეთი ჩვენება მისცა:

*„1999 წლის 10 აგვისტოს გორში, ბაზართან, სადაც მომგებიან ლატარიას — „სპრინტს“ ყიდიან, ხიდისთაველი ბიჭი — ვინმე სოსო (გვარი არ ვიცი) გავიცანი. მან შემომთავაზა, ფულზე ნარდი გვეთამაშა. მე დავთანხმდი და სათამაშოდ პირდაპირ იქიდან წავედით. ჩემს მეზობელთან — გია ბაფერიძესთან მივედით სახლში. მთელი ღამე ნარდი ვითამაშეთ. თამაშზე გია ბაფერიძე და ჩვენი უბნის სიძე — მამუკა, მეტსახელად „შორაპანა“ (გვარი არ ვიცი) გვესწრებოდნენ. თამაშის დროს, სოსოსთან 3.000 ლარამდე წავაგე. გადახდის ვადა. ე.წ. „პრისტავკა“ 25 აგვისტომდე დამითქვეს. მე ფული არ მქონდა და ვცდილობდი, სადმე მეშოვა. ჩემს კორპუსში, პირველ სართულზე ებრაელი ბიჭი — არონ კრიხელი ცხოვრობდა ცოლ-შვილთან ერთად. ბაზარზე, ვალუტაზე მუშაობდა. ფულის წაგებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ვთხოვე — რაღაც პრობლემები მაქვს და ასი ლარი მასესხე-მეთქი. ახლა ფული არა მაქვს და ხვალ მოგცემო — მითხრა. მეორე დღეს არონს ბაზარში მივაკითხე, მაგრამ ფული არც მაშინ მომცა — არ მაქვსო და მომდევნო დღეებში დამიბარა. ასეც მოვიქეცი, არონთან ფულზე ისევ მივედი და სიტუაცია ავუხსენი, ვუთხარი — ფული წავაგე და 1.000 დოლარი პროცენტით მასესხე, თან „ზალოგში“ ბინას ჩაგიდებ-მეთქი. ვიცოდი, რომ ჩვენს კორპუსში იგი ქირით ცხოვრობდა, ამიტომაც დავპირდი — ფულს ერთ თვეში თუ ვერ დავუბრუნებ, ბინას გადავუფორმებდი. არონმა მითხრა — ისედაც ნასესხები ფულით ვმუშაობ, ფულის პატრონის თანხმობის გარეშე, ვერაფერს გასესხებ, ხვალ მოდი, პატრონი ვნახოთ და მოვილაპარაკოთო. მეორე დღეს ისევ მასთან წავედი. სასიარულოდ მანქანა მჭირდებოდა და ვცდილობდი, ცოტა ხნით ვინმესთვის გამომერთმია. ამ დროს გზაში ერთი ნაცნობი — თემო (გვარი არ ვიცი) შემხვდა. ჩვენს უბანში, თამარ მეფის ქუჩაზე ცხოვრობს. მაშინ „მოიკაზე“ მრეცხავად მუშაობდა. წითელი „ჟიგულით“ იყო. ასე მითხრა, ჩემი კლასელის მანქანაა, გასარეცხად დამიტოვაო. ვთხოვე — სტუდენტ გოგონებს გამოვიყვან და ცოტა ხნით მანქანა მათხოვე-მეთქი. თემო მაშინვე დამთანხმდა და მანქანიდან გადავიდა. იქვე ახლოს მდგომი ჩემი ბიძაშვილი — ზვიად კუსრაშვილი ჩავისვი. თემოსგან მალულად ვუთხარი, რომ ბაზრისკენ მივდიოდი და ისიც დამემგზავრა. გზაში გია ბაფერიძე შეგვხვდა, მკითხა — საით მიდიხარო. ბაზრისკენ-მეთქი და ისიც წამოგვყვა. მანქანა „სტაიანკაზე“ გავაჩერე, იქ, სადაც კრიხელი ფულს ახურდავებდა ხოლმე. ადგილზე არ დაგვხვდა, მაგრამ რამდენიმე წუთში მოვიდა. არონიც მანქანაში ჩავვიჯდა და წავედით. საჭესთან მე ვიჯექი, გვერდით გია ბაფერიძე იჯდა, ჩემ უკან — არონ კრიხელი, გიას უკან კი — ზვიადი. არონს შევეკითხე — სად ცხოვრობს ფულის პატრონი, წამოდი, წავიდეთ-მეთქი. მგონი, თბილისშია წასული და დღეს შეიძლება, ვერც ვნახოთო — მითხრა. შევატყვე, რომ წამოყოლა არ უნდოდა, ამიტომ, მანქანის უმისამართოდ ტარება დავიწყე, თან ვთხოვდი — გეხვეწები, ფული ძალიან მჭირდება, მასესხე პროცენტით და ბინას გადაგიფორმებ-მეთქი. არონი მაინც თავისას ამბობდა — ფული ჩემი არ არის და ვერ გასესხებო. ამ ლაპარაკით, პურკომბინატის დასახლებას გავუყევით. მერე სოფელ ტინისხიდისკენ წავედი, სოფლის ცენტრალური გზიდან ყოფილი ფერმებისკენ გადავუხვიე. თან ვფიქრობდი — იქნებ არონს შეეშინდეს და რამენაირად ფული მასესხოს-მეთქი. მერე მანქანა გავაჩერე და ისევ*

*დავუწყე ხვეწნა. მითხრა – მაგდენი არ მაქვსო. ვთხოვე, ეჩვენებინა, რამდენი ჰქონდა. მან ჯიბიდან ლარები და დოლარები ცალ-ცალკე ამოიღო. იმ მომენტში, მე მანქანის კართან ზურგით ვიდექი. უცებ გია ბაფერიძის ხმა მომესმა – რა იყო, ბიჭო, მეზობელი ხარ და ასესხე, ისე ხომ არ უნდა – ბინას გიტოვებს „ზალოგშიო“. მე გიასკენ არც მივბრუნებულვარ. მოულოდნელად, ისევ მისი მხრიდან, გასროლის ხმა გავიგონე. მოვბრუნდი და დავინახე, რომ გია ბაფერიძეს ხელში „ბარაბნიანი“ რევოლვერი ეჭირა. მივხვდი, რომ მან ისროლა და დავუყვირე – რა მოხდა, რა გააკეთე-მეთქი?! გიამ მიპასუხა – ახლა რაღა ეშველება, ძალით ხომ არ მინდოდა, უნდა შემეშინებინაო. არონს შევხედე, მას თავი დაბლა ჩამოუვარდა, ძირს დაცემისას ფული, რომელიც ხელში ეკავა, მანქანის სალონში ჩაცვივდა. მე ყვირილი ავტეხე – ეს რა დაგვემართა-მეთქი! ამ დროს, გია და ზვიადი მანქანიდან გადავიდნენ და არონის გვამი გვერდზე გადაიტანეს, იქვე მიწაზე დადეს და წამოვედით. მხოლოდ ერთი გასროლა იყო, არონს ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი და უკვე მკვდარი იყო. ზვიადმა მანქანიდან რევოლვერი გადაგდო. მერე მანქანაში ჩაყრილი ფული ხელით აკრიფა და მომაწოდა. გორში ჩამოვედით თუ არა, დავიშალეთ. ზვიადმა მითხოვა – ლარები მომეცი, რა ვიცი, რა მოხდება, იქნებ ქალაქიდან წასვლა დამჭირდესო. 120 ლარი წაიღო. მე მანქანა თემოს მივუყვანე. ვუთხარი – გოგონები არ გამომყვნენ-მეთქი. მერე სახლში მივედი და ფული დავთვალე. 800 დოლარი და 153 თუ 143 ლარი აღმოჩნდა. დანაშაულის შესახებ არავისთვის გვითქვამს.“*

მამუკა კუსრაშვილის თქმით, შემთხვევის დღეს არც მას და არც ზვიად კუსრაშვილს იარაღი არ ჰქონიათ. „*გია ბაფერიძეს თუ ჰქონდა, არ ვიცოდი, რევოლვერი მის ხელში მხოლოდ გასროლის შემდეგ დავინახე*“ – აცხადებს განსასჯელი.

ზვიად კუსრაშვილი ირწმუნება, რომ შემთხვევის დღეს – 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით, მეზობლის ოჯახში იქეიფა, იქ დალია და ძალიან დათვრა. „*იმ დღეს უგონოდ მთვრალი ვიყავი, მამუკას ქუჩაში ვუნახივარ, მანქანაში ჩამსვა თურმე და წამიყვანა. რა მოხდა, არ მახსოვს. მე არც კაცის გატაცებაში, არც ყაჩაღობასა და არც მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია. არც არონ კრიხელის გვამი გადამიტანია სადმე. ასევე, სალონში არანაირი ფული არ ამიკრეფია*“ – აცხადებს ზვიად კუსრაშვილი. მისი თქმით, ეჭვმიტანილად დაკითხვისას მან სამართალდამცავებს ცრუ ჩვენება მისცა, რადგან პოლიცია მასზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა. „*მცემდნენ და ჩემს გასაგონად ამბობდნენ – უნომრო იარაღით მოვკლათო*“ – ამბობს ზვიად კუსრაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში მამუკა კუსრაშვილი ბიძაშვილის სიტყვებს არ ადასტურებდა, ამჯერად როგორც შევიტყვეთ, სასამართლოში, მან ჩვენება შეცვალა. მისი თქმით, შემთხვევის დღეს ზვიად კუსრაშვილი მართლაც უგონოდ მთვრალი იყო და მას დანაშაულში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. მამუკა კუსრაშვილი აცხადებს, რომ მოკლული არონ კრიხელის გვამი მხოლოდ გია ბაფერიძემ გადაიტანა მოშორებულ ადგილას.

განსასჯელ გია ბაფერიძის ინტერესებს სასამართლოში მისი და – მანანა ბაფერიძე იცავს. იგი ამტკიცებს, რომ კუსრაშვილები ერთმანეთში შეთანხმდნენ, ჩვენებები ერთიმეორის სასარგებლოდ შეცვალეს და გია ბაფერიძის წინააღმდეგ პირი შეკრეს.

**მანანა ბაფერიძე:**

„*იმით უნდათ ისარგებლონ, რომ ჩემი ძმა ფსიქიკურად დაავადებულია და იგი მათ წინაშე თავს საფუძვლიანად ვერ დაიცავს. თუმცა, ყველას ავიწყდება რატომღაც, რომ მის უკან ხალხი დგას და გიას არავის დაარჩაგვრინებს.*

*ჩემი ძმა 1993 წელს ჩხუბში პოლიციელმა სცემა. მას შემდეგ დაუზიანდა ფსიქიკა. წლების მანძილზე ვმკურნალობდი, ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც იწვა. ბოლო დროს, მკურნალობამ აშკარა შედეგი გამოიღო, ირგვლივ ყველა ატყობდა, რომ გია თავს უკეთესად გრძნობდა. თუმცა, გამოჯანმრთელება ბოლომდე არ დააცადეს. 1999 წლის 19 აგვისტოს გია დედის დაბადების დღეზე იყო და არც მამუკას, არც ზვიადს, საერთოდ არ შეხვედრია. კუსრაშვილებმა პირადი ინტერესის გამო, იგი დაუნდობლად გაწირეს. ეს მათ გამიზნულად გააკეთეს, რადგან გიას წინააღმდეგ მიზეზიც ჰქონდათ. ამ მიზეზს ჯერჯერობით, გარკვეული მოსაზრებების გამო, არ ვასახელებ. სასამართლო პროცესზე ყველაფერი გამოჩნდება. გიას ისიც ეყოფა, რომ გიჟად იცნობენ, ახლა მკვლელის სახელი დაუმსახურებლად არ სჭირდება*“.

მოკლულის – არონ კრიხელის გვამი ისრაელში გადასვენეს. დაზარალებულებიც – კრიხელის ოჯახის წევრებიც, ამჟამად ისრაელში არიან. ისინი საქმის სასამართლო განხილვაზე დასასწრებად საქართველოში ვერ ჩამოდიან, თუმცა კოლეგიის სახელზე გამოგზავნეს განცხადება, სადაც აღნიშნავენ, რომ სასამართლოს ენდობიან და მის ობიექტურობაში ეჭვი არ ეპარებათ. ■

# უჩვეულო მკვლელობა სანაპიროზე

ეს ტრაგიკული ამბავი რუსეთის საპორტო ქალაქ ნოვოროსიისკში მოხდა. ორი ადგილობრივი მოზარდი სანაპიროზე სეირნობდა და იტალიური კრეისერის „ვიტორიო ვენეტოს“ მეზღვაურებს გადაეყარა. რა დიალოგი უძღოდა წინ ბიჭებისა და ორი უცხოელი სამხედროს კონფლიქტს, ჯერ გაურკვეველია, მაგრამ დაწყებულ ჩხუბს მალე სხვა მეზღვაურებიც შეუერთდნენ და ბოლოს, უცხოელ თავდამსხმელთა რიცხვმა სულ ცოტა 16-ს, მაქსიმუმ კი – 40-ს მიაღწია (ციფრების ასეთი სხვაობა მოწმეთა განსხვავებული ჩვენებებით არის განპირობებული). ბოლოს, რუსმა ბიჭებმა თავის დაღწევა გაქცევით სცადეს, ერთ-ერთ მათგანს ფეხი დაუცდა, წაიქცა და მეზღვაურთა ჯგროს ფეხქვეშ მოექცა. თუმცა მისი სიკვდილი არა გადათელვამ, არამედ ზურგში ჩაცემული დანის დარტყმამ გამოიწვია.

კრეისერის კაპიტანმა ბორტზე რუსი სამართალდამცავები არ აუშვა (სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაა!), რამდენიმესაათიანი დაყოვნების შემდეგ კი, ის ზღვაში გავიდა და მკვლელიც თან გაიყოლა.

რუს სამართალდამცავთა თქმით, ბოროტმოქმედთა დაკავება-დასჯის საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პროცესუალური თვალსაზრისით, საქმე შემდეგნაირად უნდა განვითარდეს: გამოძიების დასრულების შემდეგ მასალები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა გადაეცეს, საგარეო უწყება დაუკავშირდება იტალიას და რუს გამომძიებელთა მასალების საფუძველზე, გამოძიების ჩატარებას სთხოვს კოლეგებს. თუ მათ საქმეს ცდა არ დააკლეს, არა მარტო მკვლელის დასჯა, არამედ დაზარალებულებისთვის – დაღუპულის ოჯახისთვის ფულადი კომპენსაციის მიღებაც გახდება შესაძლებელი, რომელმაც რამდენიმე მლნ დოლარიც კი შეიძლება შეადგინოს. ■

ადვოკატი მანანა ჩუბინიძე და განსასჯელი ნელი ხარხელი

# შურისძიება ძმის მკვლელობისთვის

## ნელი ხარხელმა დამნაშავეებს სახლები გადაუნვა

*მეგი ცანავა*

30 წლის ქალის – ნელი ხარხელის საქმეს უკვე მეორედ – ამჯერად, საოლქო სასამართლო განიხილავს. მან ძმის მკვლელისა და მისი ოჯახის დამყაჩაღებლების სახლებს ცეცხლი წაუკიდა და დაწვა. ამისთვის გორის რაიონის სასამართლომ ნელი ხარხელს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაზარალებულები – გადამწვარი სახლების პატრონები ამ განაჩენით უკმაყოფილონი დარჩნენ: მათ საჩივრით საოლქო სასამართლოს მიმართეს და ნელი ხარხელისთვის სასჯელის მომატება მოითხოვეს.

ამ მოთხოვნასთან ერთად, დაზარალებულებმა ნელი ხარხელის მხრიდან მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხიც დააყენეს: ერთი მათგანი 70.000 ლარს, მეორე კი – 13.000 ლარს მოითხოვს (ზარალი ოფიციალურადაც ასეა შეფასებული).

განსასჯელი – ნელი ხარხელი სამი არასრულწლოვანი შვილის დედაა. იგი თავად ფაქტს ადასტურებს, მაგრამ თავს დამნაშავედ არ ცნობს: ხარხელის თქმით, მას ძმა მოუკლეს და ამ უბედურებით გამწარებულმა, მკვლელის ოჯახზე შური სამართლიანად იძია.

განსასჯელის ძმა – ლევან ხარხელი 2000 წლის 27 მაისს მოკლეს. მის ოჯახს ღამის 2 საათზე ხუთი ნიღაბაფარებული, შეიარაღებული ყაჩაღი დაესხა თავს. ოჯახის წევრებს იმ დროს ეძინათ. სახლში 3 წლის მძინარე ბავშვიც იყო. ყაჩაღებმა ლევან ხარხელს 5.000 ამერიკული დოლარის გადახდა მოსთხოვეს.

**მანანა ჩუბინიძე,** განსასჯელის – ნელი ხარხელის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

***„იმ პერიოდში ლევან ხარხელმა მოსავალი – ვაშლი გაყიდა. ამიტომაც იფიქრეს, რომ სახლში ფული ექნებოდა. თუმცა, როცა დარწმუნდნენ, აქ არაფერი გამოვაო და თანხის მიღების იმედი დაკარგეს, წარბიც არ შეუხრიათ – ისე დაახალეს ტყვია“.***

ლევან ხარხელი სასიკვდილოდ დაიჭრა გულში. გასროლის შემდეგ, ხარხელის მეუღლემ კივილი ატეხა. ბოროტმოქმედებმა იქაურობა მაშინვე დატოვეს. მკვლელობისთვის გორის პოლიციამ იმავე სოფლის მცხოვრებნი, ლევან ხარხელის მეზობლები – თენგიზ თაყაძე და მანუჩარ ბაიდაშვილი დააკავა. მათთან ერთად, სამართალდამცავებმა სხვა სამი პიროვნებაც აიყვანეს.

**მანანა ჩუბინიძე:**

***„ეს მკვლელობა, ისევე, როგორც დაყაჩაღების ფაქტი, ორი თვის მანძილზე გაუხსნელი გახლდათ. ამ პერიოდში სოფლის მოსახლეობა, ხარხელების ოჯახთან ერთად, სოფელში პროტესტის ნიშნად, გზებს კეტავდა და სამართალდამცავებისგან ყაჩაღებისა და მკვლელის დაჭერას მოითხოვდა. ამ აქციებში ის მეზობლებიც მონაწილეობდნენ და აქტიურობდნენ, რომელთა ოჯახის წევრებიც მომავალში აღნიშნულ ფაქტში დამნაშავეები აღმოჩნდნენ (მათ უზენაესმა სასამართლომ განაჩენი უკვე გამოუტანა: ყაჩაღებს 11 წლით, მკვლელს კი – 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა). მათი გვარები, შემთხვევიდან ორი თვის შემდეგ, ტელევიზიით გამოაცხადეს. იმ საინფორმაციო გამოშვებას ნელი ხარხელიც უყურებდა. იგი მაშინ სამტრედიაში, თავის სახლში გახლდათ. როცა შეიტყო, რომ მისი ძმის მკვლელობაში მეზობლები იყვნენ გარეულნი, გააფთრებულმა მაშინვე კირბალში წასვლა გადაწყვიტა. სამტრედიაში მატარებელში ჩაჯდა და გორში წავიდა“.***

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ნელი ხარხელი თავის დასთან ერთად, თენგიზ თაყაძის მეუღლის მშობლებთან – ნელი და ვასილ დოთიაშვილებთან მივიდა. სახლში მას მხოლოდ ვასილ დოთიაშვილი დახვდა. ნელი ხარხელმა ძმის ეზოდან წაღებული ძალაყინით დოთიაშვილების მოძრავი და უძრავი ქონების განადგურება დაიწყო. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ, როცა ღამით საქართველოს ტელევიზიით ლევან ხარხელის მკვლელობის საქმე კვლავ გააშუქეს და დანაშაულში ეჭვმიტანილთა გვარები კონკრეტულად დაასახელეს, ნელი ხარხელი გათენებისთანავე თენგიზ თაყაძის მეუღლის მშობლების სახლისკენ მარტო წავიდა. სახლში არავინ დახვდა, რადგან ოჯახის წევრები იმ პერიოდში, მოსალოდნელი უსიამოვნების გამო, გაქცეულები იყვნენ. ხარხელი სახლში შევიდა, იქიდან ეზოში რამდენიმე ლეიბი და საბანი გამოიტანა და ცეცხლი წაუკიდა. მალე აზრად მოუვიდა, მთელი სახლი გადაეწვა, კვლავ ბინაში შევიდა და ასანთით ცეცხლი ამჯერად ტანსაცმელს წაუკიდა. ცეცხლი მთელ სახლს მოედო.

**მანანა ჩუბინიძე:**

***„ნელი ხარხელი მარტო არ მოქმედებდა, მასთან ერთად მთელი სოფელი იყო. თუ ნელი ხარხელი დამნაშავეა, მაშინ მთელი სოფელია დასაჭერი და ყველანი უნდა დააპატიმრონ. იქაური მცხოვრებლები თავად აქეზებდნენ ამ გაუბედურე-***

ნელი ხარხელი

ბლისკენ გაემართა, შევიდა სახლში და ნივთებს ცეცხლი წაუკიდა. მთელი სახლი დაიწვა კედლების გარდა.

**მანანა ჩუბინიძე:**

***„როცა ნელი ხარხელი პოლიციამ დააკავა და იგი სამტრედიიდან წამოიყვანა, სამტრედიასა და ქუთაისში ხალხმა გზებიც კი გადაკეტა — ნელი ხარხელის გათავისუფლებას მოითხოვდა. საქმე იმდენად გართულდა, რომ პოლიციის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, ეს ქალი ხალხისგან ჩუმად, „შავი გზებით“ ჩამოეყვანათ.***

***სამართალდამცავებმა არც საზოგადოების განწყობა და არც ის ფაქტი, რომ ქალს ძმა მოუკლეს და იგი ამით იყო გამწარებული, მხედველობაში არ მიიღეს. პროკურატურამ არც ის გაითვალისწინა, რომ ნელი ხარხელს შინ სამი არასრულწლოვანი შვილი ელოდება... ქალს ძმა მოუკლეს, დამნაშავეების ოჯახების წევრები კი, დღეს უსირცხვილოდ, თავიანთ თავს უწოდებენ დაზარალებულებს იმიტომ, რომ სახლები დაუწვეს და ზარალის ანაზღაურებასთან ერთად, ნელი ხარხელის ოთხი წლით ციხეში გამოკეტვას მოითხოვენ. საინტერესოა, მოკლულ ძმას ვინ გაუცოცხლებს ამ ქალს, ასეთ ზარალს ვინ აუნაზღაურებს?“***

მიუხედავად ადვოკატის ასეთი პოზიციისა, დაზარალებულები — დოთიაშვილები და ბაიდაშვილები, ისევე, როგორც მათი ინტერესების დამცველი ადვოკატი, აცხადებენ, რომ ნელი ხარხელს სხვისი ქონების განადგურების უფლება არ ჰქონდა და დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგოს.

***„უსახლკაროდ დავრჩით, თითქმის ორი წელია, კარდაკარ დავდივართ, ხშირად, ღამეს ღია ცის ქვეშ ვათენებთ. თუკი ჩვენმა ოჯახის წევრებმა დანაშაული ჩაიდინეს, ისინი ამისთვის დღეს პასუხისგებაში არიან მიცემულნი და სასჯელს იხდიან. მათმა შვილებმა რა დააშავეს? ნათესავებმა რა დავაშავეთ? მიუხედავად ყველაფრისა, ხარხელი დანაშაულს ახლაც არ აღიარებს, ამიტომაც მოვითხოვთ, იგი კანონის შესაბამისად დაისაჯოს“ — აცხადებენ დაზარალებულები.*** ■

# მაამოჩენილი არამზადების კლუბი

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ინტერნეტით პერიოდულად ავრცელებს იმ გამორჩეულ ბოროტმოქმედთა სიას, რომლებიც სხვადასხვა დიდი დანაშაულისთვის იძებნებიან. სულ ახლახან გამომზეურებული 22 კაციანი ჯგუფის სათავეში, უკვე ტრადიციისამებრ, №1 ტერორისტი უსამა ბინ ლადენი დგას.

საინტერესოა, რომ ამერიკისთვის ყველაზე საშიშ ტერორისტთა ამ კლუბის 16 წევრის სახელი ან მეტსახელი — მუჰამედია, 13 მათგანი წვერ-ულვაშიანია, 19 მათგანის დაჭერისთვის ჯილდოდ 5-დან 7 მლნ დოლარამდეა დაწესებული.

ძიებათა ფედერალური ბიუროს საიტზე ცალკეა გამოყოფილი აშშ-ის ყველაზე საშიში 10 ბოროტმოქმედის სიაც, რომელშიც ფრიად კოლორიტული ფიგურები არიან მოხვედრილნი, კერძოდ: 1987 წელს კალიფორნიის ციხიდან გაქცეული გლენ სტიუარტ გოდვინი (დაპატიმრებული იყო მექსიკაში, ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის; გვადალახარის ციხეში მიახრჩო თანასაკნელი; მის მოსახელეთებლად აშშ-ის მთავრობამ ჯილდოდ 50 ათასი დოლარი დააწესა); 70 წლის ტუნისელი სექსუალური მანიაკი აბუ აბასი; ისლანდიელი ნარკოტიკებით მოვაჭრე ოლაფ ბრაგი ბრაგასონი; შრი-ლანკელი ტერორისტი ველუპილაი პრაბხაკარანი; ისრაელელი თაღლითი დავიდ ვულკანი. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე არამზადების გავრცელების პირველობას ტუნისი ფლობს: ინტერპოლის საიტებზე გავრცელებულ სიებში მას 48 გამოჩენილი ბოროტმოქმედი ჰყავს.

საქმეს ცდა არ დააკლეს, არა მარტო მკვლელის დასჯა, არამედ დაზარალებულებისთვის — დაღუპულის ოჯახისთვის ფულადი კომპენსაციის მიღებაც გახდება შესაძლებელი, რომელმაც რამდენიმე მლნ დოლარიც კი შეიძლება შეადგინოს. ■

ვახტანგ ხონელი

# უცნაური დამთხვევა ანუ „ეშმაკისეულის" ხმა

კარგი კაცი იყო ძია დიმიტრი. მისმა სიკვდილმა ყველას დასწყვიტა გული. დიმიტრის შვილებს — ზაზას და პაატას უზომო დარდისგან თითქოს ხელ-ფეხი ჰქონდათ წართმეული... თუმცა, რაც კი გასაკეთებელი იყო, ყველაფერს მათი მეგობრები აკეთებდნენ.

დაკრძალვის დღეს ბიბილაშვილების ეზო ხალხით გადაიჭედა. მარტო კარალეთში მცხოვრებლები კი არა, საიდან აღარ მოდიოდნენ სამძიმარზე. ძია დიმიტრის ბევრი იცნობდა და პატივს სცემდა, ზაზას და პაატას საძმოც საკმაოდ დიდი იყო. ასე რომ, ქელეხის სუფრა ოთხას კაცზე იშლებოდა. ბიბილაშვილებს ვეებერთელა ეზო ჰქონდათ, ამიტომაც ბიჭების ძმაკაცებმა ერთხმად გადაწყვიტეს, ეზოშივე გაეშალათ სეფა, ე.ი. როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე — „პალატკა" დაედგათ.

დილიდანვე ხელებდაკაპიწებული ტრიალებდა ომარი (ზაზას და პაატას უახლოესი მეგობარი, თბილისელი ბიჭი, რომელმაც ტყუპი ძმა ჯარში ყოფნის დროს გაიცნო და დაუძმაკაცდა, მოგვიანებით კი, ზაზას მეჯვარეც გახდა). ხან რა საქმე გამოჩნდა, ხან — რა. იფიქრა: აი, ახლა, ამას გავაკეთებ და მერე შევალ ტუალეტშიო. მივიდოდა ტუალეტთან; იქ კი, სამძიმარზე მოსული ხალხის რიგი ხვდებოდა. ფეხათრეული ბრუნდებოდა ომარი უკან და ისევ საქმეში ერთვებოდა. ასე მივიდა სამჯერ იმ ადგილას, სადაც „მეფენიც კი ფეხით დადიან", მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ძალიან რომ გაუჭირდა და საშველსაც ვერსად ხედავდა, ბიჭების ბიძაშვილს — ილიას შესჩივლა: მიშველე, ძმაო, ლამისაა ავფეთქდე, იმისთანა დღეში ვარ, თავს ვეღარ ვიკავებ. რამდენჯერაც ტუალეტთან მივედი, უკან გამოვბრუნდი, იმხელა რიგი დამხვდა.

— მერე, შე კაი კაცო, სახლის უკან გასულიყავი! — მოუნახა გამოსავალი ილიამ.

— კარგა ხანს ვითმინე; ძალიან რომ გამიჭირდა, წავედი სახლის უკან, ის-ის იყო შარვალი უნდა გამეხსნა, ქალებმა დიდი ქვაბი გამოათრიეს და მისი ხეხვა დაიწყეს. რაღა უნდა მექნა, იქიდანაც წამოვეთრიე. მიშველე რამე და ჩემზე იყოს შენი პატივისცემა! — ჭირის ოფლი ასხამდა ომარს და სიმწრისგან უკვე კბილებს აკაწკაწებდა.

ილიას სიცილი წასკდა:

— პატივისცემის გარეშეც გიშველი, ძმაო. გადი ისევ სახლის უკან. იქ პატარა ღობეა. გადადი იმ ღობეზე, გადაიარე მეზობლის ბაღჩა და დაინახავ ტუალეტს. იმ ტუალეტთან ნამდვილად არ დაგხვდება რიგი... ასმათ დეიდას სახლშიც აქვს საჭირო ოთახი, ასე რომ, იშვიათად იყენებენ „ჩეჩმას".

— ძმა ხარ! — მიაძახა ომარმა და შურდულივით გავარდა იქით, სადაც „ხსნის ადგილი" ეგულებოდა.

„მაგარი ვყოფილვარ, — ფიქრობდა მეზობლის ტუალეტში ჩაკუზული ომარა — რამდენ ხანს ვითმინე, რამდენი ვიშრომე ამ კუჭაშლილმა კაცმა? მაინც, რამ მაწყინა, ამდენ საქმეში ნორმალურად არც მიჭამია... აა, ალბათ, იმ მკვახე მსხალმა მაწყინა, მომსახურე გოგომ რომ მომაწოდა".

კარგა ხანს იჯდა ასმათ დეიდას მოყანყალებულ, ფიცრულ საპირფარეშოში. თითქმის სულ გადაიკითხა შარშანდელი გაზეთის დახეული ფურცლები, რომელიც დიასახლისს ერთ დიდ, ჟანგიან ლურსმანზე ჩამოეცვა. როცა იფიქრა, ახლა კი გავთავისუფლდიო და ხელი ქაღალდისკენ წაიღო, ქალის გაკაპასებული ხმა მოესმა:

— არ წამოდგე, შე მიწადასაყრელო, დაეგდე მანდ, დამაცადე ცოტა ხანს!

ომარს ხელი ჰაერშივე გაუშეშდა. იფიქრა, ხომ არ მომეყურაო. ცოტა ხანს გაყუჩდა, გაილურსა, მერე ისევ დააპირა წამოდგომა.

— მე რა გითხარი შენ? არ წამოდგე-მეთქი, ვერ გაიგე, შე ოხერო, შენა?! — კვლავ აწიკვინდა ხმა.

ახლა კი ყბა ჩამოუვარდა ომარს. ცოტა ხნის წინ რომ სიმწრის ოფლი მოსდიოდა, ახლანდელთან მონაგონი იყო. შავ დღეში ჩავარდა ბიჭი. აშკარად, ვიღაც უთვალთვალებდა, მაგრამ ვინ? ეს კი ნამდვილად არ იცოდა ომარმა. დიდხანს ჯდომით ფეხები დაუბუჟდა, განძრევას იმ ხმის შიშით ვეღარ ბედავდა, არადა სისხლი ვეღარ მოძრაობდა, წელს ქვემოთ ლამის შეგრძნება დაეკარგა. ხან მუშტი დაირტყა მუხლებზე, ხან იჩქმიტა, მაგრამ დაბუჟებულ ფეხებში ვერაფერს გრძნობდა.

„ჯანდაბა მაგის თავს, რაც არის — არის, იმ ხმას ხომ არ მოვეკვლევინები", — გაიფიქრა გამწარებულმა თბილისელმა და სანახევროდ წამოდგა.

— აი, დამაცადე, მოვიდე მანდა, თუ წკეპლით არ აგიჭრელო ეგ შიშველი ადგილები, ქალი არ ვიყო! — აქოთქოთდა „ხმა".

„არა, ძმაო, ნამდვილად ეშმაკისეულია... რაღა მე გადამეკიდა? მაინცდამაინც კარალეთის მიტოვებულ და დაფახფახებულ ტუალეტში უნდა მომკლას? არა! ვერ ეღირსება ამას!" — საკუთარ თავს შეუძახა ომარმა, ქაღალდისთვის ხელი აღარც უხლია და ნახევრად ჩახდილი გამოვარდა გარეთ. უცებ, ხუთიოდე მეტრში თვალი მოჰკრა მეზობლის შვილიშვილს, ოთხი წლის ლაშას, რომელიც ღამის ქოთანზე იჯდა. ბავშვი აქეთ-იქით წრიალებდა, ქოთანზე ვერ ისვენებდა, კაკლის მტვრევით გართული ბებია ასმათი კი ქოქოლას-ქოქოლაზე აყრიდა ცელქ შვილიშვილს.

— მაცადე-მეთქი, შე არგასაზრდელო; აი, ახლა უკვე მოვრჩი საქმეს და მოგხედავ!

... კაბის კალთის ფერთხვით, ხელში საწმენდ ქაღალდმომარჯვებული ქალი რომ დაინახა, შვებით ამოისუნთქა ომარმა.

■

# დუტა სხირტლაძის „ყვავული“ ჟორნინეგა და 10 წლის მარიამი

ლელა ჭანკოტაძე

**— დუტა, როგორ მოხვდი რუსთაველის თეატრში? რომელ სპექტაკლში ხარ დაკავებული და რა სიახლეებია შენს შემოქმედებით ცხოვრებაში?**

— ალბათ, ნებისმიერი მსახიობის სურვილია, რომ ითამაშოს რუსთაველის თეატრის სცენაზე. მე მგონი, ჩემი კოლეგებიდან უმრავლესობამ სწორედ მაშინ გადაწყვიტა მსახიობობა, როცა ამ თეატრში ნახა ესა თუ ის სპექტაკლი. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. ჩემი დიდი სურვილი იყო, ვყოფილიყავი იმ თეატრის მსახიობი, რომელიც ყველას უყვარს და იზიდავს. არავის მოვუწვევივარ, საკუთარი სურვილით მოვედი. გამიმართლა და ახლა უკვე მეორე სპექტაკლში მაქვს როლი. პირველი, „მეთორმეტე ღამეში“ მქონდა, ახლა „ჰამლეტში“ ვმონაწილეობ. „ჰამლეტსაც“ ბატონი რობიკო სტურუა დგამს. პარალელურად, „თეატრალურ სარდაფში“ ვმუშაობ, სადაც ოთარ ეგაძე დგამს ფრანგულ პიესას — „თოვლი მაისში“. რუსთაველის თეატრთან ერთად ვიყავი ციმბირში — „მეთორმეტე ღამე“ გვქონდა წაღებული. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი, რომელშიც ჩვენ ვიყავით, სულ რაღაც ორმოცი წელია, რაც აშენდა და ჯერ იქაური მცხოვრებლებისთვის თეატრი ახალი ხილია, მაინც დიდი წარმატება გვხვდა წილად. იყო საშინელი სიცივე, 15 გრადუსი ყინვა, ირგვლივ კი — უამრავი გაყინული მწვანე ფოთოლი... ახლა ისევ ციმბირში მივდივართ — ამჟამად, ნოვოსიბირსკში იმართება ფესტივალი. თეატრში ვხუმრობთ ხოლმე: ალბათ, გადასახლებას გვიპირებენ და ამიტომ გვაჩვევს თეატრის დირექცია ციმბირის საშინელ ყინვებს-თქო.

**— დუტა, რაც ტელეშოუ მიგყავს, ალბათ, მტერ-მოყვარე მას შემდეგ მოგიმრავლდა?**

— წესით, მე არ უნდა დამემდურონ — მე ხომ მოთამაშეებზე ვარ დამოკიდებული. წინასწარ ვაფრთხილებ ხოლმე მათ: მეექვსე შეკითხვიდან როგორი პასუხიც არ უნდა გამცეთ, მაინც შეგედავებით, რათა შოუ საინტერესო გამოვიდეს და თამაში დაიძაბოს-მეთქი. ვცდილობ, ტელემაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს მოთამაშეს ვაბნევ. როცა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდები და გაიცნობიერებ, რომ მთელი საქართველო გიყურებს, რა თქმა უნდა, ნერვიულობ. ამიტომ, ყველას, ვინც იმ სკამზე მოხვდება, ასი ლარი

**„მოხდა ისე, რომ მარიამის სურათი ჯერ არც ერთ გაზეთში არ დაბეჭდილა“, — მითხრა დუტამ და მარიამთან ერთად პოზირება დაიწყო.**

**მარიამის შესახებ არც რაიმე დაწერილა ჯერჯერობით. არადა, ის დუტა სხირტლაძის პირველი შვილია პირველი ქორწინებიდან. ამ გოგონას დედა — ირმა გველესიანი, ამჟამად გერმანიაშია, იქ სწავლობს და მუშაობს. პატარა მარიზე კი, დეიდამისი ზრუნავს. საერთოდ კი, რადგან საკუთარი ბინა არა აქვთ, დუტას გარეშე დარჩენილი დედა-შვილი ირმას მამისეულ სახლში ცხოვრობს.**

**მარი IV კლასის მოსწავლეა, მამა ძალიან უყვარს. ზოგჯერ ესიზმრება კიდეც. მარიამისგან განსხვავებით, დუტას სიზმრები არ ამახსოვრდება. იგი ბავშვობაში სიზმარში ხშირად ყადრორის მთიდან სტებოდა და დაფრინავდა. ახლა აბსოლუტურად „გათიშულს“ სძინავს, რადგან გვიან წვება და დილით ადრე დგება. ძილი არ ჰყოფნის, სიზმრებსაც ამიტომ ვერ იმახსოვრებს.**

**დუტას რუსთაველის თეატრის საგრიმიოროში ვესტუმრეთ. პატარა მარიამიც იქ დაგვხვდა. პოპულარობის ზენიტში მყოფი მსახიობი თურმე სულ უფრო იშვიათად იცლის მისთვის, ამიტომ, მარიმ თავად დაურეკა და მამიკოს თავი შეახსენა...**

ეკუთვნის. ამიტომაცაა პირველი ხუთი კითხვა ძალიან იოლი.

**— ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს გადაცემის დამთავრების შემდეგ გამოეთქვას სურვილი: ერთი, დუტა გამალახვინაო და ამ სურვილით შენამდეც მოსულიყო?**

— ასეთი სურვილი გამოუთქვამთ, მაგრამ არავის გავულახივარ. თუ მამაკაცი გადაწყვეტს, რომ გამლახოს, უეჭველად ბავშვობას გავიხსენებ...

**— ბავშვობაში ჩხუბი გიყვარდა?**

— ზოგჯერ ახლაც ვჩხუბობ ხოლმე. ძირითადად, სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს ვეჩხუბები, რომლებსაც შეუძლიათ, ოცდაათი თეთრის გამო ისე დაგამტვრიონ, რომ მერე ველარავინ „აგაწყობს“.

**— დუტა, მაგრად ჩხუბობ?**

— მე კახელი ვარ...

**— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა მიუხედავად იმისა, რომ კახელი ხარ, მაინც მიმხვდარხარ, რომ გასალახი ხარ?**

— სულის სიღრმეში ყოველთვის, როცა ვჩხუბობ, თავს დამნაშავედ ვგრძნობ. საერთოდ, ვცდილობ, ჩხუბს თავი ავარიდო... არც კი ვიცი, რატომ ვსაუბრობთ ამ თემაზე. მე კაცი ვარ და ვჩხუბობ კიდეც, გავლახულვარ კიდეც. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია.

**— შოუმ — „ვის უნდა ოცი ათასი“, დიდი პოპულარობა მოგიტანა. თეატრის ფოიეშიც მითხრეს: დუტა ახლა მოდაშიაო.**

— სანამ ამ შოუს წამყვანი გავხდებოდი, მეკითხებოდნენ ხოლმე: „მოდას თუ მისდევთ?“ კარგია, თუ ახლა თავად ვარ მოდაში: მირჩევნია, მოდა მე თვითონ შევქმნა. თავადვე შევქმნა ცხოვრების ჩემეული წესიც, ჩარჩოებში არ მოვექცე. როცა მსახიობის პროფესიას ირჩევ, უნდა ეცადო, რომ პოპულარული გახდე, რათა ძვირად ღირებულ მსახიობად იქცე. დღეს საქართველოში კინო არ არის. ამიტომ, ტელევიზიას მოაქვს მსახიობებისთვის პოპულარობა.

**— ახლა შენს პირად ცხოვრებაზეც გვიამბე. როგორია პოპულარული დუტა სხირტლაძე ყოფაში?**

— დილით გავდივარ სახლიდან და გვიან საღამოს ვბრუნდები შინ. დასვენების დღეები არ მაქვს. მირჩევნია, ახლა დავიხარჯო და ვიშრომო, ვიდრე შემდეგ ვეძებო სამსახური. ჩემი მეუღლე — მარინა ნაცვლიშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის მოდელირებას და „მცირე აკადემიაში“ — გრაფიკას. პედაგოგი და მხატვარია. სამწუხაროდ, მთელი პრობლემები იქიდან მოდის, რომ ხშირად ვერ ვახერხებთ ერთად ყოფნას. დროის დეფიციტი გვაქვს. ისე გადის დღეები, რომ შვილებს ვერ ვნახულობ.

**— რატომ მოხდა ისე, რომ დუტას სხვადასხვა ქალისგან ჰყავს შვილები?**

— მე მყავს ერთი ცოლი და ორი შვილი.

**— რატომ დაინგრა პირველი ოჯახი? ძნელი იყო განშორება?**

— ჩვენ შვიდი წელი ვიცხოვრეთ ერთად. შემდეგ დავცილდით. მოგეხსენებათ, ოჯახები ინგრევა, ზოგჯერ — არაფრის გამოც...

**— დუტა, როგორი ხარ ოჯახში?**

— აუტანელი — სანამ არ შევჭამ: როცა მშია, ვარ ჯიჯღინა, მოჩხუბარი. თავი მტკივა შიმშილისგან. ზოგჯერ მთელი დღე ყავაზე „ვზივარ“ ხოლმე. როცა შევჭამ, გამოვიხედები თვალებში და ვმშვიდდები კიდეც.



**— ესე იგი, დუტა ვერ იცხოვრებს ისეთ ქალთან, ვინც გემრიელ კერძებს ვერ ამზადებს?**

— სხვათა შორის, მარინამ არ იცოდა ეს საქმე, მაგრამ ახლა ფანტასტიკური კულინარი გახდა. დავურეკავ ხოლმე და გამზადებულს მახვედრებს. თავისი ინიციატივით ისწავლა ყველაფერი. სხვა გზა არც ჰქონდა — ქალმა საჭმელი ხომ უნდა აჭამოს ქმარს?..

**— გამანდე შენი ხასიათის თავისებურება, რომელიც შეიძლება ნაკლადაც ჩაგეთვალოს?**

— ვარ მოუწესრიგებელი, სულ ვურევ ყველაფერს. სამაგიეროდ, მოვითხოვ, რომ სახლი დალაგებული იყოს. როცა ვჩხუბობ: „ეს რატომ დევს აქ?“ — მეუბნებიან: „რატომ დადე?“ — და მაშინ ვხვდები, რომ სულ უმიზეზოდ „ვახურებ“. იოლად ვწყნარდები, არ ვიცი გულში ჩადება. ამგვარი ყვირილი ოჯახში ენერგიის ხარჯვის ერთ-ერთი საშუალებაცაა.

**— თუ გიფიქრია იმაზე, რომ ცხოვრებაში შეცდომები დაგიშვია?**

— აბსოლუტურად ყველა შეცდომას ვაანალიზებ.

**— ხშირად მოგსვლია ისეთი შეცდომა, რომელსაც შენთვის ზიანი მოუტანია?**

— ძალიან ხშირად. მაგალითად, დედაჩემისთვის რაც არ დამიჯერებია, ყველაფერი წინ დამხვედრია. ჩემი ყველაზე კარგი მრჩეველი დედაა.

**— ისეთი შემთხვევა თუ გქონია, როცა ყველაფრის თავიდან დაწყების სურვილი გაგჩენია?**

— ზუსტად ისეთივე გზას გავივლიდი, რა გზითაც ვიარე.

**— ერთი შვილი შენთან ცხოვრობს, მეორე — არა. ნინი შენი სიყვარულით არის გარემოცული, მარის ალბათ ენატრები...**

— ვერ ვიტყვი, რომ ნინის არ ვენატრები: როგორც გითხარი, დილით ადრე გავდივარ, როცა მას ჯერ სძინავს, შინ კი მაშინ ვბრუნდები, როცა უკვე დაძინებულია.

**— ეი. შენი ნახ-**

**ვით არც ერთ შვილს არ ანებივრებ?**

— ჩემი მეგობრები ხუმრობენ ხოლმე: ცოლი კარს რომ გაუღებს, ბავშვი იძახის — აი, ის კაცი მოვიდა, „ოცი ათასი“ რომ მიჰყავსო.

**— თავად როგორი ბავშვობა გქონდა?**

— სახეზე სულ იარები მქონდა. ბიჭები გამუდმებით დავრბოდით მშვილდისრებით და ხან ინდიელებს ვბაძავდით, ხანაც ტარზანს, ხშირად დავგორებულვარ 30 მეტრის სიმაღლიდან. ამიტომაც, არ გამიჭირდა და ზაზა კოლელიშვილის ფილმის გადაღებაზე დუბლიორის გარეშე გავაკეთე ტრიუკები. მინდა, ბელმონდოსნაირი მსახიობი ვიყო, რომელსაც კასკადიორი არ სჭირდება.

**— შენი მშობლები ახლაც თელავში ცხოვრობენ?**

— კი, იქ არიან. ჩემი ძმაც — გიორგიც იქ ცხოვრობს. მე სკოლის დამთავრებისთანავე წამოვედი თბილისში, იმ წელსვე ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში და მერე უკან აღარ დავბრუნებულვარ, რადგან იქ ცხოვრება ჩამკვდარია. თუ პროფესიაში რაიმეს გინდა მიაღწიო, დედაქალაქში უნდა იცხოვრო.

**— ქალებს ჩუმ-ჩუმად თუ უყურებ ხოლმე?**

— ქალებს თამამადაც შემიძლია ვუყურო.

**— და კიდევ ერთხელ დაანგრიო ოჯახი? თუ თქვენს ოჯახს ეს საფრთხე არ ემუქრება?**

— ეს პრობლემა ნამდვილად არ გვიდგას: მე მგონია, რომ ქალებისადმი მამაკაცის ინტერესი სავსებით ჯანსაღი მოვლენაა. როცა ლამაზი ქალი მოდის, ვუყურებ და ვამბობ კიდეც: დედა, რა ლამაზია-მეთქი!

**— „პავაროტში“ თუ დაგიყენებია ქალი?**

— არა.

**— არც შენ დამდგარხარ?**

— როგორ არა? შეყვარებულობის პერიოდში ხეზეც ავმძვრალვარ. ყვავილებიც მიკრეფია, ეკლიანი. თუ მიყვარს — მიყვარს მთელი გულით.

**— შეიძლება, ისეთ ქალთან იცხოვრო, რომელიც არ გიყვარს?**

— არა, ვინ გაძალებს, ისეთ ქალთან იცხოვრო, რომელიც არ გიყვარს?!

**— განქორწინებიდან რამდენ ხანში შეირთე მეორე ცოლი?**

— ნახევარ წელიწადში. სამი თვის გაცნობილი მყავდა. მარიამი მაშინ ხუთი წლის იყო.

**— დუტა, რით ერთობი ხოლმე?**

— ისეთი მობილური ტელეფონი მაქვს, რომელშიც თამაშებია ჩაწერილი.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— ვხატავ, დედა მყავს მხატვარი. მარიამიც ხატავს. მე ხეზე ჭრა უფრო მიყვარს. როცა საქმე არ მქონდა, მაშინ ვისწავლე.

**— შეყვარებულისთვის ლექსები თუ გიწერია?**

— რა თქმა უნდა! მაშინაც მიწერია, როცა შეყვარებული არ ვყოფილვარ.

**— რაზე ოცნებობ?**

— მოკლე, მოკლე „ცხოვრებებით“ ვცხოვრობ. მე არ მაქვს ერთი კონკრეტული მიზანი ცხოვრებაში. დღეს ვცხოვრობ იმ მიზნით, რომ რასაც ახლა ვაკეთებ და რისთვისაც ვიხარჯები, კარგად ჩამთავრდეს. მერე ახალი საქმე გამოჩნდება და ახალი მიზანიც გაჩნდება. ოცნება არ გამაჩნია.

**— სუფრასთან როგორი ხარ?**

— საშინელი. თუ ვსვამ — ვსვამ უზომოდ. ამიტომ, ვცდილობ, არ დავლიო. თან, ბავშვობიდან ვსვამ. მერვე კლასში „შატალოზე“ ვიპარებოდი ხოლმე, რომ დამელია... საერთოდ, ცამეტი წლიდან უკვე საკუთარი შემოსავალი მქონდა და დამოუკიდებლად ვარსებობდი: მე და ჩემმა მეგობრებმა ჩამოვაყალიბეთ როკ-ჯგუფი „ღამურები“. კონცერტებს ვმართავდით. მე ვუკრავდი და ვმღეროდი, ახლა მხოლოდ სუფრასთანღა ვმღერი. ჩვენს კონცერტებზე სულ ანშლაგები იყო.

**— დუტა, თელავში შეყვარებული თუ გყავდა?**

— კი. მეშვიდე კლასშიც მყავდა შეყვარებული და პირველი ცოლის მოყვანამდეც. სულ ოთხჯერ ვიყავი შეყვარებული.

**— გამორჩეულად, როგორი თვისება გხიბლავს ქალში? რა მიგაჩნია ქალის ყველაზე დიდ ღირსებად?**

— უბრალოება, დახვწილობა, გემოვნება.

**— რა ღირსებებს ხედავ შენს ცოლში?**

— მე ის მიყვარს! ■



# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

**1. სად ააგეს პირველი თგომავალი გემი?**

ა) იტალიაში;
ბ) აშშ-ში;
გ) ავსტრალიაში.

**2. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში გაიმართება:**

ა) პორტუგალიაში;
ბ) ესპანეთში;
გ) ვატიკანში.

**3. ვის ახმოვანებს „დიდების ზღაპარში“ „პა-სეანსელი“ ბესო ბერულავა?**

ა) ედუარდ შევარდნაძეს;
ბ) ზურაბ ჟვანიას;
გ) ჯაბა იოსელიანს.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

ნინო ხარაგიშვილი



**მოგეხსენებათ, დღეს ჩვენში პოროსკოპების ბუმია. ამდენად, საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მაინც, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შეხვედრა კაცთან, რომელსაც შეუძლია, ზოდიაქოს ნიშნის შესაბამისად, მკურნალი პატიოსანი ქვა შეურჩიოს. მხედველობაში მყავს გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ზაურ ქოქრაშვილი, რომელიც ავი თვალისგან დამცველი მარადიული ენერგიის მატარებელი და ძლიერი ენერგეტიკული ველის მქონე, მკურნალი ქვების მესაიდუმლე გახლავთ.**

# „ხელი ფეხს რომ აბროვებდა, მე ქვებს ვაბროვებდი“

**— ბატონო ზაურ, ქალებს ხშირად „გვაყვედრიან“ — მამაკაცებზე მეტხანს ცოცხლობთო. ამ სიკეთეს ძვირფასი ქვებით ჩვენს ლამის თანდაყოლილ გატაცებასაც ხომ არ უნდა ვუმადლოდეთ?**

— სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით, ქალები ბარე 10-15 წლითაც ჩამოგვიტოვებენ უკან მამაკაცებს. მიმაჩნია, რომ ეს ბუნებრივი, ძვირფასი ქვების წყალობაცაა. ქალი ენერგიის თითქმის იდეალური მიმღებია. პატიოსანი ქვა კი, რომლითაც მას ასე უყვარს თავის შემკობა, როგორც ყველაფერი ბუნებრივი ამქვეყნად, დადებით ენერგეტიკულ წყაროს წარმოადგენს.

**— მამაკაცების საქმე როგორ-ღაა?**

— მამაკაცი ენერგიის გამცემია. ამასთან, ცნობილია, იგი ნაკლებად წყალობს ბუნებრივ ქვებსა და სამკაულებს, ამ სქესთა შორის ბიოენერგეტიკულ დისბალანსს დღეს ქუჩაც საუკეთესოდ აფიქსირებს: ზედაპირული დაკვირვებითაც კი შეამჩნევთ — ჩვენი მამაკაცები სრულიად ენერგიადაშრეტილები არიან. მათ უმეტესობას ბიოენერგეტიკა აქვს დარღვეული.

**— რას ურჩევდით მათ? თავს როგორ უშველონ?**

— იცით, რა მახსენდება ყველაზე ტკბილად ბავშვობიდან? როგორც კი გადაიკარებდა ხოლმე, გამისტუმრებდა დიდედა ახალ ნაწვიმარზე ეზოში ფეხშიშველს — მიწის ენერგიას მიიღებო... ჩვენი ბიოენერგეტიკის უმთავრესი პრობლემაც ეს არის: ბუნებასთან კავშირი დავკარგეთ — ხეს ვეღარ ვეხებით, მიწას ფეხს ვეღარ ვაკარებთ, სუფთა ჰაერს ვეღარ ვსუნთქავთ. მამაკაცებს ვურჩევდი, მოსულიყვნენ ჩვენთან და შეერჩიათ სატარებლად საკუთარი ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით პატიოსანი ქვები. ეს ბუნებრივი საშუალება მათ მამრულ თვითდამკვიდრებასაც წაახალისებს: სამკურნალო ქვები პოტენციაზეც ეფექტურად მოქმედებს. გავიხსენოთ თუნდაც ობსიდიანი. ვულკანური წარმოშობის მარადიული ენერგიის მატარებელი ეს მინა ჩვენში უხსოვარი დროიდანვე სწორედ მამრთა ხელში ტრიალებდა — ისინი მისგან დანებისა და შუბების პირებს იმზადებდნენ.

**— ბატონო ზაურ, როდის აღმოაჩინეთ და ირწმუნეთ ქვათა „სამკურნალო ნიჭიერება“?**

**ვახტანგ მეექვსის შეკვეთით დამზადებული ასტრალობი (ხელსაწყო) ქართული წარწერით, რომლითაც ამოწმებდნენ ასტროლოგიურ გამოთვლებს**

— არ მინდა, ბანალური ვიყო, მაგრამ ამ თვალსაზრისით, პირველი დიდი შთაბეჭდილებები სწორედ ბავშვობაში მივიღე, ბაბუისგან და დიდედისგან — ორივენი ბუნების ნამდვილი შვილები იყვნენ. ბაბუაჩემი მთვარის კალენდრის მცოდნე კაცი იყო, დიდედა თითქმის ყველა ბუნებრივ ქვას ცნობდა და ამ ქვებით ცოტ-ცოტას მკურნალობდა კიდეც. თუმცა კი პატიოსან ქვათა სამკურნალო ბუნების აღიარება მაინც მხოლოდ მეუღლის საბედისწერო ავადმყოფობის მერე შევძელი.

ჩვენ კოლეგები ვიყავით, ჯერ კიდევ მესამეკურსელები დავქორწინდით. გეცოდინებათ, გეოლოგები ლოკოკინებივით ვართ: სულ გზაზე ვკიდივართ საძილე ტომრებაკიდებულები. ერთხელაც, ჯერ კიდევ ალჟირში სამუშაოდ წასვლამდე, ეგვიპტეში ფირუზისქვიანი ბეჭედი ვუყიდე. საქართველოში ახალი დაბრუნებულები ვიყავით, როცა უეცრად, ფირუზი გაშავდა. არ გასულა ხუთიოდე წელიწადი და მეუღლე სერიოზულად დამიავადდა. იმ სენმა შეიწირა კიდეც. მისმა აღსრულებამ საგონებელში ჩამაგდო. უნებურად დავიწყე თავის დარწმუნება იმაში, რომ პატიოსანი ქვა, შესაძლოა, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ენდოკრინულ ცვლილებებზე რეაგირებდეს. მაშინ ჩავუჯექი პატიოსან ქვათა ენერგეტიკის, მათი სამკურნალო უნარ-ჩვევების, მათი ხელით დამუშავების უძველესი ქართული ტექნოლოგიის შესწავლას.

**— ეს ტექნოლოგია, ვგონებ, სამი ათას წელსაც ითვლის. საინტერესოა, რამდენ ბუნებრივ ქვას იყენებენ საიუველირო საქმეში?**

— დღეისთვის 200-მდე ასეთი ქვაა ცნობილი. მათში 45 სამკურნალო ქვაა, ამ 45-დან 16 კი, ადამიანისა და დრო-ჟამის მიერ საფუძვლიანად არის გამოცდილი. ისინი ბიბლიურ ტექსტებშიც კი მოიხსენიება.

**— კონკრეტულად, რომელ ტექსტებში?**

— როგორც ახალ, ისე ძველ აღთქმაში. მაგალითად, ძველ აღთქმაში, „გამოსვლის“ 28-ე (მე-17, მე-20 კარები) და 39-ე (მე-10, მე-13 კარები) თავებში, სადაც ლაპარაკია პირველი მღვდელმთავრის აარონის შესამოსელის გაწყობაზე, ისე, როგორც ეს უფალმა მოსეს უბრძანა, — დასახელებულია 12 პატიოსანი ქვა: ლალი, ტოპაზი, ზურმუხტი, ფირუზი, საფირონი, იასპი, იაგუნდი, აქატი, ამეთვისტო, ქრიზოლითი, ონიქსი და ბერილი. რაც შეეხება ახალ აღთქმას, იქ, იოანე ღმრთის მეტყველის გამოცხადების 21-ე თავში (მე-12, მე-20 კარები) ჩამოთვლილია ასევე, 12 პატიოსანი ქვა, ოღონდ ამჯერად ეტლთა (ზოდიაქოს ნიშანთა) მიხედვით. ეს ქვებია: იასპი, საფირონი, ქალკედონი, სმარაგდი, სარდონიკი, სარდიონი, ქრიზოლითი, ბერილი,

ტოპაზი, ქრისოპრასი, ჰიაკინთი, ამეთვისტო. მე ვცადე იმ თორმეტთა შეჯერება და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ქვის სახელწოდება მეორდება. ამიტომ ჯამურად, მივიღე 16. სწორედ ამ რაოდენობის პატიოსანი ქვა მოიხსენიება ბიბლიაში.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ „გამოცხადებაში“ ჩამოთვლილი 12 პატიოსანი ქვა, ასევე 12 ეტლს ანუ ზოდიაქოს ნიშანს შეესატყვისება.**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა შეგახსენოთ, რომ მთელი ეს ინფორმაცია ქვათა სამკურნალო თვისებებზე, ჩვენი კარაბადინებიდან და საქიმო წიგნებიდან მაქვს ამოკრებილი. წეღანაც ვახსენე აშკარად გამოკვეთილი სამკურნალო უნარ-ჩვევების მქონე 45 ქვა. ქვებით დღემდე უმდიდრესია ჩვენი ბუნებრივი გარემო. მე შევეცადე, ისინი ზოდიაქოს ნიშნებზე გამენაწილებინა. არაჩვეულებრივი სქემა გამოვიდა. მივყვეთ თანმიმდევრობით: ვერძის ნიშნით დაბადებულისთვის სასარგებლო ენერგეტიკის ქვაა იასპი, კურისთვის — საფირონი, მარჩხიბისთვის (ტყუპები) — ქალცედონი, კირჩხიბისთვის — ზურმუხტი, ლომისთვის — სარდონიქსი (სარდიონის ფრცხილი), ქალწულისთვის — სარდიონი, სასწორისთვის — ქრიზოლითი, ღრიანკალისთვის — ბივრილი, მშვილდოსნისთვის — ტოპაზი, თხის რქისთვის — ქრიზოპრასი, მერწყულისათვის — იაგუნდი, ხოლო თევზისათვის — ამეთვისტო.

**— ასტროლოგიას, განსაკუთრებით საეკლესიო წრეებში, დღემდე არ აკლია ოპონენტი...**

— მე ამ დამოკიდებულებას საუკეთესოდ ვიცნობ. 1998 წელს გამოცემულ ბროშურაში — „ასტროლოგია, ანუ დიდი სიცრუე“ წერია, რომ „ლექსიკონები და ენციკლოპედიები“ ასტროლოგიას ცრუ მეცნიერებას უწოდებენ. მიჩნდება სურვილი, ამის დამწერს ვკითხო: საბჭოთა ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში? იმდროინდელში, როცა გენეტიკასაც დევნიდნენ?.. იცით, რა ტექსტი მიჩვენეს პირველად ხელნაწერთა ინსტიტუტში? უძველესი ქართული ასტროლოგიური კალენდარი, რომლითაც რომაულის შემოღებამდე, მთელი მართლმადიდებელი საქართველო სარგებლობდა. ხელთ მაქვს აკადემიკოს ევგენი ხარაძის მიერ შედგენილი სია ასტრონომიულ-ასტროლოგიური ხელნაწერებისა, რომელიც იმავე ინსტიტუტის ფონდებშია დაცული: მათი ორი მესამედი ასტროლოგიური შინაარსისაა. იქვე შეგიძლიათ მოიძიოთ 1188 წლით დათარიღებული უნიკალური ტრაქტატი — „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“. მასში კონკრეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეტლები — ანუ ზოდიაქოს ნიშნები არის მოცემული. გავიხსენებ აგრეთვე ვახტანგ მეექვსის უნიკალურ, ასტროლოგიურ მემკვიდრეობას — მაგალითად, მისეულ თარგმანს თემურ ლენგის შვილიშვილის — ულუყ-ბეგის ასტროლოგიური ნაშრომისა. სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დღემდე ინახება ვახტანგ მეექვსის ძის — უფლისწულ ბაქარის ჰოროსკოპი, რომელიც თავად სწავლულ მეფეს შეუდგენია. ანტონ კათალიკოსის მიერ გამოცემულ „წყობილსიტყვაობაში“ არის 67 სტროფიანი ქება თავად ანტონ პირველისა, მისი მოწაფის სიონის არქიმანდრიტის ოსეს მიერ. ხოტბა შედგენილია ასევე 12 ეტლის მიხედვით. კალისტრატე ცინცაძის ცნობით, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის თაღზე, სანამ მას გენერალი ტოლმასოვი „რუსულად“ შეათეთრებინებდა, გამოსახული ყოფილა ქრისტეს 12 მოწაფე, ზოდიაქოს 12 ნიშანთან ერთად... ამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართული მართლმადიდებლობისთვის ასტროლოგიური ცოდნა არასდროს ყოფილა უცხო და მიუღებელი.

**საერთაშორისო გამოფენაზე (მარცხნიდან მეორე — ზაურ ქოქრაშვილი)**



**1188 წლით დათარიღებული ტრაქტატის „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ ხელნაწერი გვერდი**

**— ბატონო ზაურ, გასაგებია, რომ ბუნებრივი ქვა თავისი კეთილისმყოფელი ენერგეტიკით ადამიანზე დადებითად მოქმედებს, მაგრამ რამდენად დადებითად მოქმედებს მასზე თავად ადამიანი?**

— რა თქმა უნდა, ადამიანის, განსაკუთრებით, უკვე დაავადებული ადამიანის ბიოველი, თავის მხრივ, ქვაზეც ახდენს ზემოქმედებას — იგი ინისლება, ნათელი ხაზები უმუქდება, ფერს იცვლის — შავდება კიდეც. ეს ყველაფერი ორგანიზმში ავადმყოფობის დაწყებას მოასწავებს. სხვა შემთხვევებიც არის, როცა ბუნებრივ ქვას ერღვევა ენერგეტიკა. ამის მიზეზი მისი დამმუშავებელი ოსტატის არცთუ ისე ჯანსაღი ბიოველიც შეიძლება იყოს. დაუშვებელია სხვისი ნაქონი ძვირფასი ქვების ტარება, რადგან ბუნებრივ ქვას ჩვეულებრივ, უჭირს ახალი პატრონის ბიოველთან შეგუება. ამასთან, იგი თავისი ყოფილი პატრონის ავადმყოფობაზე, შესაძლოა, გარდაცვალების მიზეზად ქცეულ ავადმყოფობაზეც, გარკვეულ ინფორმაციას ინახავს. ასე რომ, ასეთი სამკაულები აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს უარყოფითი ინფორმაციისა და ენერგეტიკული ხარვეზებისგან, ანუ ისინი აუცილებლად უნდა გასუფთავდეს. ამ სამსახურს ჩვენს მინერალოგიურ აფთიაქში პროფესორი ნოდარ მამისაშვილი გაგიწევთ: მას აქვს ორიგინალური აპარატი, რომლითაც ქვის ენერგეტიკა განისაზღვრება.

**— დღეს ჩვენში ხელოვნური ქვების არნახული არჩევანია, განსაკუთრებით — ინდური „ძვირფასეულობის“ მოძალება იგრძნობა. რას გვეტყვით მათზე?**

# ადამიანის ფილოსოფია

ენა ყველას აქვს, ჭკუა კი — ცოტას

*კატონ უფროსი*

ვინც მეტისმეტად ხშირად იხედება უკან, იოლად წაჰკრავს რამეს ფეხს და დაეცემა.

*ერიხ მარია რემარკი*

ნურც დაუდგები ბედს ჯიქურ წინა,
ნურც გაექცევი! იმედით სავსე
წინ შეეგებე ლაღად და მშვიდად
გაგიყოლიებს ცხოვრების გზაზე.

*იოჰან ვოლფგანგ გოეთე*

უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.

*შოთა რუსთაველი*

ჩვენ იშვიათად ვფიქრობთ იმაზე, რაც გვაქვს, მაგრამ ყოველთვის ვწუხვართ იმაზე, რაც არა გვაქვს.

*არტურ შოპენჰაუერი*

უხამსი კაცი დახვეწილ სიტყვებს ისევე არ იკარებს, როგორც ქვა სამართებელს.

*ალექსანდრ პოპი*

უდიდესი შეცოდება ჩვენი თანამემამულეების მიმართ — ეს არის არა სიძულვილი, არამედ მათი ბედისადმი გულგრილობა.

*ოსკარ უაილდი*

აშკარა მტერი სჯობს სულმდაბალ ფარისეველსა და მლიქნელს, რომელიც თავისი უმსგავსობით ამახინჯებს კაცობრიობას.

*პეტრე I*



— ხელოვნურად ანუ ქარხნული წესით დამუშავებული ქვებით შემკული ოქროს სამშვენისებით „ძველ დროშიც“ საკმაოდ გვანებივრებდნენ. დღეს ეს ტენდენცია გაძლიერებულია. ხშირად ჩავდივარ ხოლმე „ოქროს ბირჟაზე“, საიუველირო სალონებში და გული მიკვდება, როცა ვხედავ, რამდენი სამკაული იყიდება მკვდარი ფირუზებით, მკვდარი სარდიონებით, მკვდარი მარგალიტებით დამშვენებული. ასე ვიტყვი: თუ ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბიჟუტერია არაფერს მოგცემთ, ხელოვნური მეთოდებით დამუშავებულმა ბუნებრივმა ქვამ სერიოზული ზიანი შეიძლება მოგაყენოთ. ჩვენთან მოუტანიათ ასეთი ქვები შესაბამისი სომატური ჩივილებით. გაგვისინჯავს ქვა და ხელოვნური, შესაბამისად — უარყოფითი ენერგიის აღმოჩენილა: ეს განსაკუთრებით ითქმის ინდურ ქვებზე, რომელსაც დოლური მეთოდით ამუშავებენ. ჩვენი მამა-პაპა ხელით ამუშავებდა ბუნებრივ ქვებს. ჩვენც მხოლოდ ამგვარად დამუშავებულ სამკურნალო ქვებს გთავაზობთ.

**— გიშერზე რას გვეტყოდით? მართლაც ასეთი უნივერსალური დამცველია ავი თვალისგან?**

— ეს თვისება ყველა ბიბლიურ ქვას აქვს მიმადლებული, თუმცა, ფართო მასებში ამ თვისებით გიშერი უფროა ცნობილი. არადა, ქვის ტარებას ცოდნა უნდა: იგი აუცილებლად მფლობელის ზოდიაქოს ნიშანს უნდა შეესაბამებოდეს. მაგალითად, გიშერი არ არის რეკომენდებული ჰაერისა და ცეცხლის სტიქიების „მატარებელთათვის“, რადგან მათი ბიოენერგეტიკა გაცილებით უფრო ძლიერია, ქვა აუცილებლად დაზიანდება — დაიწვება ან გასკდება. იგი მხოლოდ წყლისა და მიწის ნიშნების ქვეშ დაბადებულებმა უნდა ატარონ.

**— ამ ბოლო ხანებში ჩვენთან უამრავი გიშრის ჯვარი გამოჩნდა. ალბათ თქვენ მიერ ნათქვამი მათზეც ვრცელდება?..**

— ამ ჯვრებზე საგანგებოდ მინდა გავამახვილო ყურადღება. თავად ჯვრის ფორმა მხოლოდ დადებით ენერგიას იძლევა, მაგრამ ამას წინათ, ბატონმა ნოდარმა გაზომა ამ ჯვრების — ფაქტობრივად, დაპრესილი გიშრების — ენერგეტიკა და ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პასუხი მიიღო. ასეთ შედეგს არაფრით არ ველოდით. საინტერესოა, ვინ და რა წესით აწარმოებს მათ...

**— თავად თქვენ უფრო მეტად, რომელი ქვების დამუშავებას ამჯობინებთ?**

— რა თქმა უნდა, უპირველესად, „ბიბლიურისას“. ბიბლიაში მოხსენიებულ თითოეულ ქვას ათამდე სამკურნალო თვისება მაინც აქვს. ჩვენ შევარჩიეთ ქვები, სულ ცოტა, ოთხი სამკურნალო თვისებით. სხვებსაც ვამატებთ ხოლმე — მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებულებს, რომელიც ქართული ხატების შესამკობად იყო გამოყენებული.

**— არ გიჭირთ მათი შოვნა?**

— გახსოვთ ალბათ, წლები, როცა ხალხი ფულს ტომრებით აგროვებდა. მე მაშინ ქვებს ვაგროვებდი. ტუაფსედან დერბენდამდე, მთელი კავკასიის ხეობა — გზაწვრილები მაქვს ფეხით მოვლილი, ქვა არაუღებელი და ეკლესია — კარშეუღებელი... ეკლესიაზე მომაგონდა: ღვთისმშობლის სახელობაზე აგებული ერთი ჩინებული ეკლესია დაღესტანშიც კი ვიპოვე! ლეკმა მასპინძელმა წამიყვანა — „წამო, ზაურ, ცოხ ვნახოთო...“ თან 27 სანთელი აღმომაჩნდა. ყველა იქ დავწვი...

■

**ბრინჯაოს ფიგურები — ზოდიაქოს ნიშნები**

**ქალაქში ჯიბის ქურდების შემოსევაა. დაძრწიან ყველგან: ტრანსპორტში, ბაზრობებზე, კონცერტებზეც კი — ერთი სიტყვით, იქ, სადაც ხალხმრავლობაა და თავიანთ პრობლემებზე ჩაფიქრებული კაცები, ჭორაობით გართული ქალები და უდარდელი თინეიჯერები, საკუთარ ჯიბეებსა და ხელჩანთებს უყურადღებოდ ტოვებენ.**

**ჯიბის ქურდი, რომელიც თავს „პროფესიონალს“ უწოდებს, საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში გავიცანი. ჩემდა უნებურად, მისი თანამზრახველის როლში აღმოვჩნდი: ვაგზლის მოედანზე მეტროდან ამოსულს, ერთი კაცი მომიახლოვდა და ზრდილობიანად მითხრა — თქვენს ხელჩანთაში დევს ნივთები, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით და, თუ შეიძლება, დამიბრუნეთო!.. გავოგნდი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, მაინც ჩავიხედე ხელჩანთაში და... ექვსი სხვადასხვანაირი საფულე აღმოვაჩინე. მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების მცდელობას აზრი არ ჰქონდა: ჯიბგირი პოლიციაში თავისი ფეხით ნამდვილად არ წამომყვებოდა. ბედს შევურიგდი და ნაძარცვის, ინტერვიუში გაცვლა შევთავაზე. ჯერ იუარა, მერე კი, „ბარტერით“ დაინტერესდა და დამთანხმდა.**

# ვიქვს საფულეები გაცვლილი ინტერვიუ

*ნანა ქიბიშაური*

**— ის, რაც ჩემს ხელჩანთაში აღმოჩნდა, ისევე არ გეკუთვნით თქვენ, როგორც მე. რომ არ მოგცეთ, რას იზამთ?**

— შეგიძლიათ მშვიდად იყოთ — პოლიციაში ნამდვილად არ წაგიყვანთ.

**— მაშ, გმადლობთ და ნახვამდის. მგონი, აქ გაცილებით მეტი თანხა იქნება, ვიდრე ჰონორარი, რომელიც ამ ინტერვიუში უნდა მივიღო...**

— მაშინ მეც დავაზუსტებ: თუ წასვლას დააპირებთ და ჩემს მონაპოვარს ნებით არ დამიბრუნებთ, ვეცდები, ფაქიზად წაგართვათ.

**— გასაგებია. მოდით, ისევ ინტერვიუს დავუბრუნდეთ. მიგიციათ როდესმე ინტერვიუ?**

— არასოდეს, მაგრამ გამოგიტყდებით, ბავშვობაში ვოცნებობდი, ცნობილი ადამიანი გავმხდარიყავი, ინტერვიუები და ავტოგრაფები მერიგებინა... ხან მინდოდა, მარადონასავით ფეხბურთელი გავმხდარიყავი, ხანაც — „ბითლზის“ მსგავსი ჯგუფის ჩამოყალიბებაზე ვოცნებობდი. მერე ქიმიამ გამიტაცა და ახალი ელემენტის აღმოჩენაზე დავიწყე ფიქრი. ერთ დღეს, ჩემს ძმაკაცს ყრუ-მუნჯთა სკოლაში გავყევი, სადაც მისი და სწავლობდა. მახსოვს, ზამთარი იყო და ციდან უზარმაზარი ფანტელები ცვიოდა. ყრუ-მუნჯთა სკოლიდან გამოსული, გახეულ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ფეხებგაყინული მივაბიჯებდი სახლისკენ და ვოცნებობდი: მე რომ დიდი მეცენატი გავხდებოდი, ლამაზად ჩავიცვამდი და ასე გამოპრანჭული, ბავშვებს საახალწლო საჩუქრებს დავურიგებდი. მათ შორის ყველაზე კარგ საჩუქარს, ალეკოს დას გადავცემ-მეთქი, ვფიქრობდი. საოცრად ლამაზი იყო, უფრო ლამაზი გოგო მე ჯერ არ მინახავს.

**— შეგიყვარდა?**

— ერთი ნახვით! ჯერ ჩუმად ვუთვალთვალებდი. მერე კი, შუამავალი გამოვნახე და დავბარე: გადაეცი, რომ მიყვარს და ცოლად მინდა მოვიყვანო-მეთქი. ამის შემდეგ, ერთი-ორჯერ შევხვდი კიდეც. ისე ველაპარაკებოდი, რომ ვიცოდი — არ ესმოდა, მაგრამ მაინც ვლაპარაკობდი, ის კი მიყურებდა და ტიროდა... მერე გათხოვდა — ყრუ-მუნჯ ბიჭს გაჰყვა ცოლად.

**— დაიმსხვრა ყველა ოცნება და ვარსკვლავთბიჭუნა ჯიბის ქურდად იქცა...**

— არა, ამის გამო არ ვქცეულვარ ჯიბის ქურდად — მანამდეც ვიყავი.

**— კი მაგრამ, რამდენი წლის იყავი, ქურდობა რომ დაიწყე?**

— დაბადებიდანვე „კარმანშჩიკი“ ვარ.

**— ასეთი რამ არ არსებობს...**

— გამოდის, რომ მე გამონაკლისი ვარ. ბავშვობიდანვე ერთი ინტერესი მკლავდა: რა ედოთ იმ ბიძიებს ჯიბეში, ჩვენთან რომ მოდიოდნენ. საკიდართან სკამს მივადგამდი ხოლმე და მათ პალტოებს ისე ვჩხრეკდი. რაც მომეწონებოდა, ჩემთვის ვიტოვებდი, რაც არ მაინტრესებდა — ისევ ჯიბეში ვაბრუნებდი. ხშირად სხვის ნივთებს სხვის ჯიბეში ვაწყობდი ხოლმე და მეგონა, ვერავინ გაიგებდა, მარტოდ დარჩენილი რას ვსაქმიანობდი.

**— ამის გულისთვის არ „გხვდებოდა“ ხოლმე?**

— კი, ხანდახან „მხვდებოდა“ კიდეც — ძირითადად, მაშინ, როდესაც ბაბუა სახლში არ იყო. მისი გაზრდილი ვარ. მამა რომ გარდამეცვალა, 4 წლის ვიყავი. ბაბუაჩემიც ჯიბის ქურდი იყო. აი, ის იყო ნამდვილი პროფესიონალი! ტრაბახი უყვარდა ცხონებულს. ადესის მეტს, არაფერს სვამდა. შეთვრებოდა, დამიძახებდა და მეტყოდა: შენ არ შეგრცხვეს, ბაბუ, ეს საქმე კაცის გაჩენის დროინდელიაო... მე ვეკამათებოდი: აბა, რას ამბობ, ბაბუა, პირველყოფილ ადამიანს სად ჰქონდა ჯიბე, ტიტველი დარბოდა-მეთქი. აი, ნამდვილი „კარმანშჩიკობაც“ ეგ არის — კაცს ჯიბე რომ არ აქვს და მაინც „ჯიბიდან“ ამოაცლიო... მე ჩემი ხელოვნებით რამდენჯერაც მყავს ბერია სირცხვილს გადარჩენილი, იმდენი დღე შენ მოგემატოსო. იმას კი აღარ ჰყვებოდა, როგორ, სად და რა ვითარებაში ჰყავდა ბერია სირცხვილს გადარჩენილი.

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ჩალის ზვინს ბჯა ეწოდება.
2. ფეტვის ბურახს ბოზას ეძახიან.
3. ჭინჭარი ჭიანჭველამჟავას შეიცავს.
4. კუნძული კურასაო ნიდერლანდებს ეკუთვნის.
5. თაფი, ჭუკი და ალჩუ „კოჭობანას“ ტერმინებია.
6. ახალყოილნი – ასე უწოდებენ ახალდაქორწინებულ ქალ-ვაჟს ფშავში.
7. მკვდარი ზღვა ზღვის დონიდან 400 მეტრით დაბლა მდებარეობს.
8. ახალზელანდიურ ცხვრებს ბუნებრივი მტერი არა ჰყავთ, რის გამოც ფარებად- ცხოვრების ინსტინქტი აქვთ დაკარგული.

9. „კარგი მეკარე მაშინ გახდები, როცა მიხვდები, რომ „დინამოს“ კარში კი არა, დარიალის კარში დგახარო“, – ამ სიტყვებით სერგო კოტრიკაძეს ბორის პაიჭაძემ მიმართა.
10. იაპონელი კამიკაძეები მეორე მსოფლიო ომში ამერიკელ საზღვაო ფეხოსანთა გადაუჭრელ პრობლემად იქცნენ. მათ უმრავლესობას ამერიკელები ჰაერშივე ანადგურებდნენ, მაგრამ გადარჩენილები მოწინააღმდეგეთა რიგებში სიკვდილსა და საშინელ პანიკას თესდნენ.
11. სახელგანთქმული რუსი იუმორისტი, მიხაილ ზადორნოვი მასხრად იგდებდა საბჭოთა „პერესტროიკას“. ერთ-ერთ გამოსვლაში, სადაც იგი ამერიკელ ტელეწამყვანს ასახიერებდა, ასეთი კითხვით მიმართა თავის რუს კოლეგას: „იზვინი, ვლადიმირ, ია ნე ხარაშო ზნაიუ რუსკი იაზიკ ი ნე პონიალ ადინ ვეშჩ, ტი სკაზალ, კაგდა ვაშა პერესტროიკა პობედიტ, უ ვას ბუდეტ პო ჩეტირე კილოგრამა მიასა... ნა ჩელავეკა, ილი ნა ჩელავეკე?!“
12. ოდესმე არ გინატრიათ სხვა ქვეყანაში, მაგალითად, ჰოლანდიაში რომ დაბადებულიყავით? – ჰკითხეს ერთ სუფრასთან გიორგი დანელიას. – ჰოლანდიაში რომ დავბადებულიყავი, ჩემ გვერდით ახლა ჰოლანდიელები ისხდებოდნენ და რა თავში ვიხლი, როდესაც მათ ნაცვლად თქვენ გხედავთ?! – უპასუხა რეჟისორმა.
13. იმ ხუთ მილიონ სამხედრო ტყვეთაგან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა იგდეს ტყვედ, ცოცხალი მხოლოდ ორი მილიონი გადარჩა.
14. პატარა ბუს ბუკიოტი ჰქვია. ბუკიოტზე პატარას – ბუკნაჭო.





**— ისე მიყვებით ბაბუათქვენზე, თითქოს რაიმე კეთილშობილური ხელობა ჰქონდა. რამდენი ადამიანი ეყოლება თქვენს გვარს გამწარებული?! ცოდვა 7 თაობაზე გადადის, შთამომავლობას რაღას ერჩით?**

– ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრებაში. რა ვქნათ, ჩემი გვარი ვერ იმათხოვრებს. ისევ ის გვირჩევნია, ხელი გავანძრიოთ, გავრისკოთ და ისე დავლიოთ შამპანური.

**— თქვენი შვილი და შვილიშვილიც დიდი ბაბუის იდეებით გაიზრდება?**

– ჩემი შვილი სულ სხვანაირ ოჯახში და სხვანაირი იდეებით იზრდება, მაგრამ ჯიბის ქურდობა განსაკუთრებული შემთხვევაა – გენებით გადადის. მე მაგალითად, ჯიბე „მეძახის“. ყველასთან კი არ მივდივარ – მივდივარ მხოლოდ იმასთან, ვისი ჯიბეც „დამიძახებს“. მე ვსჯი ჭორიკანა ქალებს, ჩაფიქრებულ კაცებს, მთვრალებს და მატრაკვეცებს: მე მათ ვაფხიზლებ და ცხოვრებას ვასწავლი. რა არის ამაში ცუდი? 5-10 ლარი არ ღირს გამოცდილების შეძენა? იცით, როგორ განსხვავდებიან ადამიანები, რომლებმაც რაღაც დაკარგეს, მათგან, ვინც ჯერ არ გაგვიქურდავს? ალბათ არ დამიჯერებთ – ცხოვრებაში სხვა არაფერი მიმითვისებია: მაგიდაზე ბრილიანტი რომ დამიდო, იმას არ ავიღებ, იმიტომ, რომ ის სხვისი ასაღებია. აი, ჯიბეში თუ ჩაიდებ – ეს სხვა ამბავია. ამასაც ხშირად, ცნობისმოყვარეობისა და სიამოვნების გამო უფრო ჩავდივარ, ვიდრე ფულის გამო. „კარმანშჩიკობას“ სხვანაირი კაიფი აქვს. როცა სხვის ჩანთაში ან ჯიბეში შევაცურებ თითებს, ისეთივე სიამოვნებას განვიცდი, როგორსაც სქესობრივი აქტის დროს...

**— მგონი, თქვენ კლეპტომანიაზე უარესი დაავადება გჭირთ.**

– უარესი შეიძლება, მაგრამ კლეპტომანი ნამდვილად არ ვარ. ერთს ასეთს ვიცნობდი. საწყალს, სახლში არავინ უშვებდა. არადა, თუ არაფერს მოიპარავდა, „ლომკა“ ეწყებოდა და ცუდად ხდებოდა. ბრწყინვალედ თამაშობდა ჭადრაკს. პარტიის დასრულების შემდეგ კი, ეტლს ან დედოფალს ჯიბისკენ გააპარებდა ხოლმე – სხვაგვარად არ შეეძლო და რა ექნა.

**— შინაურებმა თუ იციან, რით ინახავთ ოჯახს?**

– სახლში მხოლოდ დედა მყავს. იცის ეს ამბავი და სულ ბაბუას წყევლაშია. საფლავშიც არ ასვენებს იმ პატიოსან კაცს... ამ ბოლო დროს, წნევამ შეაწუხა ძალიან. არ მინდა ვანერვიულო. ფული როცა მიმაქვს, ვეუბნები – ლაბორატორიაში პრემია მოგვცეს-მეთქი. ისე, მართლა მინდა დასვენება. ეთერზეთების სახდელი აპარატი გამოვიგონე. ახალი და ძალიან საინტერესო კონსტრუქცია გამომივიდა. პატენტის აღებასაც ვაპირებ და თუ გამომივიდა, მაშინ მართლა გავანებებ ამ საქმეს თავს. არ მინდა „სროკი“ ავიკიდო: თუ ერთხელ ჩაგავლო პოლიციამ, მერე სულერთია, იპარავ თუ არა – მაინც „სტავკას“ დაგიწესებენ.

**— ახლა არავინ გყავთ წილში?**

– ჩვენთან ასეა: ჯერ წაიმუშავებ, მერე ჩაგავლებენ, მერე სამუშაო უბანს „იყიდი“, მერე ყოველთვიური მისატანი უნდა მიუტანო მათ, ვინც ამ უბანზე გამუშავებს. არის ადგილები, საიდანაც პოლიცია თვეში 500 ლარს იღებს. მე არავისთან არ ვარ არც წილში და არც ვალში: თვალში ზედმეტად არავის ვხვდები, 2-3 თვეში ერთხელ ვაწყობ „გაქროლების კვირეულს“ და ეგ არის.

**— ერთი „გაქროლების კვირეულიდან“ რამდენი გრჩებათ ხოლმე?**

– გააჩნია – ხან 100, ხანაც – 500 ლარი.

**— გაქვთ რაიმე „საფირმო“ მეთოდი?**

– კი, ძალიან კარგად მაქვს დაცდილი „მარშრუტკებში“ კართან ჯდომა. მეტროსთან ყოველთვის ბევრი ხალხი ჩადის. როდესაც მძღოლისკენ გადაიხრებიან და ფულს აწვდიან, მაშინ „ვმუშაობ“. ეს ძალიან სახიფათოც არის: 12 კაცის ცხვირწინ მოქმედებ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამ ფინტს ყველაზე კარგად მე ვაკეთებ.

**— კოლეგებზე რას იტყვით?**

— ვერ ვიტყვი, რომ კარგი თაობა მოდის: ღიად მუშაობენ და მათ ყველა სახეზე ცნობს. არც იმ საქმის პატრიოტები არიან, რასაც აკეთებენ. ოღონდ ფული იყოს და „სველ საქმეზეც“ ისეთივე ბრიყვული სიფათებით წავლენ, როგორითაც ჯიბეებს ასუფთავებენ. ქართველებს ამ საქმეში სხვანაირი ტრადიციები გვაქვს: ჩვენებური ჯიბგირები ქალაქის ნამდვილი კოლორიტები იყვნენ — საკეთებელს ლამაზად აკეთებდნენ. ერთხელ, ბაბუასთან მოვიდა მისი კოლეგა და სთხოვა — ერთი კაცის მოძებნაში უნდა დამეხმაროო. თურმე, წამლის რეცეპტები გამოაყოლა ხელს და იმის დაბრუნება უნდოდა. არ ვიცი, რა რეცეპტი იყო ამისთანა. 4 დღეში იპოვეს ის კაცი და მარტო რეცეპტი კი არა, წამალიც მიუტანეს... „დინამომ“ თასების მფლობელთა თასი რომ მოიგო, გახარებულმა ბაბუამ თქვა: სტადიონზე ხელი აღარასოდეს წამიცდებაო. სიცოცხლის ბოლომდე შეასრულა თავისი სიტყვა. მისი პატივისცემით, არც მე წამცდენია სტადიონზე ხელი... „ახლებისთვის“ დღეს არაფერია წმინდა. ამ საქმის ოსტატებს ნაღდად ვერ უწოდებ. ისინი ხალხს აშინებენ, შეშინებულები კი, ნებაყოფლობით აძარცვინებენ თავს. ამას წინათ, ერთს ვუყურებდი მეტროში. როგორც წესია ისე — ცელოფანის პარკში გახვეულ გაზეთს აფარებდა ხელს და ისე „მუშაობდა“. ქალის ხელჩანთაში ჩაძვრა. ის ქალი კარის მინაში ხედავდა ყველაფერს და არ იძვროდა. იმავე ანარეკლიდან „კარმანშჩიკიც“ თვალმოუცილებლად უყურებდა ქალს... ეს არის თავხედობა, ტერორი და არა ოსტატობა. ასე არ გინდა-მეთქი?! — ვიფიქრე და იმ „კარმანშჩიკს“ ისე ამოვაცალე ჯიბიდან თავისი ნაცოდვილარი, რომ ვერაფერი გაიგო. აი ასე ვცხონდი.

— **თქვენ არასოდეს დაუჭერიხართ ფაქტზე?**

— კი, იყო რამდენჯერმე ასეთი შემთხვევა, მაგრამ მოვახერხე და „გავქრი“.

— **ცნობილი ადამიანებიდან თუ გაგიძარცვავთ ვინმე?**

— მიშა სააკაშვილს უყვარს მეტროთი მგზავრობა. ძნელი საქმე იყო — მთელი ვაგონი მას და მის თანმხლებ ტიპებს შეჰყურებდა, მაგრამ ისე შევედი აზარტში, კანკალი დავიწყე. ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე. 7 ლარი ედო ჯიბეში, 5 ამოვაცალე, 2 ლარიანი კი დავუტოვე. ნოდარ ნათაძეს კი, პირიქით, ჯიბეები რომ მოვუსინჯე, აღმოვაჩინე, რომ 60 თეთრის მეტი არ ჰქონდა. ავდექი და 10 ლარიანი ჩავუდე: კარგი კაცია, პატიოსანი — ალალი იყოს...

— **კიდევ ხომ არ გაიხსენებდით რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას?**

— რამდენიც გინდა! ამას წინათ, ერთ ქალს მთელი ორი საათი ვდიე. მომეჩვენა, რომ ფულით გატენილი საფულე ჰქონდა. როგორც იქნა, გავუჭერი ჩანთა და ამოვაცალე. პრეზერვატივების მეტი, შიგ არაფერი იყო. არ გადამიგდია, ყოველი შემთხვევისთვის, სახლში წავიღე. მერე, რომ გავხსენი, რას ვხედავ? — რაღაც თეთრი ფხვნილია შიგ. გავსინჯე და — ჰეროინი! აღარ ვიცოდი, როგორ მომეშორებინა თავიდან.

— **დარწმუნებული ვარ, პოლიციას არ ჩააბარებდით.**

— პოლიციას საკმარისი ჰეროინი აქვს... თუ დამიჯერებთ, მტკვარში გადავყარე.

— **ჯერ მითხარით, რომ თქვენი შვილი სხვანაირი იდეებით იზრდება, მერე ის, რომ სახლში მხოლოდ დედა გყავთ. ცოლთან გაყრილი ხართ?**

— არის ჩემს ცხოვრებაში ერთი ქალი. გათხოვილია. სხვათა შორის, საკმაოდ ცნობილი კაცის ცოლია. ის ქალი და ის კაცი ჩემს შვილს ზრდიან, თუმცა, კაცმა ამის შესახებ არაფერი იცის.

— **კარგით, გადმოგცემთ ახლა თქვენს „შენაცოდარს“. თუმცა, დამშვიდობებისას საქმიანობაში წარმატებებს ნამდვილად ვერ გისურვებთ.**

— ნუ შეწუხდებით. ჩემი მონაპოვარი უკვე ჩემთანაა.

*სასწრაფოდ გავხსენი ჩანთა: შიგ საფულის მეტი აღარაფერი იყო. ამ კაცის ნდობა მართლაც არ შეიძლებოდა — სასწრაფოდ გავხსენი საფულე და ჩემი უკანასკნელი ხუთლარიანის დაბრუნება მოვითხოვე, თან შევარცხვინე — ასეთი გულითადი ინტერვიუს შემდეგ, ჩემი გაკურდვა როგორღა იკადრეთ-მეთქი?! უბრალოდ, მინდოდა ჩემს პროფესიონალიზმში დარწმუნებულიყავით, თორემ 5 ლარი არც გამამდიდრებს და არც გამაღარიბებსო, მიპასუხა.*

*P.S. არა, ამ ხალხს ნამდვილად უნდა მივხედოთ — ხელისუფლებამაც და საზოგადოებამაც. ნამდვილი შემოსევაა, ყველგან დაძრწიან — ტრანსპორტში, ბაზრობებზე, კონცერტებზე... უფრთხილდით მამაკაცებს, რომლებიც ცელოფანის პარკში გახვეული გაზეთებით დადიან, განსაკუთრებით კი — საშუალო სიმაღლის, წვერმოშვებულ და მელოტ კაცს ერიდეთ — ნამდვილი პროფესიონალია.*

■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეიჩა დვალი
### უბის წიგნაკიდან:

15. სიმღერები ცნობილი მულტიპლიკაციური ფილმისთვის „მაუგლი“ რობერტ და რიჩარდ მენშენების დაწერილია.

16. „სპორტს მხიარულება უხდება. მე რომ სერიოზული კაცი ვიყო, მილიონი მაყურებლის წინაშე „ტრუსიკით“ გამოვიდოდი?!“ — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ლევან თედიაშვილმა.

17. სიმდიდრის ღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში პლუტოსი ჰქვია. P.S. იგი ბრმა არის.

18. ამაზონის წითელი ჭიანჭველები ხშირად თავს ესხმიან მეზობელ ტომებს და ჭუპრებს იტაცებენ. ამ ჭუპრებს საგულდაგულოდ უვლიან და იქიდან დაბადებულ ჭიანჭველებს მონებად აქცევენ. ეს მონები მთელ თავის სიცოცხლეს მტრის სამსახურში ატარებენ, ხოლო როცა ბერდებიან და კვდებიან, წითელი ჭიანჭველები ახალი ჭუპრებისა და მონების მოსაპოვებლად მორიგ ლაშქრობას აწყობენ.

19. „კაცი კაპუცინების ბულვარიდან“ ანდრეი მირონოვის უკანასკნელი ფილმი იყო.

20. ხილ-ბოსტნეულით და ტკბილეულით მოვაჭრეს საქართველოში ბაყალს ეძახდნენ, ფართლეულით მოვაჭრეს — ბაზაზს.

21. „მთელი მისი ბურჟუაზიულობის მიუხედავად, მასში არ არის თვალთმაქცობის არც ერთი ნამცეცი“, — ამბობდა ბრიჟიტ ბარდოს შესახებ საფრანგეთის ყველაზე სერიოზული მსახიობი ჟან გაბენი. P.S. კინოდან წასვლის შემდეგ ბრიჟიტ ბარდომ გარშემო ცხოველები შემოიკრიბა. ისინი მისგან არაფერს მოითხოვდნენ და ადამიანებისგან განსხვავებით, მისთვის არასოდეს უღალატიათ.

22. ალფრედ ტემპლი ტომ სოიერმა ქალაქში ჩამოსვლის პირველსავე დღეს მიეჟეჟა.

23. ლიდიელ სწორუპოვარ ფეიქარ ქალიშვილს ბერძნულ მითოლოგიაში არაქნე ერქვა. მან თვით ათენა გამოიწვია შეჯიბრში და საკუთარ ნაქსოვში ღმერთთა სასიყვარულო ამბები ჩააქსოვა. განრისხებულმა ათენამ ქალიშვილი ობობად აქცია და მიაძახა: ასე ეკიდე სამუდამოდ შენს ნაქსოვზეო. P.S. ობობების პანიკურ შიშს ექიმები არაქნეფობიას ეძახიან და ეს სახელიც ამ მითიდან მომდინარეობს.

■

**თავბრუდამხვევი სისწრაფით გაირბინა ოცმა წელიწადმა. მხოლოდ ოცჯერ იფეთქა და აყვავდა ნუში. მერე დრო გაჩერდა და გაიყინა. ოციოდე გაზაფხული იკმარა და წავიდა.**

**კიდევ ერთმა ჭაბუკმა ანაცვალა სიცოცხლე მამულს; კიდევ ერთმა ქართველმა დედამ ჩაიცვა შავი; კიდევ ერთმა ქალმა დაკარგა უძვირფასესი საჩრდილი.**

# „სამუდამო ღამისთვის

# არ მემეტება ოცი წლის ბიჭი...“

*ნათია ტყემალაძე*

არჩილ მიშველაძე 1973 წლის 25 აგვისტოს დაიბადა. პატარას იავნანასთან ერთად, აკვანშივე ჩაუნერგეს ის საოცარი თვისებები, რითაც ყველასგან გამოირჩეოდა. სითბოსა და სიკეთეს ვერ იტევდა ჭაბუკის გული. ვაჟკაცურად, მაგრამ საოცრად თავმდაბლურად დადიოდა თბილისის ქუჩებში. ვინც არ იცნობდა, ვერც კი მიხვდებოდა, რომ ის ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მწერლის, რევაზ მიშველაძის ერთადერთი ვაჟი იყო.

სპორტის სიყვარული მამამ პატარაობიდანვე ჩაუნერგა. სამი წლის იყო, როცა პირველად თხილამურებზე დადგა და ბაკურიანში კოხტაგორიდან დაეშვა.

როგორც კი მიხვდებოდა, რომ სპორტის ერთ სახეობაში ყველაფერი ამოწურა, თავს ანებებდა. სპორტის ოსტატობის კანდიდატი იყო ტყვიით სროლაში, პირველთანრიგოსანი — სათხილამურო სპორტსა და ჩოგბურთში.

აჩიკო ხშირად მოგზაურობდა საქართველოს მთასა თუ ბარში. ნადირობა მისი გამორჩეული ჰობი იყო. სანადირო ტანისამოსში გამოწყობილი, შუა საუკუნეების ნამდვილ რაინდს მოგაგონებდათ. პირველ გასროლას მამას უთმობდა ხოლმე, მერე თვითონ გააყოლებდა ლულას ცაში აჭრილ ფრინველს და პირველივე გასროლით ჩამოაგდებდა ძირს.

სპორტის წყალობით, აჩიკო საოცრად ძლიერი და უშიშარი გახდა.

შეუძლებელი იყო, სუსტსა და დაჩაგრულს არ გამოსარჩლებოდა. ყოველგვარი უთანხმოების ჩახშობას ცდილობდა, რის გამოც ხშირად, თვალჩალურჯებული და პერანგშემოხეული ბრუნდებოდა ხოლმე შინ.

ჯერ კიდევ პატარა ბიჭს, საოცარი შუქი ჩაუდგებოდა ხოლმე თვალებში, როცა მამა „ვეფხისტყაოსნის“ საგმირო ეპიზოდებს უკითხავდა...

მამა-შვილს საოცარი მეგობრობა ჰქონდა. ხშირად ნახავდით ერთად სპორტულ მოედნებსა თუ თეატრებში, თითქმის ყველა ახალი სპექტაკლის პრემიერაზე.

ცხრა წლის აჩიკოს იმდენად მოსწონებია თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული რუსული ესტრადის ერთ-ერთი ვარსკვლავი, რომ კონცერტიდან დაბრუნებული, მშობლებს მთელი საღამო ეკითხებოდა: პატარა ბიჭს რომ დიდი ქალი შეუყვარდეს, ცოლად თუ გაჰყვებაო? აჩიკოს კითხვას მშობლების ირონიული პასუხი მოჰყვა, რის შემდეგაც თავის თავში ისე ჩაიკეტა, რომ მისი სიყვარულის შესახებ არავის აღარაფერი სმენია...

დრომ საოცარი სისწრაფით გაიარა. სკოლა ფრიადებზე დაამთავრა. მამის რჩევით, მისაღები გამოცდები ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა.

დღე დღეს მისდევდა. ერთი წლის შემდეგ, დედამ მაინც თავისი გაიტანა და აჩიკო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტიც გახდა. ორ უმაღლესში სწავლობდა პარალელურად, ორივეგან — წარჩინებით.

ამ დროს ომი დაიწყო...

აჩიკომ ხელში იარაღი აიღო და სახლიდან გაიპარა. პირველად, თითწაგლეჯილი ჩამოვიდა აფხაზეთიდან. მეორედ ყურის აპკი გაუსკდა და კანტუზიით დაბრუნდა. ყურის მძიმე ოპერაციის შემდეგ, კვლავ ფრონტზე გაეშურა. მესამედ და უკანასკნელად, „მაშველთა კორპუსის“ წევრად ჩაება ომში.

იბრძოლა სოხუმში, ოჩამჩირესთან, კოდორის ხეობაში... საოცრად მოკლე აღმოჩნდა მისი ცხოვრების გზა. 1993 წლის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღეს), ბრძოლის დროს, დაჭრილი უკრაინელი მოხალისის გამოსაყვანად შევიდა ცეცხლის რკალში და ნაღმზე აფეთქდა.

„... ბაჩი... რა სწრაფად გარბოდა დრო შენთან ერთად. რა თავბრუდამხვევი სიჩქარით მიგვაქროლებდი მე და დედაშენს. რა მუხლგლეჯით მოგდევდით. როგორ მოგვახვიე თავს შენი დაუოკებელი ტემპერამენტი და ვულკანის გრგვინვა-ფრქვევა. როგორ გაიქროლა ოცმა წელმა და, თითქოს, ჰაერში თოკი ჩაგვიჭერი. თითქოს-და მოგწყინდა ჩვენთან ერთად ფრენა. საშინელ სიჩუმეში გამოღმა ნაპირზე დაგვყარე, შენ კი გასწიე და გაუჩინარდი...

... დრო გაჩერდა ჩვენთვის, ბაჩი...“

**რეზო მიშველაძე:**

*— დაღუპვიდან ოთხი დღის შემდეგ დამირეკეს — დაჭრილია და იქნებ, ქუთაისში ჩამოხვიდეთო. ჩემს ცოლს გავუარე და წავედით. გული ცუდს მიგრძნობდა, მაგრამ დაჯერება არ მინდოდა. აჩიკო შვეულმფრენით ქუთაისში ჩამოუსვენებიათ. მორგში ოთხი დღე-ღამე ყოფილა*

*დასვენებული... რომ შევედი, ორმოცდაათამდე დამწვარი გვამი დავინახე, შუაში აჩიკო ესვენა. ამდენი დამწვარი გვამის ფონზე, გეგონებოდათ, სძინავსო. გული სულ გამოგლეჯილი ჰქონდა ჩემს ბიჭს...*

*ვეუბნებოდი, არ წახვიდე-მეთქი. არ დამიჯერა. აჩიკო მოტყუებული არ ყოფილა — კარგად იცოდა, რაზეც მიდიოდა. ისიც კარგად იცოდა, რომ ეს უთანასწორო ომი იყო: იმპერია გვებრძოდა და ქართველები განწირულები ვიყვით. იცოდა, რა ურჩხულიც გვებრძოდა, მაგრამ მაინც წავიდა ბრძოლის ველზე. ქართველი ყოველთვის ასე აკეთებდა — სულ უთანასწორო ბრძოლაში ებმებოდა და იმარჯვებდა კიდეც.*

„... ყოველ ღამე, ზუსტად ოთხ საათზე, ერთგული მაღვიძარასავით, ძილბურანში წამომაგდებს რაღაც, თითქოს ხელი წამკრესო და საწოლზე წამომჯდარი შენს ფართო ბეჭებს და ბეჭს ქვემოთ, მუჭისხელა ღია ჭრილობას ვხედავ. ჭუბერში მოყინულ ფეხის თითებზე დახვეულ ნაცრისფერ ნაჭერს ვხედავ. მორგში ბეტონის საწოლიდან ჩამოვარდნილ შენს ვეებერთელა, უღონო მარჯვენას და ტკივილიან გაკვირვებას — გაცივებულ სახეზე. ეს სურათი გამომეცხადება რიჟრაჟშეპარულ შუაღამეზე და თვალს ჭერისკენ გამიშტერებს ხოლმე“.

როცა სამშობლოს მთლიანობასა და ერთიანობას საფრთხე დაემუქრა, აჩიკო მიშველაძე იქ დადგა, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო. ომში თავი არ დაუზოგავს. გაოცებაში მოჰყავდა მებრძოლი ბიჭები. აალებულ სოფლებში მთელი გულით ეხმარებოდა ბავშვებს, ქალებს და უმწეო მოხუცებს. სხვებთან ერთად გადაიარა „ტანჯვის ბილიკი“ და სვანეთში ჩავიდა.

„... ვერა და ვერ შევეგუები იმას, რომ შენ სულ ოცი წლის იქნები. როგორ მინდა წარმოგიდგინო ტანსრული, თმაშეთხელებული, ცოლ-შვილით დახუნძლული, დღიური საზრუნავით შეწუხებული, ჩემსავით ნაჯანჯღარევი ცხოვრების ეტლისაგან და დაღლილ-დაბერებული. შენ ოცი წლის ასაკში გაგიჩერდა საათი და გაგეყინა შენი წილი წუთისოფელი...“

სოხუმში მეომრებთან ჟურნალისტმა გოგონამ მიირბინა — თბილისიდან დარეკეს, აქ მწერალ მიშველაძის შვილი ყოფილა, შტაბში ეძებენ, დღესვე თბილისში უნდა გაფრინდესო.

რატომ უნდა გაფრინდესო? — უკითხავს აჩიკოს. ვერ გეტყვით, მგონი, დედა თუ მამა შეუძლოდ გამხდარა ნერვიულობისგანო... მიშველაძე ჩვენთან არავინ არისო — მტკიცედ უთქვამს აჩიკოს, მერე გოგონა ხეივნის ბოლომდე გაუცილებია, უკან დაბრუნებული კი, იღიმებოდა — ვიცი, მე ჩემი მშობლების ამბავიო. თანამებრძოლებს სწორედ მაშინ შეუტყვიათ, რომ აჩიკო მწერალ მიშველაძის შვილი იყო...

ჯერ კიდევ სოხუმის დაცემამდე, თავის დასახსნელად დაძრული მოსახლეობის დასახმარებლად, თვითონაც დაადგა ჭუბერის გზას. ხუთი კილომეტრი ზურგით უტარებია მოხუცი მიცვალებული ქალი. თვითონ დაუსაფლავებია და წაბლის ხისგან ულამაზესი ჯვარიც გამოუთლია — აი, როგორი გული ჰქონდა ოცი წლის მეომარ ბიჭს.

„... ამ ბოლო დროს, გაზაფხულს სასაფლაოზე ვხვდებით. ჩვენ მხოლოდ სასაფლაოს გაზაფხულს ვიცნობთ. საოცარია, სასაფლაოზეც ისეთი ნაზი და შემპარავად მათრობელა, მშვენიერი და რაღაცნაირი, ჯიუტად მომხიბვლელი, ყოვლის დამყოლიებელ-დამმორჩილებელია გაზაფხული“...

აჩიკო სიცოცხლეშივე იყო წარდგენილი ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე. სკოლას, სადაც სწავლობდა, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსან არჩილ მიშველაძის სახელი მიენიჭა. რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში მისი სახელობის სტიპენდია დაარსდა. მრავალ სკოლაში მისი კუთხეა მოწყობილი. თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩასაც ვაკეში არჩილ მიშველაძის სახელი ეწოდა.

თითქმის ყველა ქართველ პოეტს ჭაბუკისადმი მიძღვნილი ლექსი აქვს დაწერილი. ეს სტრიქონები შოთა ნიშნიანიძეს ეკუთვნის:

„შენ გაეპარე მყუდრო ლოგინს და მყუდრო ოთახს,
და იმ წუთიდან აღარ იყავ დედის შემბრალე,
შენს სინდისს თურმე საცრისტოლა თვალები ჰქონდა
და სინდისს ალბათ ამიტომაც ვერ გაეპარე...“

სიკვდილის წინ არაფერი უთქვამს. ჯიბეში ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ედო — მამის ბარათი, ბატონმა რეზომ დაღუპვამდე ათი დღით ადრე რომ გაატანა ჭუბერისკენ მიმავალ შვეულმფრენის პილოტს: „შვილო, აჩიკო, ხმა მოგვაწვდინე, დედაშენი ჯავრით აღარ არის — შენი მამა“.

„... საოცარია, ბაჩი, ყველაფერი დარჩა ამქვეყნად: შენი ცალთვალა დურბინდი, მუხლებგამოგლეჯილი ჯინსი, პატარა ქაღალდის ნაგლეჯიც კი, წარწერით „დედა, სამზე მოვალ!“ შენ კი... მხოლოდ და მხოლოდ შენ აღარ ხარ... შენი ლოგინი არ აგვილაგებია, ისეა გაწყობილი, როგორც დატოვე. შენს საოლზე დედაშენი არავის აწვენს. ხანდახან, დარდი რომ გაუსაძლისი ხდება,მე შევიპარები ხოლმე და შენს თავსასთუმალზე ვემხობი.

ცივია შენი ბალიში, ბაჩი“.

გავა წლები. მრავალი გაზაფხული აამწვანებს ჭაბუკების სისხლით დაცული მამულის სანახებს... აჩიკოსნაირი ბიჭები დაიბადებიან და იცოცხლებენ...

ვუყურებ ჩემს ყოფილ მასწავლებელს და ვფიქრობ: რატომ დაიქცა მისთვის ქვეყანა?! რატომ აღარ შევა მის სახლში აჩიკო?!

გული ამეწვა და სული მთლად ამეწეწა. საოცრად ამაფორიაქა თავისი ნაფერები „ბაჩის“ მონატრებული მამის ცქერამ...

„... ცოდვა ხარ... სიკვდილისთვის ძალიან ლამაზი ხარ, სამუდამო ღამისთვის არ მემეტები ოცი წლის ბიჭი, მამიკო“.

მჯერა, რომ აჩიკო მიშველაძის სახელი ყველა ქართველის გულში დარჩება. მის მაგალითზე თაობები გაიზრდებიან. აჩიკომ ხომ ჩვენი კეთილდღეობას შესწირა ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე. ■



**მამა-შვილი რეზო და არჩილ მიშველაძეები**

# ცივილიზაციისგან მორმონ

1997 წლის 23 ივლისს ამერიკელმა მორმონებმა საზეიმოდ აღნიშნეს გადასვლა აღმოსავლეთიდან დასავლეთში. თანამედროვე ამერიკა ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქვეყნის გზებზე მოძრავ უცნაურ პროცესიას. ხის პატარა საზიდრები, ჩარდახები, ცხენოსნები და ფეხით მოსიარულეები ილინოისიდან იუტამდე ასობით კილომეტრზე იყვნენ გაჭიმულები.

ასორმოცდაათი წლის წინ ახალგაზრდა ფერმერმა ჯოზეფ სმიტმა სამუშაო კომბინეზონი მქადაგებლის ტანსაცმელზე გაცვალა, მეზობლები შეკრიბა და გამოაცხადა, რომ მთელი ტექნიკური პროგრესი ეშმაკისეულია, ქალაქებში ცხოვრება კი — ცდუნება. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჯოზეფის მამას ფაბრიკაში ორთქლის ურომ ხელები დაუმსხვრია და ის ტკივილისგან მიღებული შოკისგან გარდაიცვალა. შერწუნებულმა ჯოზეფმა გადაწყვიტა, ყოველგვარი კავშირი ვაეწყვიტა გარე სამყაროსთან და ნაცნობებსაც მოუწოდა, მიებაძათ მისთვის. ასე გაჩნდა მორმონთა პირველი საზოგადოება.

გუშინ ისინი ბიძაშვილები იყვნენ, ახლა კი, უკვე ცოლ-ქმარია



მქადაგებელმა სმიტმა „მორმონების წიგნი" დაწერა („მორმონი" ერთ-ერთ ადგილობრივ დიალექტზე „თაფლოვან ფუტკარს" ნიშნავს). ნაშრომში მან თავისი მსოფლაღქმა გადმოსცა და ამტკიცებდა, რომ ტექნიკური პროგრესი იმდენადვე უცხოა ადამიანისთვის, რამდენადაც მგალითად, საქორწინო კავშირი. წიგნი ამ საზოგადოების ბიბლიად იქცა. ჯოზეფის ფერმის შორიახლოს აშენდა ეკლესია — უბრალო ქვის სახლი, ყოველგვარი, მორთულობის გარეშე, რომელშიც მხოლოდ ხის სკამები იდგა. პირველივე ქადაგებაზე, ადამიანის მიერ დაგროვილი ცოდნა, სახელმწიფოებრივი ძალაუფლება და ნებისმიერი სხვა რელიგიური მიმდინარეობა დაგმეს, ეკლესიას კი, იესო ქრისტეს განკითხვის დღის ეკლესია უწოდეს. ასე დაიწყო მკაცრი წესების მქონე საზოგადოების ცხოვრება: მინდვრების დამუშავების დროს არანაირ ტექნიკას არ იყენებდნენ, მხოლოდ შინ ნაქსოვ ტანსაცმელს იცვამდნენ, სპირტიანი სასმელები და ყველანაირი გართობა აკრძალულ ხილად იქცა.

საზოგადოება ძირითადად, მასში გაჩენილი ბავშვების ხარჯზე იზრდებოდა, ჯოზეფ სმიტის მქადაგებლები პოლიგამიას (მრავალცოლიანობას და მრავალქმრიანობას) ქადაგებდნენ. ახალი წევრები საზოგადოებას იშვიათად ემატებოდა — მხოლოდ ერთეულები თუ იტყვიან უარს ნორმალურ ცხოვრებაზე ნორმალურ საზოგადოებაში. საძმოს ქალებს ოჯახის შექმნის იმედი არ აქვთ — საუკეთესო შემთხვევაში, გოგონა ცოლად ნათესავს ან მეზობელს მიჰყვება. რამდენიმე კვირის ან რამდენიმე თვის თანაცხოვრების და დაორსულების შემდეგ, ქალი ხშირად, მარტო რჩება. გათხოვების შემდეგ, უბრალო, ყვავილებიან კაბას ის მუქ ყავისფერზე ან შავზე ცვლის, თავზე კი, ჩაჩს ან თავშალს ირგებს. როცა დრო მოუწევს, ქალი ექიმის დაუხმარებლად შობიარობს. რთულ შემთხვევებში, მშობიარე ახლომდებარე ქალაქის საავადმყოფოში შეიძლება წაიყვანონ. ჩვეულებრივ, 15 გაჩენილი ბავშვიდან ცოცხალი სამი ან ოთხი რჩება ცოლმე.

პოლიგამიის მიზეზით, მორმონებს ეკლესიაც დევნიდა და სახელმწიფოც. აშშ-ის აღმოსავლეთში, განვითარებულ ქალაქებს შორის სექტის არსებობა გაუსაძლისი გახდა. მორმონების გარშემო განვითარებულ

| პოეტი შურმან ... | ქვეყნიერება (ძველებურად) | საქართველოს ერთ-ერთი კუთხე | ნაგებობა მდინარის წყალსაცავებზე | რომის იმპერატორი, რომელმაც სენატში ცხენი შეიყვანა | საქმიანობა |
|---|---|---|---|---|---|
| ლ ე ბ ა ნ ი ძ ე | ყ ო ნ ი | ჯ ო ხ ი ა ს ტ ი | ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა | ნ ე ბ ო ვ ა ნ ი | ბ ი ზ ნ ე ს ი |
| ნახევარი ნიგოზი | მაგ ... | სამშენებლო მასალა | ყავის ჯიში | ვეიენ ... | მსხლის ჯიში | ხასიათი, ბუნება |

# ნდგომილი ...ბეი



მორმონთა თანამედროვე ეკლესია სოლტ-ლეიკ-სიტიში

ტრადიციული წინასატრაპეზო ლოცვა

მორმონთა ქალაქს სტუმრები ეწვიენენ; შესაძლოა, ეს მათ საბოგადოებაში მატებასაც ნიშნავდეს

მოვლენებს ლინჩის წესით სმიტთან გასწორებამ დაუსვა წერტილი: 1827 წლის 23 ივლისს, მორმონებმა რამდენიმე საათში აიკრეს გუდა-ნაბადი და დაადგნენ გრძელ გზას დასავლეთისკენ. ცხენებ და კამეჩებშებმული ხის ურმებით ხალხი უცნობ მხარეს მიემართებოდა, რათა ცივილიზაციას გარიდებოდა.

გზაში მორმონებს ბევრი უბედურება გადახდათ თავს, მაგრამ 1847 წლის 24 ივლისს 600-იდან 148 ადამიანმა ე.წ. მლაშე ტბებს მიაღწია და მორმონების მთავარი ქალაქი — სოლტ-ლეიკ-სიტი დააარსა. 20 წელიწადში საზოგადოება 60 ათასი ადამიანით დასახლებულ ქალაქად გადაიქცა.

ჯოზეფ სმიტის შეხედულებების მიმდევარი ადამიანი საცხოვრებელსაც პოულობდა იქ და საქმესაც.

1997 წლის ივლისში მორმონებმა თავიანთი წინაპრების გმირობის გამეორება გადაწყვიტეს. იმავენაირი ხისბორბლიანი ურმებით, ცხენებით, შინ ნაქსოვი ტანსაცმლით, ახლა უკვე 600 ათასი მორწმუნე იუტას დედაქალაქში შევიდა. თავიანთი გზა მათ სამ თვეში დაფარეს, მსვლელობა კი ილინოისიდან — სწორედ იმ ადგილიდან დაიწყეს, სადაც, თავის დროზე ჯოზეფ სმიტი აწამეს.

დევნის მიუხედავად, მორმონების მიმართ ინტერესი არ ცხრება და სექტანტებს მიმდევრები უჩნდებათ. დღესაც შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ნებით ამბობენ უარს დიდი ქალაქის ყოველგვარ სიკეთეზე, გაურბიან რადიოს, ტელევიზიასა და მანქანებს.

მამაკაცები მძიმე ფერმერულ შრომას ეწევიან, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ტოვებენ საცხოვრებელ ადგილს, არ აინტერესებთ, რა ხდება მსოფლიოში, იშვიათად სვამენ ადგილობრივ ლუდს. ბავშვებს მხოლოდ უმარტივესი ტექსტის წერა-კითხვას ასწავლიან, რათა მათ ლოცვების დაზეპირება შეძლონ.

ბევრ გაუთვითცნობიერებელ ადამიანს მორმონების ქალაქი ნიბაყოფლობითი გადასახლების ადგილს აგონებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იქაური მცხოვრებლებისთვის დრო 150 წლის წინ გაჩერდა, მაგრამ ეს მათი ცხოვრებაა, რომელიც მათთვის ცაში ასასვლელ კიბეს ნიშნავს... ■

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ურჩული | იტალიური ღვეზელი | კამპუჩიის ფულის ერთეული | მშობელი | ქვეყანა, სადაც არის დალაი-ლამას რეზიდენცია | ლ. ტოლსტოი „... საოცრებათა ქვეყანაში“ | „... წყნეთელი“ |
| ...ერ-პეტროსი-..., ანუ კამო | მსახიობი მერილ ... | არაფრის მქონე ანუ ...-ტარიელი | იმამის ხელისუფლება | თანხის წინასწარ მიცემა | უპატრონო, ოხერი | ქართული ცეკვა | |

# მილიონაი ხან ქვაკაცაა, ხან მამიდაქვა, ხან კიდევ – 1006 რომაული ნაბიჯი...

სალომე შოშიტაშვილი

**საქართველო რომ მიწათმოქმედთა ქვეყანაა, გეორგია რომ მიწას ნიშნავს და გიორგი — მიწის მუშას, ეს „ამბავი“ არავისთვის არის სიახლე. მიწათმოქმედებას კი ოდითგან უკავშირდებოდა ესა თუ ის რიტუალი, სხვადასხვა რწმენა, ადათ-წესი, რომელთაგან დღემდე ძალზე მცირედს თუ მოუღწევია.**

ამჯერად საქართველოს მთას ვეწვიოთ და თუშეთში მემინდვრეობის იმ ერთ-ერთ ტრადიციულ რიტუალს გავეცნოთ, რომელიც „ავი ამინდის“ თავიდან აცილებას უკავშირდებოდა.

მცირემიწიანი თუშეთი, კომლზე რომ ერთი ან ორი დღიური სახნავი მიწა (დღიური მიწა ხომ იცით, რამდენიც არის – გლეხი რომ ერთი ხარ-გუთნით ერთ დღეს მოხნავდა...) მოდიოდა, ამინდზე ბევრად იყო დამოკიდებული. ცუდი ამინდი ცუდ მოსავალს და, შესაბამისად, შიმშილსაც კი უკავშირდებოდა, რადგან მიწის შემყურე გლეხის ოჯახს მარტოოდენ ცხვარძროხა ვერ გამოკვებავდა.

ქალქვა ქართლიდან

თუშებს ამინდის მფარველად ელია ნაქერალა ჰყავდათ. ნაქერალა რომ განრისხდებოდა, სეტყვა მოდიოდა და ამიტომაც შესთხოვდნენ შველას და მფარველობას თუშები, ელია ნაქერალას. შესთხოვდნენ შესაწირავებით, ლოცვებით...

ამინდის შეცვლას „სატკეცელა მილიონაისაც“ შესთხოვდნენ. მილიონაი ქვებისგან მშრალად ნაგები მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის ყორეა, რომელიც ზემოთ თანდათან ვიწროვდება. ყორეს სიმაღლე ზოგჯერ კაცისას უტოლდება და ალბათ ამიტომ, ხევსურეთში და ხევში მას კაცას უწოდებენ, ივრის ხეობასა და ფშავში – ქვაკაცას. ქართლ-კახეთის ბარში კი ასეთი მამიდაქვები და ქალქვები არსებობდნენ.

თუ თუშეთში ელია ნაქერალას კარგ ამინდს შესთხოვდნენ, მილიონაის იმავეს კი არ სთხოვდნენ, არამედ უბრძანებდნენ. მიდიოდნენ სატკეცელასთან, მიიტანდნენ ურჯულოს საფლავიდან აღებულ ძვალს და ქალის ჩითის კაბის ნაგლეჯს. ესეც არ ჰყოფნიდათ გასაბრაზებლად და სცემდნენ კიდეც საცოდავ ყორეს. ვინ იცის, ბევრი მათგანი ამ ცემა-ტყეპით გაასწორეს მიწასთან.

ეთნოლოგი **ნათია ჯალაბაძე** პარალელს ავლებს ქართლ-კახეთის ბართან და აღნიშნავს:

– თეთრი წყაროს რაიონის ქართულ სოფლებში დაფიქსირდა იმის დამადასტურებელი მასალა, რომ გვალვიანობის დროს ქალები, მარტო მილიონაის ყორეს კი არ ლანძღავდნენ, არამედ თვით დარავდრის მფარველ ელიასაც (რომელსაც თუშეთში მხოლოდ შესთხოვდნენ ხან დარს და ხან ავდარს)...

*– ელიასადმი ასეთი, ერთი შეხედვით მბრძანებლური დამოკიდებულება რას უნდა მიეწეროს?*

– აქ საქმე გვაქვს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ მბრძანებლურ მაგიასთან, რომელიც ჯერ კიდევ მიწათმოქმედების საწყის ეტაპზე ყალიბდება.

*– საინტერესოა, თავად თუშების გადმოცემები მილიონაის შესახებ.*

– თუშეთში მილიონაიები ძირითადად ქედებზეა განლაგებული. ზოგიერთის აგებას მოცლილ მწყემსებს მიაწერენ. მათი დიდი ნაწილი ქედებსა და სერებზე გადასასვლელ გზებს ემთხვევა და ერთგვარი სასაზღვრო დანიშნულებაც ჰქონია. სოფელ დიკლოში ისიც გვითხრეს, მილიონაიებთან ძველად მზირები ყოფილან ჩამსხდარნი და მტერს ზვერავდნენო.

*– როგორც ჩანს, სახელწოდება მილიონაი არცთუ ისე უცხოა მთისთვის.*

– დიახ, ასეა. თუშეთში, სოფელ ყვავლოსთან არის ადგილი, რომელსაც მილიონაი ეწოდება, სოფელ მათურასთან არის მილიონაის ხევი...

*– მეცნიერები მრავალგვარ დატვირთვას აძლევენ მილიონაის...*

– თუშეთში მილიონაი სამი ფუნქციით გვევლინება. ეს არის ჯვარის ანუ ხატის ყორე, სახლის სვეტი და მწვერვალებზე თუ გადასასვლელებზე აშენებული ქვის სვეტები.

*– და აქვს თუ არა ამ სიტყვას რაიმე საერთო ჩვეულებრივ მილიონთან?*

– წარმოიდგინეთ, აქვს. ძველი ქართული ძეგლების მიხედვით, მილიონაი მანძილის საზომ ერთეულად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ქართულში ლათინურიდან, ბერძნულის გზით უნდა შემოსულიყო არა უადრეს IV-V საუკუნისა.

*– და რამდენი იყო ეს „მილიონი“?*

– მილიონაი გზის მაჩვენებლის სახით მდგარა და ერთიმეორისაგან მანძილი, არც მეტი, არც ნაკლები – 1006 რომაულ ნაბიჯს (დაახლოებით 0,75 მეტრი) უდრიდა თურმე...

*ერთი სიტყვით, მთაში შეღწეულ მილიონაის დიდი ამბები დაუტრიალებია. რას აღარ მიაწერდნენ: თოვლის დროს სამგზავრო ორიენტირად იყენებდნენ, იგი სამზირიც ყოფილა, სასაზღვრო ნიშანიც. ბოლო ფუნქცია – გვალვიანობის დროს, წვიმის მოყვანის დანიშნულება კი, ძალზე ძველია და მთაში აქა-იქ ჯერ კიდევ შემონახულა. ოღონდ, რა თქმა უნდა, მტრის ძვლები აღარ მიაქვთ შესაწირად... დიაცის ჩითის კაბის ნაგლეჯიც ჰყოფნით...* ■

ელენე სალარიძე

# ქართული მინანქრიდან ყველაზე ჯაჭოსჯვრის...

**როცა ქართულ მინანქარზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით ხახულის კარედს, მრავალგზის რომ იყო ჩვენი საუბრის თემა სხვადასხვა რაკურსით და ვფიქრობთ, კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს მასთან მიბრუნება.**

*ხახულის კარედი ტიხრული მინანქრის ერთგვარი „მუზეუმიც“ გახლავთ. მასზე VIII საუკუნიდან დაწყებული XII საუკუნის შუა ხანების ჩათვლით (ეს უკანასკნელი ითვლება კარედის შექმნის თარიღად) შექმნილი ბიზანტიური და ქართული მინანქრის 115 ნიმუშია. ამჯერად, რა თქმა უნდა, აღარ შევჩერდებით უკვე განხილულ, კარედის ცენტრალურ ღვთისმშობლის ხატზე.*

*ქართული ტიხრული მინანქრის განუმეორებელი ნიმუშების შესწავლასა და გამომზეურებას მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, ქალბატონმა* **ლეილა ხუსკივაძემ**, *რომელსაც ვესაუბრებით.*

*— ქალბატონო ლეილა, დავიწყოთ ხახულის კარედის დიდი დეკორატიული ჯვრით და ოვალური მედალიონით. ერთი ბიზანტიური ხელობის ნიმუშია, მეორე — ქართულის...*

— აბსოლუტურად განსხვავებული ნამუშევრებია. საქმე ის არის, რომ ქართული და ბიზანტიური ტიხრული მინანქრის ნიმუშები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ფერებიც თითქოს ერთნაირია, მაგრამ არის რაღაც პატარა განმასხვავებელი ნიუანსები. განსხვავება ძირითადად შესრულების მანერაშია. ბიზანტიურში უფრო დახვეწილი ტექნიკაა, ქართულში ბევრად მეტი ემოცია გამოსჭვივის. თუნდაც ეს ორი ნამუშევარი: ბიზანტიური ჯვარი მედალიონებით, ტექნიკური თვალსაზრისით, მართლაც უნაკლოა.

**დიდი დეკორატიული ჯვარი (ხახულის კარედი)**



**გულსაკიდი ჯვარი მარტვილიდან**

ქართული მედალიონი კი (იგი ზომითაც თითქმის ერთი მეხუთედია აღნიშნული ჯვრისა) დედოფლის ხარების კომპოზიციას მოძრაობაში წარმოგვიდგენს. აქ არის ფერთა ჰარმონიული მონაცვლეობა. დედოფალი ზურმუხტისფერ სადგომზე დგას, ანგელოზი ლურჯ ჰიმატიონშია გამოწყობილი, კვართი ზოლებიანია (მონაცრისფროცისფერი და აგურისფერი წითელი)... თუ ბიზანტიური ჯვარი, უბრალოდ, ძვირფასი ნაკეთობაა, ამ პატარა მედალიონიდან თითქოს მთელი სამყარო გადმოდის...

*— რას იტყოდით ქართული მინანქრის საზღვარგარეთული გამოფენების შესახებ?*

— ქართული ტიხრული მინანქარი არაერთხელ გამოგვიფენია საზღვარგარეთ — ჟენევაში, პარიზში, ბელგრადში... ყველგან განსაცვიფრებელი წარმატება ჰქონდა. პარიზულ გამოფენაზე მას საქართველოს მინანქართან აიგივებდნენ. ორი წლის წინ ამერიკელებიც მოხიბლა ჩვენმა ტიხრულმა მინანქარმა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ქართველ მეცნიერებს ამერიკიდან იქ „ნაპოვნი“ ქართული მედალიონების ტკივილი გამოგვყვა.

*— როგორ, ამერიკაში ქართულ მედალიონებს მიაკვლიეთ?*

— არ მიგვიკვლევია, ტიხრული მინანქრით შესრულებული ქართული მედალიონები „მეტროპოლიტენ მუზეუმშია“ დაცული. ერთი მათგანი, გაბრიელ მთავარანგელოზის გამოსახულებით, ერთ დროს ჯუმათის ეკლესიაში ამკობდა ჯუმათის ხატს. ვინ იცის, როდის და ვინ გაიტანა ქართული სიმდიდრე საზღვარგარეთ. სხვათა შორის, ჯუმათის ხატის ერთი მედალიონი პარიზში — „კლიუნის“ მუზეუმშიც არის დაცული. ქართული ტიხრული მინანქრის არაერთი ნიმუშია მადრიდის მუზეუმში, ერმიტაჟში, კიევის მუზეუმში... ბოტკინის ცნობილი უნიკალური კოლექციაც, სასწაულებრივად რომ გამოვტაცეთ რუსეთს, ხომ ქართულ ეკლესიებში ნაძარცვი და შემდეგ გაყიდული ნამუშევრებით იყო შეკოწიწებული...

*— ვერ დავიმალავთ და ძალიან გამეხარდა, როცა მარტვილის გულსაკიდ ჯვარზე მითხრეს, ქართული ხელობაა.*

— თუ ასეა, წინ ბევრი სიხარული გელით, რადგან ამ ჯვრის მსგავსი, საკმაოდ ბევრია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურში.

*— იქნებ, მკითხველს მაინც ამ ჯვრის შესახებ ვესაუბროთ...*

— მარტვილის ჯვარზე ოთხი ფიგურულ-მინანქროვანი გამოსახულებაა. ზემოთ — ღმრთისმშობლის, ქვემოთ — იოანე ოქროპირის, მარცხნივ — წმინდა დემეტრეს და მარჯვნივ — წმინდა ნიკოლოზის გამოსახულებებით. ფერადოვანი გამა ყვითელი ფერითაა გამკვეთრებული. ჯვარს მშვენიერი მედალიონები ამკობს — ლურჯი, ზურმუხტისფერი, წითელი წრეებით. მარგალიტებს დღესაც არ დაუკარგავს ელვარება ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ფერადი ქვების ფონზე...

**ოვალური მედალიონი (ხახულის კარედი)**

**პაველ ბურე, ერთ-ერთი იმ სპორტსმენთაგანია, რომელმაც ფეხი საბჭოთა კავშირში აიდგა, შემდეგ, ლეგალურად თუ არალეგალურად, საზღვარგარეთ წასვლა მოახერხა და თავისი ნიჭის წყალობით, დიდ წარმატებებს მიაღწია. პაველი დღეს მილიონობით ადამიანის ერპია (რა თქმა უნდა, განსაკუთრებით – გოგონების) არა მარტო ამერიკასა და რუსეთში, არამედ ისეთ ქვეყნებშიც, სადაც ხალხმა ჰოკეის შესახებ ბევრი არაფერი იცის. თვით ჰოკეის სამშობლოში – კანადაში კი, ფანტასტიკური სისწრაფის გამო, მისთვის „რუსული რაკეტა" შეურქმევიათ.**

# «რუსული რაკეტა»

**დოსიე:**

**დაბადების თარიღი:** 1971 წლის 31 მარტი
**დაბადების ადგილი:** მოსკოვი
**სიმაღლე:** 178 სმ
**წონა:** 86 კგ
**პოზიცია:** მარჯვენა განაპირა თავდამსხმელი (თამაშობს მარცხენა ხელით)
**გუნდები:** „ცსკა" (არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი, საბჭოთა კავშირი, 1988-1991); „ვანკუვერ კენაკსი" (კანადა, 1991-1999); „ფლორიდა პანტერსი" (აშშ, 1999 წლიდან).

## ბურეთა ულანი

ძმები პაველ და ვალერი ბურეები, თავიანთ დიდ წარმატებებს ჰოკეიში, მშობლების დამსახურებად მიიჩნევენ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისინი წარსულში ცნობილი მოცურავის – ვლადიმირ ბურეს ოჯახში იზრდებოდნენ და მამის სპორტულ ცხოვრებას ბავშვობიდანვე ადევნებდნენ თვალყურს.

სიტყვა „ჰოკეი" პაველ ბურეს ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში გაუგონია და შემდგომ სპორტის ამ სახეობის დიდი გულშემატკივარი გამხდარა. მაშინ, 70-იან წლებში ჰოკეი საბჭოთა კავშირში სპორტის ნომერ პირველ სახეობად ითვლებოდა და მას კაპიტალისტური სამყაროს წინაშე სახელმწიფო ავტორიტეტის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საშუალებადაც მიიჩნევდნენ. ჰოკეის მატჩების ტელეტრანსლაციას დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს თვით კრემლის მაღალჩინოსნებიც. „ჩვენების" ყოველი გამარჯვება „სხვებზე", იდეოლოგიურ რანგში იყო აყვანილი და სოციალიზმის უპირატესობად აღიქმებოდა (რა თქმა უნდა, ყველაფერი პირიქით იყო, თუ საბჭოთა ნაკრები ან რომელიმე გუნდი უცხოელებთან მატჩს წააგებდა). ამიტომ სპორტული კარიერის შექმნისა და დასახული მიზნის მისაღწევად, ყველაზე პერსპექტიულ საშუალებად ჰოკეის მიიჩნევდნენ.

ერთ საღამოს, როდესაც პაველ ბურე ექვსი წლის იყო, მშობლებმა მას ციგურები აჩუქეს და საციგურაოდ წაიყვანეს. პატარა პაველმა ყინულზე წაიბორძიკა და შემდეგ საკმაოდ დიდ მანძილზე დამოუკიდებლად გასრიალდა. გახარებულმა მშობლებმა უფროსი ვაჟიშვილი მალე „ცსკა"-ს ჰოკეის სკოლაში მიიყვანეს. პაველმა მაშინ შენიშნა, რომ ყინულის ნამდვილი მოედანი სრულიად არ ჰგავდა მისი ეზოს მოყინულ ზედაპირს. ხელოვნურ ყინულზე სრიალი გაცილებით ძნელი იყო. სხვა ბავშვები საოცარი ოსტატობით დასრიალებდნენ, პაველ ბურე კი, მოაჯირს ეჭიდებოდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ წაქცეულიყო. „ვხვდები, რომ მიგიღებენ, – უთქვამს მაშინ ვლადიმირ ბურეს შვილისთვის, – მაგრამ ორი თვის შემდეგ ან საუკეთესო უნდა გახდე, ან მოვალთ და ჩვენ თვითონ წაგიყვანთ. იმიტომ, რომ ცხოვრებაში, რასაც არ უნდა მისდევდე, ვალდებული ხარ, შენი საქმე სხვებზე უკეთ აკეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სჯობს, საერთოდ არ მოჰკიდო ხელი".

ვლადიმირ და ტატიანა ბურეებისთვის უფროსი ვაჟიშვილის ცხოვრებისეული მიზანი უკვე განსაზღვრული იყო: პაველი ათი წლის შემდეგ ოსტატთა გუნდში უნდა მოხვედრილიყო და არხანგელსკის სპორტულ ბაზაზე ევლო ავტობუსით, რომელზეც დიდი ასოებით „ცსკა" ეწერა. შემდგომში, როდესაც პაველ ბურეს, წარუმატებლობის გამო,

ჰოკეის სექციიდან წამოსვლა სურდა, მშობლები მკაცრად ახსენებდნენ: „რა, არ გამოგდის?! შენ ხომ თავად გადაწყვიტე ჰოკეის თამაში, ამიტომაც მიაღწიე მიზანს!“ სხვათა შორის, ვლადიმირ ბურე უფროსი ვაჟიშვილის სპარტანულად აღზრდას ჯერ კიდევ ჰოკეის სექციაში მიყვანამდე შეუდგა. „სამი თვის იყო პაველი, როდესაც უკვე ნორმალურად ცურავდა, — იხსენებს ვლადიმირ ბურე, — ბუნებრივია, მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ის მოცურავე არ გახდებოდა. მისი არჩევანის გამო, თავიდან ვღიზიანდებოდი, შემდეგ მივეჩვიე. ახლა კი, ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ თავისი საქმის დიდი პროფესიონალი გახდა. რა თქმა უნდა, მოცურავე რომ გამხდარიყო, ჩემგან უფრო მეტს ისწავლიდა. არასოდეს ვაძლევ თავს იმის გარჩევის უფლებას, რაშიც, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი არაფერი გამეგება. თუმცა, სხვა მხრივ, მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ რაღაცებს უფრო სწრაფად ვამჩნევ, ვიდრე ის მწვრთნელები, რომლებმაც მთელი ცხოვრება ჰოკეის მუძღვნეს. როდესაც მოსკოვში ჰოკეის მატჩებზე რეგულარულად დავიწყე სიარული, დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს პაველსა და ვალერის ვუზიარებდი. იმედი მქონდა, რომ დასკვნებს თავად გააკეთებდნენ. ისინიც ყოველთვის უშიშრად მიდიოდნენ ნებისმიერ ექსპერიმენტზე“.

ბურეების ოჯახის შესახებ მოცურავეთა წრეში ასეთი ხმებიც კი დადიოდა: პაველის დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ვლადიმირი ძალიან შეშფოთებულა, როდესაც სადღაც ამოუკითხავს, რომ ბავშვისთვის ცურვის სწავლების დაწყება დაბადების დღიდანვეა საჭირო: მან ხომ შვილს დაბადებიდან „მთელი სამი კვირის“ შემდეგ დააწყებინა ცურვა. „ერთხელ მამას ვკითხე: „აი ახლა, ჰოკეისთვის რომ დამენებებინა თავი, შეძლებდი ჩემგან კარგი მოცურავის დაყენებას?“ მან მიპასუხა: „სპორტის ოსტატი ნამდვილად გახდებოდი, აი, ნაკრებში კი, ან მოხვდებოდი, ან ვერა...“ როდესაც მამა ამბობს, რომ ჰოკეისა არაფერი გაეგება, ეს ტყუილია — მას ყველაფერი ესმის. არ შევხვედრივარ ადამიანს, რომელსაც სპორტი მასზე უკეთესად ესმოდეს. სწორედ მამამ მითხრა ერთხელ: „დაიმახსოვრე, ცხოვრების სიძნელეებს ნებით შეგუებულნი ბევრად მეტნი არიან, ვიდრე დამარცხებულნი. როგორც არ უნდა გიჭირდეს, მაინც უნდა წამოიმართო და წინ წახვიდე“, — იხსენებს პაველ ბურე, რომლის ბაბუა (მამის მხრიდან), ალექსანდრი ასევე მოცურავე ყოფილა და სტალინური რეპრესიების მსხვერპლი გამხდარა, თუმცა სულით მაინც არ გატეხილა და საყვარელი საქმე გაუგრძელებია.

ტატიანა ბურე

## სტარტი

პაველ და ვალერი ბურეები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, როდესაც მათი მშობლები გაიყარნენ. ვლადიმირი ოჯახიდან წასვლის შემდეგაც ყოველთვის ეხმარებოდა ცოლშვილს. თუმცა მაინც, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, ოჯახის მთელი საზრუნავი ტატიანას დააწვა, რომელიც ორ შვილთან ერთად, სამსახურისა და პროფესიის გარეშე დარჩა. მიუხედავად მეუღლესთან განშორებით მიღებული მძიმე სულიერი ტრავმისა, ტატიანა არ დაბნეულა. მან სავაჭრო ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები და იმავდროულად, ეკონომისტად დაიწყო მუშაობა. გარკვეული დროის შემდეგ, სამსახურში საპასუხისმგებლო თანამდებობაც დაიკავა. ტატიანა ბავშვებს დილის 5 საათზე აღვიძებდა და სამსახურში წასვლამდე მიჰყავდა ვარჯიშზე, რომელიც 7 საათზე იწყებოდა. ყოველი დღის დასაწყისში დედის დამსახურებით აღებულმა ასეთმა „სტარტმა“, მომავალ პროფესიონალ ჰოკეისტს შესაშური თვისებების შეძენაში შეუწყო ხელი. წლების შემდეგ, „რუსული რაკეტა“ ისეთივე სისხარტით მოსწყდებოდა ყინულზე ადგილს და შიბასთან ერთად, ელვისებურად ჩაუქროლებდა მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს, როგორი ტემპითაც იწყებოდა და მიმდინარეობდა მისი ბავშვობის ყოველი დღე.

... სამსახურიდან დაბრუნებულ ტატიანას შინ ორი მცირეწლოვანი, მაგრამ ძალზედ მზრუნველი ვაჟიშვილი ელოდა. ბავშვები მას „ბლინებსაც“ კი ახვედრებდნენ — ხშირად ნახევრად უმს, მაგრამ დედისთვის ეს დიდი მორალური მხარდაჭერა იყო. ზაფხულობით კი, როდესაც ტატიანა შვილების სანახავად სპორტულ ბანაკში მიდიოდა, პაველი და ვალერი მისთვის საგანგებოდ გადანახული შოკოლადით უმასპინძლდებოდნენ (მაშინ მოზარდ სპორტსმენებს ყოველდღე ეძლეოდათ შოკოლადის თითო ფილა). როდესაც ბიჭები წამოიზარდნენ, ვლადიმირ ბურემ ტატიანას კვლავ ერთად ცხოვრება შესთავაზა, მაგრამ ყოფილი მეუღლისაგან უარი მიიღო. „ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ყველა თავისებურად მართავს მას. დედაჩემი მომხიბლავი, დიდებული, კეთილი ქალია. მე და ვალერი დიდად მადლიერები ვართ მისი: მან ხომ ჩვენ ხანგრძლივი დრო, მთელი თავისი ცხოვრება მოგვიძღვნა. მაგრამ მე მამასთანაც შეთვისებული ვარ. სხვანაირად როგორ შეიძლება?! ისინი ხომ ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები არიან“, — ამბობს პაველ ბურე.

## პროფესიონალის კარიერა

დიდ სპორტში პაველ ბურეს დებიუტი („ცსკა“-ს რიგებში) 1988 წლის 5 მარტს შედგა. მაშინ ის 16 წლის იყო. მართალია, ის შეხვედრა „ცსკა“-მ „დინამოსთან“ 3:4 წააგო, მაგრამ ბურესთვის ის მატჩი მაინც ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: როგორც პროფესიონალმა ჰოკეისტმა, მან მოწინააღმდეგის კარში თავისი პირველი შაიბა შეაგდო. „მე ძალიან ადრე დავიწყე ფულის შოვნა: 16 წლის ვიყავი და უკვე 109 მანეთს ვიღებდი. იქიდან 100 მანეთს დედას ვაძლევდი, დანარჩენს კი, ჩემთვის ვიტოვებდი და, როგორც ყველა მოზარდი, კინოში, ნაყინსა და ათასგვარ სისულელეში ვხარჯავდი“, — იხსენებს პაველი.

19 წლის ასაკში ბურე საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველ ხუთეულში ირიცხებოდა, იყო სპორტის ოსტატი და მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. მაშინ პაველს უკვე ჰქონდა ის ყველაფერი, რაზეც ყოფილ საბჭოთა კავშირში მილიონობით მისი თანატოლი ოცნებობდა: ყოველთვიურად 250 მანეთს იღებდა, „ჟიგული-07“ მარკის ავტომობილით დადიოდა, ჰქონდა საკუთარი ტელე-ვიდეოაპარატურა და აგარაკი დაბა აპრელევკაში. აღსანიშნავია, რომ პაველს მაშინ ჯერ კიდევ არასრულწლოვანის გარეგნობა ჰქონდა, რის გამოც, საგზაო პოლიცია ყოველ საგუშაგოზე აჩერებდა: „ვისია მანქანა? მართვის მოწმობა მიჩვენე! ა-ა-ა, ბურე, ჰოკეისტი...“ ამგვარი საუბარი ჰოკეის ამომავალ ვარსკვლავს ხშირად სმენია ავტოინსპექტორებისგან...

1991 წელი პაველ ბურეს სპორტულ კარიერაში უმნიშვნელოვანესი მოვლენით აღინიშნა: ნიჭიერი საბჭოთა ჰოკეისტი NHL-ის (ჰოკეის ნაციონალური ლიგა) ერთ-ერთმა უმდიდრესმა კლუბმა — „ვანკუვერ კენაკსმა“ მიიწვია. კანადაში პაველი რუსეთში მომხდარი აგვისტოს პუტჩის შემდეგ გაემგზავრა. ალბათ სწორედ ათი წლის წინ მომხდარმა იმ პოლიტიკურმა მოვლენებმა განაპირობა, რომ ოკეანისგადმა წასული კიდევ ერთი სპორტსმენისთვის სამშობლოში „ქვა აღარავის უსვრია“ (რა თქმა უნდა, მშობლიური „ცსკა“-ს ხელმძღვანელობის გარდა).

კანადურმა კლუბმა ბურესთვის „ცსკა“-ს 200 ათასი დოლარი გადაუხადა. მხოლოდ მაშინ მიხვდა პაველი, თუ რამდენი ღირდა რეალურად მისი თამაში.

## სასიყვარულო სამკუთხედი

პაველ ბურეს ჩრდილო ამერიკაში წასვლისთანავე, რუსეთშიც და საზღვარგარეთაც მის შესახებ ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა. „ყვითელი პრესის“ წარმომადგენლები განსაკუთრებით მაშინ გააქტიურდნენ, როდესაც „რუსულ რაკეტად“ მონათლული ფენომენალური მონაცემების მქონე ჰოკეისტი ამერიკაში, კლუბ „ფლორიდა პანტერსში“ გადავიდა სათამაშოდ. აბეზარი ჟურნალისტები პაველს ხან დაუკითხავად „აქორწინებდნენ“, ხან „ცისფერობას“ სწამებდნენ, ხანაც — მაფიასთან კავშირში ამხელდნენ. ყველაზე პოპულარულ სასაუბრო თემად კი პრესაშიც და ინტერნეტშიც, ის „სასიყვარულო სამკუთხედი“ იქცა, რომელიც თითქოს პაველ ბურემ, ანა კურნიკოვამ და სერგეი ფეოდოროვმა შეკრეს. „ხომ იცით, რომ არ მიყვარს პირად ცხოვრებაზე საუბარი, მაგრამ ამჯერად ჭორაობამ მეტისმეტად ბინძური სახე მიიღო, არასოდეს მითქვამს, რომ დანიშნული ვარ ან დაოჯახებას ვაპირებ-მეთქი, იმიტომ, რომ ასეთი გეგმები არ მაქვს. ჩემთვის ძნელი გასაგებია, თუ რატომ სჯერა ხალხს ყველაფერი ის, რასაც პრესაში კითხულობს. თუ რაიმე სიახლე მექნება, პირველად ამას ჩემგან შეიტყობთ“, — პასუხობდა „შეტევაზე გადასულ“ ჟურნალისტებს „სასიყვარულო სამკუთხედის“ მთავარი ფიგურა ანა კურნიკოვა. თავად პაველ ბურე მისთვის დასმულ ყოველ შეკითხვას, რომელიც მის ინტიმურ ცხოვრებას ეხებოდა, როგორც ყოველთვის, უპასუხოდ ტოვებდა და აცხადებდა, რომ მისი მთავარი საზრუნავი ჰოკეის კარგად თამაშია, სხვა რამისთვის საერთოდ, დროც არ რჩება. მიუხედავად ამისა, ჭორები მაინც არ ცხრებოდა: „ფეოდოროვმა 1,6 მილიონ დოლარად ღირებული ბინა მაიამში კურნიკოვას 100 დოლარად მიჰყიდა, იმავე სახლში კი, რამდენიმე სართულით დაბლა, პაველ ბურემ 1,47 მილიონ დოლარად შეიძინა ბინა“; „კურნიკოვას გამო, ბურემ „ვანკუვერ კენაკსი“ „ფლორიდა პანტერსზე“ გაცვალა“; „მეზობლები — პაველი და ანა მესამე რუსს, სერგეის მწარედ აეჭვიანებენ“; „კურნიკოვა ბურეს მატჩების ხშირი სტუმარია“; „პაველმა ანას რესტორან „ფორჟეში“ ყვავილები და მილიონიანი საქორწინო ბეჭედი მიართვა“... ჭორების გამავრცელებლები იქამდე მივიდნენ, რომ

ანასთან პაველს მხოლოდ „მხურვალე“ მეგობრობა აკავშირებს

აღნიშნულ ფაქტზე კომენტარი პაველის დედამ — ტატიანამაც გააკეთა: „მირეკავს პაველი და (სერიოზული ხმით) მეუბნება: „იცი, რომ ცოლი მომყავს?!“ მე ვეკითხები: „ძალიან საინტერესოა, ვინ უნდა დანიშნო?!“ ის კი, უკვე იცინის: „სჯობს, გაზეთები წაიკითხო!“ ისეთი ხმები გავრცელდა, რომ პაველიც და ანაც რეპორტიორებს ემალებოდნენ. მათ მართლა ივახშმეს ჩვენი ფლორიდელი მეგობრის რესტორანში, რომელშიც ახალი წელიც აღვნიშნეთ და პაველის დაბადების დღეც. პაველმა მართლაც მიართვა ანას ერთი ყვავილი, მაგრამ მის წინაშე არც მუხლებზე დავარდნილა და არც ძვირფასეულობა მიურთმევია! როდესაც მილიონიანი საქორწინო ბეჭდის ჩუქების ამბავი მოიგონეს, პაველმა რეპორტიორებს უბრალოდ, ჰკითხა: „თქვენ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გინახავთ მილიონიანი ბეჭედი? როგორ უნდა ატაროთ ის? ურიკაზე ხომ არ დადებთ და ისე ხომ არ ატარებთ?..“ რა სისულელეა! — დასძენს ტატიანა, — ჩემი თვალით დავინახე ანა სერგეი ფეოდოროვთან ერთად“...

თავიდან პაველ ბურეს ეს ყველაფერი ამხიარულებდა, თუმცა, თანდათან ამდენი ჭორი აუტანლად მოეჩვენა. დედამისმა კი, ჟურნალისტების დასამშვიდებლად, ისიც დასძინა, რომ პაველს იმ პერიოდში მართლა ჰყავდა მეგობარი გოგონა, ოღონდ — არა ანა კურნიკოვა. „დიახ, მას ჰყავს მეგობარი გოგონა, ის შესანიშნავი გარეგნობის ამერიკელი მოდელია. რა თქმა უნდა, იგი ღელავდა ამ ხმებისა და სტატიების გამო, მაგრამ პაველმა აუხსნა, რომ მსგავსი არაფერი არ მომხდარა. ის ჭკვიანი გოგოა და ყველაფერი გაიგო“, — აღნიშნა ტატიანამ.

## ყინულს მიღმა

გადატვირთული სავარჯიშო გრაფიკისა და სატურნირო ცხრილის გამო, პაველ

ბურეს ძალიან მცირე თავისუფალი დრო რჩება, რომელსაც იგი ძირითადად, კითხვას უთმობს. კითხვა კი, ჰოკეის მომავალ ვარსკვლავს დედამ ბავშვობიდანვე შეაყვარა. პაველის მეგობარ გოგონებს ტატიანა ყოველთვის ეუბნებოდა: „ვინდა მასთან ყოფნა? მაშინ ბევრი იკითხე“. საერთოდ, ტატიანა ამბობს, რომ როდესაც მისი უფროსი ვაჟიშვილი არ ვარჯიშობს, ან სძინავს, ან წიგნს კითხულობს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ცხოვრებისას, პაველს დედისგან შთაგონებული ჰქონდა, რომ მგზავრობის დროსაც კი, უქმად არ უნდა მჯდარიყო. დღეს პაველს ხშირად უხდება თვითმფრინავით მგზავრობა, რაც საშუალებას აძლევს, მშვიდად იკითხოს ამერიკაში სპეციალურად მოსკოვიდან ჩატანილი წიგნები ან რუსული სტატიები ინტერნეტიდან. სპორტის სახეობებიდან პაველის ყველაზე დიდი გატაცება, ჩოგბურთია. NHL-ის ვარსკვლავი მუსიკასაც ხშირად უსმენს. ერთხელ კი, როდესაც „ვანკუვერ კენაკსის“ რიგებში თამაშობდა, ბრაიან ადამსთან ერთად სცენაზე სიმღერაც შეასრულა. „ბრაიანი მაშინ თავის მშობლიურ ვანკუვერში ატარებდა კონცერტს და მენეჯერის საშუალებით, ჩემს თანაკლუბელ ჯინო ოჯიკთან ერთად მიმიწვია. ჯინო და მე მასთან საგრიმიოროში შევედით, ერთმანეთი გავიცანით, ცოტა ვიოხუნჯეთ. შემდეგ საკონცერტო დარბაზში გავედით. უკვე კონცერტის დროს, როდესაც ჩვენ სცენის გვერდით ვიდექით, შევნიშნე, რომ ადამსი ვიღაცას ეძებდა. ბოლოს, ჩვენ შეგვამჩნია და თავისთან გვიხმო. ცოტა დავიბენით, მაგრამ სიმღერისას მაინც ავყევით. სხვათა შორის, ადამსის რეპერტუარიდან ის სიმღერა ყველაზე მეტად როდი მომწონს“, — იხსენებს პაველ ბურე.

■

# აგასისა და გრეთს 10 მილიონი შესთავაზეს...



ჯონ კორფიმ, რომელიც ნიუ-ჯერსის საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორია, ახალდაქორწინებულ ანდრე აგასისა და შტეფი გრაფს ძალზედ მიმზიდველი და ამავე დროს, საკმაოდ უცნაური წინადადებით მიმართა. თუ წყვილი კორფის (იგი შტეფი გრაფის კარგი ნაცნობიცაა) წინადადებას დათანხმდება, მისი ოჯახის ბიუჯეტი 10 მილიონი დოლარით გაიზრდება. ამისთვის კი, ანდრემ და შტეფიმ გარანტია უნდა მისცენ, რომ მათი ჯერ კიდევ არდაბადებული შვილი 2017 წლისთვის დაგეგმილ საჩოგბურთო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. გრაფი და აგასი 22 ოქტომბერს ლას-ვეგასში (აგასის მშობლიურ ქალაქში) დაქორწინდნენ. ცერემონიას მხოლოდ მათი უახლოესი ნათესავები და მეგობრები დაესწრნენ. ანდრესა და შტეფის არ დაუკონკრეტებიათ, თუ სად გაატარებენ თაფლობის თვეს, რადგან აგასის საკმაოდ გადატვირთული სატურნირო გრაფიკი აქვს. ცოტა ხნის წინ წყვილმა სან-ფრანცისკოს სანაპიროზე სახლი შეიძინა, დეკემბრისთვის კი სწორედ იმ ბავშვს ელოდება, რომელიც უკვე ჩოგბურთელად არის „მონათლული“. ცნობილია ისიც, რომ „ჩოგბურთის მომავალი ვარსკვლავი“ ბიჭი იქნება. მკითხველს იმასაც ვაცნობებთ, რომ 32 წლის შტეფისთვის ეს პირველი ქორწინებაა, 31 წლის ანდრე აგასი კი, მანამდე მსახიობ ბრუკ შილდსის ქმარი იყო.

■

# მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მატისტუტა ნაკრემს დატოვებს

„რომასა“ და „რეალს“ შორის გამართული ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ იტალიური კლუბის ლიდერმა, გაბრიელ ბატისტუტამ განაცხადა, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე არგენტინის ეროვნულ ნაკრებს დატოვებს. იტალიური საინფორმაციო სააგენტო ANSA-სთვის მიცემული ინტერვიუს თანახმად, მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ტურნირის შემდეგ, 33 წლის არგენტინელი ფორვარდი მხოლოდ „რომაში“ ითამაშებს. „ყოველი შემთხვევისთვის, ამჟამად ასე ვფიქრობ. ჩემი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებსა და „რომაში“ ერთდროულად თამაში ძალიან ბევრ ძალას მოითხოვს და ხალხი, ვისაც ეს არ ესმის, ბრალს მდებს, თითქოს საკმარისად არ ვიხარჯები. დავიღალე და ვაღიარებ, რომ ნაკრებში გამგზავრება ძალიან დიდ ენერგიას მართმევს“, — აღნიშნა ბატიგოლმა. შეგახსენებთ, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც კორეასა და იაპონიაში ჩატარდება, გაბრიელ ბატისტუტასთვის რიგით მესამე იქნება.

■

*რუბრიკის მასალები მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა*

# ამერიკა-მექსიკის საზღვარზე ქართველებს ჩხუბი მოუვიდათ

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრებით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვყოფილვარ. ვმუშაობდი ტვირთის გადასაზიდ კომპანიაში, დავატარებდი უზარმაზარ ტრაილერს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და შეძლებისდაგვარად, „მოგზაურის ჭიასაც“ ვახარებდი.**

**ზაფხულის პერიოდში სამუშაო სამმაგდებოდა. კომპანია ხშირად, მექსიკაშიც მაგზავნდა — ქვეყანაში, საიდანაც უამრავი ადამიანი შედის ამერიკაში. სწორედ ამიტომ, აშშ-მექსიკის საზღვარზე საკმაოდ მკაცრი კონტროლია დაწესებული. რაკი მექსიკაში ნამყოფი ვიყავი, გავთამამდი და ქართველი მეგობარიც ჩავისვი მანქანაში. ბონდო მაჭარაშვილი ბოსტონის უნივერსიტეტში სწავლობდა და ზაფხულობით მუშაობდა. ძალიან უნდოდა მექსიკის ნახვა, ამის გამო დამიკავშირდა და მეც დამხმარედ წავიყვანე...**

*აკაკი გეგენავა*

## მივიწყებული ცივილიზაციების ქვეყანა

მექსიკას მივიწყებული ცივილიზაციების ქვეყანას უწოდებენ. ხშირად ათასი საიდუმლოს მხარედაც ნათლავენ. მექსიკის ტერიტორიაზე 7 საუკუნე იარსება და ჩრდილოეთიდან ბარბაროსული ტომების შემოსევის შედეგად დაიღუპა ე.წ. ტეოტიხუაკანის ცივილიზაცია. მის ნანგრევებზე შეიქმნა ჯერ ტოლტეკების, შემდეგ — მაიასა და აცტეკების ცივილიზაციები. მექსიკელები აცტეკების შთამომავლებად ითვლებიან...

ტეხასის შტატიდან მექსიკაში გადავედით და მეხიკოსკენ მიმავალ გზას დავადექით. გზა ლარივით სწორი და საკმაოდ დამღლელია. მექსიკა ბუნების სილამაზით არ გამოირჩევა: მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი გადახრუკული ველებით არის დაფარული.

...პირველი ევროპელები, ვინც მექსიკის მიწაზე დადგეს ფეხი, ესპანელები იყვნენ. ეს მოხდა 1517 წელს, როდესაც კუბის გუბერნატორმა ველასკესმა გამოგზავნა გემები დეკორდობას მეთაურობით, რომელსაც გეენახასის კუნძულიდან მონები უნდა წამოეყვანათ. ძლიერმა ტროპიკულმა შტორმმა მათი გემები შორს გაიტაცა და მათთვის უცნობ ნაპირთან გამორიყა. ესპანელების თვალწინ პირამიდები და სასახლეები აღიმართა. ტაძრები ოქროთი და უძვირფასესი ქვებით სავსე აღმოჩნდა... ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ევროპაში. ესპანელმა კოლონიზატორებმა მექსიკის ტერიტორიების აქტიურ დაპყრობას მიჰყვეს ხელი.

ესპანელებისაგან გათავისუფლება და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მექსიკამ 1824 წელს შეძლო.

## მეხიკო

მექსიკის დედაქალაქი უზარმაზარი და თვალწარმტაცი ქალაქია. უდავოა, რომ ის მსოფლიოს ულამაზესი ქალაქების ათეულში შედის. მეხიკოში ორი მთავარი პროსპექტია — „რეფორმა“ და „ინსურხენტესი“. აქ ერთმანეთს საუცხოოდ ერწყმის აცტეკების ხუროთმოძღვრებისა და თანამედროვე არქიტექტურული ნიმუშები.

მექსიკა მდიდრებისა და ღარიბების მკვეთრად გამოვლენილ ორ სამყაროდ იყოფა. მეხიკოს მდიდრების უბანს ლამასი ჰქვია. აქ მოხვედრილ კაცს ზღაპარში გეგონება თავი: ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მინახავს ისეთი სახლები, როგორიც ლამასში ვნახე. ამ სასახლეებს პოლიცია იცავს, ხოლო ეზოებში კი, 5-6 ძაღლი მაინც ჰყავთ.

ჩვენი კლიენტი სწორედ ამ უბანში ცხოვრობდა. ამერიკაში შეკვეთილი ავეჯი დღის მეორე ნახევარში ჩავუტანეთ. უბნის პოლიციელებმა საბუთების საგულდაგულო შემოწმების შემდეგ შეგვიშვეს სახლის ეზოში. დავიწყეთ ტრაილერიდან ტვირთვის გადმოზიდვა. სახლი დიდი არ იყო — სულ ორი სართულისგან შედგებოდა, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, ყველა მხარეს ლიფტი ჰქონდა დამონტაჟებული.

— ნეტავი, რად უნდა ამ პატარა სახლს ამდენი ლიფტი?.. — გაიკვირვა ბონდომ.

— კაცია და გუნება — აქვს ფული და აკეთებს იმას, რაც უნდა, — ვუპასუხე.

ეზოში რამდენიმე დიდი ძაღლი დარბოდა. პირველად რომ დავინახეთ, შეგვშინდა, მაგრამ მსახურმა დაგვამშვიდა — თქვენს საქმეს მიგეხედეთ და ძაღლები ახლოსაც არ გაგეკარებიანო...

ავეჯის ზიდვა მძიმე სამუშაოა. ჩემთვის ასეთი დატვირთვა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ბონდოს კი, ძალიან გაუჭირდა.

— მოდი, რა, კაკო, ცოტა დავისვენოთ, თორემ მოვკვდი კაცი, — შემომჩივლა.

— დავისვენოთ, — დავთანხმდი და კიბეზე ჩამოსასხდომად, სახლისკენ წავედით. დასხდომა ვერ მოვასწარით, რომ ძაღლები ჩვენკენ გამოექანნენ. ისეთი გაავებულები მორბოდნენ, კინაღამ გული გაგვისკდა. შიშისგან ისე დავიბენი, არ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი. ბონდო უცებ იქვე მდგარ ხეზე აძვრა, თან დამიყვირა — სანამ არ შეგჭამენ, მანდ იდგებიო?!. ამ შეძახილმა მიშველა: ადგილს მოვწყდი და სახლში შევვარდი. ძაღლების დაშოშმინებას ნახევარი საათი მოუნდნენ, მე კიდევ — ერთი საათი მაინც დამჭირდა, რომ აზრზე მოვსულიყავი და

მუშაობა გამეგრძელებინა. სახლის პატრონმა მომხდარი ამბავი რომ შეიტყო, სამსახური მიატოვა და მოვიდა: ისე ნერვიულობდა, იქით დავუწყე დაწყნარება. ეს უბრალო, გულისხმიერებად ჩავთვალეთ და გვესიამოვნა, მაგრამ შევცდით: თურმე მას ჩვენი დარდი კი არ ჰქონია, არამედ ის აღელვებდა, არ მიჩივლონო... როდესაც დარწმუნდა, რომ ასეთი რამ აზრადაც არ მოგვსვლია, დამშვიდდა და ხასიათზეც მოვიდა. თუმცა, სანამ ვმუშაობდით, გვერდიდან აღარ მოგვშორებია. საღამოს კი, ვახშამზე დაგვპატიჟა და მის სახლში ღამის გათევაც შემოგვთავაზა. მანქანაში ძილი მობეზრებული გვქონდა და დიდი სიამოვნებით დავთანხმდით. იმ დღეს გვარიანად მოვილხინეთ და ბატონ მიგელსაც გავუშინაურდით. ბოლოს, გავბედე და ვკითხე:

— ბატონო მიგელ, ჩვენი ჩივილის ასე ძალიან რატომ შეგეშინდათ?

— შარშან კარ-ფანჯრების ხელოსანი მყავდა და ჩემმა ერთმა ძაღლმა უკბინა. ის ადგა და სასამართლოში მიჩივლა...

— მერე? — ორივემ ერთხმად ვიკითხეთ.

— სასამართლომ იმხელა ჯარიმა დამადო, რომ ცხოვრების ხალისი დამეკარგა... — ნაღვლიანად თქვა ბატონმა მიგელმა და ისევ ეჭვით შემოგვხედა...

— ნუ გეშინიათ, ბატონო მიგელ, ჩვენ ქართველები ვართ — ასეთ რამეს არ ვიკადრებთ...

მადლობის ნიშნად, ორივეს ხელი ჩამოგვართვა და საძინებელი ოთახისკენ გაგვიძღვა...

## მექსიკელები და ქართველებთან შეხვედრა

მექსიკელები ტანმორჩილი ხალხია. როგორც შევიტყვეთ, ამის ძირითადი მიზეზი წყალი ყოფილა: საუკუნეების მანძილზე ისინი უვარგის წყალს სვამდნენ... დღეს მექსიკელები წყურვილს უმეტესწილად, „კოკა-კოლით“ და ათასგვარი წვენით იკლავენ.

ამ ქვეყანაში დიდი უმუშევრობაა. ღატაკები და მათხოვრები ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ. ბევრი მექსიკელი ბედის საძებნელად, ამერიკაში გადასვლას ცდილობს: სტატისტიკის თანახმად, ამჟამად აშშ-ში 8 მილიონი მექსიკელი ცხოვრობს.

...მექსიკელის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ეროვნული თავისებურება იარაღისადმი გამორჩეული ლტოლვაა. ამიტომაც, ქვეყანაში თავისუფლად იყიდება ყველანაირი იარაღი. სიდუხჭირეში მყოფმა მექსიკელმაც შეიძლება, ყველაფერი დათმოს, მაგრამ იარაღს მაინც შეიძენს.

მექსიკელები ძალზე მხიარული, სტუმართმოყვარე და თბილი ხალხია. ქართველებისა არ იყოს, მათაც იციან რესტორანში ერთმანეთისთვის სასმლის გაგზავნა. თუმცა ზოგჯერ ერთმანეთს ორკესტრებსაც კი უგზავნიან ხოლმე: წინასწარ გადაიხდიან ფულს და სასურველ სიმღერებს უკვეთენ. ერთხელ, ამერიკაში რომ ვბრუნდებოდით, სიცხისაგან გადახრუკულ გზაზე გაჩერებული სატვირთო მანქანა შევნიშნეთ. ლოდინით დატანჯულ მძღოლს მანქანა რომ გავუჩერეთ, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: რობერტოს ძრავა გაჰფუჭებოდა და უახლოეს დასახლებამდე წაყვანა გვთხოვა.

— დიდხანს იდექი გზაზე? — დავინტერესდი.

— 4 თუ 5 საათი. ჩვენში გზაზე ნაცნობი თუ არ შეგხვდა, არავინ გაგიჩერებს: შარს ერიდებიან... — მიპასუხა რობერტომ.

— გამოდის, რომ გაგიმართლა...

— კი... სადაურები ხართ, ბიჭებო? — დაინტერესდა მექსიკელი. ვერაფრით გაიგო, სად იყო საქართველო... სამაგიეროდ, დიდად მადლიერი იყო ჩვენი და უახლოეს დასახლებაში, თავისი ძმის დუქანში დაგვპატიჟა.

მექსიკა სავსეა პატარა იაფფასიანი დუქნებით, სადაც მბრუნავ შამფურებზე, ერთდროულად ათეულობით ქათამს წვავენ. ეს დუქნები დღე და ღამე მუშაობენ. იქ ძირითადად, ღარიბი მექსიკელები შედიან. მათ ძალიან უყვართ მწნილი, ტყემლისა და პომიდვრის საწებელი, ცხარე საჭმელები...

რობერტომ თავისი ძმა გაგვაცნო და მას მიგვაბარა, თვითონ კი ბოდიში მოგვიხადა — გადაუდებელი საქმეები მაქვსო — და დაგვემშვიდობა. იმ დღეს ძალიან გემრიელად ვისადილეთ და სანამ დუქანში ვიყავით, ორკესტრიც არ მოგვშორებია...

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მექსიკაში ქართველის ნახვა ნამდვილად არ წარმოადგენს პრობლემას: ისინი მრავლად არიან ე.წ. ლტოლვილთა ბანაკებში, რომელიც ამერიკა-მექსიკის საზღვრის ორივე მხარესაა შექმნილი. ბევრი ქვეყნის მოქალაქე, ვისაც ამერიკაში მოხვედრა სურს, იქ მექსიკიდან გადასვლას ცდილობს. ისინი ტყის ბილიკებს იყენებენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, საიმიგრაციო სამსახურის ხელში ვარდებიან. ლტოლვილთა ბანაკში კი, მათი შემდგომი ბედი წყდება: ზოგს ტოვებენ, უმეტესობა კი, დეპორტაციის მსხვერპლი ხდება და იძულებით ბრუნდება თავის ქვეყანაში...

აშშ-ის საზღვრამდე 2-3 კილომეტრი იყო დარჩენილი. ამერიკასთან შედარებით, მექსიკაში საწვავი გაცილებით იაფია და ამიტომ, ავტოგასამართ სადგურთან გავჩერდით. ორი შავგვრემანი ბიჭი მოგვიახლოვდა და ჩაგვაშტერდა. ქართველები აღმოჩნდნენ. ძალიან გაგვიხარდა, ერთმანეთი გავიცანით. ბიჭებს ამერიკაში გადასვლა უნდოდათ, მაგრამ პოლიციაში ჩავარდნისა ეშინოდათ და ვერ ბედავდნენ...

— ძმაო... იქნებ, დაგვეხმარო, გაჭირვებული ხალხი ვართ... — მითხრა ერთ-ერთმა მათგანმა.

— გადაყვანით ვერ გადაგიყვანთ... ისე, ფულით შემიძლია დაგეხმაროთ...

— ფული რად გვინდა?!. ნუთუ ამხელა მანქანაში ჩვენთვის პატარა ადგილი არ გაქვს?.. — გაღიზიანებულმა მითხრა მეორემ.

— აზრი არა აქვს — მაინც გიპოვიან... თქვენი საქმეც გაფუჭდება და ჩვენიც... — ავღელდი: შევატყვე, რომ ვერ ვარწმუნებდი.

— თუ გული გულობდეს, ქადა ორი ხელით იჭმევაო — ხომ გაგიგონია... — აგდებულად მითხრა პირველმა და დასძინა:

— ასეა — ქართველები მარტო სუფრასთან ვართ მაგრები, სხვა არაფერში ვუქნივართ ღმერთს...

სისხლი თავში მომაწვა: ასეთ ლაპარაკს ნამდვილად არ ვიმსახურებდი და ძლივს შევიკავე თავი... კამათს აზრი აღარ ჰქონდა და წასვლა ვამჯობინე...

გამწარებულები გავშორდით იქაურობას, საზღვარი გადავკვეთეთ და ნიუ-იორკის გზას დავადექით...

**ავტორი და ბონდო მაჭარაშვილი მექსიკოში**

*2000 წელი*

**ქორწინებიდან სამ-ნახევარი წლის განმავლობაში სინდი კროუფორდი და რენდი ჰერბერი მსოფლიოს თავიანთი ჭეშმარიტი ურთიერთობების შესახებ არაფერს უმხელდნენ. მეორე შვილის – ჯაია ჯორდანის (გოგონა 3 სექტემბერს გაჩნდა) დაბადების შემდეგ, ცოლ-ქმარმა საიდუმლოს ფარდა ახადა...**

# სინდი კროუფორდის

## დაბრუნებული სიყვარული და შეწყვეტილი კარიერა

ყველა დამწყები ფოტომოდელი ოცნებობს მიმზიდველი მამაკაცების ყურადღებაზე, მდიდრულ სასტუმროებზე, დაუსრულებელ გადაღებებზე, პრესტიჟული ჟურნალების გარეკანებზე მოსახვედრად. ყველაფერ ამაზე, ოდესღაც სინდი კროუფორდიც ფიქრობდა. და აი, მაშინ, როცა მან სასურველ წარმატებას მიაღწია, მოულოდნელად, უარი განაცხადა კარიერაზე. „მე მომწონს ცოლის და დედის როლში ყოფნა. როგორც იქნა, შემიძლია ვიცხოვრო ისე, როგორც მინდა, მიყვარდეს ის, ვინც მინდა, და არა ის, ვინც საჭიროა, – ამბობს სუპერმოდელი. – ყოველთვის მარტო რენდი მიყვარდა, მაგრამ იყო დრო, როცა იძულებული ვიყავი, ეს დამემალა“. მართლაც, ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ რიჩარდ გირთან განქორწინებამდე სინდი და რენდი უბრალოდ, მეგობრები იყვნენ. ამჟამად ისინი აღიარებენ, რომ მათი ურთიერთობის ამბავი სასიყვარულო რომანებს შორის ბესტსელერი შეიძლებოდა გამხდარიყო.

წყვილმა ერთმანეთი 1983 წელს ნიუიორკის ერთ-ერთ ფოტოსტუდიაში, საბანაო კოსტიუმების რეკლამის გადაღების დროს გაიცნო. გაცნობის დღე საოცრად რომანტიკულად დასრულდა: მათ რენდის მოძველებული „მუსტანგით“ იქროლეს, შემდეგ კი, ვაჟის ნაქირავებ პატარა ბინაში ბობოქარი ღამე გაატარეს. მათ ნამდვილი, გიჟური, ვნებიანი სიყვარული აკავშირებდათ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებულები ჯერ ოცი წლისანიც არ იყვნენ, – მათი გრძნობა ზედაპირული როდი იყო.

იმხანად პროფესიული თვალსაზრისით, არც ერთი მათგანი არ იდგა მყარად ფეხზე. რენდის დიდად არ ეჭაშნიკებოდა ფოტომოდელად მუშაობა, თუმცა, ყველაფერი შეფარდებითია – რადგან თავად რენდის დედამ – ელენ პეკმანმა მთელი ცხოვრება პატარა რესტორანში მიმტანად იმუშავა და მისი შემოსავალი ძლივს სწვდებოდა სამი ვაჟის გამოკვებისა და სწავლის ხარჯებს. რენდი ბავშვობიდან ოცნებობდა საკუთარ რესტორანზე ან ღამის კლუბზე, მაგრამ საწყისი კაპიტალი არ გააჩნდა – მაშინ მხოლოდ ძველი ავტომობილი და ოცნებები ჰქონდა. 17 წლის დამწყებ მოდელს – სინდი კროუფორდს კი, ძალიან ესაჭიროებოდა მხარდაჭერა. შეიძლება ვინმეს ახალგაზრდები ცინიკოსებად ჩაეთვალა, მაგრამ საეჭვოა, შეძლებდა თუ არა სინდი წარმატების მიღწევას, იმ დროს გრძნობებს რომ აჰყოლოდა?!

ქორწილამდე რამდენიმე კვირით ადრე

ასე იყო თუ ისე, სინდი კროუფორდი ფოტოგრაფ ვიქტორ სკრებნევსკის საყვარელი გახდა, რომელსაც მეტსახელად „შემოქმედს“ ეძახდნენ. სწორედ ვიქტორის დამსახურება იყო, რომ ორ წელიწადში უბრალო გოგონა, ამერიკის მთავარ სექს-სიმბოლოდ იქცა. სინდი ღამეებს სკრებნევსკისთან ატარებდა (ზოგჯერ კი, ნებისმიერ სხვა მამაკაცთან, ვინც ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდა). თუმცა, არც თავის პირველ სიყვარულს ივიწყებდა: სინდისგან ნასესხები ფულით, ჰერბერი ჰარვარდის სკოლაში ბიზნესს ეუფლებოდა, შემდეგ კი, თავისი პირველი ღამის კლუბი იყიდა, რომელსაც საყვარელი ქალის მსგავსი სახელი – „სინდირელა“ უწოდა. რენდი მეტისმეტად გონიერი ახალგაზრდა აღმოჩნდა – ის ხომ მსოფლიოში ულამაზესი გოგონას საუკეთესო მეგობრის სტატუსით კმაყოფილდებოდა...

ერთხელ, ჰერბერთან სტუმრად მყოფი სინდი საშხაპედან გამოვიდა, პატარა პირსახოცში გაეხვია და როცა თავი ასწია, მოულოდნელობისგან გაშეშდა: მისი მეგობრის გვერდით ცოცხალი რიჩარდ გირი იდგა. გირმა კარგად შეათვალიერა შიშველი მოდელი, უმალ მოიხიბლა მისი სილამაზით და სულ მცირე ხანში, ცოლობაც სთხოვა. სინდიმ კი ჩათვალა, რომ ამ რანგის ვარსკვლავის ცოლობა ნამდვილად

ჭკვიანური ნაბიჯი იყო, რიჩარდ გირი მისნაირი გოგონასთვის ნამდვილად შესაფერისი პარტია იქნებოდა. რაც შეეხება რენდი ჰერბერს — იგი ქორწილში ხელისმომკიდის როლით დაკმაყოფილდა.

გათხოვების შემდეგ სინდიმ რენდისთან ურთიერთობა გაწყვიტა: „ხომ გესმის, საყვარელო, ჩვენ რომ ერთმანეთს შევხვდეთ, მე ქმრის ერთგული ვეღარ დავრჩები. ჩემი მდგომარეობა კი მაიძულებს, რომ სწორედ ასე მოვიქცე!“ რენდის სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა და ქალს დაეთანხმა.

რიჩარდ გირისა და სინდი კროუფორდის განქორწინების ამბავი ჰერბერმა გაზეთებიდან შეიტყო. „იმ მოკლე ცნობის წაკითხვის შემდეგ ვცადე, გულში სინდიზე განაწყენების რაიმე კვალი აღმომეჩინა და... ვერ ვიპოვე. მაშინ მივხვდი, რომ სინდი ძველებურად მიყვარდა. მე ხომ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენ ისევ ერთად ვიქნებოდით!“ — ჰყვებოდა რენდი მოგვიანებით. მან იმავე დღეს დაურეკა სინდის და რომანიც თავიდან გაჩაღდა. მართალია, ეტიკეტის დაცვის მიზნით, გარკვეული დროის მანძილზე, სინდი ყველას არწმუნებდა, რომ ჰერბერთან მხოლოდ მეგობრობა აკავშირებდა, მაგრამ მათი ურთიერთობა აღარავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს. რომანის ოფიციალურ დადასტურებად კი, ფრანგულ ჟურნალში VOICI დაბეჭდილი ფოტოსურათი გახდა — მასზე ქალ-ვაჟი სრულიად შიშველი იყო აღბეჭდილი.

1997 წელს მათ სიყვარულს წინ აღარაფერი ეღობებოდა. ღარიბი სტუდენტი რენდი ჰერბერი, ახლა უკვე მილიონერი, ღამის კლუბებისა და რესტორნების ქსელის მეპატრონე იყო. მათ შორის ყველაზე ცნობილია: „ვისკი პარკი“ — ბოსტონში და „სკაი ბარი“ — ლოს-ანჯელესში. ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით პოპულარულია კინოვარსკვლავებს შორის. მის მუდმივ სტუმრებს შორის არიან ლეონარდო დი კაპრიო, პენელოპა კრუსი, ჯორჯ კლუნი. სხვათა შორის, კლუნი უკვე რამდენიმე წელია, უშედეგოდ ცდილობს ჰერბერის კომპანიონი გახდეს, მაგრამ რენდის ეს სრულებით არ სჭირდება და, რა თქმა უნდა, ძველი ვალებიც დიდი ხანია დაუბრუნა სინდის...

1998 წლის იანვარში წყვილმა ნიშნობის შესახებ გამოაცხადა. ჰყვებოდნენ, რომ რენდიმ სინდის ცოლობა თვითმფრინავში, 9 ათასი მეტრის სიმაღლეზე სთხოვა. ნიშნობაზე მან ქალს დიდი, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი აჩუქა (წინა ქორწინებისას, სინდიმ და რიჩარდ გირმა ერთმანეთს იქვე, საღეჭი რეზინის ვერცხლისფერი ქაღალდისგან სახელდახელოდ გაკეთებული ბეჭდები გაუცვალეს). ქორწილი იმავე წლის 29 მაისს, ულამაზეს ადგილას — ბაჰამის ერთ-ერთ კუნძულზე გაიმართა. ფეხშიშველა, უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით ჩაცმული ახალდაქორწინებულები საკურთხეველთან მივიდნენ: სინდის, რენდის მიერ შერჩეული მოკლე, გალიანოს ნახელავი კაბა ემოსა, საქმროს კი — არმანის ფირმის თეთრი პერანგი და შავი შარვალი.

„დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება... არა, რენდისთან დაქორწინებით კი არა, — თუმცა მაშინ ბედნიერების მწვერვალზე ვიყავი. ჩემი ახალი ცხოვრება პრესლი უოკერის გაჩენის დღიდან დაიწყო, — ამბობს სინდი. — მაშინ მე ნამდვილად შევიცვალე!“ სამი წლის წინ, როცა პირველ შვილზე იყო ორსულად, სინდის ქცევას სტანდარტულს ვერავინ უწოდებდა. მაგალითად, მეცხრე თვეშიც კი, სინდი მონადირის ქურთუკსა და ჩექმებს მოირგებდა, მუზარადს დაიხურავდა, მოტოციკლეტზე ქმარს მიუჯდებოდა და ასე ერთად დაქროდნენ სოფლის გზებზე. არადა, რამდენიმე თვით ადრე, სინდი ავარიაში მოხვდა და თვალები შუშის ნამსხვრევებით აევსო... და აი, 1999 წლის მაისში ქვეყანას მისი პირველი ბიჭი — პრესლი მოევლინა და სინდი სრულიად შეიცვალა.

მსოფლიოს ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალმა უარი თქვა ძიძის აყვანაზე და გულმოდგინედ უვლიდა თავის პირმშოს. ის დღესაც სანიმუშო დედაა: საკმარისია პატარას დააცემინოს, რომ მოდელი მყისვე აუქმებს იმ დღისთვის დანიშნულ ყველა გადაღებას და შვილთან ერთად რჩება. სინდი ბევრს ასეირნებს პატარას, ხატავს მასთან ერთად და ძილის წინ რეგულარულად უყვება ზღაპარს.

მეორე ორსულობა კროუფორდმა სოციალურ-საქველმოქმედო მოვლენად აქცია — სატელევიზიო გამოსვლებში, რჩევებს

აძლევდა მომავალ დედებს. აი, ერთ-ერთი ფრაგმენტი მისი გამოსვლიდან: „მე ჯანსაღი კვების მომხრე ვარ, რომელსაც ხილსა და ბოსტნეულის მოხმარება უდევს საფუძვლად. ვსვამ ბევრ წყალს, ბევრი მძინავს, ვსწავლობ იოგას. ჯერ ერთი, ეს ბავშვისთვის არის სასარგებლო, მეორეც — ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, როცა დილაობით ქმარი მეუბნება, რომ მოვწონვარ. ის ხომ ამ დროს, სრულიად შეულამაზებელს — ისეთს მხედავს, როგორიც ვარ, ყოველგვარი კოსმეტიკის გარეშე“.

რა თქმა უნდა, ბიზნესს ცდა არ უყვარს და სინდი კროუფორდის სამოდელო კარიერა დასრულებულადაც შეიძლება ჩაითვალოს. თავად ქალს ეს არ აწუხებს: „ყველაფერს თავისი დრო აქვს, — ამბობს ოცდათხუთმეტი წლის სინდი. — მაშინ, 1983-ში, რენდის გამო, კარიერაზე უარი რომ მეთქვა, გულის სიღრმეში ამას მას არასოდეს ვაპატიებდი. ახლა კი, როცა ჩემს პროფესიაში რაღაცას მივაღწიე, ღირსეულად შემიძლია დავაფასო ნორმალური ადამიანური ბედნიერება და, რაც მთავარია, მამაკაცისა და შვილებისადმი სიყვარული“.

როცა პრესლი უოკერი გაჩნდა, რენდი გახარებული იყო: „ბიჭი მყავს, ბიჭი!“ მეორე შვილის სქესის წინასწარ შეტყობა კი მეუღლეებმა არც ისურვეს. როცა გოგონა დაიბადა, რენდი არანაკლებ გახარებული ჩანდა: „მსოფლიოში ყველა მამა ერთნაირად იქცევა: ოცნებობს ვაჟზე, მერე კი გოგონა უფრო უყვარს. ჩვენი ქალიშვილი სინდის ჰგავს და მე სიგიჟემდე გახარებული ვარ!“

ნუგო ბაშელი

# ცვლილება

ვაგონი მაგრად შეინჯღრა. თვალი გაახილა. თავი ტყვიასავით დამძიმებოდა, მთლიანად ცივ ოფლად იღვრებოდა, ხელ-ფეხი გაჰყინვოდა და აძაგძაგებდა. გარეთ ივნისის თბილი დილა იდგა, ის კი სიცივისგან კანკალებდა. პირში საშინელი გემო ჰქონდა, გულის რევას გრძნობდა.

თავიდან ვერც კი მიხვდა, სად იყო და საით მიდიოდა, მაგრამ კოშმარულ სიზმრებს თავი რომ დააღწია, გაუხარდა.

მერე, თანდათან, ყველაფერი გაახსენდა. კანკალმა ნელ-ნელა გაუარა. წამოჯდა. თვალები ეწვოდა და საფეთქლები ძალუმად უცემდა. მძიმედ სუნთქავდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა. სარკმლის გახსნას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. ტამბურისკენ გასწია სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად. იქ სიგარეტის სუნი დახვდა. ვეღარ იტანდა სიგარეტის სუნს, გულს ურევდა. კვლავ თავის კუპეში დაბრუნდა. ისევ დაეჯაჯგურა სარკმელს, როგორც იქნა, გახსნა. გრილმა ნიავმა დაბერა და ოფლიანი პერანგი აუფრიალა. შეაჟრჟოლა, მაგრამ გახურებული შუბლი მაინც შეუშვირა მაცოცხლებელ ნაკადს.

გვერდით საწოლზე გულის გამაწვრილებლად ხვრინავდა კარგად ჩასუქებული მგზავრი...

გარეთ ლამაზი დილა იდგა. რიტმულად რაკუნობდა მატარებლის თვლები. ნერვებს უშლიდა ეს გაუთავებელი რაკუნი. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავში ჩაქუჩს ურტყამდნენ.

დაწვა. ყურებზე ხელები აიფარა და თვალები დახუჭა. შეეცადა, არაფერზე ეფიქრა. „ერთი, ორი, სამი“... — გონებაში დაიწყო თვლა. არაფერი გამოუვიდა. ისევ წამოჯდა.

გვერდით საწოლზე კვლავ მონდომებით ხვრინავდა ჩასუქებული მგზავრი...

არასდროს ჰყვარებია მატარებლით მგზავრობა, სულ ორჯერ-სამჯერ თუ იქნებოდა ვაგონში ნაჯდომი. ვერ იტანდა მატარებლის და შპალების სპეციფიკურ სუნს.

გარედან ცხენების ჭიხვინი მოესმა. თოვლივით თეთრი ბედაური თავაწყვეტილი გარბოდა ყაყაჩოებით გადაწითლებულ მინდორზე.

ყაყაჩოები, წითელი ყაყაჩოები...

ბავშვობა მოაგონდა... მოაგონდა, ერთხელ, სოფლისკენ მგზავრობისას, როგორ შეისვენეს ყაყაჩოებით დაფარული მინდვრის პირას. არც მანამდე და არც მას შემდეგ არ უნახავს იმდენი ყაყაჩო ერთად, არც იმხელები უნახავს ოდესმე. ყაყაჩოები თითქმის მკერდამდე სწვდებოდა. მოაგონდა, რა არხეინად გორავდა ყაყაჩოებში, როგორ ამოისვარა ყაყაჩოების მოყვითალო-მომწვანო მტვერში. ისიც მოაგონდა, თამაშის შემდეგ როგორ უშედეგოდ ცდილობდა წაქცეული ყვავილების წამოყენებას. შემზარავად ეჩვენა მაშინ გათელილი ყაყაჩოების სურათი...

როგორ უყვარდა სოფლისაკენ მგზავრობა ბავშვობაში! ყოველთვის შუაღამით გადიოდნენ ხოლმე სახლიდან თავიანთი თეთრი მანქანით, სიცხეს რომ არ შეეწუხებინათ მგზავრობისას. როცა მამა ეტყოდა, ხვალ სოფელში მივდივართო, მისთვის აღდგომა დგებოდა. სიხარულით ღამე არ იძინებდა. ხანდახან თვითონ აღვიძებდა ხოლმე მშობლებს, უკვე ღამის სამი საათია, დროა წავიდეთო. მანქანაში უკანა სავარძელზე გაუშლიდნენ ხოლმე ლოგინს, მანქანა აკვანივით ირწეოდა, ძრავა ტკბილად ღუღუნებდა და მშობლიური ქალაქიდან გასვლას ვერც ასწრებდნენ, რომ უკვე ღრმად ეძინა.

ვაგონი კვლავ შეინჯღრა. ჩასუქებულმა მგზავრმა დააჭყიტა გამოშტერებული თვალები, გაკვირვებით გამოიხედა მისკენ, მერე რაღაც ჩაიბურტყუნა, გადაბრუნდა და ხვრინვა განაგრძო.

მატარებელმა სიჩქარეს უკლო. ხალხი დაფაცურდა. ჩასუქებულმა უცებ შეწყვიტა ხვრინვა, წამოხტა და გასაოცარი სისწრაფით დაიწყო ჩაცმა.

თანდათან გამოიკვეთა უცნობი ქალაქის რუხი სილუეტი.

უცნობი ქალაქი...

სასიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა მუდამ, როცა უცნობ ქალაქში ჩადიოდა. სხვა სახლები, სხვა ქუჩები, სხვა ადამიანები...

ეს, სანამ ქალაქი უცნობია და შენც უცნობი ხარ ქალაქისათვის. შემდეგ კი... შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დგება...

მატარებელი გაჩერდა. ბაქანზე გადმოვიდა ღრმად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი. შვება იგრძნო. სადგურიდან გამოვიდა და იქვე მდგარ ავტობუსში ავიდა რატომღაც, მაგრამ ორი გაჩერებაც არ გაუვლია, რომ უკანვე ჩამოვიდა. ფეხით გაუყვა უცნობ ქუჩას. ქუჩის კუთხეში მოხუცი იჯდა და მიხაკებს ყიდდა.

არ უყვარდა მიხაკები. მის დანახვაზე სულ კუბო აგონდებოდა. კუბო და მასში ჩაწოლილი მიცვალებული. გა-

შავებული მიცვალებული, ირგვლივ კი შავებში ჩაცმული დედაკაცები... კუბოს ვერ იტანდა, ნეშტი იმდენად არ ზარავდა, რამდენადაც კუბო. ხანდახან, ძილის წინ, თვალებს რომ დახუჭავდა, მის წარმოსახვაში შავი კუბო ამოტივტივდებოდა ხოლმე... შეშინებული ახელდა თვალებს.

უცნაურია, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, სასაფლაოზე ხშირად დადიოდა. არა, ახლობელთაგან არავინ ჰყოლია გარდაცვლილი. შეიძლება, სწორედ ამიტომაც დადიოდა ასე ხშირად. ერთგვარ სულიერ სიმშვიდეს პოულობდა იქ. საფლავის ქვებზე გამოსახული პორტრეტები ნაღვლიანად და თითქოს თანაგრძნობითაც იცქირებოდნენ. იქ არასდროს უნახავს შურიანი ან დამცინავი სახეები. მოუვლელი საფლავები უყვარდა განსაკუთრებით, ხანდახან წმენდდა კიდეც. რატომღაც სწორედ სასაფლაოზე გრძნობდა სიცოცხლის მწველ სიყვარულს, სწორედ მაშინ იპყრობდა რაღაც კეთილის, ამაღლებულის კეთების სურვილი.

ეკლესიაში სიარული უყვარდა კიდევ. ტაძარში შესვლისთანავე, სწყდებოდა ამქვეყნიურობას და სადღაც წმინდა სამყაროსკენ მიექანებოდა. სანთელ-საკმევლის სუნი სულს ნეტარებით უვსებდა. შეეძლო სათობით ეცქირა სიბნელეში მოციმციმე კელაპტრებისთვის.

სკოლაში კარგად სწავლობდა. მისი ფოტოსურათი მუდამ ფრიადოსნების დაფაზე იყო გაკრული. მასწავლებლების დიდი ხათრი და მორიდება ჰქონდა, მათი სიტყვა მისთვის კანონი იყო. ვერც კი წარმოიდგენდა, თუ მასწავლებლებიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ჩვეულებრივად ჭამდნენ და სვამდნენ, ჩვეულებრივი ოჯახები ჰქონდათ.

ეს, სანამ პატარა იყო. მერე კი, ყველაფერი შეიცვალა...

ბავშვობაში სულ მარტო თამაშობდა, ვერ იტანდა, როცა მის თამაშში ვინმე ჩაერეოდა. მუდამ რაღაცას ჩხირკედელაობდა. სათამაშოები დიდხანს ვერ უძლებდა — შლიდა და რაღაც ახლის აწყობას ლამობდა, ხშირად გამოსდიოდა კიდეც. პატივმოყვარე იყო, თანატოლებთან შედარებით, აშკარად გონებრივ უპირატესობას გრძნობდა, მასწავლებლები მუდამ მის ქებაში იყვნენ და... მიეჩვია, ალბათ, პირველობას. უბანში ველოსიპედი, ყველაზე ადრე მას უყიდეს, ყველაზე კარგადაც მართავდა. პირველ კლასშიც არ დადიოდა, როცა მამამ დამოუკიდებლად ანდო მანქანის საჭე, მესამეში კი, უკვე ჩუმ-ჩუმად გამოჰყავდა მანქანა გარაჟიდან და ახლომდებარე ქუჩებში დააგრიალებდა, თან თანაკლასელებს დაასეირნებდა. ახსოვს, როგორი აღტაცებით უყურებდნენ თანატოლები...

ჯერ აღტაცებით, მერე კი, ყველაფერი შეიცვალა...

ბევრს კითხულობდა, კარგად ხატავდა, ხატვის წრეზეც დადიოდა. თითქმის მთელი კლასი მისგან იწერდა საშინაო დავალებებსა და საკონტროლო ნაშრომს. სუსტის დაჩაგვრა არ უყვარდა, არც ვინმეს დასცინოდა ოდესმე. კლასის თვალი იყო და აფასებდნენ კიდეც თანაკლასელები. აფასებდნენ. ასე, მეშვიდე კლასამდე...

მერე კი, ყველაფერი შეიცვალა...

ერთხელ, სოფელში ვიღაც ბიჭი გაიცნო. იმ ბიჭს ძლიერ მოეწონა მისი ვერცხლის ჯვარი, რომელიც მამამ აჩუქა და მუდამ თან ატარებდა. ბიჭი დიდხანს ემუდარა, ერთი დღით მათხოვეო, ვითომ ვიღაც გოგონასთვის უნდოდა მოეწონებინა თავი. ათხოვა. მეორე დღეს კი, ბიჭმა განუცხადა: ჯვარი დავკარგეო და დიდ ბოდიშს უხდიდა. ისეთი შეწუხებული ჩანდა, იქით დაამშვიდა, არაფერია, მამაჩემი მეორეს მაჩუქებსო.

არ გასულა დიდი დრო და „დაკარგული“ ჯვარი იმ ბიჭის უფროსი ძმის კისერზე ნახა ჩამოკიდებული. ახლაც თვალწინ უდგას მისი დამცინავი, ამაყი, ზიზღნარევი მზერა. სახეში სისხლი მოაწვა, ერთი სული ჰქონდა, ყელში სწვდომოდა თავხედს, მაგრამ... შეეშინდა! შეეშინდა... ვერავის ვერაფერი უთხრა, პირიქით, თითქოს ვერც შეამჩნია ჯვარი — მობრუნდა და წამოვიდა. კუდამოძუებული გამოიძურწა...

სწორედ მეშვიდეში იყო მაშინ... მაშინ დაამცირეს პირველად სახალხოდ, პირველად მოატყუეს ურცხვად, მიწასთან გაასწორეს... მაშინ პირველად იგრძნო, რომ ბევრს არაფერს წარმოადგენდა.

მანამდე კი... მანამდე ეგონა, რომ ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა, მასაც უყვარდა ადამიანები, ლამაზი ფერებით ეხატებოდა მომავალი და სწამდა, რომ ცხოვრება სიხარულითა და ბედნიერებით იყო სავსე.

რას წარმოიდგენდა რომ ოდესმე ხელები სისხლით შეეღებებოდა და მშობლიური ბუდიდან მოუწევდა გაქცევა?!.

ვიღაც ახალგაზრდა გააჩერა, ჰკითხა — საღორიაზე როგორ მოვხვდებიო? არც ისე შორს აღმოჩნდა. ფეხით განაგრძო გზა. თავჩაქინდრული მიდიოდა, რატომღაც ნაბიჯებს ითვლიდა.

ზარის ხმა შემოესმა, შემდეგ კი, ბავშვების ჟრიამულმა შეარხია ჰაერი. სკოლის შენობა გამოჩნდა.

სკოლის მოგონება ზარავდა. მერვე კლასში იყო, მამამ რომ მიატოვა. საცოდავი დედა... დამჯერი, მოსიყვარულე... მაგრამ ასეთები არ ჰყვარებიათ თურმე! დედამ მძიმედ განიცადა ქმრის საქციელი, დიდხანს იავადმყოფა.

მამა შესძულდა. თავიდან ოცნებობდა, რაიმესთვის მიეღწია, დიდი კაცი გამხდარიყო, რომ მამამისს გაეგო მისი მიღწევების შესახებ და ენანა, ძლიერ ენანა, ასეთი კარგი ოჯახი რომ მიატოვა. შემდეგ კი... შემდეგ, მამა სულ გადაავიწყდა.

ბევრს მეცადინეობდა, განსაკუთრებით — ბოლო კლასებში. წიგნზე აღამებდა და ათენებდა. მასწავლებლებს ეკამათებოდა, როცა უცოდინარობაში გამოიჭერდა. ამის გამო და, ალბათ, არა მარტო ამის გამო, მასწავლებლებმა შეიძულეს. ბოლოს, შეეშვა მათთან კამათს, საკუთარ თავში ჩაიკეტა, თუ შეეკითხებოდნენ რაიმეს, უპასუხებდა, თუ არა და, ხელს არაფერზე იწევდა.

თავიდანვე მედლის უდავო კანდიდატი იყო, მეთერთმეტე კლასში კი, კონკურენტებიც გამოუჩნდნენ. საოცარია, მაგრამ ყველა კონკურენტი რატომღაც მასწავლებლის შვილი იყო.

შესძულდა სკოლაში სიარული. სკოლის შენობაც შესძულდა. რუხი, პირქუში, სამსართულიანი... ზურგს უკან მუდამ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ცივ, გამქირდავ მზერას გრძნობდა.

მასწავლებლები, რომლებიც ძველად აქებდნენ და სამაგალითოდ თვლიდნენ, ახლა მის ცოდნას ეჭვის თვალით უყურებდნენ. თითოეულ საგანში ფრიადის მიღებას საკმაოდ დიდი ბრძოლისა და შრომის შედეგად ახერხებდა. ერთმა მასწავლებელმა კი, პირდაპირ, მკვახედ მიუგო:

— შენ მედლის გარეშეც ჩაბარებ, ირინას კი, მედალი ძალზე სჭირდება — დაუთმე.

და ეს უთხრა იმ მასწავლებელმა, რომელსაც ყველაზე მეტად აფასებდა,

რომელთანაც ყველაზე ახლოს იყო და რომელიც თავიდან, თითქოს, ყველაზე მეტად გულშემატკივრობდა კიდეც.

ვერ გაეგო, რით უშლიდა იგი სხვას ხელს, განა თითოეულ სკოლაზე მედლების რაოდენობა მკაცრად განსაზღვრული იყო?!

ყველამ შეიძულა იგი სკოლაში, ყველამ... წინ წასული კაცი არავის ჰყვარებია თურმე...

ერთხელ, პარალელურკლასელმა ბიჭებმა რაღაცაზე შარი მოსდეს, ტუალეტში შეიყვანეს და სცემეს, ყველას თვალწინ სცემეს. ის კი, იღიმებოდა... შეშინებული, დაბნეული თვალებით იყურებოდა ირგვლივ და საწყლად იღიმებოდა. ვინმეს თვალებში თანაგრძნობას ეძებდა, მაგრამ ვერ ნახა...

მერვე კლასში სწავლობდა მაშინ...

საოცრად მშიშარა გახდა. არა, მშიშარა პატარაობიდანვე ყოფილა, დედას კბილის ამოსაღებად როცა მიჰყავდა, მუდამ ბღაოდა თურმე — ხომ არ მოვკვდებიო? ან, იქნებ, პატარები ყველანი მშიშრები არიან...

კი, მშიშარა გახდა და ლაჩარი. საკუთარ სიმხდალეს შეეჩვია და ცდილობდა, გულთან ახლოს აღარ მიეტანა, მაგრამ ერთი ამბის გახსენებაზე ახლაც სიმწრის ოფლში იწურებოდა.

ერთხელ, ავტოავარია მოუვიდათ. საქორწილო ესკორტის ერთ-ერთი მანქანა დაეჯახათ. საჭესთან მამამისი იჯდა. ავარია სერიოზული არ იყო, მაგრამ ნასვამი მექორწილეები მაინც ეცნენ მამას და უმოწყალოდ დაუწყეს ცემა. შეშინებულმა დედამ კივილი მორთო, ხალხს შველას ევედრებოდა, არავინ გამოჩნდა მშველელი...

არც თვითონ მიშველებია, იდგა გაქვავებული და შეშინებული უცქერდა, როგორ სცემდა გამხეცებული ბრბო მამამისს...

მერვე კლასში სწავლობდა მაშინაც... მაშინაც შეეშინდა, საკუთარ მამასაც კი არ მიეხმარა გაჭირვების ჟამს...

ერთი თვეც არ გასულა იმ ავარიის შემდეგ და მამა ოჯახიდან წავიდა...

იქნებ, რომ დახმარებოდა მაშინ, ჩხუბის დროს, არც წასულიყო!.. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა იმ პერიოდში და ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებდა. დედასაც გაანდო მტანჯველი აზრი. დედას გაეღიმა, თავი გააქნია და ცრემლნარევი ხმით უპასუხა:

— არა, შვილო, აბა, შენ როგორ დაეხმარებოდი, ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, ან კიდევ, რას გახდებოდი იმ მხეცებთან! — გულში ჩაიკრა, — შენ რომ რაიმე მოგსვლოდა, თავს ერთი წამითაც აღარ ვიცოცხლებდი. ასეთი აზრი როგორ მოგივიდა?! შენ სასახელო შვილი გვყავხარ. შენით ვამაყობთ მეც და მამაშენიც. შვილების გამო არ მიდიან ოჯახიდან, ცოლების გამო მიდიან... დამნაშავე თუ ვინმე არის, უპირველეს ყოვლისა — მე... შენ რა შუაში ხარ. შენ ძალიან უყვარხარ მამას!

დედის სიტყვებმა ვერ დაამშვიდა მაშინ...

სკოლის გოგონები ამრეზით უყურებდნენ. გვერდზე რომ ჩაუვლიდნენ, ხანდახან ერთმანეთს რაღაცას გადაულაპარაკებდნენ, პირზე ხელს იფარებდნენ და ჩაიხფუკუნებდნენ ხოლმე. ღამღამობით ყურებში ჩაესმოდა ეს გამანადგურებელი ფხუკუნი...

ერთხელ დედამ დანაზოგი ფულით ტყავის ქურთუკი უყიდა. სიხარულით ცას ეწია. მეორე დღესვე ჩაიცვა. ალბათ, სურდა, სკოლაში ვინმესთვის თავი მოეწონებინა, მაგრამ არავის ზედაც არ შეუხედავს.

შინ რომ ბრუნდებოდა, ვიღაც ბიჭებმა გააჩერეს და თავხედურად დაუწყეს ქურთუკს თვალიერება. ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მუხლები მოეკვეთა, მიხვდა, რაც უნდოდათ. პანიკურმა შიშმა მოიცვა...

კარგად ახსოვს მათი კილო: დამცინავი, უშნოდ გაწელილი, ცხვირში მოდუდუნე... „კურტკა“ გვათხოვეო, უთხრეს. უკვე იცოდა, რას ნიშნავდა ეს „თხოვება“.

ეხვეწა, ემუდარა — თავი გამანებეთო. სახლში გამიბრაზდებიანო, წამოსცდა თავისდა უნებურად.

— დედა გაგიბრაზდება?! — დამცინავად გაწელა ერთ-ერთმა.

ბიჭებს შორის უფროსმა „სულგრძელობა“ გამოიჩინა:

— სახლში წადი, „კურტკა“ გამოიცვალე და ჩუმად გამოიტანე, ოღონდ იცოდე, მშობლები არ დამაყენო თავზე, გაიგე?!

შინ მივიდა. საშინელი მოთენთილობა იგრძნო. ტახტზე დაეგდო და თვალები დახუჭა. არაფერზე ფიქრობდა.

ტელეფონმა დარეკა. სისხლი გაეყინა. იგრძნო, ვინც იქნებოდა. არ განძრეულა. კვლავ დარეკა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო, საშინელი შიში დაეუფლა.

კარი გაიღო და დედა შემოვიდა. ცოტათი დამშვიდდა.

ტელეფონმა კვლავ დარეკა.

აცახცახებული ხელით აიღო ყურმილი.

— რატომ არ გამოხვედი?!

— დედა არ მიშვებს — რატომღაც „დედა“ წამოსცდა.

— დედიკოს ბიჭო, სადაც გნახავ, დედას მოგ... — შეაგინეს... ყველაზე საყვარელი არსება შეუგინეს... ერთადერთი, რომელიც უყვარდა და რომელსაც უყვარდა, მან კი... მან ყველაფერი ჩაყლაპა...

ყველა შესძულდა. საკუთარი თავი — ყველაზე მეტად.

ტელეფონი შესძულდა კიდევ. ზარის გაგონებაზე, ყოველთვის ჟრუანტელი უვლიდა და გული ბაგაბუგს უწყებდა.

ქუჩაში სიარულისას შეშინებული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. რაღაცის პანიკური შიში მუდამ აჩრდილივით უკან დასდევდა. სადმე თავშეყრილ ბიჭებს თუ დაინახავდა, შორიდან უვლიდა გვერდს. საერთოდ დაკარგა საკუთარი თავის პატივისცემა.

სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. სამხატვრო აკადემიაშიც ჩააბარა. გადაწყვიტა, ახალი ცხოვრება დაეწყო. საკუთარი თავიც აღარ სძულდა ძველებურად: სკოლა ხომ ოქროს მედალზე დაამთავრა, აკადემიაშიც პირველივე წელს ჩაბარა. ეს ხომ ცოტა არ არის! ეს ხომ ყველას არ შეუძლია! ფიქრობდა, სკოლას რომ მოვცილდები, ყველაფერი შეიცვლებაო... ასე ფიქრობდა...

იმ ზაფხულს, დედასთან ერთად, სოფლად წავიდა დასასვენებლად. საშინელ სულიერ დაღლილობას გრძნობდა, ღამღამობით კი, ისევ სკოლის კოშმარები ესიზმრებოდა... და შიში... რაღაცის შეუცნობელი შიში, მოსვენებას არ აძლევდა.

ზაფხული იწურებოდა. მოუთმენლად ელოდა სწავლის დაწყებას. აკადემია რაღაც ღვთიურ ტაძრად ესახებოდა, მაგრამ...

შინისკენ გამოემგზავრნენ. მართალია, მშობლიური ქალაქი არ უყვარდა, სძულდა კიდეც, მაგრამ ნაცნობი ქუჩები და შენობები რომ დაინახა, მაინც საამო გრძნობა დაეუფლა.

აი, მისი სახლიც გამოჩნდა, მისი სადარბაზო, კიბე, კარი...

დერეფანში ტანსაცმელი ეყარა...

ყველაფერს მიხვდა... საშინელი შესახედია ახალგაქურდული ბინა!

ჩამოჯდა. არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი. უსიცოცხლო თვალებით მისჩერებოდა კედელს.

კიბეზე ფეხის ხმა მოესმა. დედა ამოდიოდა პურის მაღაზიიდან.

უცებ გამოერკვა, საჭირო იყო დედის შემზადება, დამშვიდება, თორემ, მისი ჯანმრთელობის პატრონს, შეიძლებოდა, ვერც კი გადაეტანა ასეთი სურათის ხილვა.

— დედა, დედა!... — რაღაცის თქმა დააპირა, სიტყვები ვერ მონახა.

დედას თვალები გაუფართოვდა, ერთხანს უაზროდ იცქირებოდა, შემდეგ მუხლები მოეკვეთა და პური ხელიდან გაუვარდა. ძლივს მოასწრო დედის შეკავება. საწოლამდე მიიყვანა, წამალი დაალევინა...

ბევრი არაფერი იყო წაღებული, არადა, წასაღებიც არა იყო რა: დედის ოქროს ბეჭედი, ოქროს სამაჯური და ოქროს მედალი. მისი ოქროს მედალი... მედალი, რომლისთვისაც თერთმეტი წელი იწვალა, ერთი თვეც არ შეარჩინეს...

მალე გაირკვა ქურდის ვინაობაც — მისი პარალელურკლასელი აღმოჩნდა, — მაგრამ მოპარული ნივთები ვერ ნახეს.

ყველანაირად არწმუნებდა თავს, რომ მედალი არაფერია, იგი მხოლოდ სიმბოლო, მხოლოდ ლითონია, ის კი, რისთვისაც მედალი მისცეს, მასთანვე რჩებოდა. არწმუნებდა თავს, მაგრამ ხვდებოდა, რომ არაფერი გამოსდიოდა.

არ ყოფილა მედალი მხოლოდ ლითონი!..

მალე სიცხეები დაეწყო, ლოგინად ჩავარდა. ის შეუცნობი შიში, რომელიც მუდამ თან სდევდა, ახლა სასიკვდილოდ ჩაებღაუჭა კლანჭებით. მარტო ვეღარ რჩებოდა, დედას ერთი წუთითაც არ იშორებდა, ყველგან სიკვდილის აჩრდილი ელანდებოდა, სული ეხუთებოდა და ცივ ოფლში ცურავდა.

ყველაფერი მობეზრდა, ყველაფერი ყელში ამოუვიდა, ყველაფერს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა. რისთვის იწვალა, რისთვის ისწავლა, რატომ შეაძულა თანატოლებს თავი? ყოფილიყო ყველასნაირი, ეკეთებინა ის, რასაც ყველა აკეთებდა...

ნერვებს უშლიდა თანატოლთა სიცილ-ხარხარი, ვეღარ იტანდა მხიარული და ბედნიერი სახის დანახვას.

ჰოო... ადამიანებს არ ჰყვარებიათ საკუთარ თავზე ბედნიერი და უკეთესი ადამიანები...

ცოტათი მომჯობინდა, მაგრამ სახლიდან შორს მაინც ვერ გადიოდა. ის გამანადგურებელი შიში ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა.

სწავლაც დაეწყო... აკადემია არ აღმოჩნდა ისეთი ღვთიური ტაძარი, როგორიც ეგონა. ჭუჭყიან აუდიტორიებში საკმაოდ ბრიყვული სახის მქონე ლექტორები (ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა მაშინ), ნერვების მომშლელად კითხულობდნენ მშრალ ლექციებს.

ლექციებზე ჯდომა უჭირდა, სული ეხუთებოდა. ხშირად, შუა ლექციიდან დაეთხოვებოდა ლექტორს და შინ გარბოდა.

ავადმყოფობას ბევრით არაფრით შეუშლია ხელი სწავლაში. პირველი სემესტრი „ხუთებზე“ დახურა.

„ხუთებზე“ დახურა და... გაჩნდა თანაკურსელთა სახეებზე ის, მისთვის უკვე კარგად ნაცნობი, დამცინავი ღიმილი... მას რომ დაინახავდნენ: აი, ფრიადოსანი მოდისო — ჩაილაპარაკებდნენ და ჩაიცინებდნენ ხოლმე.

შესძულდა სიტყვა „ფრიადოსანი“, შესძულდა სწავლაც, აკადემიის მიტოვებასაც აპირებდა, მაგრამ დედა ებრალებოდა.

ცრუმორწმუნეც გახდა. რაღაც უაზრო ნიშნებს დაუწყო ყურადღების მიქცევა, ტანსაცმელსაც კი არჩევდა — ფიქრობდა, თუკი ამა თუ იმ ტანსაცმელს ჩაიცვამდა, იმ დღეს ნაკლები უსიამოვნება შეხვდებოდა. ზოგი ტანსაცმელი შეიძულა, ზოგიც შეიყვარა და სულ იმით დადიოდა. თვითონაც ხვდებოდა, რომ ეს სისულელე იყო, მაგრამ მაინც ასე იქცეოდა. დედამაც შენიშნა და გაოცებას ვერ ფარავდა. სიზმრებსაც თავისებური ახსნა დაუწყო: გველს თუ ნახავდა, ის დღე აუცილებლად საზიზღრად ჩაივლიდა, კატას რომ გადაერბინა მის წინ, უკან ბრუნდებოდა და სხვა გზით მიდიოდა.

გარეგნულად არც ისე ლამაზი იყო: გამხდარი, შავგვრემანი. მსხვილი შავი თვალები და მუდამ ჩაშავებული თვალის უპეები ჰქონდა. ალბათ, ამიტომაც, ჯგუფში „ტარაკანა“ შეარქვეს.

ამ მეტსახელის გაგონებაზე ძარღვებში სისხლი ეყინებოდა.

რატომ?! რატომ აკეთებდნენ ამას?.. მას ხომ არავისთვის არაფერი დაუშავებია. მუდამ განმარტოებით იჯდა უკანა მერხზე და მხოლოდ სწავლობდა...

ხატავდა კიდეც. ბევრს ხატავდა... პეიზაჟის ხატვა არ უყვარდა, მხოლოდ ადამიანებს ხატავდა, ხეიბარ ადამიანებს, ლოთებს, მათხოვრებს...

ძალზე უყვარდა თავისი ნახატები. ოთახის ოთხივე კედელი ტილოებით ჰქონდა მოფენილი.

ბავშვები უყვარდა კიდევ... საათობით იჯდა ფანჯარასთან და უცქერდა მათ თამაშს.

*გაგრძელება იქნება*

# „რუსული მლუბი“ მხოლოდ სრულწლოვანთათვის

სრული ანშლაგით ჩაიარა ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლის — „რუსული ბლუზის“ პრემიერებმა გრიბოედოვის სახელობის თეატრში. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ფოიეში რამდენიმე უკმაყოფილო მაყურებელი მაინც შევნიშნეთ. მათი აზრით, აღნიშნული წარმოდგენა ამორალური სცენების სიმრავლით გამოირჩეოდა, რაც მსახიობების თამაშზე ყურადღების გამახვილებაში უშლიდათ ხელს.

მაგრამ დარბაზში მყოფთა უმრავლესობის რეაქცია სრულიად საპირისპირო იყო, რომლის დიდი ნაწილი, ადგილების უკმარისობის გამო, ფეხზე იდგა. მათ წარმოდგენის დასრულების შემდეგ თავიანთი აღფრთოვანება მქუხარე ტაშით, ყვავილებითა და ხანგრძლივი ოვაციით გამოხატეს.

თაყვანისმცემლებით გადაჭედილ კულისებში მაინც მოვახერხეთ და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს — **ნიკო გომელაურს** გავესაუბრეთ:

**— თქვენი აზრით, რამდენად მისაღები იყო სპექტაკლი მაყურებლისთვის და რისი თქმა სურდა რეჟისორს?**

— შესაძლოა, ქართველი მაყურებელი ნამდვილად არ იყო მზად ამ სპექტაკლისათვის, მაგრამ ავთანდილ ვარსიმაშვილის გენიალური თვისება სწორედ ეს არის, — მას შეუძლია, ძალდატანების გარეშე, მისთვის მისაღები ფორმით მიიტანოს მაყურებლამდე ესა თუ ის პიესა. ჩემი აზრით, რეჟისორმა უბრალოდ, სცენაზე დაუკრა რუსული ბლუზი. რაც შეეხება თამაშს, ნამდვილად არ გაგვჭირვებია. გრიბოედოვის თეატრის დასის წევრები შესანიშნავი პარტნიორები არიან (ნიკო გომელაური და რამაზ იოსელიანი, ამ სპექტაკლში სათამაშოდ მიწვეული მსახიობები არიან. — ავტ.) და ვფიქრობ, მაყურებელი ნასიამოვნები დარჩა. ■

# ნატო დუმბაძე საკუთარ პროექტს საზღვარგარეთ წარადგენს

*როგორც შევიტყვეთ, დათო ხუკაძემ გადაწყვიტა, კარიერა მოსკოვში განაგრძოს. დეტალების დასაზუსტებლად, მის ოფიციალურ პროდიუსერს* ***ნატო დუმბაძეს*** *მივმართეთ.*

**— რატომ გაემგზავრა დათო მოსკოვში?**

— ეს ჩემი ერთ-ერთი რჩევაც იყო. ძირითადი მიზეზი კი, ანაზღაურება და დათოს საზღვარგარეთ პოპულარიზაციაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის თბილისს არ დაუბრუნდება. შესაფერის მოწვევაზე, რა თქმა უნდა, არ იტყვის უარს.

**— თქვენ რატომ არ ხართ მის გვერდით? ეს ხომ აუცილებელია თქვენი კლიენტისთვის?**

— არ მომწონს, როდესაც მომღერალს კლიენტს უწოდებენ. მე პროდიუსერი ვარ, დათო — ჩემი „პროექტი“ (და არა მხოლოდ დათო, ასევე თიკა ჯამბურიაც). მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით არ ვარ, ყველა კონტრაქტი და დოკუმენტი, ინტერნეტის საშუალებით, ჩემთან თანხმდება. რაც შეეხება გამგზავრებას — ვერ შევძელი, მარტივი მიზეზის გამო — ჯერ ოჯახი და შემდეგ საქმე.

**— როგორია თქვენი მეუღლის დამოკიდებულება თქვენს საქმიანობასთან?**

— თავიდან არ მოსწონდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამთანხმდა. იცის, რომ მიყვარს და სიამოვნებას მგვრის ჩემი საქმე. ოჯახს რაც შეეხება — ვცდილობ, არაფერი მოვაკლო, რაც დიასახლისს ევალება. ყოველი დღე ჩემი ოჯახით იწყება.

**— რამდენად გაკმაყოფილებთ თქვენი პროექტის პიროვნება? როგორია თქვენი ფინანსური ურთიერთობები?**

— მთავარია, რომ დათო ძალიან შრომისმოყვარეა. სერიოზული კამათი ჯერ არ მოგვსვლია. ის ყოველთვის ითვალისწინებს ჩემს რჩევებს. რაც შეეხება ფინანსურ ურთიერთობას, წილი მოგებიდან, 50/50-ზეა. მაგრამ ორივეს კუთვნილი თანხა ისევ საქმეში ბრუნდება — მომავალი იდეების განსახორციელებლად. მოკლედ, ფული საქმიანობის გარეთ არ გადის.

**— საინტერესოა, რას გეგმავთ სამომავლოდ?**

— აუცილებლად შეივსება მუსიკალური კლიპების მარაგი და საერთოდ, რეპერტუარის ერთ-ერთი კლიპი უკვე წარვადგინეთ ტელევიზიით — უკრაინული სიმღერის კლიპი მაქვს მხედველობაში. ■

# თამთა ქართველიშვილი ამპლუას იცვლის

**მომღერალ კახა ცისკარიძესთან ერთად**

მუსიკალური სტუდია „პრესტიჟის“ ერთ-ერთი სოლისტი, თამთა ქართველიშვილი, მალე განსხვავებულ ამპლუაში წარდგება მსმენელის წინაშე. ის, როგორც მოცეკვავე, მამუკა ონაშვილის ახალ მუსიკალურ კლიპში გადაიღეს, რომლის სახელია „გელოდები“.

ახალგაზრდა მომღერალს ბევრი გეგმა დაუგროვდა და გაორმაგებული ენთუზიაზმით განაგრძობს მუშაობას. როგორც თვითონ გვპირდება, მალე ახალ მუსიკალურ ალბომსაც გამოუშვებს.

დაგეგმილი აქვს აგრეთვე ახალ ტრიოში გადასვლა, რომელიც სტუდია „პრესტიჟის“ ბაზაზე დაარსდა. აღნიშნული საქმიანობის გარდა, მომღერალი, ლელა მაქაცარიასთან ქორეოგრაფიაში ვარჯიშითაც არის დაკავებული: თამთას აზრით, მას დასახვეწი აქვს პლასტიკა, რომლის გარეშეც შოუკონცერტებზე გამოსვლა ყოვლად წარმოუდგენლად მიაჩნია.

საკუთარ თავზე საუბრისას გულწრფელად მითხრა: „უამრავი თაყვანისმცემელი მყავს, მაგრამ ჯერ არავინ მაინტერესებს. მაგნე ჩვეად, საკუთარი ფეთქებადი ტემპერამენტი მიმაჩნია: უმნიშვნელო წვრილმანზეც საშინლად ვღიზიანდები ხოლმე, თუმცა ნამდვილად არ ვარ მეტისმეტად პრეტენზიული. მომავლის ყოველთვის მჯერა, წარუმატებლობა კი ჯერ არ მქონია და არც მეშინია...“ ■

***მოამზადა რევო ძაგანიშვილმა***

# კიდმანის მრილიანტემი არ იყიდემა

ბრილიანტის ყელსაბამი, რომელიც ნიკოლ კიდმანის კისერს ფილმ „მულენ-რუჟ-ში“ ამშვენებს, „კრისტის“ აუქციონზე არ გაიყიდა, რადგან თავად იუველირი მას ვერ შეელია.

ავსტრალიელმა სტეფანო ცანტურმა თავისი შედევრი – კინოსურათისთვის საგანგებოდ დამზადებული ყელსაბამი, ნიუ-იორკის „კრისტის“ აუქციონზე გაიტანა, მაგრამ ვაჭრობის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, ლოტი აუქციონიდან მოხსნა.

ყელსაბამი – „სატინი“, რომელსაც ბაზ ლურმანის ფილმში ნიკოლ კიდმანის გმირის სახელი მიანიჭეს, შეიძლებოდა, აუქციონზე გაყიდული ყველაზე ძვირად ღირებული კინოექსპონატი გამხდარიყო. იგი 660 ათას გირვანქა სტერლინგად იყო შეფასებული. ამრიგად, ოქრომჭედელმა გადაწყვიტა, 1308 ბრილიანტიანი უნიკალური ნაკეთობა თავის პირად კოლექციაში დაეტოვებინა. ■

# მადონას ქალიშვილი მრიტნი სპირსის თანაგია

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მადონას ქალიშვილის საყვარელი მომღერალი მისი ლეგენდარული დედა კი არა, ნორჩი ბრიტნი სპირსი ყოფილა. ლურდეს ჩიკონე-ლეონს ბრიტნის უამრავი ფირფიტა, მისი ვიდეოჩანაწერები და პოსტერები აქვს.

ცოტა ხნის წინ მადონას ოთხი წლის შვილი, როგორც იქნა, თავის კერპს – ბრიტნი სპირსს შეხვდა. ბრიტნიმ კი, თავის მხრივ, ბოლოს და ბოლოს, თავისი კერპი – მადონა იხილა. შეხვედრის წინ ლურდესი ძალიან ნერვიულობდა და სანამ დედამისი და ბრიტნი თბილად საუბრობდნენ, ძიძის კაბის კალთას ეფარებოდა. ბრიტნის დანახვაზე გოგონა შეკრთა, მადონას გამოჩენამ კი, ბრიტნის შეშფოთება გამოიწვია და გააწითლა კიდეც. პირველი ფრაზა, რაც ახალგაზრდა მომღერალს თავში მოუვიდა, იყო: „ო, ხომ შეიძლება, მოგეხვიოთ?“ ამას პოპ-დედოფლის გაოცება არ გამოუწვევია, ის დიდი ხანია მიეჩვია პუბლიკის თაყვანისცემას. ლურდესმა კი თავის კერპთან მიახლოება მაინც ვერ გაბედა და ძიძას სთხოვა, რომ მას გადაეცა ბრიტნისთვის, თუ რა ძლიერ უყვარს. ძიძამ სიამაყით აუწყა ახალგაზრდა ვარსკვლავს, რომ მადონას ქალიშვილს ყველა მისი ფირფიტა, ვიდეოკლიპი, ბრიტნისსახიანი თოჯინა ბარბი და ბევრი პლაკატი აქვს. ჩვეულებრივ ენაწყლიანი ლურდესი ბოლომდე მორცხვობდა და ხმას ვერ იღებდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ თავის კერპთან შეხვედრამ მას დიდი სიამოვნება მიანიჭა. ■

# ტორონტოში 10–იდან 18 წლამდე ასაკის რეჟისორთა პირველი კინოფესტივალი გაიხსნა

ტორონტოში საბავშვო და მოზარდთა კინოს პირველი კინოფესტივალი – TORONTO INTERNATIONAL TEEN MOVE FESTIVAL გაიხსნა. ყველა სხვა საბავშვო კინოფესტივალისგან განსხვავებით, ამ კინოდათვალიერებაზე არა ბავშვებისთვის განკუთვნილი ფილმების დემონსტრირება, არამედ 10-იდან 18 წლამდე ასაკის რეჟისორთა მიერ შექმნილი ფილმების ჩვენება მოხდება. ფესტივალის ორგანიზატორი – კანადური კინოკომპანია HILTZ SQUARED აცხადებს: მისი მიზანია, დაამტკიცოს, რომ კინობიზნესი არა მაფიოზური სტრუქტურა, არამედ ის სფეროა, სადაც ყველას შეუძლია თვითგამოხატვა – მიუხედავად ასაკისა და მატერიალური ბაზისა; მთავარია, ადამიანს რაიმე ჰქონდეს სათქმელი.

კინოფესტივალის მომწყობთა ოცნებაა, რომ სტუდია MIRAMAX-მა ოდესმე ათი წლის რეჟისორ ბიჭთან ისეთ კონტრაქტს მოაწეროს ხელი, რომლის მიხედვით, შეკვეთილი 3 ფილმისთვის არა შვიდნიშნა, არამედ სამნიშნა თანხას გადაუხდის, თანაც, ზრდასრულ „თანაპროდიუსერს“ მიამაგრებს და ფილმების გაქირავებასაც მანამდე არნახული სარეკლამო კამპანიით უზრუნველყოფს. ■

მოამზადა
მანანა ღოღობერიძემ

# Cadillac-მა გამოწვევა მიიღო



ამერიკული კორპორაცია „ჯენერალ მოტორსი“ სპორტული ავტომობილის – CADILLAC XLR-ის სერიული გამოშვებისთვის ემზადება. ეს მანქანა რამდენიმე საერთაშორისო ავტოსალონზე, კერძოდ – დეტროიტში, EVOQ-ის სახელწოდებით, როგორც პერსპექტიული მოდელი წარდგა ავტომოყვარულთა წინაშე. ექსპერტთა შეხედულებით, მისი კონვეიერზე დაყენება აშშ-ის საავტომობილო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობით არის ნაკარნახევი: „ლუქსის“ კლასის ამერიკულ ავტომობილებს სულ უფრო მწვავე კონკურენციას უწევს ევროპული და იაპონური მანქანები. მათ შორის გამოირჩევა: იაპონური „ლექსუსი“, გერმანული „მერსედესი“ და „ბე-ემ-ვე“, რომლებიც ამერიკულ „ლინკოლნსაც“ („ფორდის“ ნაწარმს) და „კადილაკსაც“ სჯაბნიან.

„კადილაკ ევოკი“, კორპორაციის მესვეურთა ვარაუდითა და იმედით, „ჯენერალ მოტორსის“ ისეთივე ფლაგმანი გახდება, როგორიცაა ძვირფასი სედანი CTS (ეს მოდელი ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე უკვე წარმოგიდგინეთ). „ევოკის“ დიზაინი მკვეთრი, კუთხოვანი მონახაზით, ვერტიკალურად განლაგებული სანათებითა და რადიატორის წინა ჰორიზონტალური ცხაურით გამოირჩევა, რომლის ცენტრში, დაფნის გვირგვინით შემკული მსხვილი საფირმო ემბლემა – CADILLAC-ი არის დამაგრებული. სპორტული XLR-ი – ასაკეცი სახურავით აღჭურვილ ორადგილიან კუპეს წარმოადგენს. ის კლასიკური – უკანაამძრავიანია, ხუთსაფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფით არის აღჭურვილი, რომელსაც ელექტრონული მართვის სისტემა აქვს. კაპოტქვეშ 8 ცილინდრიანი V ტიპის, 4,6 ლ-ის მოცულობის ძრავას ჩაუდგამენ. დასახელებული მონაცემების გარდა, სხვა ტექნიკურ მახასიათებლებს კონცერნის მესვეურები ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ. ცნობილია, რომ სპორტული „კადილაკისთვის“ საბურავებს, ამ ნაწარმის სახელგანთქმული ფრანგული ფირმა MICHELIN-ი ამზადებს: მისი ოსტატების მიერ გამოშვებული „რეზინა“, დაზიანების შემთხვევაში კიდევ 200 კმ-ს ისე გაატარებს „კადილაკის“ მფლობელს, რომ ეს ოდნავადაც არ დაეტყობა ავტომობილის მართვადობას. სხვათა შორის, ანალოგიური საბურავებით აღიჭურვება გერმანული „აუდის“ ექსპერიმენტული მოდელი AVANTISSIMO. აქვე დავძენთ, რომ XLR-ის სახურავის ასაკეცად გამოყენებული ელექტროამძრავიც არ არის ამერიკული, არამედ გერმანული წარმოებისაა – ის ფირმა CAR TOP SYSTEMS-მა შეიმუშავა, რომლის გამოშვებული ტექნიკით MERCEDES SL-ი და LEXUS SC 430-ია აღჭურვილი. სწორედ ეს მოდელები გაუწევს კონკურენციას ახალ „კადილაკს“, სერიულად მისი წარმოების შემდეგ, რაც, სავარაუდოდ, წელიწად-ნახევარში მოხდება. ■

# Honda CR-V-ს ახალი სახე

ეს ყველგანმავალი უკვე 6 წელიწადზე მეტია, დიდი პოპულარობით სარგებლობს და იმთავითვე მისი მწარმოებელი ფირმა ამ ავტომობილს წარმოადგენდა ხოლმე, არა როგორც კლასიკურ ყველგანმავალს, არამედ როგორც გაფართოებული გავლადობის მქონე კომფორტულ, სრულამძრავიან მანქანას. CR-V-ს, რომელსაც „ჰონდას“ ინგლისურ ფილიალში აწარმოებენ, ცოტა ხნის წინ რესტაილინგი ჩაუტარეს და ტოკიოს ავტოსალონზე (რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობს), განახლებული წარდგება დამთვალიერებელთა წინაშე. ყველგანმავალს სანათების ფორმა შეეცვალა, რადიატორის ცხაური ქრომირებული, ძარა კი – უფრო მომრგვალებული გაუხდა. მანქანა უწინდებურად, მხოლოდ ბენზინის ძრავით იქნება აღჭურვილი და საერთოდ, ძრავაც სრულიად უცვლელი დარჩება: 4 ცილინდრი, 2 ლ მოცულობა, 150 ცხ.ძ. 100 კმ/სთ სიჩქარის მისაღწევად მას 10 წმ სჭირდება. მომხმარებელს ორ – ხუთსაფეხურიან მექანიკურ და ოთხსაფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფის არჩევანს შესთავაზებენ. როგორც ფირმის მესვეურები აცხადებენ – CR-V-ს სალონი „თავისი კლასის მანქანებს შორის ყველაზე ხალვათია“. საბარგო ნაწილის მოცულობა, უკანა სავარძლის მდგომარეობისდა მიხედვით, 527-დან 628 ლიტრამდე მერყეობს, ხოლო სავარძლის დაკეცვის შემთხვევაში, 952 ლიტრსაც მიაღწევს. საბარგო განყოფილების იატაკქვეშ ჰერმეტული საბარგო სათავსოა, რომლის პლასტიკური ზედაპირი, პიკნიკის დროს, მაგიდის მაგივრობასაც გაგიწევთ. ■

## ბავარიული ძრავა OPEL OMEGA-სთვის

კომპანია „ჯენერალ მოტორსში“ შემავალმა ფირმა „ოპელმა“ წლეულს არც ერთი გამორჩეული პრემიერა არ წარუდგინა თავის თაყვანისმცემლებს, და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ შესთავაზა ავტომოყვარულებს სიახლე: ეს გახლავთ „ასტრას“ (ბოლო დროს ჩვენში ესოდენ პოპულარული მოდელის) ბაზაზე შექმნილი ელეგანტური სპორტული კუპე და ასევე ცნობილი „ომეგას“ სადიზელო ვარიანტი – 2,5 DTI. ეს უკანასკნელი, ახალი, 2,5 ლიანი, 6 ცილინდრიანი, 150 ცხ.ძალიანი ძრავით აღიჭურვება. მისი ხარჯი 100 კმ-ზე საშუალოდ, 7,6 ლ-ს შეადგენს, ხუთსაფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფის შემთხვევაში კი – 1 ლიტრით გაიზრდება. ძრავა არა „ოპელის“, არამედ „ბე-ემ-ვე“-ს ინჟინრების მიერ არის შემუშავებული და ბავარიული ფირმის, ავსტრიაში მდებარე შვილობილ ქარხანაში აწარმოებენ. ამის კომპენსაციად, „ოპელი“ „ბე-ემ-ვე“-ს „ჯენერალ მოტორსის“ ინჟინრების მიერ შექმნილ ავტომატურ გადაცემათა კოლოფებს მიაწვდის, რომელსაც სტრასბურგის საწარმო უშვებს.

„ომეგას“ სალონიც შეცვლილი აქვს – ის უფრო მყუდრო და ფუნქციურია. ყველა დეტალი ხაზგასმით მიანიშნებს იმას, რომ ეს მრავალფუნქციური საოჯახო ავტომობილია, რომელიც მართლაც პასუხობს ამ დანიშნულების ყველა მოთხოვნას. ■

## იტალიქვეშა საავტოები ამერიკაშიც ყოფილა



აშშ-ის სამართალდამცავმა ორგანოებმა აღმოაჩინეს საავტომობილო სახელოსნო, რომელშიც გაურკვეველი წარმოშობის სათადარიგო ნაწილებისგან სპორტულ ავტომობილებს – FERRARI 355 GTS-ს აწყობდნენ. ხელმარჯვე ოსტატებს ამ სუპერ-კარის კონსტრუქცია მთლიანად გადაუკეთებიათ, ორიგინალური დეტალები კი, ყალბით შეუცვლიათ.

სპორტკუპეს გაყალბება, უპრეცედენტო რამ არის. რაც შეეხება მასობრივი მოდელებისთვის „კუსტარული“ სათადარიგო ნაწილების დამზადებას, თურმე ეს დასავლეთისთვისაც საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა: გერმანული ჟურნალის AUTOMOBIL INDUSTRIE-ს გამოკვლევის თანახმად, მსოფლიო მასშტაბით, ყალბი ასლები, სათადარიგო ნაწილების საერთო რაოდენობის 8-10%-ს აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ „პირატული“ აგრეგატებით ვაჭრობამ დამოუკიდებელი ინდუსტრიის დონეს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ყალბი ნაწილები ძალზედ ოსტატურად არის დამზადებული და ხშირად, ნამდვილისგან მისი გარჩევა პროფესიონალებსაც კი უძნელდებათ ხოლმე. ■

## Audi TT-ს სპორტული თვისება აქვს

კომპანია „აუდის“ კონვეიერიდან მეასიათასე AUDI TT გამოვიდა. AUDI TT-ს აწყობა 1998 წელს უნგრეთის ქალაქ დიორში დაიწყო. მომდევნო წლის მეორე ნახევრიდან ქარხანამ ROADSTER-ის წარმოებასაც მიჰყო ხელი და ამ დროისთვის უკვე 45 ათასი ავტომობილი გამოუშვა.

სპორტული კუპეებისა და როდსტერების ძარები ინჰოლშტადტში – „აუდის“ სამშობლოში მზადდება, უნგრეთში კი, მანქანების საბოლოო აწყობა ხდება.

წლის დამლევისთვის კომპანია ამ ავტომობილის სრულამძრავიანი, სპორტული მოდიფიკაციის წარმოებას აპირებს. S LINE-ის სახეობას სპორტული საკიდარი და შემცირებული კლირინგი, 225 ცხ.ძ. მქონე 1,8 ლიტრიანი ტურბო ექნება. ■

# ციმბირის წყლული

*რუბრიკას უძღვება ექიმი*
*თამარ მამაცაშვილი*

**ამერიკის შეერთებული შტატები ბიოლოგიური ომის საშიშროების წინაშე დგას. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა მას შემდეგ, რაც საეჭვო ამანათებში ციმბირის წყლულის გამომწვევი ბაქტერიები აღმოჩნდა და უკვე ათეულობით ადამიანია დაავადებული, მათ შორის რამდენიმე გარდაიცვალა კიდეც. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა არგენტინაშიც. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ინფორმაცია მოგვეწოდებინა ამ საშიში ინფექციური დაავადების შესახებ.**

ციმბირის წყლული ადამიანისა და ცხოველის, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის მწვავე ინფექციური დაავადებაა. ჩვეულებრივ, იგი ერთეული, იშვიათი შემთხვევის სახით გვხვდება ხოლმე.

გამომწვევი ბაქტერია გარემოში იკეთებს კაფსულას და წარმოშობს სპორებს. სპორები წარმოიქმნება ისეთ გარემოში, რომელიც მდიდარია ჟანგბადით და ჭარბი საკვები ნივთიერებით. ჯილეხის ჩხირის სპოროვანი ფორმა ყველა სხვა პათოგენური მიკრობისაგან გამოირჩევა არაჩვეულებრივი გამძლეობით: მშრალ ტემპერატურას, 120-140 ცელსიუს გრადუსს უძლებს 2-3 საათს, ავტოკლავირებას (120 გრადუსი) – 5-10 წუთს, დუღილს – 60 წუთს. მინუს 190 გრადუსი მის ცხოველმყოფელობაზე ცუდად არ მოქმედებს. წყალში სპორები რამდენიმე წელს ძლებს, ხოლო ნიადაგში – ათობით წელს. დაავადება ორგანიზმში სპორების მოხვედრისას ვითარდება.

ინფექციის წყაროა დაავადებული შინაური ცხოველები, პირველ რიგში – ბალახის მჭამელები, იშვიათად – ღორები, გარეული და მტაცებელი ცხოველები. ცხოველებში ჯილეხი მწვავედ მიმდინარეობს, აზიანებს შინაგან ორგანოებს. ავადმყოფი ცხოველი მიკრობებს გამოყოფს ინტენსიურად და 1-2 დღეში იღუპება. ადამიანი ავადდება უშუალო კონტაქტით, ინფიცირებული ცხოველის დაკვლის, გატყავების ან დაჭრის, ტყავისა და ბეწვის დამუშავების დროს. ინფექციის გადაცემა შესაძლებელია კუჭ-ნაწლავის გზითაც, თუ ავადმყოფი ცხოველის ხორცი ხანგრძლივად არ მოიხარშება. უფრო ხშირად, ავადდებიან მწყემსები, ყასბები, საქონლის გამტყავებლები. ინფექცია ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა.

ციმბირის წყლულის ფარული პერიოდი, ორგანიზმში სპორების მოხვედრიდან – დაავადების გამომჟღავნებამდე 2-12 დღეა.

ჯილეხის კლინიკური ფორმებია: კანის (ლოკალური) და სეპტიკური (გენერალიზებული).

ჩვეულებრივ, კანის ფორმა ტანსაცმლისაგან დაუფარავ ადგილებში (სახეზე, თავისა და კისრის მიდამოში, წინამხარზე ან ხელის მტევანზე) ვითარდება.

ინფექციის შეჭრის ადგილზე ჩნდება ზედაპირზე ამობურცული წითელი ლაქა, რომელიც რამდენიმე საათში, სითხის ჩადგომის გამო, ბუშტუკად იქცევა. ბუშტუკი 1-2 დღე იზრდება და მის ცენტრში შავი ქერქი წარმოიქმნება. ქავილის დროს ან თავისთავად, ბუშტუკი სკდება და წყლულად იქცევა, მის ირგვლივ წითელი არეა. სითხის სავსე შვილეული ბუშტუკებით წყლული თანდათან დიდდება რამდენიმე მმ-მდე ან სმ-მდე. მის ირგვლივ ქსოვილი შუპდება, მაგრამ უმტკივნეულოა. წყლულის განვითარებას თან სდევს 38-39 გრადუსამდე სიცხე. ავადმყოფს თავი სტკივა, გულისცემა გახშირებული აქვს. მე-5, მე-6 დღიდან სიცხე ეცემა და ავადმყოფის საერთო მდგომარეობა უმჯობესდება. შეშუპება თანდათან იკლებს, წყლული შავი ქერქით იფარება, რომელიც მჭიდროდ ეკვრის კანქვეშა და კუნთოვან ქსოვილს. თუ წყლული და ნეკროზი ღრმაა, შეიძლება, დაზიანდეს სისხლძარღვის კედელი და სისხლის დენა განვითარდეს. განსაკუთრებით საშიშია ჯილეხის კარბუნკულის (კანის შიგნითა ფენებისა და კანქვეშა უჯრედისის ანთება) განვითარება სახის, ყელისა და კისრის არეში, როცა შეშუპებამ შეიძლება გამოიწვიოს ასფიქსია (გაგუდვა), ან მსხვილი სისხლძარღვის დაზიანების შედეგად განვითარებული სისხლის დენის გამო სიკვდილი.

გამოჯანმრთელებისას წყლულის ადგილზე უხეში ნაწიბური რჩება. თვალბუდის არეში არსებულმა წყლულმა შეიძლება, სიბრმავე გამოიწვიოს.

მძიმედ მიმდინარეობს ჯილეხის ჩხირით გამოწვეული ფილტვების ანთება, ნაწლავური ფორმა, მენინგიტი და სეფსისი.

დაავადებული ადამიანი დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანოთ საავადმყოფოში. დროული მკურნალობა გამოჯანმრთელებით მთავრდება, რომლის შემდეგაც უხეში ნაწიბური არ რჩება.

ჯილეხის მკურნალობა კომპლექსურია. სპეციფიკური მკურნალობისთვის გამოყენებულია ჯილეხის საწინააღმდეგო ჰეტეროგენული გლობულინი. ეტიოტროპული (გამომწვევის საწინააღმდეგო) საშუალებებიდან გამოყენებულია ბენზილპენიცილინი, ლევომიცეტინი, ტეტრაციკლინი, გენტამიცინი.

ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო ღონისძიებები ვეტერინარულ სამსახურთან ერთად ტარდება. დაცემული ცხოველი უნდა დაიწვას ან დამუშავდეს სადეზინფექციო ნივთიერებებით და ღრმად დაიმარხოს. მოსახლეობა უნდა მოერიდოს ვეტერინარული სამსახურის ნებართვის გარეშე გაყიდული ხორცის საკვებად გამოყენებას. ეპიდემიოლოგიური ჩვენების მიხედვით, იმ პირებს, რომლებსაც ცხოველებთან კონტაქტი ან ბეწვთან მუშაობა უხდებათ, უტარდებათ აცრები.

■

# თქვენი პატარა

## როდის ამოეჭრება ბავშვს კბილები

ჩვილ ბავშვს პირველ ექვს თვეს კბილები არ აქვს. მეექვსე თვეზე ეჭრება პირველი სარძევე კბილები – ჯერ ქვედა ორი შუა, შემდეგ ზედა ორი შუა. მომდევნო თვეებში ამოსდით გვერდითი საჭრელი კბილები და წლის ბოლოს რვა კბილი აქვთ. კბილების ამოსვლა ფიზიოლოგიური მოვლენაა და არავითარ დაავადებას არ იწვევს. ტემპერატურის მომატების, კუჭ-ნაწლავის აშლილობის და სხვა ამგვარი მოვლენების მიზეზი ექიმმა უნდა დაადგინოს და შესატყვისად უმკურნალოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კბილების ამოჭრისას ბავშვის ორგანიზმის იმუნური თვისებები ქვეითდება და იგი ადვილად ვეღარ უმკლავდება სხვადასხვა ინფექციას.

საჭრელი კბილების შემდეგ, ამოიჭრება მეოთხე კბილები, შემდეგ – ეშვები, ხოლო ბოლოს, მეხუთე კბილები. სარძევე კბილების ამოსვლა მესამე წელს მთავრდება, მუდმივი კბილების ამოსვლა კი, 6-7 წლის ასაკიდან იწყება. როგორც მუდმივი, ისე სარძევე კბილების მოვლა აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობისათვის.

2 წლიდან საჭიროა, ბავშვი მივაჩვიოთ საღამოობით პირში წყლის გამოვლებას. მომდევნო წლებში კი, მან ჯაგრისი უნდა იხმაროს.

სარძევე და მუდმივი კბილების ჩანასახის განვითარებასა და ამოჭრის ნორმალურ მიმდინარეობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შთამომავლობა, მემკვიდრული ფაქტორი. გარდა ამისა, ორსული ქალისათვის საჭიროა, სრულფასოვანი საკვების, განსაკუთრებით – მინერალური მარილებისა და ვიტამინების მიღება, ხოლო ჩვილი ბავშვისათვის, ბოსტნეულისა და ხილის წვენის დროულად მიწოდება. თუ 9 თვის ასაკამდე პატარას კბილები არ ამოეჭრა, რაქიტის გამოსარიცხად, ის აუცილებლად უნდა უჩვენოთ ექიმს.

■

# ტესტი დედებისათვის

**ემუქრება თუ არა თქვენს პატარას რაქიტის განვითარება?**

**1. ორსულობის დროს იღებდით თუ არა პოლივიტამინს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა D ვიტამინი?**
არა – 2;
დიახ – 0.

**2. მეძუძურობის დროს იღებთ თუ არა D ვიტამინის ბავშვისთვის საჭირო პროფილაქტიკურ დოზას?**
არა – 2;
დიახ – 0.

**3. ასეირნებთ თუ არა პატარას ჰაერზე ყოველდღე, არანაკლებ 2 საათისა?**
არა – 2;
ხანდახან – 1;
დიახ – 0.

**4. გყავთ თუ არა პატარა ბუნებრივ (ძუძუთი) კვებაზე?**
არა – 2;
დიახ – 0.

**5. თუ ბავშვს ხელოვნურად კვებავთ, ზღუდავთ თუ არა რაციონში ნახშირწყლებს (ტკბილს)?**
არა – 2;
დიახ – 0.

**6. ოფლიანობს თუ არა თქვენი პატარა, განსაკუთრებით – კეფის არეში?**
დიახ – 2;
არა – 0.

**7. არის თუ არა ბავშვი ფერმკრთალი, მოუსვენარი?**
დიახ – 2;
არა – 0.

**8. პატარას ცუდად ხომ არ სძინავს?**
დიახ – 1;
არა – 0.

**9. უგვიანდება თუ არა ბავშვს კბილების ამოჭრა?**
დიახ – 2;
არა – 0.

**10. აქვს თუ არა პატარას ძალიან დიდი ყიფლიბანდი, რომელიც არ მცირდება?**
დიახ – 2;
არა – 0.

## შეაჯამეთ ქულები

**15-19 ქულა.** ძალიან ბევრი ქულა დაგიგროვებიათ. თუ ასე გაგრძელდა, თქვენს პატარას რაქიტის განვითარების საშიშროება ელის. კონსულტაციისთვის პედიატრს მიმართეთ.

**7-14 ქულა.** თქვენი ყურადღება იმაზე გადაიტანეთ, რომ ბავშვი რაც შეიძლება დიდხანს გყავდეთ ჰაერზე. მას მზის აბაზანები ესაჭიროება. შეზღუდეთ საკვებში ნახშირწყლები და რაციონში ცხიმით და, განსაკუთრებით, ცილებით მდიდარი საკვები შეიტანეთ.

**0-6 ქულა.** თქვენც გაითვალისწინეთ იგივე რჩევები, რაც მეორე ჯგუფში მოხვედრილებს მიეცათ. ყველაფერი იღონეთ, რათა თქვენს პატარას არ მოაკლდეს ბუნებრივი საკვები – დედის რძე.

## მურაბები

### კომშის მურაბა

გარეცხილი, გათლილი, დაჭრილი კომში (ერთი კილოგრამი) ჩაყარეთ მდუღარე წყალში (წყალი კომშს უნდა ფარავდეს) და ხარშეთ, სანამ ცოტა არ შერბილდება. შემდეგ ქაფქირით ამოალაგეთ კომში წვენიდან და ლანგარზე მოათავსეთ.

კომშის ნახარში წვენი გაწურეთ, აიღეთ ერთ-ნახევარი ჩაის ჭიქა, ჩაასხით სამურაბე თასში, დაუმატეთ ერთი კილოგრამი შაქრის ფხვნილი და მოადუღეთ სიროფი. მერე ჩააწყვეთ შიგ გამზადებული კომში და ხარშეთ შემზადებამდე (დაახლოებით ორი ორ-ნახევარი საათი).

### თეთრი ყურძნის მურაბა

თეთრი ყურძნის მარცვლებს (ერთ კილოგრამს) მოაცილეთ წიპწები, დააყარეთ 500 გ შაქრის ფხვნილი და გააჩერეთ გრილ ადგილას. გააჩერეთ სამოოთხი საათი. მერე სამურაბე თასში ჩაყარეთ ხუთასი გრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა წყალი, მოადუღეთ სიროფი და შეაგრილეთ. შეგრილებულ სიროფში მოათავსეთ შაქრიანი ყურძენი, თასი შეანჯღრიეთ, რომ ყურძნის მარცვლები თანაბრად განაწილდეს სიროფში და ხარშეთ შემზადებამდე.

### მსხლის მურაბა

მაგარი, გადაუმწიფებელი საზამთრო ჯიშის მსხალი გაფცქვენით, მოაცილეთ შუაგული და დაჭერით ნაჭრებად. მსხლის ნაჭრები (ერთი კილოგრამი) ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი ისე, რომ დაფაროს და ხარშეთ დაახლოებით 15 წუთი. ცალკე სამურაბე თასში ჩაყარეთ ერთი კილოგრამი შაქრის ფხვნილი, დაასხით ზედ მსხლის ნახარში (ერთ-ნახევარი ჩაის ჭიქა), მოურიეთ და აადუღეთ, ჩაყარეთ შიგ გამზადებული მსხლის ნაჭრები და ხარშეთ ნელ ცეცხლზე შემზადებამდე. ხარშვისას შეგიძლიათ დაუმატოთ ოთხი-ხუთი ცალი მიხაკი. ■

# ჯანმრთელობის ფილოსოფია

## არნოლდ ვილანოველი და მისი „კოდექსი“

**სალერნო ქვემო იტალიის მთიანი პროვინცია გახლავთ. სამედიცინო ტრადიციით ცნობილ მთავარ ქალაქსაც სალერნო დაენათლა. XI-XII საუკუნეებიდან იქ მუშაობდა სახელოვან ექიმთა კორპორაცია, შეიქმნა ევროპის პირველი სამედიცინო სკოლა, რომელმაც ამ მხარის სახელი უკვდავყო. ამ სკოლის წარმომადგენელია არნოლდ ვილანოველი (დაახლოებით – 1235-1311 წწ.), ჩამომავლობით ესპანელი, შუა საუკუნეების ერთ-ერთი გამოჩენილი ექიმი-ფილოსოფოსი, პრაქტიკული თერაპიისა და ჰიგიენის დიდი ავტორიტეტი. იგი პოეტური პიროვნება იყო და ლექსად დაწერა სამედიცინო ტრაქტატი – „მედიცინა სალეჩნიტანა“, რომელიც 1480-დან 1980 წლამდე – ე.ი. 500 წლის განმავლობაში, სამასჯერ გამოიცა. არნოლდ ვილანოველის „კოდექსი“ ათასწლოვან გამოცდილებას ეყრდნობა. მასში დიეტოლოგიისა და მცენარეული მკურნალობის (ფიტოთერაპიის) საინტერესო საკითხებია გაშუქებული. კოდექსში მრავალი პრაქტიკული რჩევაა, რომელიც უთუოდ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.**

## სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი

I

სახელგანთქმულმა სალერნოს სკოლამ ინგლისის მეფეს ასე მისწერა:

თუ გინდა, იყო მუდამ ჯანმრთელი და
არ იცოდე, რა არის სენი,
ჩამოიცილე კაეშნის ტვირთი, წყენას
არ აჰყვე, ნუ გაბრაზდები.
ზომა იცოდე სმისა და ჭამის, ფხიზლად იარე ნასადილევსა,
და შეიძულე შუადღის ძილი, ან იყოს
იგი არახანგრძლივი;
ძალით ნუ ცდილობ, დაცალო კუჭი,
და როცა დროა, აღარ ითმინო...
თუ ყოველივე ამას დაიცავ, წელთა
სიმრავლის იმედი გქონდეს.
მაგრამ თუ არ გყავს კარგი მკურნალი, თუ ექიმების სიმცირე იყოს,
სამ ექიმს გირჩევ: ზომიერ ჭამას, კარგ
ხასიათს და სულის სიმშვიდეს.

II

ადრე ადექი და დაიბანე ცივი წყლით
სახე, თვალი და ხელი,
გაიარე და გამოიარე, გამართე ტანი,
ხელი და ფეხი,
გამოირეცხე კარგად კბილები... ეს
გაგიმაგრებს ჭკუა-გონებას,
გაგიძლიერებს კუნთებში ღონეს, ტანი
იბანე, ჭამე, იარე.
მერე შეჩერდი, ნუ გაცივდები. წყაროს
წყალი და მწვანე ბალახი
ეამება და უხდება თვალსა. დილით
ახედე მაღალ მწვერვალებს,
მწუხრის ჟამს დაბლა დახედე წყალსა.

III

ხანმოკლე იყოს შუადღის ძილი, ანდა
სჯობს, იგი სულაც არ იყოს.
კატარს, სისუსტეს, თავის ტკივილებს
გარგუნებს მუდამ შუადღის ძილი.

V

მაძღრისად ჭამა, უხვი ვახშმობა ჩვენი
კუჭისთვის მავნეა ძალზე.
თუ გინდა, ღამე მშვიდად გეძინოს,
ძილის წინ საჭმელს ნუ დაამღები.

VI

სუფრას ნურასდროს ნუ მიუჯდები,
ვიდრე დარწმუნდე, რომ შენი კუჭი
დაცარიელდა იმ საკვებისგან, რაც
მიგიღია უკანასკნელად.
ჭამის სურვილი დაგიდასტურებს, რომ
ეს ასეა, რომ ხარ მშიერი;
პირზე მომდგარი ნერწყვი ნდომისა
დაგემოწმება – გარგებსო ჭამა.

XI

სასმელად თეთრი ღვინო გერჩიოს!
წითელს ნუ დალევ ზომაზე მეტად,
კუჭს გაგიმაგრებს, ჩაგიხლეჩს ხმასა.

■

# ექიმის პასუხი

**კითხვა: მყავს 10 წლის შვილიშვილი – ბიჭი. იგი ღამით ძალიან ხშირად შარდავს ლოგინში. დღისით ასეთი რამ არ ემართება. ბავშვი ძალიან განიცდის. ვმკურნალობთ სხვადასხვა მცენარეული წამლით, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ. რა არის მიზეზი ამგვარი მდგომარეობისა და როგორ ვუმკურნალოთ ბავშვს?**

პასუხი: ღამით შარდის შეუკავებლობა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა ორგანული დაავადება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში, ბავშვს შარდის შეუკავებლობა დღის საათებშიც ექნებოდა. რეალური მიზეზი ბავშვის სულიერ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ: შემთხვევათა 80%-ში ეს სიმპტომი ბიჭებს აღენიშნებათ და, მათ შორის, ძალიან ხშირად, თავიანთ თავში დაეჭვებული, საკუთარი შესაძლებლობების უარმყოფელი ბავშვები გვხვდებიან. ზოგჯერ პატარას ეჩვენება, რომ დედა თრგუნავს მის თავისუფლებას – იგი ზედმეტად განიცდის დედის სიმკაცრეს და მბრძანებლობას, მაგრამ არ გამოხატავს აშკარა წინააღმდეგობას მის მიმართ. დედის დავალებას ბავშვი ძალიან ნელა ასრულებს ან, პირიქით – საპირისპიროს აკეთებს. უხშირესად, ასეთ ბიჭებს აკლიათ მამის მორალური მხარდაჭერა. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მამასთან მჭიდრო ურთიერთობა.

ასეთ პატარებს ზოგჯერ სხვა ბიჭების შიში აქვთ: მათ მიაჩნიათ, რომ არ შეუძლიათ, წინააღმდეგობა გაუწიონ თანატოლებს.

როგორი უნდა იყოს მშობლის ტაქტიკა ბავშვის შარდშეუკავებლობის შემთხვევაში:

1. ნუ აიძულებთ ბავშვს ყოველღამე, გაიღვიძოს, ადგეს ლოგინიდან და მოშარდოს (პატარებს ღრმა ძილი ახასიათებთ): ამგვარი მოქმედებით თქვენ ხაზს უსვამთ, რომ ის პატარაა.

2. ნუ უკრძალავთ სითხის მიღებას – ეს არ არის გამოსავალი, ამით თქვენ ბავშვთან ურთიერთობას გაიფუჭებთ.

3. არავითარ შემთხვევაში არ მიმართოთ დამსჯელ ზომებს, ნურც შეარცხვენთ და ნურც გაუწყრებით ბავშვს – ის ხომ თავადაც ძალიან განიცდის ამ მდგომარეობას!

4. წაახალისეთ პატარა იმ შემთხვევაში, როცა დილით ლოგინი მშრალი დაგხვდებათ – შეაქეთ, შეუსრულეთ დიდი ხნის დანაპირები: ასეთი დღეების მეხსიერებაში ჩაბეჭდვა ძალზედ სასარგებლოა.

5. დედას ვურჩევთ, შეარბილოს თავისი მკაცრი ტონი ბავშვის მიმართ. მბრძანელობის ნაცვლად, მეგობრული ურთიერთობა აირჩიოს, ჩასწვდეს შვილის სულიერ მდგომარეობას.

6. უნდა გაიზარდოს მამის როლი შვილის ცხოვრებაში. მამა უნდა ეცადოს, ხშირად დაიხმაროს ვაჟი საქმიანობაში, კაცად აგრძნობინოს თავი პატარას.

7. შინაგანი სტრესის მოხსნის მიზნით, ასვით ბავშვს კატაბალახას ნაყენი.

8. აუცილებელია სხეულის გაკაჟება, კუნთოვანი სისტემის ჩამოყალიბება, რისთვისაც ბავშვმა სპორტის რომელიმე სახეობას უნდა მიჰყოს ხელი. ეს უთუოდ იმოქმედებს მის სულიერ მდგომარეობაზეც – შემატებს თავდაჯერებულობას.

9. ყველანაირად შეეცადეთ, დაარწმუნოთ ბავშვი საკუთარ შესაძლებლობებში. მოუხსნათ არასრულფასოვნების კომპლექსი და გარწმუნებთ – მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება.

**კითხვა: ვარ 40 წლის. ახალგაზრდობიდან მაწუხებს ტკივილი კისრის არეში, ზოგჯერ კისერი მიშეშდებოდა ხოლმე. ბოლო წლებში ძალიან მაწუხებს თავბრუს ხვევა. რით შეიძლება იყოს გამოწვეული თავბრუს ხვევა ჩემს ასაკში? ხომ არ არის რაიმე კავშირი კისრის ტკივილსა და ამ ნიშანს შორის და რომელ ექიმს უნდა მივმართო უფრო კონკრეტული დიაგნოსტირებისთვის?**

პასუხი: თავბრუ მრავალი დაავადების თანამგზავრია. ის უმთავრესად, ყურის ლაბირინთისა და ვესტიბულური აპარატის გაღიზიანებისას, ან ხერხემლის არტერიის აუზში სისხლის მიწოდების დაქვეითების დროს გვხვდება. თავბრუს მიზეზი ხშირად არის კისრის მალების ოსტეოქონდროზი, შიგნითა ყურის დაავადებები, თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, სიმსივნე, ჰიპერტონია (წნევის მომატება), ჰიპოტონია (დაბალი წნევა), თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის უკმარისობა, ქალა-ტვინის ტრავმა, სისხლნაკლებობა (ანემია), ვეგეტაციური ნერვული სისტემის მოშლილობები, სხვადასხვა მწვავე და ქრონიკული დაავადება.

როგორც თქვენი მონათხრობიდან ჩანს, ყველაზე სავარაუდო დიაგნოზი არის კისრის მალების ოსტეოქონდროზი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავბრუს ხვევის ერთ-ერთი ხშირი მიზეზია. ოსტეოქონდროზს დღეს საკმაოდ შედეგიანად მკურნალობენ მასაჟით, ფიზიოპროცედურებით, ვარჯიშებით. უპირველეს ყოვლისა, ზუსტი დიაგნოზის დადგენა გმართებთ, რისთვისაც საკონსულტაციოდ, ნევროპათოლოგს უნდა მიმართოთ.

**კითხვა: სტომატოლოგმა აღმომიჩინა ცისტა. საშიშია თუ არა იგი და აუცილებელია თუ არა მისი მოშორება?**

პასუხი: ცისტა წარმოადგენს სითხით სავსე მკვრივკედლიან, პათოლოგიურ სიღრუეს. იგი ხშირად ჩნდება ხოლმე ამოღებული კბილის ადგილას, თუ მისი დენერვაციის (ნერვის ამოღების) დროს არხი კარგად არ იყო დაბჟენილი. ზოგჯერ ცისტა წარმოიქმნება ჯანმრთელი კბილის გვერდით, მისი ტრავმირების დროს. ცისტა ნელა იზრდება ყბის სიღრმეში და შესამჩნევი ხდება პატარა ბორცვის სახით, რომელიც ღეჭვაში გიშლით ხელს. თუ ცისტა პატარაა და არ გაწუხებთ, მისი მოშორება სავალდებულო არ არის. ყველა ცისტა კეთილთვისებიანია და არ გადაგვარდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ცისტები ანთების შემთხვევაში პერიოსტიტს (ძვლის საზრდელის ანთებას) იწვევს, ხოლო თუ იგი ახლოსაა ჰაიმორის ღრუსთან, შესაძლოა, ჰაიმორიტიც გამოიწვიოს.

ქირურგიული ჩარევის აუცილებლობის გადასაწყვეტად, საჭიროა რენტგენოგრაფიული გამოკვლევა მისი მდებარეობის დადგენის მიზნით.

■

# madlen olbraits

# ყველაფერი ქმარ, მეუღლისა და სიყვარულის გარეშე

**შესაძლებელია, მსოფლიოს არასოდეს გაეცნო მადლენ ოლბრაიტი, 1982 წლის იანვრის ერთ დილას სამსახურში მიმავალ მის მეუღლეს – ჯო ოლბრაიტს მოულოდნელად რომ არ წარმოეთქვა: „მე სხვა მიყვარს“.**

თავად მადლენ ოლბრაიტისთვის ის დღე იმდროინდელ დიდ ავიაკატასტროფასთან ასოცირდება: ფლორიდის ავიაკომპანიის თვითმფრინავი ვაშინგტონის ნაციონალური აეროპორტიდან აფრენის შემდეგ, მდინარე პოტომაკის ყინულოვან წყალში ჩავარდა. ქალის მთელი სამყარო – ოჯახი, სიყვარული, ყველაფერი ერთბაშად დაინგრა. სწორედ მაშინ, განსაცდელის ჟამს გაჩენილი თვითდამკვიდრების დაუოკებელი სურვილის წყალობით გაჩნდა ქალბატონი ოლბრაიტი, რომელზეც შემდგომ მთელი მსოფლიო ალაპარაკდა.

სახელმწიფო მდივნის პოსტზე დანიშვნიდან მოკლე ხანში, ოლბრაიტი ჰელსინკის უნდა სწვეოდა. იმ მომენტში ჯო, ოლბრაიტის ყოფილი ქმარი, მოსკოვში მუშაობდა.

მადლენი ვარაუდობდა, რომ სწორედ ჯო გააშუქებდა მის ვიზიტს და ძალიან ეშინოდა ყოფილ ქმართან მოულოდნელი შეხვედრის. სწორედ მაშინ უთხრა ერთ-ერთმა მეგობარმა: „რა განერვიულებს?! ბოლოს და ბოლოს, ვინ გახდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი – შენ თუ ის?“

სახელმწიფო მდივნად მუშაობის დროს, ოლბრაიტი ამერიკის პოლიტიკურ იერარქიაში მეოთხე ადგილს იკავებდა – წინ მას მხოლოდ პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტი და კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი უსწრებდა. ეს მისი კარიერის პიკი იყო: ამერიკის კონსტიტუციის თანახმად, უმაღლეს პოსტზე მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე დაბადებულმა ადამიანმა შეიძლება განაცხადოს პრეტენზია.

მადლენ ოლბრაიტი (მისი ქალიშვილობის გვარია კიორბელი) ამერიკელი 20 წლის ასაკში გახდა: იგი ჩეხოსლოვაკიაში დაიბადა 1937 წელს. ერთი წლის შემდეგ, ჰიტლერული ოკუპაციის შიშით, ოჯახი ემიგრაციაში წავიდა. მადლენის მამა დიპლომატი იყო, ომის შემდეგ იუგოსლავიაში ჩეხოსლოვაკიის ელჩად დაიწყო მუშაობა, 1948 წლიდან კი – გაეროში. საცხოვრებელი ადგილის ხშირმა ცვლამ დადებითი შედეგი გამოიღო: მადლენ ოლბრაიტი ბავშვობიდანვე სრულყოფილად ფლობს ჩეხურ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

აშშ-ში მამამ მადლენი კოლორადოს ყველაზე პრესტიჟულ – კენტის გოგონათა სკოლაში მიაბარა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ოჯახი შეძლებული იყო და ამის საშუალება ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ მადლენი კარგად სწავლობდა და სახელობით სტიპენდიას ღებულობდა. თანაკლასელები იხსენებენ, რომ მადლენს განსაკუთრებული ნიჭი არ გააჩნდა – უბრალოდ, ის ბეჯითად სწავლობდა და დიდი შრომისუნარიანობით გამოირჩეოდა. ამასთანავე, გოგონამ კარგად იცოდა, თუ რა სურდა მიეღო ცხოვრებისგან. გამორჩეულად სწავლის მიუხედავად, მადლენი ცხოვრებაში ჩვეულებრივი გოგონა იყო: 1955 წელს სკოლის გამოსაშვებ საღამოზე მადლენ კიორბელი ქიმიური მეთოდით დახვეული თმით გამოცხადდა – ეს ვარცხნილობა იმ დროს მოდაში მსახიობმა ელიზაბეტ ტეილორმა დაამკვიდრა, – ყელზე კი მადლენს მარგალიტის მძივი ეკეთა – ესეც იმ სეზონის უახლეს მოდას შეესაბამებოდა.

მადლენ ოლბრაიტმა სწავლის გაგრძელების განაცხადი ხუთ უმაღლეს სასწავლებელში გააგზავნა და ხუთივედან თანხმობა მიიღო. მადლენს სწავლა სახელგანთქმულ სტენფორდში სურდა, მაგრამ წერილი იმის შესახებ, რომ სტენფორდი მას სტიპენდიით უზრუნველყოფდა, დაგვიანებით მიიღო.

უფრო ადრე მადლენმა შეტყობინება უელსლიდან მიიღო – კოლეჯმა მას ყველაზე მაღალი სტიპენდია და სასწავლებლამდე მგზავრობის ხარჯის დაფარვა შესთავაზა. მადლენი ჟურნალისტობაზე ოცნებობდა და ბევრს წერდა სტუდენტურ გაზეთში. ბოლო კურსზე სწავლისას კი, ახალი ამბების განყოფილების რედაქტორის მოადგილეც გახდა. 1959 წელს მადლენმა წარჩინებით დაამთავრა უელსლის კოლეჯი.

ჯო ოლბრაიტი მადლენმა 1957 წლის ზაფხულში გაიცნო, როცა მეორე კურსის დასრულების შემდეგ, გაზეთში DENVER POST სტაჟიორად მიავლინეს. მაშინ იგი საინფორმაციო განყოფილებაში მუშაობდა, მთელ დღეებს ბიბლიოთეკაში ატარებდა და მკითხველთა წერილებს

პასუხობდა. ჯომ სამკითხველო დარბაზში შესვლისთანავე მიიპყრო ქალის ყურადღება. ტრადიციული ბეჭედი, რომელიც იმის მაჩვენებელი იყო, თუ რომელ კურსზე სწავლობდა სტუდენტი, ყმაწვილს რატომღაც, მარცხენა ხელზე ეკეთა და მადლენმა იფიქრა, რომ ახალგაზრდა დაოჯახებული იყო. ერთხელაც, ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ და საერთო ინტერესებიც აღმოაჩნდათ. მადლენი იმ დროს ჯოს საუკეთესო მეგობარ ვაჟს ხვდებოდა.

არცთუ ისე მაღალ, სიმსუქნისკენ მიდრეკილ, მსხვილცხვირიან და ცოცხალი, ნათელი თვალების მქონე მადლენს, ყოველთვის ჰქონდა მამაკაცებისთვის თავის მოწონების უნარი. თითოეული მათგანი, ვინც კი მადლენმა ოდესმე ყურადღების ღირსად ჩათვალა, საკმაოდ მაღალ იერარქიულ საფეხურზე იდგა.

იმხანად ჯო, კიორბელის სახლიდან ორი კვარტალის მოშორებით, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და მადლენის დედა მას ხშირად ეპატიჟებოდა ოჯახში სტუმრად. საერთოდ კი, მშობლები გოგონას საკმაოდ მკაცრად ზრდიდნენ. მამა ყოველთვის მიაცილებდა მადლენს წვეულებაზე და შინაც თავად მოჰყავდა ხოლმე, მათ სახლში სტუმრობის პატივი კი იშვიათად ღირსებია ვინმეს. ასე რომ, ჯოს ნამდვილად გაუმართლა. თუმცა, თავად მადლენი მის ვიზიტებს დიდად არ მიესალმებოდა...

თავიდან, ჯოს არაფრის იმედი არ ჰქონდა: მადლენი, რომელმაც მის თვალწინ ერთი ბრწყინვალე თაყვანისმცემელი მეორით შეცვალა, ჯოს მიმართ მხოლოდ მეგობრულად იყო განწყობილი.

მადლენს არ აინტერესებდა, როგორი ოჯახიდან იყო ჯო. გოგონას დედას კი, ვერც კი წარმოედგინა, რომ ვაჟი მდიდარი ოჯახის შვილი იყო და მადლენს ურჩევდა, საშუალება არ მიეცა, დახარჯულიყო მისთვის, ამიტომაც, მადლენი და ჯო რესტორანში ფულს ცალ-ცალკე იხდიდნენ ხოლმე.

ჯოს ძალიან უყვარდა მადლენი. თავის სადიპლომო ნაშრომსაც წაუმძღვარა: „მადლენს, რომელთანაც...“ იმავე წელს ოლბრაიტმა ქალს ხელი სთხოვა. კიორბელებისთვის სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, ვაჟის მდიდარი ოჯახის შესახებ. ჯოს ბაბუა, დედის მხრიდან, გაზეთის მაგნატი ყოფილა — მას გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ ეკუთვნოდა. გაყრის დღემდე მადლენი მეგობარ გოგონებს ეუბნებოდა, რომ კონკიას მსგავსად, პრინცს გაჰყვა ცოლად. ჯოს მშობლებიც ასე ფიქრობდნენ. 1959 წლის 29 დეკემბერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა ცნობა მათი ნიშნობის შესახებ.

ქორწილი ივნისში, უელსლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემიდან სამ დღეში გაიმართა. მადლენი თეთრმაქმანებიან კაბაში იყო გამოწყობილი და შესანიშნავად გამოიყურებოდა, ყელზე განუყრელი მარგალიტის მძივი ეკეთა. თაფლობის თვე ახალდაქორწინებულებმა კარიბის ზღვაზე გაატარეს, ერთი კუნძულიდან მეორეზე გადადიოდნენ და ქვიშიან პლაჟებზე ირუჯებოდნენ.

ჯო „ჩიკაგო სან ტაიმსში“ მუშაობდა. სერიოზულ ჟურნალისტიკაში თავის გამოცდა მადლენსაც სურდა, მაგრამ ქმარმა მაშინვე აღკვეთა მისი კარიერული მისწრაფება.

— ძვირფასო, — რბილად უთხრა ჯომ, — ლამაზი არ იქნება, შენ რომ კონკურენტ გამოცემაში დაიწყო მუშაობა, „სან ტაიმსში“ კი, ოჯახური კლანის დამკვიდრება უხერხულია. ასე რომ, შენთვის რაიმე სხვა მოიფიქრე.

მადლენმა ბრიტანული ენციკლოპედიის რედაქციაში დაიწყო მუშაობა. მას ზედმიწევნით ქალური საქმე დაავალეს — ის მუდმივ ხელმომწერთა შეკითხვებს პასუხობდა, კარიერის მხრივ კი, იქ არავითარი წინსვლა არ ელოდა.

მალე მადლენს ტყუპი გოგონა — ენი და ელისი გაუჩნდა. ბავშვები დღენაკლულნი დაიბადნენ და ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია ესაჭიროებოდათ. ისინი იმდენად სუსტები იყვნენ, რომ პირველ ხანებში მათი ხელის ხლების ნებას დედასაც არ აძლევდნენ. უბრალო „ქალური ბედნიერება“ მადლენ ოლბრაიტისთვის საკმარისი არ იყო, უმოქმედობა საშინლად თრგუნავდა. „ვკითხულობდი, ვუყურებდი სერიალებს, ვაჭმევდი ბავშვებს, მათთან ერთად ვსეირნობდი და ვფიქრობდი: „რაღაც უნდა გავაკეთო, თორემ ჭკუიდან შევიშლები“.

1966 წელს მადლენ ოლბრაიტი ისევ დაორსულდა. მძიმე ორსულობას პირველ თვეებში გოგონების ავადმყოფობაც დაერთო. ცუდზე რომ არ ეფიქრა, მადლენმა რთულნახატიანი სვიტერის ქსოვა დაიწყო. ამ სვიტერს ის დღემდე ინახავს...

მადლენს მკვდარი ბავშვი გაუჩნდა.

ამ ამბით მიყენებული ჭრილობა მას მხოლოდ 1967 წელს მოუშუშდა — როცა კეტრინი დაიბადა.

იმავე პერიოდში მადლენმა ასპირანტურა დაამთავრა და ნაშრომისთვის — „საბჭოთა დიპლომატია: ელიტის პროფილი“ — პოლიტოლოგიის მაგისტრის ხარისხი მიიღო. სადოქტორო დისერტაციის თემად მადლენმა შეარჩია პრესის როლი „პრაღის გაზაფხულის“ დადგომაში.

— მიმაჩნია, რომ ქალს არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს, — ამბობს მადლენ ოლბრაიტი და ალბათ ოჯახურ პრობლემებსა და კარიერას შორის არჩევანს გულისხმობს.

რა პრობლემები შეიძლება ჰქონდეს ყველაფრით უზრუნველყოფილ ქალს, შვილების ჯანმრთელობის გარდა? რა თქმა უნდა, ქმარი. ამის დასტურად ჰილარი კლინტონის მაგალითის გახსენებაც იკმარებს.

მადლენის ქმარი — ჯო, ურიგო ჟურნალისტი არ იყო, მაგრამ გაზეთის მაგნატის როლი მას სრულებით არ შეეფერებოდა.

წარმატებას მან 1961 წელს მიაღწია: მაშინ ჯო ოლბრაიტი სასტუმროს იმ ნომრის საბაზანოში დაიმალა, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატი რიჩარდ ნიქსონი თავის მხარდამჭერებს ეთათბირებოდა. ჯო ოლბრაიტის მიერ მოპოვებული მასალა პირველ გვერდზე დაიბეჭდა და დიდი ხმაურიც გამოიწვია. ამის შემდეგ, ჯოს უშვილო დეიდამ — ალისიამ, რომელიც ნიუ-იორკის გავლენიანი გაზეთის — „ნიუსდეის“ მფლობელი იყო — იგი გაზეთის ხელმძღვანელად მიიწვია, მაგრამ ჯომ „ვერ გაქაჩა“. 1963 წელს, დეიდა ალისიას სიკვდილის შემდეგ, ჯოს ამ გაზეთის გამომცემლის ფუნქციები დაეკისრა, მაგრამ ამ როლშიც ფიასკო განიცადა. ის, გამოცემის შაბათის დამატების რედაქტორად დანიშნეს.

1970 წელს ოჯახმა „ნიუსდეის“ ყველა აქცია გაყიდა, 1971 წელს კი, ჯომ საბოლოოდ მიატოვა გაზეთი, რომელიც ოდესღაც ოჯახურ ბიზნესს წარმოადგენდა. კაცისთვის ეს დიდი მორალური მარცხი იყო, მაგრამ ამას ფინანსურ კრახს ვერავინ დაარქმევდა: აქციების გაყიდვამ ოლბრაიტებს 37,5 მლნ დოლარი მოუტანა.

მადლენ ოლბრაიტის კარიერა იმით დაიწყო, რომ იგი თავისი ტყუპი გოგონას სკოლის მზრუნველთა საბჭოში აირჩიეს. ენერგიული და განათლებული ქალი დიდ წარმატებებს აღწევდა სპონსორების ძიების საქმეში. ოჯახის ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელიც მადლენის შრომისმოყვარეობამ გააოცა, ქალი მოხალისედ მიიწვია სენატორ ედმუნდ მასკის საარჩევნო კამპანიისთვის თანხების შესაგროვებლად. 1972 წლის არჩევნებში ედმუნდ მასკი პრეზიდენტი ვერ გახდა, ის ისევ მენის შტატის სენატორის თანამდებობაზე დარჩა. სამაგიეროდ, მან 1975 წელს მადლენ ოლბრაიტი თავის გუნდში მიიწვია და საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის სფეროებში თავის მთავარ იურიდიულ მრჩევლად დანიშნა.

მადლენი ადვილად პოულობდა საერთო ენას კოლეგებთან, რომელთა შორის უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენდნენ. ქალი მათთან გაჯიბრებას არ ცდილობდა, უმეტესად, პოზიციების დასათმობადაც კი მზად იყო. მუდამ ქალურად იქცეოდა, მხიარული და მეგობრული იყო ყველასთან ურთიერთობაში.

როცა 1976 წელს აშშ-ის პრეზიდენტი, დემოკრატი ჯიმი კარტერი გახდა, მადლენ ოლბრაიტი სამუშაოდ თეთრ სახლში მიიწვიეს. საქმე ის იყო, რომ კარტერმა ნაციონალური უსაფრთხოების დარგში მრჩევლად კოლუმბიის უნივერსიტეტის ლექტორი ზბიგნევ ბჟეზინსკი დანიშნა, რომელიც თავის დროზე, მადლენ ოლბრაიტს ასწავლიდა. ბჟეზინსკი ძალიან აფასებდა თავის ნასტუდენტარს, ამიტომ, უმალ შესთავაზა რეფერენტის თანამდებობა კონგრესთან ურთიერთობის სფეროში. ბჟეზინსკისთვის წარდგენილ ანგარიშებში მადლენი იმდენად გონებამახვილურ კომენტარს უკეთებდა ამა თუ იმ პოლიტიკოსის შეცდომებს, რომ სერიოზული დოკუმენტები იუმორისტული მოთხრობებივით იკითხებოდა. ერთხელ კონგრესში, ირანში მყოფი ამერიკელი მძევლების საკითხი განიხილებოდა (ისინი 1979 წელს შეიპყრეს, როცა ხელისუფლებაში აიათოლა ჰომეინი მივიდა). ოლბრაიტმა თავის ანგარიშში ერთ-ერთი კონგრესმენის მიერ წარმოთქმული ფრაზა მოიყვანა: „მე მხარს ვუჭერ ირანში ძალისმიერ მოქმედებას, იმ პირობით, რომ ეს ძალადობამდე არ მიგვიყვანს“.

მადლენი ყოველთვის მოკრძალებული იყო, არასოდეს ცდილა, ვინმესთვის ეგრძნობინებინა, რომ მასზე მდიდარი ან გონიერი იყო. მისი კოლეგა კრისტინ დოდსონი იხსენებს, რომ მადლენმა ერთხელ ის უქმეების გასატარებლად, ვირჯინიაში, თავის ფერმაში მიიპატიჟა. ზამთრის დადგომამდე, აუზის გაწმენდა იყო საჭირო. ჩვეულებრივ, ოლბრაიტისნაირი შეძლების ხალხი ამისთვის მუშებს ქირაობს ხოლმე, მაგრამ ეს მადლენს არ სჩვეოდა. ცხაურს იქით, საიდანაც აუზში წყალი ჩაედინებოდა, ქალებმა ბაყაყების კოლონია იპოვეს. დოდსონი დღემდე ზიზღით იხსენებს ცივ, სლიპინა ბაყაყებს.

საერთოდ, მადლენი ყოველთვის დაუშრეტელი ენერგიით გამოირჩეოდა. ჯოსთან ცოლქმრული ურთიერთობაც ზოგჯერ ზედმეტად ენერგიული იყო. ჯოს არასდროს რცხვენოდა მადლენის მიმართ სიყვარულის სახალხოდ აფიშირებისა. ქალის მეგობრები იხსენებენ — როცა მადლენი მანქანის საჭესთან იჯდა, უკანა სავარძელზე მჯდარი ჯო მას გამუდმებით ეფერებოდა და კოცნიდა, წვეულებებზე კი ყველას აღტაცებით ეუბნებოდა: „შეხედეთ, რა მშვენიერი ქალია ჩემი ცოლი!“

ფრაზა — „მე სხვა მიყვარს“, დილის რვა საათზე გაისმა და მაშინ, თითქოს მთელი სამყარო ამოტრიალდა. ჯოს ახალ შეყვარებულს მარსია კანსტელი ერქვა, მათ 1980 წელს დეტროიტში, რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე გაიცნეს ერთმანეთი. მარსია ჯოზე ათი წლით უმცროსი იყო და იმავე გაზეთში ჟურნალისტად მუშაობდა.

1983 წლის 31 იანვარს, ოცდასამი წლის თანაცხოვრების შემდეგ, მადლენი და ჯო ოფიციალურად განქორწინდნენ. გაყრის შედეგად, მადლენს ოლბრაიტების ოჯახური ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, ჯორჯთაუნში — ვაშინგტონის ფეშენებელურ გარეუბანში მდებარე ძვირფასი სამსართულიანი სახლი და ვირჯინიის ფერმა შეხვდა. მათი ნაცნობები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, რომ თურმე ჯო ყოველთვის ქალების მოყვარული იყო და სტუდენტურ წლებშიც ჩუმ-ჩუმად, მადლენის მეგობარ გოგონებს ათვალიერებდა. მაგრამ ყველა მაინც იმ აზრამდე მივიდა, რომ ქორწინებამ ჯოს თვალში ხიბლი დაკარგა: როცა მას საქმეები აეწეწა, მადლენმა ყურადღება არ მიაქცია — ის საკუთარი კარიერით იყო დაკავებული.

ეს ვერსია მადლენმაც აირჩია, ის არ მალავდა წყენას ქმრის მიმართ და ხშირად ეუბნებოდა მეგობრებს, რომ ჯოს მისი წარმატების შურდა და ძლიერი ქალის გვერდით ცხოვრებას ვერ ეგუებოდა.

მადლენის თქმით, ისინი რომ არ განქორწინებულიყვნენ — ქალი ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევდა. თუმცა, ოჯახის მე-

გობრები ირწმუნებოდნენ, რომ გაეროში აშშ-ის წარმომადგენლად დანიშვნამდე, მადლენი მზად იყო, ყველაფერი მიეტოვებინა, თუკი ჯო მას დაუბრუნდებოდა, მაგრამ მას კარიერის არჩევა მოუხდა.

განქორწინების შემდეგ, მადლენმა მომავალზე სერიოზული ფიქრი დაიწყო. მისი აზრით, მეცნიერება უფრო სანდო იყო, ვიდრე პოლიტიკა, ამიტომ, მან ლექტორობა აირჩია. მას უკვე დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია, იყო მეცნიერთა მხარდაჭერის ვუდრო ვილსონის სახელობის ვაშინგტონის საერთაშორისო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი და წერდა ნაშრომს, პოლონეთში მოძრაობა „სოლიდარობის“ აღზევებაში, პრესის როლის შესახებ, თან პოლონურ ენასაც ეუფლებოდა. 1983 წელს მადლენი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ლექტორი გახდა. ქალი სწორედ ასეთ სამსახურზე ოცნებობდა, თანაც, სასწავლებელი მისი სახლიდან სამი კვარტალის დაშორებით მდებარეობდა და მადლენს სადილად შინ სიარული შეეძლო.

მალე მადლენს მეგობარი მამაკაცი – ბარი კარტერი გაუჩნდა. ბარი იმხანად იურიდიულ ფაკულტეტზე ასწავლიდა, წარსულში კი, გავლენიანი სახელმწიფო მოხელე იყო – ნიქსონის ადმინისტრაციაში ნაციონალური უშიშროების საბჭოში მსახურობდა. მადლენმა და ბარიმ ერთმანეთი ოლბრაიტების განქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე გაიცნეს. თავის დროზე, ბარი კარტერის მეუღლე მარჯი მაკნამარა – ჯონ კენედისა და ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციების თავდაცვის მინისტრის ქალიშვილი იყო, განქორწინების შემდეგ კი, ბარის, ვაშინგტონის ბომონდის ყველაზე ლამაზ და სახელგანთქმულ ქალებთან ჰქონდა ურთიერთობა.

ბარის საკუთარი შვილები არ ჰყავდა, ის მადლენის გოგონებს დაუმეგობრდა და მათთან თბილი ურთიერთობა დაამყარა. მათ საერთო ინტერესებიც აკავშირებდა: ორივე, დემოკრატიული პარტიის აქტივისტი იყო და რეგულარულად ესწრებოდა უოლტერ მონდეილის პოლიტიკურ თათბირებს, რომელიც 1984 წელს თავის საარჩევნო კამპანიას ამზადებდა. მალე მადლენი და ბარი ჯერალდინ ფერაროს საგარეო პოლიტიკური მრჩევლები გახდნენ – ფერარო იმ დროს უოლტერ მონდეილთან ერთად, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, ბარის საკუთარი შვილების ყოლა სურდა, მადლენი კი ამისთვის მზად არ იყო. თუმცა, ქალბატონ ოლბრაიტს იმჟამად გულის შეტევებთან ბრძოლა არ გასჭირვებია, მაშინაც შრომის თერაპიამ უშველა.

1989 წელს კლინტონმა, რომელიც საკუთარი საარჩევნო კამპანიისთვის ემზადებოდა, აშშ-ის გავლენიან ორგანიზაციაში – საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოში გადაწყვიტა შესვლა. საამისოდ აუცილებელი რეკომენდაციები მას ოლბრაიტმა გაუწია. პრეზიდენტად არჩეულმა კლინტონმა მადლენის სამსახური არ დაივიწყა. გარდა ამისა, ამბობდნენ, რომ კლინტონს ძალიან მოსწონდა ოლბრაიტი. თავის მეუღლესთან – ჰილარისთან ურთიერთობამ ბილი მიახვედრა, რომ ძლიერი ნებისყოფის ქალებთან მუშაობა ძალიან მოსახერხებელი იყო.

პრეზიდენტად არჩეულმა კლინტონმა ოლბრაიტს გაეროში აშშ-ის წარმომადგენლის პოსტი შესთავაზა. ნიუ-იორკში ჩასული მადლენი მიხვდა, რომ მისი ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვალა. ქალი, რომელმაც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, თეთრი სახლის რიგით თანამშრომლად იმუშავა, ახალი საპრეზიდენტო კაბინეტის წევრი ხდებოდა. მისი თანამდებობაც საკმაოდ კარგად ჟღერდა: ქალბატონი წარმომადგენელი!..

მადლენ ოლბრაიტი ყოველთვის აღწევდა საწადელს, მსოფლიო მისით აღფრთოვანებული იყო – მას „ქალბატონი ფოლადი“ შეარქვეს. როცა ერაყის პრესამ მას გველი უწოდა, ოლბრაიტი უშიშროების საბჭოში გველის ფორმის გულსაბნევით გამოცხადდა.

1997 წლის 5 დეკემბერს ბილ კლინტონმა ოლბრაიტი აშშ-ის სახელმწიფო მდივნად დანიშნა. სენატმა მის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირა მხარი.

ოლბრაიტის განქორწინებიდან თხუთმეტი წელი იყო გასული. მადლენი ოჯახურ ცხოვრებას გადაეჩვია, შინ ის გასაოცარ არაორგანიზებულობას ავლენდა.

ერთხელ, პრეზიდენტ კლინტონის მიერ გამართულ წვეულებაზე მადლენი მსახიობ პატრიკ სტიუარტის თანხლებით გამოცხადდა. ეს სენსაცია იყო: პროტოკოლის თანახმად, სახელმწიფო მდივანი დარბაზში თანმხლები პირის გარეშე უნდა შევიდეს, მაგრამ აშშ-ის მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა ოლბრაიტისთვის გამონაკლისი დაუშვა.

– ოლბრაიტს ცხოვრებაში ყველაფერი აქვს – სიყვარულისა და მეუღლის გარდა, – აღნიშნავენ მისი მეგობრები, – მაგრამ მან კარგად იცის, რის ფასად უჯდება კარიერა.

– რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაში იყო მომენტები, განსაკუთრებით, განქორწინების შემდეგ, როცა მამაკაცთან სერიოზული ურთიერთობის გაბმის სურვილი მიჩნდებოდა, – ამბობდა მადლენი ერთერთ ინტერვიუში. – მაგრამ ახლა ცხოვრებით სავსებით კმაყოფილი ვარ. მომწონს ის, რასაც ვაკეთებ, შემიძლია, საქმეს მთელი ჩემი დრო დავუთმო. რა თქმა უნდა, მამაკაცებს ვხვდები, მაგრამ უმეტესად, წესებს თავად ვკარნახობ. თავისუფლების შეგრძნება მჭირდება: შემიძლია ვაკეთო, რაც მინდა, როცა მინდა და არ ვიჩქარო შინ მისვლა სადილის მოსამზადებლად...

შეკითხვაზე, აპირებს თუ არა ისევ გათხოვებას, 65 წლის მადლენ ოლბრაიტი სწრაფად და უყოყმანოდ პასუხობს: „არა“.

**მოამზადა**
**მანანა ღოღობერიძემ**



# გამოსცადეთ თქვენი შემოქმედებითი უნარი

გამოსცადეთ თქვენი შემოქმედებითი უნარი
გამოსცადეთ თქვენი შემოქმედებითი უნარი
გამოსცადეთ თქვენი შემოქმედებითი უნარი

***შემოქმედებითი უნარი მართლაც შესანიშნავი ნიჭია. შეიძლება ზოგჯერ, რამდენიმე დღეღამის განმავლობაში უშედეგოდ იფიქროთ, ზოგჯერ კი, საუცხოო იდეა მოულოდნელად და უეცრად მოგივიდეთ თავში, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოდუნებული ტვინის მქონე ადამიანებს ასეთი მოულოდნელი იდეები თითქმის არ ებადებათ ხოლმე. გამოსცადეთ საკუთარი თავი მარტივი თამაშის მეშვეობით. თითოეულ პუნქტში მოცემული სიტყვებით შეადგინეთ სრული, გამართული წინადადება, გამოიყენეთ მძიმეები, მაგრამ არ გამოიყენოთ ორი წერტილი და წერტილ-მძიმე.***

***დაინიშნეთ საათი — თქვენს განკარგულებაში ათი წუთია. ეცადეთ, გამოიყენოთ ყველა მოცემული სიტყვა:***

1) მაღალ კატა შორის გახვეული ფრთხილად ღამის ბალახებს მიიპარებოდა სიბნელეში.

2) წვიმამ ცა და ტურისტი ყველა უეცრად დაასველა მოიქუფრა მოსულმა.

3) წვეულება ნამდვილად მოხდა არავის წინასწარ მონდომების შეეძლო რომ ასე საერთო ეთქვა შესანიშნავად მაგრამ წყალობით ჩაივლიდა.

4) ბრძანა სატელეფონო ისევ დაუყოვნებლივ დაცვამ აფეთქების და შესახებ ზარი მოსალოდნელი მაღაზიის გაისმა დაცლა.

5) აღმოჩნდა მოსალოდნელზე კრიტიკოსთა სპექტაკლის გაცილებით შესახებ გამოხმაურება უკეთესი.

***10 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ დავალების შესრულება და შეამოწმეთ შედეგები:***

***პირველ რიგში, თუ ამ დავალების შესრულებისას, გონების დაძაბვა სასიამოვნო იყო, უეჭველია, რომ შემოქმედებითი სამუშაო ორგანულია თქვენთვის. ხოლო თუ ამ დროს უარყოფითი ემოციებით დაიტვირთეთ, სჯობს, სხვაგვარი საქმიანობა შეარჩიოთ, რომელიც ნაკლებად მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას.***

***ჩვენ მიერ მოყვანილი პასუხები ერთ-ერთი სწორი ვარიანტია. თუ თქვენი წინადადება გრამატიკულად და აზრობრივად სწორია, თითოეული ასეთი წინადადებისთვის, 10 ქულა დაიწერეთ. თითოეული გამოუყენებელი სიტყვისთვის, ქულათა ჯამს, თითო ქულა გამოაკელით.***

## პასუხები:

1) ადამიანებისგან ბაღებში ეიწერებოდა ეიბრ ფოთოლად ბინაბილა ბალახებს წმინდა.

2) ეს თოფეფენ ბალახად ბალახებს ყვიდან ყველა ფეიბან ფოთლებს ფალიდა.

3) ანაკეთ წინამდე ტუნეტეან ეთმენ, ითა ფენენენი წინეკენ ნაიზეან ბაკონ, ბაკონ ბალეფეფეფეფ ტუჩთიბეფეფ ნაკ ეთიბეფეფ ალეფეფ ბალ.

4) ეიფ ბალეკენ ხენეფეფ ფალეფ ეფეფბალეფეფ ალეფეფ ეფალეფ ეფალეფ ეფალ

## სულების გამოძახება

სოკოს მიკროსკოპული ჩანასახი
ეერზეთოვანი და სმაკურნალო მცენარე
მუს. ნაწ. გუნდისა და ორკესტრ.
ლირიკ.-სატრფ-ლო ხასიათის რომანსი
ალკოჰოლით მდიდარი სითხე
ოდისევსის სამშობლო
აკვნის ხელმოსავლები ჯიხი
სამკითხაო ბანქო
თვითმფრინავის ფარეხი
მართობი ხაზი
მადრიდის მუზეუმი
რგოლისებური მარჯნის კუნძული
იმპერატორთა დინასტია ჩინეთში
სოლო სიმღერა ოპერაში
ფაშისტური საიდუმლო პოლიცია
ანტიბიოტიკი
სიცილიის ადმინისტრ. ცენტრი
კამათელი (ჟარგ.)
სცენა თოფ-მოდელებისათვის
0,2 გ
ჯეიმს ბონდი (მსახიობი)
მხატვარი-კონსტრუქტორი
რიცხვი რულეტზე
სამაგიდო თამაში
კურორტი შავ ზღვაზე
შარლოტა კორდეს მსხვერპლი
იაპონური თეატრის ერთ-ერთი სახეობა
ალჟირის ფულის ერთეული
გერმანელი კომპოზიტორი
თუთიყუში
მსოფლიოში უდიდესი სტადიონი
გამაგრილებელი სასმელი
დამკერვებლისკენ მიმართ. ოპტ. ხელსწ. ნაწ.
„რომაული არდადეგები“ (მსახიობი)
ჩონგურის სიმი
შეადგინა რამაზ ალანიამ

*23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.*

# კვირის (5–11 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

## ღრიანკალი – 24/X-22/XI

თავს მკაცრი კონტროლი გაუწიეთ – განსაკუთრებით, საფინანსო საკითხებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნებებს ვერ ასცდებით. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ამ კვირაში შინიდან პირდაპირ სამსახურში წახვალთ, იქიდან კი, ასევე სხვაგან წაუსვლელად, სახლისკენ აიღებთ გეზს.

## მუზიღოსანი – 23/XI-21/XII

ენას კბილი დააჭირეთ, თორემ უსიამოვნება არ აგცდებათ. ამ კვირაში კოლეგებთან და უფროსობასთან სერიოზული კონფლიქტები გელით. დაძაბულობას მხოლოდ სასიყვარულო თავგადასავალი მოგიხსნით, რომელიც, წესით, შაბათს გექნებათ.

## ოხის რქა – 22/XII-20/I

ამ კვირაში გაურკვეველი ნოსტალგიის გრძნობა შეგიპყრობთ. შესაძლოა, ძველი ჩვევები გაიხსენოთ, დიდი ხნის უნახავ ადამიანებს შეხვდეთ და ძველი, გახუნებული ფოტოსურათების თვალიერება მოგინდეთ. მიეცით თავს ამის უფლება, რადგან რაიმე სიახლეს თქვენს ცხოვრებაში, ახლო მომავალში არ უნდა ელოდეთ.

## მერწყული – 21/I-19/II

თქვენს მოზღვავებულ ენერგიას გამოსავალი სჭირდება. ფიგაროსავით ხართ: ყველაფერს ასწრებთ – გარშემოყოფთა გამხნევებასაც, მათი სურვილების შესრულებასაც, ახალ-ახალი საქმეების წამოწყებასაც და კარგ დასვენებასაც. თუ რაიმე ახალს დაისახავთ მიზნად, აუცილებლად აწონ-დაწონეთ ყველა წვრილმანი.

## თევზები – 20/II-20/III



ნუ მოერიდებით წვეულებებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ზედმეტად პომპეზური მოგეჩვენებათ, ხოლო იქ შეკრებილი ხალხი – ნაკლებსაინტერესოდ. შესაძლოა, იქ პერსპექტიული ნაცნობები გაიჩინოთ და გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერასაც გამოჰკრათ ხელი. მომბეზრებელი ურთიერთობებისგან კი, უქმე დღეებშიც მოასწრებთ დასვენებას.

## ვერძი – 21/III-20/IV



რეალურად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები და ჩამოწერეთ მთელი კვირის ან, თუ გნებავთ, მთელი თვის გეგმები. შაბათი და კვირა სპორტს და ფიზიკურ დატვირთვას დაუთმეთ. ამ კვირაში თქვენთვის ესოდენ ჩვეული საზოგადოებრივი ყურადღება მოგაკლდებათ.

## კურო – 21/IV-21/V

განსაკუთრებული კვირა გელით. სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი პირად ცხოვრებაში. შესაძლოა, დიდი ხნის მეგობართან ან სატრფოსთან უთანხმოება მოგივიდეთ, თუმცა, ახალი სიყვარული არც ისე შორსაა: ამ კვირაში ბევრ მავნე ჩვევას მოიშორებთ, მათ შორის, თამბაქოს წევასაც გადაჭრეთ.

## მარგალიტი – 22/V-21/VI



ამ კვირას უამრავი სასიამოვნო საზრუნავი გექნებათ. ოჯახისთვის საჭირო ნივთების, ან საყვარელი ადამიანისთვის საჩუქრების შესაძენად, მაღაზიებს შემოირბენთ. სრულებითაც რომ არ გიყვარდეთ საყიდლებზე სიარული, ამ კვირაში ეს უდიდეს სიამოვნებას მოგგვრით. რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ, რომ საყვარელი ადამიანი თქვენგან არა ძვირფას, არამედ ორიგინალურ საჩუქარს ელის.

## კირჩხიბი – 22/VI-22/VII

მხოლოდ სამშაბათსა და ოთხშაბათს შეგიძლიათ, სერიოზულად იმუშაოთ, სხვა დღეები კი, ვიზიტების, მეგობრებთან ქეიფისა და ოჯახური დღესასწაულებისთვის უფრო შესაფერისია. ეჭვგარეშეა, რომ ყველა ამ ღონისძიებაზე განსაკუთრებით გონებამახვილი, ენამოსწრებული და მომხიბლავი იქნებით – შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ!

## ლომი – 23/VII-23/VIII



მთელ კვირას წინააღმდეგობების დაძლევაში გაატარებთ: მეგობრები, ახლობლები და საყვარელი ადამიანები თქვენი ყურადღების მიპყრობას შეეცდებიან, ხოლო თქვენ, ნებისმიერი გართობისა და რომანტიკული სეირნობის დროსაც კი, ერთადერთი სურვილი არ მოგასვენებთ – რაც შეიძლება სწრაფად გაიქცეთ ოფისში და საქმეებს მიხედოთ. ეცადეთ, ოქროს შუალედი იპოვოთ.

## ქალწული – 24/VIII-23/IX



სასურველ შედეგს რომ მიაღწიოთ, მთელი ძალების კონცენტრირება მოგიწევთ. მაგრამ ამ შედეგმა, შესაძლოა, არც კი დაგაკმაყოფილოთ, რადგან ის ბევრ დათმობასა და მსხვერპლს მოითხოვს. ამიტომ დაფიქრდით, ღირს კი ძალების ესოდენ დიდი დაძაბვა?

## სასწორი – 24/IX-23/X

მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირაში განმარტოების სურვილი გექნებათ და არავის დანახვა არ გენდომებათ, ვიზიტებს მაინც ვერ ასცდებით, რადგან, შესაძლოა, რაიმე მცირე უსიამოვნება შეემთხვეს თქვენს ახლობლებს. სამაგიეროდ, სასიყვარულო ურთიერთობები, რომელიც კვირის ბოლოს გელით, მიღებულ სტრესს აბსოლუტურად მოგიხსნით.

# თქვენ და ბედისწერა

**შეგიძლიათ თუ არა საკუთარი ბედის განკარგვა და მასზე გავლენის მოხდენა ან ცხოვრებისეული მოვლენებისთვის თქვენთვის სასურველი მიმართულების მიცემა? ამის გასარკვევად, შეეცადეთ, რაც შეიძლება გულწრფელად უპასუხოთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს. პასუხების სამი ვარიანტიდან — „დიახ“, „არა“, „არ ვიცი“, — ერთი, თქვენთვის ყველაზე მისაღები შეარჩიეთ.**

1) ცხოვრების ძირითადი მოვლენები დამოუკიდებლად მიმდინარეობს და მათზე გავლენის მოხდენა არ შეგვიძლია;

2) ყოველთვის ზუსტად ვიცი, რისი მიღება მსურს ცხოვრებისგან;

3) ჩვენი ბედი დაბადებიდანვე განსაზღვრულია;

4) ცხოვრების მიმდინარეობაზე სრულიად უმნიშვნელო გავლენის მოხდენა თუ შეგვიძლია;

5) არ მჯერა ბედისწერის;

6) ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჭიდილი და ბრძოლა უშედეგოა;

7) სახელმწიფო ჩვენთვის სასიკეთოდ ზღუდავს ადამიანის უფლებებს;

8) წინააღმდეგობის გაწევის გზით, უმკაცრესი დიქტატორული რეჟიმის დამხობაც კი შეიძლება;

9) ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი, თუკი ძალიან მოვინდომებთ;

10) ზოგჯერ ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ცხოვრებას შორიდან ვადევნებდე თვალყურს;

11) იშვიათად ვეგუები მარცხს;

12) კრიტიკულ სიტუაციაში თითქმის შეუძლებელია, დაეხმარო საკუთარ თავს;

13) კეთილი, მფარველი ძალების არსებობისა არ მჯერა;

14) ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ თავად ვმართავ საკუთარ ცხოვრებას;

15) ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ცხოვრების დინებას ყოველგვარი რეალური მიზნის გარეშე მივყვები;

16) მომავალს იმედის თვალით შევყურებ;

17) ცხოვრებისეულ პრობლემებთან შეჯახებისას, საკუთარ უსუსურობას ვგრძნობ;

18) გადაულახავი წინააღმდეგობები არ არსებობს;

19) არ მჭირდება წინასწარმეტყველი, რომელიც მიკარნახებს, თუ როგორ უნდა ვიცხოვრო;

20) პრობლემების გადაჭრის დიდი ნიჭი მაქვს;

21) მჯერა, რომ ადამიანი თვითონ ჭედავს თავის ბედს;

22) ბედისწერას იმხელა ძალა აქვს, რომ მისი შეცვლა შეუძლებელია;

23) მჯერა, რომ უბედურების დაძლევას შევძლებ;

24) ყველა ადამიანი დიდ თამაშში მონაწილე უბრალო პაიკია.

## დააჯამეთ ქულები

**1, 3, 4, 6, 7, 10, 12, 13, 15, 17, 22 და 24 კითხვებზე თითოეული „დიახ“ პასუხისთვის დაიწერეთ 1 ქულა, ხოლო ამავე კითხვებზე თითოეული „არა“ პასუხისთვის, -1 ქულა.**

**2, 5, 8, 9, 11, 14, 16, 18, 19, 20, 21 და 23 კითხვებზე თითოეული „დიახ“ პასუხისთვის დაიწერეთ -1 ქულა, ხოლო ამავე კითხვებზე თითოეული „არა“ პასუხი შეაფასეთ 1 ქულით.**

**პასუხი „არ ვიცი“ შეაფასეთ 0 ქულით და დათვალეთ ქულათა ჯამი:**

**— თუ ჯამი დადებითი რიცხვია, ეს ნიშნავს, რომ თქვენი რწმენით, ცხოვრება გარეშე ძალებით (ბედისწერა, ხელისუფლება, ღმერთი ან სხვა ადამიანები) იმართება; ალბათ სწორედ ამ რწმენის ზეგავლენის შედეგია, რომ თქვენში პესიმისტური განწყობა ჭარბობს;**

**— თუ ქულათა ჯამი უარყოფითი რიცხვია, ე.ი. საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა თავადვე გაქვთ აღებული და სირთულეების გადალახვისას უმეტესად, საკუთარ თავს ეყრდნობით. ყოველივე ამის გამო, უმეტესად, ოპტიმისტურ განწყობას ინარჩუნებთ.**

**— 0 ქულა, წინა ორ ვარიანტს შორის ოქროს შუალედია: რეალურ ცხოვრებას მორგებული და საკმაოდ გაწონასწორებული ადამიანი ხართ.**

**გჯერათ ბედისწერის, მაგრამ საკუთარი თავის იმედად ყოფნაც არასოდეს გავიწყდებათ.**

# ბილ გეიტსი ჯომედიანტად მოგვევლინება

ბილ გეიტსი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტელესერიალში მიიღებს მონაწილეობას. კომპანია „მაიკროსოფტის“ მეპატრონე ეკრანზე კომედია „ფრეიზერის“ მე-200 სერიაში გამოჩნდება.

სერიალი ამერიკის ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში უკვე მეშვიდე სეზონია გადის და რადიოში თოქ-შოუს წამყვან, ფსიქიატრ ფრეიზერ კრეინის შესახებ მოგვითხრობს.

გეიტსი პირველი ცნობილი ადამიანი როდია, ვინც პოპულარულ შოუში მიიღო მონაწილეობა: მანამდე პატარ-პატარა როლები კომედიაში სინდი კროუფორდმა, ჯონ მაკინროემ, ჯონ კუსაკმა, ბილი კრისტალმა, კრისტოფერ რივმა, დევიდ დუხოვნიმ და ჯოდი ფოსტერმა შეასრულეს.

პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანი საკუთარ თავს განასახიერებს – მე-200 სერიაში ის დოქტორ ფრეიზერის შოუს იმისთვის ესტუმრება, რომ საყვარელ წამყვანს პირდაპირ ეთერში მისი პროგრამის მეორეადგილი გასვლა მიულოცოს.

ბევრი ვარაუდობს, რომ გეიტსი უბრალო მილოცვით არ შემოიფარგლება, შანსს არ გაუშვებს და პოპულარულ ამერიკულ კომედიაში ახალ ოპერაციულ სისტემას – WINDOWS XP-ს გაუკეთებს რეკლამას.

# ნახევარი მილიონი ძველი ავტობუსის საფასურად

მიჩიგანის შტატში მდებარე ჰენრი ფორდის ამერიკულმა მუზეუმმა, დახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადა ავტობუსში, რომელშიც 1955 წელს ის ინციდენტი მოხდა – აშშ-ში თანასწორობისთვის ფართომასშტაბიან ბრძოლას რომ ჩაუყარა საფუძველი.

ავტობუსით მაშინ შავკანიანი ქალი მგზავრობდა, რომელმაც უარი განაცხადა თეთრკანიანი მამაკაცისთვის ადგილის დათმობაზე. ეს ალაბამის შტატის ქალაქ მონტგომერიში მოხდა. თავისი უფლებების დემონსტრირებისთვის მაშინ როზა პარკსი ათი დოლარით დააჯარიმეს.

სწორედ 1955 წელს ავტობუსში მომხდარი ამ შემთხვევის შემდეგ დაიწყო აქტიური კამპანია, რომელიც აშშ-ის სამხრეთ შტატებში რასობრივი დისკრიმინაციის დამარცხებით დაგვირგვინდა.

BBC-ის ცნობით, ჰენრი ფორდის მუზეუმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ექსპერტებმა ზუსტად დაადგინეს, რომელ ავტობუსში მოხდა ინციდენტი. თუმცა, ისტორიკოსები სამართლიანად სვამენ შეკითხვას: რამდენად რეალურია, რომ აღნიშნული ინციდენტი სწორედ იმ ავტობუსში მოხდა?

# ადამიანის გენების საიდუმლო ძაღლ-თევზას ორგანიზმში იმალება

შხამიანი ტროპიკული თევზი, რომელსაც იაპონიის სამზარეულოს ოსტატები დელიკატესის სახით ამზადებენ, მეცნიერებს ადამიანის გენური აგებულების ახსნაში შეიძლება დაეხმაროს.

როგორც სააგენტო UNITED PRESS INTERNATIONAL იტყობინება, ბრიტანელმა მეცნიერებმა ძაღლ-თევზას გენომის წინასწარი ატლასის შედგენა დაასრულეს.

ძაღლ-თევზა მეორე ხერხემლიანი ცხოველია, რომლის გენური ატლასის შექმნაც მეცნიერებმა მოახერხეს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ძაღლ-თევზას პრაქტიკულად იმავე რაოდენობის გენი აქვს, რაც ადამიანს, ამასთან ამ ხერხელიანის გენომი ადამიანთან შედარებით რვაჯერ უფრო კომპაქტურია.

ამგვარად, მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ძაღლ-თევზას დნმ-ის კომბინაციის გაშიფვრა, მათ შემდგომში ადამიანის ორგანიზმის გენურ კლასიფიკაციაში დაეხმარება.

მაგალითად, ძაღლ-თევზას ფარფლის მომავალი მდგომარეობის „განმსაზღვრელი“ გენი შეიძლება ადამიანსაც ჰქონდეს, ოღონდ იგი სხვაგვარად მოქმედებს და ამიტომ, მსგავსი მექანიზმით, მისი ქვედა კიდურების ფორმირება ხდება.

კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალიზებული კვლევითი სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს მეცნიერთა ჯგუფის წევრმა გრეგ ელგარმა აღნიშნა, რომ „სამუშაოს დასრულება ათწლიანი გამოკვლევის კულმინაცია გახდა, მიღებული ინფორმაცია კი მეცნიერებს უზარმაზარ დახმარებას გაუწევს თანდაყოლილ დაავადებათა მკურნალობის გზების ძიებაში.

# ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა იგორ გიორგაძემ.

**ვულოცავთ ბატონ იგორს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

**ეს რა ოქრო-კაცი ყოფილა!**

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

**ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.**

**გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (6 ნოემბრის) 13 საათამდე.**

„ფანტაზია“ ეს რა ოფერ-ჯანი
ეს!?

„ფანტაზიორიოს
მკითხველი“
ტერორისტის
გარდასახვა

# ნოემბრიდან უკვე კვირაში ორჯერ!

## სამშაბათს — „კარუსელი“
## და პარასკევს — „TV კარუსელი“

b 73/37

„ეროვნული ბანკი“ ისევ ბოიკოტში!